არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ლალი ეზუგბაია

მეგრულ-ლაზურის გრამატიკის საკითხები

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2010

უაკ (UDC) 811.353.32'36+811.353.31'36
ე-408

რედაქტორი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფ. **თედო უთურგაიძე**

რეცენზენტები — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფ. **მერაბ ჩუხუა**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
ჭაბუკი ქირია

ინგლისური ვერსიის რედაქტორი — ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი **მანანა რუსიეშვილი**

ტექნიკური რედაქტორი — **რუსუდან პაპიაშვილი**
ყდის დიზაინი — **ქეთი გოგავა**

© გამომცემლობა „მერიდიანი", 2010
© ლ. ეზუგბაია

ISBN 978-9941-10-239-4

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

ნაწილი I 6

რიცხვის კატეგორიის გამოხატვის სისტემა 6

შესავალი 6

I თავი 9

სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება 9

§1. მრავლობითის {-ეფ} სუფიქსი და მისი ალომორფები 9

§2. რიცხვი, როგორც ტრანსლაციური კატეგორია 22

§3. მუ- მესამე პირის ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმები ... 31

§4. ჩვენებით და მიმართებით ნაცვალსახელთა მრავლობითის ფორმებისათვის ლაზურის ათინურ კილოკავში 40

II თავი 50

პირის მრავლობითობის გამოხატვა ზმნაში 50

§5. სუბიექტური პირის რიცხვის წარმოება I და II სერიის ფორმებში 50

§6. ობიექტური პირის რიცხვის გამოხატვა I და II სერიის ფორმებში 73

§7. ინვერსიის საკითხი და მიცემით ბრუნვაში დასმული RS-ის რიცხვის გამოხატვა 81

§8. მრავლობითი რიცხვის გამოხატვა მეგრულის IV სერიის მწკრივებსა და ლაზურის არაინვერსიულ თურმეობითთა ფორმებში 97

III თავი 107

მორფოსინტაქსური და სემანტიკური ანალიზი 107

§9. რიცხვში შეთანხმების საკითხი პრედიკატულ შესიტყვებაში 107

§10. ვინ ჯგუფის სახელის მიერ ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების შესახებ 109

§11. მრავლობით რიცხვში დასმული რა ჯგუფის სახელი და ზმნა-შემასმენელი 120

§12. რიცხვში შეთანხმების საკითხი შერწყმულ წინადადებაში 127

IV თავი 134

კოორდინაციის სისტემა ზანურში 134

ნაწილი II 142
ერგატიული კონსტრუქციის საკითხი მეგრულ-ლაზურში 142
§1. -ქ სუფიქსის ფუნქციისათვის მეგრულ ზმნაში 142
§2. ერგატიული კონსტრუქციის განვითარების ტენდენციები ლაზურში 146

ნაწილი III 158
პირის კატეგორიის გამოხატვის სისტემა 158
შესავალი 158
I თავი 161
სუბიექტური პირის ნიშნები მეგრულ-ლაზურში 161
§1. ვ- პირის ნიშანთან დაკავშირებული ერთი საკითხისათვის მეგრულში 161
§2. პირველი სუბიექტური პირის ალომორფები ლაზურში 166
§3. S_3-ის სუფიქსთა ალომორფები მეგრულ-ლაზურში 174
II თავი 181
ობიექტურ პირთა ნიშნები მეგრულ-ლაზურში 181
III თავი 186
სუბიექტთა და ობიექტთა კომბინაციები მეგრულ-ლაზურში 186
Questions of Megrelian-Laz Grammar (Brief Contents of the work) 209
Part I The system of Expression of the category of number 209
Chapter I Formation of the plural of a noun 210
Chapter II Expression of the Plurality of the Category of Person in the Verb 214
Chapter III Morphosyntactic and Semantic Analysis 222
Chapter IV The System of Coordination in Zan 226
Part II The Problem of Ergative Constructions in Megrelian and Laz 227
Part III The System of Expression of the Category of Person 230
Chapter I Markers of the Subject in Megrelian and Laz 230
Chapter II Markers of Object in Megrelian and Laz 234
Chapter III Combinations of the Subject and Object in Megrelian and Laz 235
ლიტერატურა 238
წყაროები 247

ვუძღვნი ძვირფასი მამის
ალექსანდრე (რეზო) ეზუგბაიას
ნათელ ხსოვნას

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

წინამდებარე ნაშრომი ჩვენი სამეცნიერო საქმიანობის ერთი მიმართულების შემაჯამებელი შრომაა. მასში წარმოდგენილია მეგრულ-ლაზურის მორფოლოგიური, მორფონოლოგიური, მორფოსინტაქსური და სემანტიკური სისტემების კვლევა ორი ძირითადი გრამატიკული კატეგორიის მიხედვით: ერთი მხრივ, ესაა გრამატიკული რიცხვის კატეგორია, რომელიც საზიაროა სახელებისა და ზმნისათვის, რითაც ის უნივერსალურ კატეგორიად გვევლინება და წარმოაჩენს ენობრივ სისტემებში მიმდინარე თანმხვედრ პროცესებს; მეორე მხრივ, გაანალიზებულია პირის კატეგორია, როგორც მორფონოლოგიურ, ასევე ფუნქციონალურ დონეზე. მესამე საკითხი, რაც არა მხოლოდ მეგრულ-ლაზურის, არამედ იბერიულ-კავკასიური ენების განმასხვავებელი მახასიათებელია, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემატიკაა, რომლის კვლევამ არაერთი საინტერესო ტენდენცია გამოავლინა.

ამ წიგნის I ნაწილი — გრამატიკული რიცხვის გამოხატვის სისტემა — ჩვენი სადისერტაციო შრომა (1999წ.) გახლდათ, თუმცა ამჯერად ის გადამუშავებული სახითაა წარმოდგენილი, კერძოდ, გავაანალიზეთ რიცხვის კატეგორია, როგორც მეტყველების ნაწილთა ტრანსლაციის საშუალება მორფოსინტაქსის დონეზე; პირის ნაცვალსახელთა დიქოტომიის თეორიული გააზრება ისევ ემყარება ე. ბენვენისტის ზოგად დებულებას, მაგრამ პროფესორ თ. უთურგაიძისეული ინტერპრეტაციით.

ასევე გათვალისწინებულია ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტის — მიხეილ ქურდიანის თვალსაზრისი მრავლობით რიცხვში ინკლუზიური და ექსკლუზიური პირის ნაცვალსახელების სემანტიკურ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

სერიოზულად გადამუშავდა სინტაქსური ნაწილი. პრედიკატულ შესიტყვებაში რიცხვში შეთანხმების საკითხი განხილულია მორფოსინტაქსურ დონეზე ცალმხრივი და ორმხრივი მარკირების იმ მიდგომით, რომელიც წარმოადგინა პროფ. თ. უთურგაიძემ თავის ბოლოდროინდელ ნაშრომებში. ჩვენ ვიზიარებთ დებულებას, რომ რიცხვში შეთანხმება სემანტიკის დონეზე მაშინაც გვაქვს, როცა პრედიკატული შესიტყვების ერთ-ერთი წევრი (სახელი ან ზმნა) მრავლობითის ნიშნითაა მარკირებული: **კოჩეფი მოურს** „კაცები მოდის“ — წინადადებაში მთქმელისთვის „სიარულის“ პროცესი ავტომატურად დაკავშირებულია ერთზე მეტი სუბიექტის მოქმედებასთან, ისევე, როგორც შესიტყვებაში **„ჟირხოლოქ ქგმორთეს“**. რიცხვის კატეგორიის უნივერსალურობა ამაშიც ჩანს: ის ლოგიკურ-სემანტიკური კატეგორია, რომლის ფორმალიზაცია ნიშნავს ერთმხრივი მარკირებიდან ორმხრივ მარკირებაზე გადასვლას. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით საინტერესო ვითარებას აჩვენებს მეგრულ-ლაზური.

წიგნის II და III ნაწილები ასახავს ბოლო წლების კვლევას, რაც ითვალისწინებს პირის კატეგორიის სისტემურ ანალიზს მეგრულ-ლაზურში. ერთი მხრივ, ვცადეთ დაგვეზუსტებინა პირის კატეგორიის აღმნიშვნელ ალომორფთა დისტრიბუცია მეგრულში, მეორე მხრივ, აღვწერა პირის ალომორფთა სისტემა ლაზურში საერთო სურათის შექმნის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პირის ნიშანთა ფუნქციურ ანალიზს სუბიექტ-ობიექტის კომბინაციების მიხედვით ორპირიან და სამპირიან ზმნაში.

პირის და რიცხვის გრამატიკულ კატეგორიას უშუალოდ უკავშირდება ერგატიული კონსტრუქციის საკითხი, რამდენადაც ერგატიულობა მეგრულ-ლაზურში ფორმალიზებულია როგორც აქტანტის, ასევე ზმნა-შემასმენლის დონეზე.

კვლევის შედეგებმა წარმოაჩინა მეგრულ-ლაზურის მორფონოლოგიური, მორფოსინტაქსური და სემანტიკური სისტემების საერთო მახასიათებლები, ასევე განსხვავებული ტენდენციებიც, რაც გაპირობებულია არა მხოლოდ ურთიერთიზოლაციით, არა-

მედ შინაგანი იმანენტური კანონზომიერებითაც.

ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი ხელს შეუწყობს როგორც ზანურის გრამატიკული სისტემის შემდგომ კვლევა-ძიებას, ასევე ქართველური ენების შედარებითი გრამატიკის ფუნდამენტური საკითხების დამუშავებას.

წიგნის სტრუქტურა ემყარება ქრონოლოგიურ პრინციპს, კერძოდ, კვლევა დავიწყეთ სახელებსა და ზმნაში რიცხვის კატეგორიის შესწავლით, შესაბამისად, მას დაემყარა აქტანტური კატეგორიების მორფონოლოგიური, მორფოსინტაქსური და სემანტიკური ანალიზი, ამიტომაც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ წიგნის დაწყება რიცხვის კატეგორიით.

დასასრულ, არ შეიძლება მადლიერებით არ მოვიხსენიო ჩემი პირველი სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი **კორნელი დანელია**, რომელმაც დამავალა რიცხვის კატეგორიის შესწავლა მეგრულში. უნივერსიტეტში სადიპლომო ნაშრომზე მუშაობისა და მასთან შეხვედრების პერიოდი საუკეთესო მოგონებად დარჩა ჩემს ცხოვრებაში. კორნელი დანელიას რჩევით, სადისერტაციო ნაშრომის თემადაც რიცხვის კატეგორია შეირჩა, ამჯერად მეგრულ-ლაზურში.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტს, ბატონ **ვაჟა შენგელიას**, რომლის ხელმძღვანელობით დავასრულე სადისერტაციო ნაშრომი. რაც მთავარია, ყოველთვის ვგრძნობდი მის მხარდაჭერას სამეცნიერო კარიერის გზაზე.

მინდა მადლობა ვუთხრა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივს თანადგომისათვის; ასევე, წინამდებარე წიგნის ტექნიკურ რედაქტორს **რუსუდან პაპიაშვილს**, ინგლისური ვერსიის მთარგმნელ-რედაქტორს **მანანა რუსიეშვილს**, წიგნის ყდის დიზაინერს **ქეთი როგავას** გაწეული სამსახურისათვის.

ნაწილი I

რიცხვის კატეგორიის გამოხატვის სისტემა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

რიცხვის გრამატიკული კატეგორია თავისი უნივერსალურობით გამოირჩევა — სახელსაც მოეპოვება და ზმნასაც. ამავე დროს, მისი ფუნქციონირება, ერთი მხრივ, სახელსა და, მეორე მხრივ, ზმნაში მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ცნობილი ენათმეცნიერი ო. იესპერსენი შენიშნავს: რიცხვის კატეგორია, ერთი შეხედვით, ძალიან მარტივი ჩანს, მაგრამ, თუ ღრმად დავაკვირდებით, მთელი რიგი ლოგიკური და ლინგვისტიკური ხასიათის სიძნელეთა წინაშე აღმოვჩნდებით [იესპერსენი 1958, 216].

ლოგიკური თვალსაზრისით, რიცხვის კატეგორია გულისხმობს სემანტიკურ ოპოზიციას: ერთი ~ ერთზე მეტი. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ორი, სამი, ოთხი და ა. შ. გარდა ამისა, არსებობს ჯგუფი ე. წ. უთვლადი საგნებისა, სადაც რიცხვის გაგება განსხვავებულია თვლად საგნებში რიცხვის გაგებისაგან.

გრამატიკული თვალსაზრისით, რიცხვის კატეგორია გულისხმობს სემანტიკურ ოპოზიციას მხოლობითი ~ მრავლობითი, რაც ენათა უმრავლესობისთვისაა დამახასიათებელი. ზოგიერთ ენაში გვაქვს ორობითი და სამობითი რიცხვიც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ო. იესპერსენი გამოყოფს რიცხვის წარმოების ორ სისტემას: ლოგიკურსა (შემეცნებითს) და გრამატიკულს (სინტაქსურს) [იესპერსენი 1958, 216]. მათ შორის მიმართება ასეთია:

	ლ ო გ ი კ . კ ა ტ .		ს ი ნ ტ ა ქ . კ ა ტ
A .	თ ვ ლ ა დ ი		
	ერთი		მხოლოობითი
	ორი		ორობითი
	სამი		სამობითი
		ერთზე მეტი	მრავლობითი
B .	უ თ ვ ლ ა დ ი		მხოლოობითი

სპეციალურ ლიტერატურაში რიცხვის კატეგორია მიჩნეულია ენობრივი აზროვნების ობიექტთა (საგანთა) რაოდენობრივ მახასიათებლად, რომელიც მხოლოდ არსებით სახელებსა და პირის ნაცვალსახელებს შეიძლება ჰქონდეს. დანარჩენ მეტყველების ნაწილებს რიცხვი სინტაქსურად ეწარმოებათ [იესპერსენი 1958, 217; ლელ 1990, 583], კერძოდ, სახელის ან ნაცვალსახელის რიცხვის ფორმას ეთანხმება ზმნის ფორმა — სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზმნა გვიჩვენებს მოცემული პროცესის მიმართებას ერთი ან რამდენიმე სუბიექტისადმი. ასევე, ზედსართავი სახელის ფორმაც შეიძლება გამოხატავდეს მიმართებას არსებითი სახელის რიცხვის ფორმისადმი [ახმანოვა 1966, 516]. ორსავე შემთხვევაში გვაქვს რიცხვში შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა , რაც სინტაქსური კატეგორიაა და არა ლოგიკური. ამიტომაც, ო. იესპერსენის აზრით, იდეალურ ენაში არც ადიუნქტივებს, არც ზმნას არ ექნებოდა მრავლობითი რიცხვის განსაკუთრებული ფორმა [იესპერსენი 1958, 242].

ზმნური ფორმის მრავლობითის გაგება ორგვარი შეიძლება იყოს: ერთ შემთხვევაში ის გამოხატავს მოქმედების მრავალგზისობას, რამდენჯერმე ჩადენილ აქტს, რომლის გამოხატვა სხვადასხვა ენაში განსხვავებული საშუალებებით ხდება [იესპერსენი

1958, 244][1]; მეორე შემთხვევაში მრავლობითობის გაგება საკუთრივ ზმნაში კი არ დევს, არამედ ქვემდებარე-სუბიექტში, ანუ: „ისინი მოდიან“ გამოხატავს არა იმდენად „სიარულს“, რამდენადაც „მოსიარულეებს“. ესაა გრამატიკული მოვლენა, რომლის საფუძველზეც გამოიყოფა რიცხვის მორფოსინტაქსური კატეგორია.

ზმნის მრავლობითი რიცხვის წარმოება გულისხმობს: მოქმედებს ერთი, თუ — ერთზე მეტი [შანიძე 1980, 46]. შესაბამისად, რიცხვის კატეგორიის ყველაზე მარტივი სტრუქტურა ბინარულია: ურთიერთდაპირისპირებულია მხოლოობითი და მრავლობითი [ლელ 1990, 584], მაგრამ არსებობს სხვა სისტემებიც, რომელშიც ჩართულია ორობითი, სამობითი რიცხვიც, მაგალითად, ინდოევროპულ და სემიტურ ენებში, თუმცა აქაც გაქრობის გზაზეა. ეს პროცესი, მკვლევართა აზრით, ცივილიზაციის შედეგია — რიცხვის გამოხატვის სისტემის გამარტივება ენობრივი აზროვნების პროგრესად არის მიჩნეული [იესპერსენი 1958, 239]. არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც: არნ. ჩიქობავას შეხედულებით, „საფუძვლიანად უნდა მივიჩნიოთ იმ მკვლევართა აზრი, რომელნიც ფიქრობენ, რომ „ორობითი“ და „სამობითი“ რიცხვი გარდამავალი საფეხურია ერთიდან მრავლისაკენ“ [ჩიქობავა 1952, 271]. უფრო მეტიც, გერმანელი მეცნიერის, ვ. ფონ ჰუმბოლდტის აზრით, ორობითი რიცხვი თავისი ბუნებით ითავსებს მრავლობითი და მხოლოობითი რიცხვის გაგებას. ეს განპირობებულია ადამიანის მსოფლხედვით, რომლის თანახმად სამყარო აღიქმება ორ დაპირისპირებულ ელემენტთა ერთობლიობად [ჰუმბოლდტი 1985, 395-399].

ცხადია, რიცხვის ლოგიკური, ფილოსოფიური არსი იმდენად შეიძლება გვაინტერესებდეს, რამდენადაც ის გვჭირდება გრამატიკული რიცხვის საანალიზოდ. ჩვენი მიზანია, სისტემურად გავაანალიზოთ რიცხვის კატეგორია სახელებსა და ზმნაში მეგრულ-ლაზურის მიხედვით.

---

[1] შდრ. ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი ქართულში.

I თავი

სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება

§ 1. მრავლობითის {-ეფ} სუფიქსი და მისი ალომორფები

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მეგრულსა და ლაზურში სახელთა მრავლობითის წარმოება ხდება **{-ეფ}** სუფიქსით, რომელიც ერთვის სახელის ფუძეს და გადაჰყვება მას ყველა ბრუნვაში [ჩიქობავა 1936, 49-50]. ზანურში გატარებულია სახელის რიცხვის წარმოების აგლუტინაციური პრინციპი: ყოველი ბრუნვის ნიშანი რიცხვისგან დამოუკიდებელ აფიქსს წარმოადგენს და რიცხვის ნიშნის შემდეგ დაერთვის სახელს.

მეგრულსა და ლაზურში ბრუნვათა განსხვავებული რაოდენობაა. მეგრულში გამოყოფენ ცხრა ბრუნვას [ყიფშიძე 1914, 68; ჩიქობავა 1936, 43], ხოლო ლაზურში — შვიდს [მარი 1910, 9; ჩიქობავა 1936, 43]. ქართულისაგან განსხვავებით, ზანურს მოეპოვება სპეციფიკური ბრუნვები — მიმართულებითი და დაშორებითი, მეგრულ დიალექტს დამატებით — დანიშნულებითი (ლაზურს არ გააჩნია); ქართულის ბრუნვათაგან ლაზურში არა გვაქვს ვითარებითი, ხოლო წოდებითის ფორმა არც მეგრულს ახასიათებს და არც — ლაზურს. ბრუნვათა რიგის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს [მარი 1910, 9; 29; ყიფშიძე 1914, 68-69; ჩიქობავა 1936, 43-44; ჯანჯღავა 1999, 7], მაგრამ ამას ამჯერად ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. მრავლობით რიცხვში ბრუნვათა რიგი ასე გამოიყურება:

	მ ე გ რ უ ლ ი	ლ ა ზ უ რ ი
სახ.:	კოჩ-ეფ-ი	კოჩ-ეფ-ე „კაცები“
მოთხ.:	კოჩ-ენ-ქ | კოჩ-ემ-ქ | კოჩ-ეფ-ქ	კოჩ-ეფ-ე-ქ
მიც.:	კოჩ-ენ-ს | კოჩ-ემ-ს | კოჩ-ეფ-ს	კოჩ-ეფ-ე-ს
ნათ.:	კოჩ-ეფ-იშ(ი|გ)	კოჩ-ეფ-ე-შ(ი)

მიმარ.:	კოჩ-ეფ-იშა I კოჩ-ეფ-გშა	კოჩ-ეფ-ე-შა
დაშორ.:	კოჩ-ეფ-იშე I კოჩ-ეფ-გშე	კოჩ-ეფ-ე-შე(ნ)
მოქმ.:	კოჩ-ეფ-ით(ი)	კოჩ-ეფ-ე-თე(ნ)
დანიშ.:	კოჩ-ეფ-იშო(თ) I კოჩ-ეფ-გშო(თ)	—
ვნებ.:	კოჩ-ეფ-ო	—

როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში {**-ეფ**} რიცხვის ნიშანს ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფები გააჩნია. მეგრულში ამგვარი ალომორფებია ***-ენ/*** და ***-ემ/***, რომლებიც ორ ბრუნვაში — მოთხრობითსა და მიცემითში გვხვდება მხოლოდ, დანარჩენ ბრუნვაში ***-ეფ/*** ფორმანტი უცვლელად რჩება. მაგალითად,

სახელობითი: აბრაგ-ეფ-ი (ხუბ. 226,6) „აბრაგები“, ცირ-ეფ-ი (ხუბ. 233,19) „ქალიშვილები“, სუმარ-ეფ-ი (ხუბ. 256,8) „სტუმრები“, მურიცხ-ეფ-ი (სამ. 51, 39-21) „მაყრები“, ღვანწკ-ეფ-ი (სამ. 19,13-8) „ღაწვები“...

ნათესაობითი: ამხანაგ-ეფ-იშ (ხუბ. 186,19) „ამხანაგების“, მუნ-ეფ-იშ (ხუბ. 185,11) „მათი“, რაშ-ეფ-იშ (ხუბ. 178, 27) „რაშების“, ნგერ-ეფ-იშ(ი) (სამ. 75, 52-43) „მგლების“, ფრინველ-ეფ-იშ(ი) (სამ. 18, 12-28) „ფრინველების“...

მოქმედებითი: ხილ-ეფ-ით (ყიფ. 70,8) „ხილებით“, ჯაჭვ-ეფ-ითგ (ყიფ. 85,11) „ჯაჭვებით“...

ვითარებითი: კვატ-ეფ-ო (ხუბ. 218,31) „იხვებად“, ჰკუდ-ეფ-ო (ყიფ. 91,7) „ჰურჭლებად“...

მრავლობითობის ***-ეფ/*** სუფიქსზე მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ნიშნების დართვისას წარმოიქმნება **ფქ, ფს** თანხმოვანთკომპლექსები, რომლებიც „იჩენენ ტენდენციას კანონიკურ -ნქ და -ნს კომპლექსებად გარდაქმნისა, რასაც ემყარება მრავლობითის {-ეფ} მორფემის ფონოლოგიურად მონაცვლე [-ემ] და [-ენ] ვარიანტები“ [გუდავა, გამყრელიძე, 1981, 212]. როგორც ჩანს, მოთხრობითსა და მიცემითში მართლაც ხდება **ფქ, ფს** თანხმოვან-

თკომპლექსის დაძლევა [ჯანჯღავა 1999, 15], თუმცა ეს პროცესი არაა აბსოლუტური ხასიათისა, ანუ **-ენ/ -ემ/** მორფემათა გვერდით **-ეფ/** სუფიქსიც იხმარება. მაგალითად:

მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი :

-ენ-: თენ-ენ-ქ (ხუბ. 146,3) „ამათ“, ძლაბ-ენ-ქ (ხუბ. 119,7) „გოგოებმა“, დემ-ენ-ქ (ხუბ. 205,32) „დევებმა“, ჩქიჩქუ-ენ-ქ (ტ. I, 38, 68-27) „ბავშვებმა“, ქაჯ-ენ-ქ (ტ. I, 77, 147-17) „ქაჯებმა“, ს ინჯალ-ენ-ქგ (ყიფ. 94,22) „სიძეებმა“, ვ ეზირ-ენ-ქგ (ყიფშ. 53,35) „ვეზირებმა“...

-ემ-: ინ-ემ-ქგ (ყიფშ. 96,25) „იმათ“, პატინ-ემ-ქ (ყიფ. 42,19) „ბატონებმა“, მეძობელ-ემ-ქ (ყიფ. 157,2), „მეზობლებმა“, ნათეს-ემ-ქ (ყიფ. 158,1) „ნათესავებმა“...

-ეფ-: ჯიმალ-ეფ-ქ (ხუბ. 194,28) „ძმებმა“, სქუალ-ეფ-ქ (ხუბ. 238,30) „შვილებმა“, თენ-ეფ-ქ (ხუბ. 233, 37) „ამათ“, ბოშ-ეფ-ქგ, (ყიფშ. 268,13) „ბიჭებმა“, ინ-ეფ-ქ (ყიფშ. 254, 24) „იმათ“, მუნ-ეფ-ქ (სამ. 75, 52-14) „თვითონ“, თეცალეფ-ქ (სამ. 30, 20-20) „ასეთებმა“...

მ ი ც ე მ ი თ ი :

-ენ: ღურელ-ენ-ს (ხუბ. 226, 25) „მკვდრებს“, ნადირ-ენ-ც (ხუბ. 186, 10) „ნადირებს“, შხურ-ენ-ს (ხუბ. 194, 35) „ცხვრებს“, ზარაზან-ენ-ს (ხუბ. 206, 4) „ზარბაზნებს“, ნდღალ-ენ-ც (ყიფ. 80, 25) „დღეებს“...

-ემ: ძლაბ-ემ-ც (ხუბ. 238, 31) „გოგოებს“, ჯალ-ემ-ცგ (ყიფ. 82, 8) „ხეებს“, პაპ-ემ-ც (ყიფ. 156, 25) „მღვდლებს“, ბოშ-ემ-ცგ (ყიფ. 84, 29) „ბიჭებს“, უბედურ-ემ-ს

-ეფ: (ყიფ. 168, 27) „უბედურებს“, ხასლ-ემ-ს (ტ. I, 71, 157-2) „გვერდებს“... ათენ-ეფ-ს (ხუბ. 262, 17) „ამათ“, ცხენ-ეფ-ს (ხუბ. 254,26) „ცხენებს“, მეშარ-ეფ-ს (ყიფ. 12, 11) „მგზავრებს“, ნოსალ-ეფ-ს (ყიფ. 42,8) „რძლებს“, თოლ-ეფ-ც (სამ. 19,13-7) „თვალებს“, ვაჭარ-ეფ-ც, ბერ-ეფ-ც დო პაპ-ეფ-ცია (სამ. 74, 52-12) „ვაჭრებს, ბერებს და მღვდლებსო“...

ი. ყიფშიძის ტექსტების მიხედვით სენაკურში მეტია ***-ენ/*** სუფიქსის ხვედრითი წილი შემდეგი პროპორციით: -ეფ(12): -ენ(47): -ემ(1), ხოლო ზუგდიდურ-სამურზაყანულში დიდია ***-ემ/*** მორფემის ხვედრითი წილი: -ეფ(37): -ენ(20): -ემ(64). ა. ლომთაძე შენიშნავს, რომ „სენაკურ კილოკავში მრავლობითის მაჩვენებლად მხოლოდ **ე** რჩება. ეს ფაქტი განსაკუთრებით აბაშის რაიონის მეტყველებაში იგრძნობა: ჩქიმ **მეზობელექ** ე გაჭირებას ძაამ მემოხვარეს „ჩემი მეზობლები („მეზობლებმა“) ამ გაჭირვების დროს ძალიან დამეხმარნენ“, ცურზენ **ჩიტექ** ქემკაჭკომეს ჯას „ყურძენი ჩიტებმა შეჭამეს ხეზე“ [ლომთაძე 1987, 145]. მსგავსი მოვლენა დასტურდება ლაზურშიც (იხ. გვ. 29).

მკვლევართა მიერ 60-იანი წლების შემდგომ ჩაწერილ ტექსტებში [გუდავა 1975; სამუშია 1990], რომელთა უმეტესობა ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავს განეკუთვნება, შეინიშნება ერთი ტენდენცია — **{-ეფ}** მორფემა პოზიციას იმყარებს. კ. სამუშიას მიერ გამოქვეყნებულ მასალაში ფაქტობრივად არც გვხვდება **-ემ**-იანი ან **-ენ**-იანი ფორმები. ჩვენ მიერ სამურზაყანოს სოფლებში მოპოვებულ ტექსტებში ***-ეფ/*** სუფიქსიანი ფორმებია გაბატონებული, მაგალითად:

თინეფქ გინაშქვეს, მარა ხათე ვენართეს **თინეფს...** „იმათ გაატარეს, მაგრამ მაშინვე ვერ ჩავიდნენ ისინი“; **ვაჭარეფქ** ქათომირჩქინეს, ბერძენ დოცვილითია „ვაჭრებმა გადამიბირეს — ბერძენი მოკალიო“; თაქ მომპცუნეს ჩქიმ **ჯიმადიეფქ** „აქ მომიყვანეს

ჩემმა ბიძებმა“; „...დო მიდართეს ტყაშა თე ჟირხოლო **ჯიმალეფქ** „და წავიდნენ ტყისკენ ეს ორივე ძმები“; **ინეფს** ბრელი ცქვაფა ვაკო „იმათ ბევრი ქება არ უნდა“; ჯვეშო **აბრაგეფს** თხილანდგ სოფელგ „ძველად აბრაგებს სოფელი იცავდა“; კაზაკ დო ყარაჩიქ გოუნწყგ შარა **თენეფს,** მუშენდა **თინეფს** ვაკოდგ ჩქინ კანონ... „კაზაკმა და ყარაჩაელმა გაუხსნა მათ გზა, რატომ-და მათ არ მოსწონდათ („უნდოდა“) ჩვენი კანონი“; ოდო, ამსერ ოკო ბრშვინათი **კუნთხუეფსი** „ჰოდა, ამაღამ უნდა დავუსტვინოთ კუთხეებში“...

ამგვარ ტენდენციას ჩვენ ქართველურ ენათა ფონოტაქტიკის საზოგადო ჩვენებით ვხსნით. ქართულშიც ჩვეულებრივია **ფქ, ფს** კომპლექსები — ნულოვანი და მზარდი ნაპრალოვნების თანხმოვანთმიმდევრობები [უთურგაიძე 1976, 98-105]. ჩვენი აზრით, ამ საუკუნის დასაწყისში, სავარაუდოა, რომ რესპონდენტთა უმეტესობა არ ფლობდა სრულყოფილად სალიტერატურო ქართულს და მათი მეტყველებაც უფრო „ბუნებრივი“ იყო. ხოლო უკანასკნელ ხანს, საყოველთაო განათლების პირობებში ორენოვნება (მეგრულ-ქართული) ალბათ გარკვეულწილად „ზღუდავს“ ენობრივ ჩვევას. ამგვარი ინოვაცია ჩანს **-ებ**-იანი ფორმები. მაგ., ი. ყიფშიძის ტექსტში ფორმა **აფხანაკ-ებ-ს** — ენა ქოგგმუუცხადეს ჟირხოლო აფხანაკებს (ყიფ. 5, 5) „ეს გამოუცხადეს ორივე ამხანაგებს“ — შეიძლება შეცდომად ჩაგვეთვალა, რომ არა მსგავსი შემთხვევები კ. სამუშიას ტექსტებში:

ნაბიჯ-ებ-ც: „დაიკუნტარენც **ნაბიჯებც** (სამ. 12, 6-8) „დაგიმოკლებს ნაბიჯებს“;

თავად-ებ-ცია: სქანო ჯგგრი ვააკოდგ... ვართი სქანი მაჭკომალი, დიდი **თავადებცია** (სამ. 74, 52-8, 11) „შენთვის კარგი არ უნდოდა... არც შენს მჭამელს, დიდ თავადებსო“.

ჩვენს ტექსტებშიც გვაქვს ასეთი მაგალითები:

გერ-ებ-სია: ჰავა, აქიან ჯოღორიშ მელალუა მუს ოხვარუდუა თქვან სამეფო“შ“ **გერებსია...** „ჰაიო, აქა-

ური ძაღლების ყეფა რას უშველიდაო თქვენი სამეფოს მგლებსაო";

შობილ-ებ-ს: ქგმურთუმგნა **შობილებს,** გაჭირებულეფს, თე რხვილგ კათაშ... „მოსულან ამ დახვრეტილი ხალხის მშობლები, საწყლები"...

აბრაგებს: ოჭკომალ ნოკობუენა გაჭირებულ **აბრაგებს...** „საჭმელი ნდომებიათ გაჭირვებულ აბრაგებს"...

ცხადია, ყველა ეს შემთხვევა ინდივიდუალური მოვლენაა, რომელსაც ლაზურშიც ვხვდებით. ს. ჟღენტი „ლაზური ტექსტების" შესავალ ნაწილში წერს: „ორი მთქმელისაგან ჩაწერილ ტექსტში დადასტურებულია სახელთა მრავლობითის მაწარმოებელი **-ებ** სუფიქსი **-ეფ**-ის ნაცვლად: **ნჯალებე** (ტექ. 105, 24) ხეები; **ჯუმალებე**'სთერი ბორტით (ტექ. 104, 6) ძმებივით ვიყავით; **ორჟობე** (ტექ. 103, 32) სკამები; **ბიჭებე** (ტექ. 103, 23) ბიჭები; **გზალებე** (ტექ. 103, 12) გზები; **ჰენთებე** (ტექ. 103, 24) ისინი; **ოხოებე** (ტექ. 103, 3) სახლები; **ოდაბე** (ტექ. 103, 4) ოთახები; **კობიებეთე** ხე ქოგომინწყუ-და (ტექ. 55, 10) კბილებით ხელი გამიხსნაო. ეს მოვლენა **ჩვენ ინდივიდუალურ მოვლენად მიგვაჩნია** და ამიტომ მისი პირვანდელ ფორმად მიჩნევა არ იქნებოდა სწორი" [ჟღენტი 1938, XVI].

მეგრულსა და ლაზურში სახელური ფუძისა და {**-ეფ**} მორფემის ურთიერთგავლენის პროცესი არაერთგვაროვანია. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მეგრულში „ფუძის აქტიურობა საერთოდ მეტია, ვინემ ქართულში, მაგრამ იმ ზომისა არ არის, როგორც ლაზურში" [ჩიქობავა 1936, 59]. კერძოდ, მეგრულში მრავლობითობის **-ეფ** სუფიქსის დართვისას იკვეცება ფუძისეული **ა, ე** ხმოვნები: **აე → ე, ეე → ე,** ხოლო ო-ზე დაბოლოებულ სახელებში შეინიშნება ფონეტიკური პროცესი **ოე → უე**... „ყველა აღნიშნული შემთხვევა უნდა განვიხილოთ, როგორც მეგრულისთვის არაბუნებრივი ხმოვანთმიმდევრობების (აე, ეე, ოე) დაძლევის ცდა" [ჯანჯღავა 1999, 16]. ამგვარი ვარაუდი ეყრდნობა შემდეგ დებულებებს: 1. მეგრული ერთხმოვნობისაკენ მიისწრაფ-

ვის; 2. მეგრულისთვის ასატანია (დასაშვებია) ხმოვანთა მიმდევრობა, რომლის პირველი წევრი დახურული ხმოვანია, მეორე კი — ღია (ია, უა ტიპისა) [ჯანჯღავა 1999, 6].

რამდენად მისაღებია ეს დებულებები ლაზურისათვის? ერთხმოვნობისაკენ სწრაფვა ლაზურსაც ახასიათებს, მაგრამ პროცესი აქ პირუკუ მიმდინარეობს, ანუ ფუძის დაბოლოება ახდენს გავლენას მრავლობითის სუფიქსზე და იკარგება სუფიქსისეული **-ე** ხმოვანი. კერძოდ, **ა, უ, ო** ბოლოხმოვნიანი სახელები ინარჩუნებენ დაბოლოებას:

ა) **აე → ა**

თომა „თმა“	—	თომა-ფე	(ჟღ. 10, 30)
ნენა „სიტყვა“	—	ნენა-ფე	(ჟღ. 9, 17)
ბუტკა „ფოთოლი, ბუტკო“	—	ბუტკა-ფე	(ჟღ. 145, 33)
ფარა „ფული“	—	ფარა-ფე	(ჩიქ. II, 128, 16)
ფორჩა „პერანგი“	—	ფორჩა-ფე	(ჩიქ. II, 64, 9)
ლირა „ლირა“	—	ლირა-ფე	(ჟღ. 21, 27)
მაჟურა „მეორე“	—	მაჟუა-ფექ	(ჟღ. 98, 31)

ბ) **ოე → ო**

ორძო „სკამი“	—	ორძო-ფე	(ჩიქ. II, 47)
ბოზო „გოგო“	—	ბოზო-ფე-ქ	(ჩიქ. II, 53, 23)
ჰაშო „ასე, ასეთი“	—	ჰაშო-ფე-თე	(ჟღ. 8, 34)

გ) **უე → უ**

კატუ „კატა“	—	კატუ-ფე	(კარტ. 1972, 16, 3)
მუ „რა“	—	მუ-ფე	(ჩიქ. II, 52, 35)
დოლოქუნუ „ჩასაცმელი“	—	დოლოქუნუ-ფე	(ჟღ. 76, 35)

აღსანიშნავია, რომ ხოფურ-ჩხალურ კილოკავში ო და უ ხმოვნებზე დაბოლოებულ არსებით სახელებს **-ეფე** სუფიქსიც დაერთვის: **მტკო-ეფე** „მტკაველები“, **მწკო-ეფე** „წყავები“, თუმცა იმავე ფუძეებს ვიწურ-არქაბულსა და ათინურში **-ფე** დაბოლოება გააჩნიათ: **მტკო-ფე || მტუ-ფე, მწკო-ფე || მწუ-ფე** (კარტოზია 2005, 87).

ო და **ე**-ზე დაბოლოებულ სახელებში უნდა გავარჩიოთ საკუთრივ ზანური ლექსიკა, ერთი მხრივ, და ნასესხები ლექსიკა, მეორე მხრივ. ეს უკანასკნელი ემორჩილება საერთო წესს, ანუ მრავლობითობის სუფიქსის დართვისას ინარჩუნებს **ო** და **ე** დაბოლოებას. მაგალითად,

დუგუნჯი „მექორწილე“	—	დუგუნჯი-ფე	(ჩიჭ. II, 90, 23)
მამცუდალე „მატყუარა“	—	მამცუდალე-ფე	(ჩიჭ. II, 50)
დეკიკე „წუთი“	—	დეკიკე-ფე	(ჩიჭ. II, 50)
კონჭში „მეზობელი“	—	კონჭში-ფე-ს	(ჩიჭ. II, 103, 30)

ო-ზე დაბოლოებული საკუთრივ ლაზური სახელები თითქმის არ არსებობს, ხოლო ე-ზე დაბოლოებულების შესატყვისები მეგრულში ყველა თანხმოვანფუძიანია. მაგ., ლაზ. კუჩხე, მეგრ. კუჩხი „ფეხი“; ლაზ. ოსურე, მეგრ. ოსურ-ი „ქალი, ცოლი“; ლაზ. ჩილამრე, მეგრ. ჩილამური „ცრემლი“... ამ **ე** დაბოლოებას სხვადასხვა კვალიფიკაცია ეძლევა სპეციალურ ლიტერატურაში: ერთი მხრივ, ის მიჩნეულია ისტორიულად სახელობითი ბრუნვის ნიშნად არა მარტო ლაზურში, მეგრულშიც [მარი 1910, 9-10; ჩიქობავა 1936, 49-53; თოფურია 1954, 450; ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 111]; მეორე მხრივ, ლაზური **-ე** შესაძლოა ინოვაცია იყოს და ის „გვიან გამოყოფილიყო სახელთა მრავლობითი რიცხვის ეფე||-ფე მორფემიდან“ [კლიმოვი 1962, 38], ანუ **-ე** დაბოლოება მხოლობითში უნდა გადასულიყო მრავლობითის ფორმათა ანალოგიით. ალ. ონიანის აზრით, „ამ დასკვნის მართებულობის მაჩვენებელი მნიშვნელოვანი არგუმენტი არის ის, რომ ამგვარი -ე რეგულარულად მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმაში დასტურდება, იმ ფორმაში, სადაც მისი ადგილია ისტორიულადაც“ [ონიანი 1989, 93][2]. თუმცა დაისმის კითხვა: მაშინ მრავლობითში საიდან გაჩნდა **-ე**? ცხადია, რომ **ე**-ზე დაბოლოებული ლაზური ლექსიკა მრავლობით რიცხვს ისე იწარმოებს, როგორც თანხმო-

[2] ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ჩვენ თავს ვიკავებთ -ფე, -ეფე სუფიქსთა ბოლოკიდური ე-ს გამოყოფისაგან. შევნიშნავთ, რომ ეს საკითხი დიაქრონიული კვლევის საგანია და სცილდება ჩვენი ნაშრომის ინტერესებს.

ვანფუძიანები, ე. ი. დაირთავს **/-ეფე/** და არა **/-ფე/** სუფიქსს.

შეიძლება ითქვას, რომ **ა, ე, ო, უ, ი** ხმოვნებზე დაბოლოებული სახელები ლაზურში მრავლობით რიცხვში დაირთავს **/-ფე/** სუფიქსს, ამოსავალი უნდა ყოფილიყო **{-ეფ}** მორფემა. ალ. ონიანის აზრით, ეს პროცესი ჰგავს ქართულში ხმოვნის მომდევნოდ ნათესაობითი ბრუნვის მორფემის ფონეტიკური ცვლილების იმგვარ ფაქტს, როგორიცაა ძვ. ქართ. **ოქრო**-ჲს(ა)|| **ოქრო**-ის(ა) — თან. ქართ. **ოქრო**-სი. იქვე დაასკვნის, რომ „ლაზურის განვითარების რომელიღაც საფეხურზე სახელთა მრავლობითობის მორფემას უნდა ჰქონოდა ფონოლოგიურად შეპირობებული ორი ალომორფი: ხმოვნების მომდევნოდ — /-ფე/, ხოლო თანხმოვნების მომდევნოდ — /-ეფ/“ [ონიანი 1989, 92].

როგორც ცნობილია, ლაზურში, განსაკუთრებით ხოფურსა და ვიწურ-არქაბულში სახელის ბოლოკიდური **რ** სუსტდება და იკარგება კიდეც. ეს მოვლენა თვალსაჩინოა მრავლობითის ფორმებში, სადაც სუფიქსისეული -ე ხმოვანი ფუძისეული ხმოვნის გვერდით აღმოჩნდება ხოლმე — ოხორი: ოხორ-ეფე > ოხო-ეფე. მაგალითად,

ოხორი „სახლი“	—	ოხო-ეფე	(კარტ. 1972, 64, 8)
მანძაგერი „მეზობელი“	—	მანძაგე-ეფე	(კარტ. 1972, 40, 24)
მგერი „მგელი“	—	მგე-ეფე	(ეღ. 99, 10)
შერი „ნივთი“	—	შე-ეფე	(კარტ. 108, 22)
ბერე „ბავშვი“	—	ბე-ეფე	(კარტ. 44, 34)
ამბარი „ამბავი“	—	ამბა-ეფე	(ეღ. 150, 19)
ჯოღორი „ძაღლი“	—	ჯოღო-ეფექ	(კარტ. 1972, 66, 38)
მჩხური „ცხვარი“	—	მჩხუე-ეფექ	(კარტ. 1972, 125, 10)
ხეზმექჲარი „მოსამსახურე“	—	ხეზმექჲა-ეფეს	(კარტ. 1972, 135, 27)
ვეზირი „ვაზირი“	—	ვეზი-ეფეს	(კარტ. 1972, 69, 15)

როგორც ვხედავთ, ამგვარ შემთხვევებში ფუძის აქტიურობა სუსტდება და **-ეფე** სუფიქსი მყარ პოზიციას ინარჩუნებს.

სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობის საგანია „დალეფი“ ტიპის სახელთა მრავლობითის ფორმებში **-ლ-** თანხმოვნის გაჩენისა თუ აღდგენის საკითხი. [ასარი 1910, 14; ყიფშიძე

1914, 78-79; ჩიქობავა 1942, 9; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 149; არაბული 1997, 181], მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს **ლ** ყოველთვის არ დასტურდება მოსალოდნელ ფორმებში. ი. ყიფშიძემ შენიშნა, რომ მეგრულში **სუა || ფსუა** „ფრთა“ შეიძლება შეგვხვდეს მრავლობითში ლ-ს გარეშე: **სუ-ეფ-ი** (შდრ. **სუალ-ეფ-ი**), ხოლო **ხე** „ხელი“ ასეთი ფორმითაც — **ხე-ეფ-ი** (შდრ. **ხელ-ეფ-ი**). ეს ტენდენცია თვალშისაცემია ლაზურის ხოფურ კილოკავში [ჩიქობავა 1936, 62]. მაგალითად,

ჯაეფე || ნჯაფე: „ძელები“, შდრ. **ჯალეფე||ნჯალეფე:** ქიმოლიქ დაღიშენ **ჯაეფე** ქომუღუ (ჩიქ. I, 39, 19) „ქმარმა ტყიდან შეშა („ხეები“) მოუტანა“; **ნჯაეფე**, დიშქაფე ჰოდობღეს ოხოიკალა (კარტ. 1968, 150, 16) „ხეები, შეშები დაყარეს სახლთან“; ქვა დო **ნჯაფე** გეგაბღას (ყიფშ. II, 47, 27) „ქვა და ხეები დაცვივდეს“.

ქვაეფე „ქვები“, შდრ. **ქვალეფე:** აწი-თი მეზარეშ **ქვაეფე** იძირენ (ყიფ. II, 4, 32) „საფლავის ქვები ახლაც ჩანს“; სი მჭიფე **ქვაეფე** მასთოლია ქანი-ჩქიმის (კარტ. 1972, 92, 14) „შენ წვრილი ქვები ისროლეო ჩემს მხარეს“.

ხეეფე || ხეფე „ხელები“, შდრ. **ხელ-ეფ-ე:** ა ჩქვა დოყვი, მეგოტრუხას **ხეეფე!** (ყიფ. II, 21, 29) „სხვა ქენი, მოგტყდეს ხელები!“; ხეში ოქოსალეფეთე **ხეფე** იქოსამტეს (ჩიქ. II, 65, 6) „ხელის გასამშრალებელი (ტილოთი) ხელებს იწმენდნენ“.

მოთაფე „შვილიშვილები“, შდრ.: **მოთალეფე:** მთუგეფეში **მოთაფეკალა** სიფთეშენ ბეი მანძაგეე ვოე-ქა (ჩიქ. I, 75, 15) „თაგვების შვილიშვილებთან მიმინოს შვილი მეზობლად იყოო“; ია კართალიშ **მოთაფე** ჰკომასინტერენ (კარტ. 1972, 84, 34) „იმას არწივის ბარტყები შეჰამენ“.

ყაეფე „ტოტები“, შდრ.: **ყალეფე:** მან **ყაეფე**

ლეტაშა ქაგეევონჭაფ! (ჩიქ. I, 76, 8) „მე ტოტები მიწას მივაწვდენ“.

მსვაეფე || მსვაფე „ფრთები“, შდრ. **მსვალეფე: მსვაეფე** (|| მსვაფე) მუში ნუნკუს ქომოთხუ (კარტ. 1972, 77, 18) „ფრთები მის ნიკაპს შეახო“; გიხუნაფს სვას (|| **სვაეფეს**) დო ბაბა-მუშიში ჲეიშა მინდიყონოფს (კარტ. 1972, 101, 23) „დაისვამს ფრთებზე და მამამისთან წაიყვანს“.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიით **ლ** სონორი ისეთ სახელშიც გაჩენილა, რომელშიც არ იყო მოსალოდნელი. ასეთია **დიშჭა** „შეშა“ არსებითი სახელი, რომელიც კრებითობის გამომხატველია და იშვიათად თუ იხმარება მრავლობითის ფორმით, ლაზურში კი შეგვხვდა **დიშჭალეფე: დიშჭალეფე** (|სტოლბეფე) ქოდვოცონარ (ჩიქ. II, 115, 31) „შეშები (ბოძები) დავყარე“; **დიშჭალეფეთე** დოპკარუმთ (დიშჭა ბიტურთ შქუ დო ჰეშო გიწვი) (ჩიქ, II, 114, 15) „შეშებით დავამაგრებთ (შეშას ვიტყვით ჩვენ და ისე გითხარი)“. ამგვარი ანალოგიით მეგრულშიც შეგვხვდება **პაპალ-ეფ-ი** „მღვდელი“ ფორმა (შდრ. პაპალ-ურ-ი „მღვდლის ნათქვამი“, „მღვდელივით ლაპარაკი“).


შეიძლება ითქვას, რომ სახელებში აღდგენილი თუ გაჩენილი **ლ** სონორი ლაზურში, **რ** სონორის მსგავსად, მიდრეკილია გაქრობისაკენ, რის შედეგად სახელური ფუძე ბოლოხმოვნიანად აღიქმება და მრავლობითობის ნიშნად ჩნდება **-ფე:**

ნჯალ-ეფ-ე → ნჯაეფე → ნჯაფე შდრ. ოხორ-ეფ-ე → ოხოეფე
ხელ-ეფ-ე → ხე-ეფე → ხეფე მგერ-ეფე → მგეეფე
დალ-ეფ-ე-ქ→ და-ეფექ→ დაფექ ამბარ-ეფ-ე → ამბა-ეფე
(ჩიქ. I, 133, 32).

განსხვავება ისაა, რომ **რ** ფუძიან სახელებში ფონეტიკური გარდაქმნის მეორე საფეხური არ დასტურდება: *მგეფე, *ოხოფე, *ამბაფე, თუმცა საზოგადოდ მოსალოდნელია.

საყურადღებოა გ. კარტოზიას შენიშვნა, რომ **ჯაეფე** ტიპის წარმოება ძირითადად დამახასიათებელია ხოფურისთვის, ხოლო

ვიწურ-არქაბულსა და ათინურისთვის — **ჯაფე** ფორმა. თუმცა ეს კილოკავური სხვაობა მორფოფონემატური ცვლილების დინამიკასაც გვიჩვენებს მეგრულთან შეპირისპირებით [ეზუგბაია 2004, 36-38]. კერძოდ, მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანოულ კილოკავში გვაქვს მხოლოდ **ჯალეფი** ტიპის წარმოება, სენაკურ-მარტვილურში **ჯალეფი** ფორმის გვერდით თავს იჩენს **ჯაჲეფი** ფორმაც, რომლის ლოგიკური გაგრძელებაა ხოფურ-ჩხალურის ვითარება, სადაც პარალელურად იხმარება **ჯალეფე ‖ ჯაეფე** ტიპის სახელები, ხოლო უფრო სამხრეთით, ვიწურ-არქაბულსა და ათინურში **ჯალეფე**-ს გვერდით გვაქვს **ჯაფე** წარმოებაც. სქემატურად ეს ასე შეიძლება გამოისახოს:



როგორც ჩანს, ხოფურ-ჩხალური კილო უფრო ახლოს დგას მეგრულთან, ვიდრე ლაზურის დანარჩენ კილოებთან, რაც არაერთი სხვა მოვლენითაც დასტურდება (კარტოზია 2005, 11-12).

გ. კარტოზიას აზრით, სწორედ ხოფურ-ჩხალური კილოს მონაცემების საფუძველზე ლაზურში შეიძლება გამოიყოს **-ლეფე** ალომორფი, რომელიც არსებითი სახელების გარდა გვხვდება ზედსართავებსა და კუთვნილებით ნაცვალსახელებშიც. იგულისხმება **მჭითაფე ‖ მჭითალეფე** „წითლები“, **ჩქიმეფე ‖ ჩქიმილეფე** „ჩემები“ ტიპის წარმოება (კარტოზია 2004, 89). ცხადია, ზედსართავთა მცირე ჯგუფზე შეიძლება ითქვას, რომ **-ლეფე** დაბოლოების **ლ** ელემენტი ფუძისეულია. კერძოდ, **მჭითა** შდრ. ქართ. წითელ-, **მჭიფე** „წვრილი“ შდრ. ქართ. წრფელ-, **გი/უნძე** შდრ. ქართ. გრძელ- და სხვ. (ჩიქობავა 1938, 232; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 90-97; კლიმოვი 1964, 137; არაბული 1997, 181,

კარტოზია 2005, 88-89). მაშასადამე, ლაზურში, ერთი მხრივ, გვაქვს ფორმები: **მჳითალეფე** „წითლები“, **გინძელეფე** „გრძელები“, **მჳიფელეფე** „წვრილები“, **თითხულეფე** „თხელები“, **ჩიჩქულეფე** „ჩვილები“, რომელთა **-ლეფე**-ს **ლ** ფუძისეულია, ხოლო მეორე მხრივ, **უჩალეფე** „შავები “, **მონკალეფე** „მძიმეები“, **ჳიტალეფე** „პატარები“, **კაი/ლეფე** „კარგები“, **ჩქიმილეფე** „ჩემები“ და სხვა. ფორმები, სადაც ანალოგიითაა გაჩენილი **ლ** და შესაბამისად **-ლეფე** გამოიყოფა როგორც მრავლობითობის ალომორფი. თუმცა **-ლ** ელემენტს შეიძლება მასუბსტანტივებელი ფუნქცია ჰქონდეს.

აღსანიშნავია, რომ მეგრულში ძირეულ ზედსართავ სახელებში **-ლეფე** სუფიქსი მხოლოდ **ჳიჭელეფი** „პატარები“ ფორმაში დასტურდება. როგორც წესი, მეგრულში ჩვეულებრივია ფორმები: **ჳითეფი**, შდრ. ლაზ. **მჳითაფე**; **გინძეფი**, შდრ. ლაზ. **გინძეფე**; **ჳიფეფი**, შდრ. ლაზ. **მჳიფეფე**; **დიდეფი**, შდრ. ლაზ. **დიდეფე**; **ჩქიმეფი**, შდრ. ლაზ. **ჩქიმეფე** და ა. შ. მეგრული გამოირჩევა ატრიბუტული სახელების საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ჯგუფით, რომელსაც პირობითად „სტატიკური“ სახელები შეიძლება ვუწოდოთ. როგორც წესი, ამგვარი სახელები ახასიათებენ საგანს მდგომარეობის ან გამომეტყველების მიხედვით. იგივე ფუძეები ჩვეულებრივად ზმნურ ფორმებშიც მეორდება.

მაგ.: **წკვინტა** || **წკვინტალ**-ი „ცხვირწამომახული; პატარა პირსახიანი“

ო-წკვინტ-ინ-ან-ს „ცხვირწამომახული იყურება“

ძგვირა || **ძგვირალ**-ი „ყველაფერზე უკმაყოფილო და განზე მაყურებელი“

ო-ძგვირ-ინ-ან-ს „უკმაყოფილო სახით იყურება“ (ქაჯ. III, 430)

ცქვირა || **ცქვირალ**-ი „ყურცქვიტა; მარდი, მოუსვენარი... “

ო-ცქვირ-ინ-ან-ს „ცქმუტავს“ (ქაჯ. III, 361)

ჳვიტა- || **ჳვიტალ**-ი „თვალმტკივანა; ვისაც დაჭუტული თვალი აქვს“

ო-ჳვიტ-ინ-უანს „თვალს ჭუტავს“ (ქაჯ. III, 468)...

ამგვარი ფორმები უხვადაა ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ და ჩვეულებრივია ცოცხალი მეტყველებისთვის.

აღსანიშნავია, რომ სახელური მაწარმოებელი **ალ / ა** ვარიანტებითაა წარმოდგენილი, მაგრამ მრავლობითის ფორმებში ძირითადად **ალ** დაბოლოებიანი ფორმებია გამოყენებული: **წკვინტალეფი, წკვირალეფი, ძგვირალეფი, ცქვირალეფი, ჭვიტალეფი**. რამდენადაც, **ლ** დასტურდება მხოლოობითის ფორმებშიც (წკვინტალ-ი), ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ტიპის სახელებში გამოიყოს მრავლობითის **-ლეფ** ალომორფი.

გ. კარტოზიას დაკვირვებით, ხოფურ-ჩხალურში ერთმარცვლიან ზედსართავებს **-ელეფე** დაერთვის: **მსქვაელეფე** „ლამაზები“, **მჯვეელეფე** „ძველები“, **ხჩეელეფე** „თეთრები“ (შევნიშნავთ, რომ **მჩხუელეფე**, ფორმაში **მჩხუელ > მჩხუ** ფუძე გამოიყოფა, შდრ. მეგრ. **შხუ ~ შხულ-ეფი**, ქართ. მსხვილ-, ამდენად **-ელეფე**-ს ვერ მივიჩნევთ იმ რიგის დაბოლოებად, როგორც ზემოთ აღნიშნულ ფორმებში — ლ. ე) [კარტოზია 2005, 89].

შეიძლება ითქვას, რომ ლაზურის ხოფურ-ჩხალურ კილოებსა და ნაწილობრივ დასავლურ კილოებში -ლეფე / -ელეფე ალომორფი შეიძლება განვიხილოთ მრავლობითობის მორფემის ალომორფად. მეგრულში ნაკლებად გვაქვს **-ლეფ** სუფიქსის გამოყოფის საფუძველი, თუმცა **ჭიჭელეფი** ფორმა ამგვარ დაშვებას არ გამორიცხავს. კერძოდ,

მეგრულში: {ეფ} : /-ეფ/, /-ემ/, /-ენ/, /-ებ/, [/-ლეფ/],
ლაზურში: {ეფ}: /-ეფე/, /-ფე/, /-ებ/, /-ლეფე/, /-ელეფე/.

§ 2. რიცხვი, როგორც ტრანსლაციური კატეგორია

რიცხვის კატეგორია მოიცავს ენის მორფოლოგიურ, სინტაქსურ და სემანტიკურ დონეებს. შესაბამისად, ერთი მხრივ, რიცხვი გრამატიკული კატეგორიაა, მეორე მხრივ, ის ლექსიკურ კატეგორიათა სფეროსაც განეკუთვნება. აქ შემოდის რიცხვითი სახელები, რაოდენობის აღმნიშვნელი სახელები, როგორიცაა „ბევრი“, „მრა-

ვალი“ და ა. შ. ამდენად, ენაში რაოდენობის გამოხატვის ორგვარი საშუალებაა — გრამატიკული და ლექსიკური. თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში საკამათოა მათი გამიჯვნის საკითხი. აღსანიშნავია, რომ ცალკე კატეგორიადაც არის გამოყოფილი კრებითობის კატეგორია, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული, ერთი მხრივ, გრამატიკულ რიცხვთან, მეორე მხრივ, ლექსიკური რიცხვის კატეგორიასთან [ლელ 1990, 473]. კიდევ ერთი გზა ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნისა არის მრავლობითის ფორმათა სემანტიკური გადააზრება. ამგვარი პროცესი დამახასიათებელია მთელი რიგი ენებისთვის. მაგალითად, რუსულსა და სხვა სლავურ ენებში ე. წ. pluralia tantum სახელები თავის დროზე მიღებულ იქნა მრავლობითი რიცხვის გრამატიკულ ფორმათა ლექსიკალიზაციის შედეგად, ანუ არსებულ დენოტატთა ხელახალი ნომინაცია მოხდა [დეგტიარევი 1982, 68-72].

როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ქართულშიც მოგვეპოვება მრავლობითის იმგვარი ფორმები, რომლებსაც სიმრავლის გაგება დაკარგული აქვთ (მაგ.: ლოცვანი, დავითნი...) [შანიძე 1980, 78-80]. განსაკუთრებით ეს ითქმის გეოგრაფიულ სახელებზე. საქართველოში დასტურდება მთელი რიგი ტოპონიმებისა, რომლებშიც შემონახულია მრავლობითობის **-ევ, -ეთ** სუფიქსები [შანიძე 1981, 438-445; ჯორბენაძე 1980, 338]. ასევე პროდუქტიულია ტოპონიმთა საწარმოებლად **-ებ** მორფემა [ჯაჯანიძე 1976, 110-111].

ცნობილია, რომ სახელთა მრავლობითის წარმოება მორფემების საშუალებით ხდება, თუმცა სუპლეტივიზმიც იჩენს თავს. არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ „მრავლობითი რიცხვია არა ყოველი შემთხვევა, სადაც მრავალ საგანზე მითითება გვაქვს, არამედ მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როდესაც სიმრავლე აფიქსით არის გადმოცემული, — სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც სიმრავლე მორფოლოგიური საშუალებებით არის გამოხატული“... [ჩიქობავა 1952, 271]. შესაბამისად დგება მრავლობითობის აღმნიშვნელ აფიქსთა კვალიფიკაციის საკითხი.

ა. შანიძე წერს: „მრავლობითი რიცხვის წარმოება არსები-

თად წარმოქმნას ეკუთვნის“... „რიცხვს ზმნაში აქვს გარკვეული ნიშნები იმისა, რომ წარმოქმნის კატეგორიად იქნეს მიჩნეული“... [შანიძე 1980, 47; 166]. ბუნებრივია, რომ მეცნიერს მრავლობითის **-ებ** სუფიქსიც წარმოსაქმნელ აფიქსად მიაჩნია [შანიძე 1980, 108-109]. განსხვავებული პოზიცია აქვს არნ. ჩიქობავას, რომელმაც ფლექსიურ და წარმოსაქმნელ აფიქსთა გვერდით გამოყო ე. წ. გარდამავალი ტიპის აფიქსები. ესენია მრავლობითობის **-ებ, -თ** სუფიქსები: „**-ებ-** სუფიქსი ფუძის საწარმოებელი აფიქსია, მაგრამ იგი მხოლოდ ნაწილობრივ ცვლის ფუძის მნიშვნელობას და ამ მხრივ „ჩამორჩება“ **-ოსან** სუფიქსს; მეორე მხრივ, მას შეუძლია სიტყვათა შეკავშირებისას ცვლილებები გამოიწვიოს, და ამ მხრივ ის მოგვაგონებს დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებს... ორივე ეს გარემოება **-ებ-** სუფიქსს აშორებს მნიშვნელობის მცვლელ აფიქსებს და აახლოებს დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებთან“ [ჩიქობავა 1952, 236]. იგივე ითქმის **-თ** სუფიქსზე ზმნაში. მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ „გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ტ ი პ ი განსახიერებაა იმ ბუნებრივი გადასვლისა და შინაგანი კავშირისა, რომელიც მორფოლოგიასა, სინტაქსსა და ლექსიკოლოგია-სემანტიკას შორის ივარაუდება“ [ჩიქობავა 1952, 237].

მესამე თვალსაზრისი, განსხვავებით ზემოთ ნახსენები შეხედულებებისაგან, კატეგორიულად უარყოფს მრავლობითი რიცხვისა და მისი აფიქსების კავშირს წარმოქმნის კატეგორიასთან: „სახელთა მრავლობითობის **-ნ** და **-ებ** სუფიქსები, მსგავსად პირთა მრავლობითობის **-თ, -ენ** სუფიქსებისა ზმნებში, ლექსიკურ მნიშვნელობას ვერ ცვლიან ფორმებში: პირი და რიცხვი სახელისა და ზმნის საზიარო ფლექსიური კატეგორიებია და ამიტომაც გვაქვს შეთანხმება წინადადების ამ ორ წევრს შორის“ [უთურგაიძე 1986, 131].

ცხადია, გრამატიკული რიცხვის კატეგორიის შესწავლა მრავლობითობის წარმოების ანალიზს უკავშირდება, რადგანაც ორ ოპოზიციურ ერთეულს — მხოლოობითსა და მრავლობითს — შორის მარკირებულია მრავლობითი რიცხვი, ანუ მხოლოობითის

ფორმა მრავლობითის ფორმას თავისი უნიშნობით უპირისპირდება.

ცნობილია, რომ ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი და მათი ეკვივალენტი ნაცვალსახელები დამოუკიდებლად რიცხვის გამოხატვის უნარით „უკვე თავიანთი სიტყვათა კლასის ვითარებას კი არ გვიჩვენებენ, არამედ — არსებითთა კლასისა, რაც სინტაქსური ასიმილაციის საფუძველზე სიტყვათა კლასის შენაცვლებით არის გამოწვეული“ [დავითიანი 1973, 52]. ამგვარი სინტაქსური გარდაქმნა შეიძლება შეფასდეს ტრანსლაციად. როგორც ლ. ტენიერი განმარტავს, „Если слово Pierre является существительним, а группа de Pierre выполняет функцию прилагательного, то это означает, что предлог de изменил синтаксическую природу слова, к которому он присоединен. Существительное он синтаксическим путем превратил в прилагательное. Именно это изменение синтаксической природы мы называем транслацией“ [ტენიერი 1998, 377-378]. ხშირად გასუბსტანტივების პროცესი ე. ი. სიტყვათა ერთი კლასიდან მეორე კლასში გადასვლა, ანუ ტრანსლაცია სიტყვის სემანტიკურ გადაწევას იწვევს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რიცხვის ფორმანტის დართვით ატრიბუტული სახელი ნიშან-თვისებაზე კი არ მიუთითებს (თვისების სიმრავლე ბუნებაში არ არსებობს), არამედ საგანზე, რომელიც ამ თვისების მატარებელია. მიგვაჩნია, რომ ფუნქციის ამგვარი ცვლა უკვე ნიშნავს მნიშვნელობის ცვლას, რამდენადაც საგანსა და თვისებას შორის ვერ დავსვამთ ტოლობის ნიშანს. მაგალითად, ლაზ. **მჭვეში,** მეგრ. **ჯვეში** „ძველი“ ატრიბუტული სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა გამოხატავს როგორც საკუთრივ მნიშვნელობას „ძველები“ — **მჭვეშეფი||ჯვეშეფი,** ასევე მნიშვნელობას — „წინაპრები“. მაგ.:

მეგრული: ისტორიათ განაგონგ, **ჯვეშეფიში** დგნაჩინა (სამ. 71, 48-202) „საისტორიოდ გაგონილი, წინაპრების („ძველების“) მიერ დაბარებული“.

ლაზური: ჩქინ **ჯვეშეფეშე** მიგნაფუნან-ქი... (ყიფ. II, 4, 20) „ჩვენი წინაპრებისგან („ძველებისგან“) გაგვიგონია“;

მჯვეშეფექ ზოპონტეს (ყიფ. II, 12, 23) „წინაპრები („ძველები“) ამბობდნენ“.

შევნიშნავთ, რომ მეგრულში მხოლოობითის ფორმაც — **ჯვეში** — შეიძლება შეგვხვდეს „წინაპრის“ მნიშვნელობით. ვფიქრობთ, რომ ამგვარი სემანტიკა თავდაპირველად მრავლობითის ფორმამ შეიძინა და შემდგომ გავრცელდა მხოლოობითის ფორმაზეც.

ლაზურში გვაქვს **დიდილეფე,** რომელიც თავისი მნიშვნელობით ბადალია მეგრული **უნჩაში** „უფროსი“ და ქართული **უხუცესი** სიტყვებისა. **დიდი** ქართულისა და ზანურის საერთო კუთვნილებაა [კლიმოვი 1964, 73; ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 103]. **ლეფე** მრავლობითის სუფიქსის დართვით სიტყვის მნიშვნელობა ნაწილობრივ შეიცვალა და **დიდილეფე** დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს. მაგალითები:

აწი ხოლო-თი **დიდილეფე** არ ღერის ქოკუიბღეს (ყიფ. II, 6,1) „ახლა კიდევ უფროსები ერთ ადგილას შეგროვდნენ“; **დიდილეფექ** ნა ზოპონტეს, ⌜მ⌝თირი ტერენ (ყიფ. II, 12, 26) „უფროსები რომ ამბობდნენ, ისეთი თოვლი ყოფილა“; **დიდილეფექ** კაი დობახეს ჰიტა ჯუმა (კარტ. 1968, 153, 3-9) „უფროსებმა კარგად სცემეს უმცროსი ძმა“; **დიდილეფექ** ჰემუს ნოძიცეს (დიუმ. 57, IV-31) „უფროსებმა იმას დასცინეს“...

დიდილეფე'ს მნიშვნელობით უპირისპირდება **ჰიტალეფე** „უმცროსები“ შემდეგ კონტექსტში: **ჰიტალეფექ დიდილეფეს** გუი ვა მუჩქვინა უნონან (ჩიქ. I, 73, 25) „უმცროსებმა უფროსებს გული არ უნდა გადააყოლონ“.

ჰიტალეფე-ს მსგავსი წარმოება მეგრულშიც გვხვდება. უმცროსი ასაკის ბავშვების აღსანიშნავად იხმარება ჰიჭელეფი (შდრ. ლაზ. ჰიტა, მეგრ. ჰიჭე „მცირე, პატარა“):

დიდიში გიმმაჯერებელ(ი) დო **ჰიჭელეფიში** მარდუალი! (სამ. 84, 61-3) „დიდთა გამომკვებავო და პატარების გამზრდელო“.

ასევე ზემოთ განხილული **-ლეფე / -ლეფ** დაბოლოებიანი ზედსართავი და კუთვნილებითი სახელები უნდა განვიხილოთ

ტრანსლაციის შემთხვევად, რადგან იცვლება მათი გრამატიკული სტატუსი — არსებით სახელად გვევლინებიან. მაგალითად, წინადადებაში „**მჩხუელეფე** ჟინ გესქიდუნ, **მჭიფელეფე** თუდე გამულუნ ღორმაშენ“ (ჩიქ. I, 138, 18) „მსხვილები ზევით დარჩება, წვრილები ქვევით გამოვა საცერიდან“ — **მჩხუელეფე** და **მჭიფელეფე** მორფოლოგიურ დონეზე რა ჯგუფის არსებითი სახელია, სინტაქსურ დონეზე — ქვემდებარეები. გასუბსტანტივების შედეგად სემანტიკის გაფართოება ხდება, რამდენადაც **მჩხუელეფე** — ეს არაა პირდაპირი მნიშვნელობით „მსხვილები“, არამედ **ღერღილი**, ანუ დაფქული სიმინდის დიდი ზომის მარცვლები, ხოლო **მჭიფელეფე** ასევე არაა ზუსტად „წვრილები“, არამედ დაფქული სიმინდის მცირე ზომის მარცვლები ანუ **მჭადის ფქვილი**.

აღსანიშნავია, რომ **მჩხუელეფე**, **მჭიფელეფე** ფორმებში გამოიყოფა **მ-** პრეფიქსული ელემენტი ისევე, როგორც **მჯვეში** ფორმაში. სავარაუდოა, რომ ეს ელემენტი სულაც არ იყოს განვითარებული სონორი, არამედ სწორედაც მასუბსტანტივებული მ- პრეფიქსი იმავე რიგისა, როგორიცაა ლაზურში მიმღეობის მაწარმოებელი მ- ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: **მ-შინ-ე** „მხსენებელი“, **მე-მ-ჯღონ-ი** „მოძღვარი“... სხვათა შორის, ქართულშიც ბუნებრივია ატრიბუტული და სუბსტანტიური სახელების წარმოება ერთი და იმავე ფუძისგან მ- პრეფიქსის დართვა-არდართვით: წით-ელ-ი > მ-წით-ურ-ი [ჩიქობავა 1942, 140; 200].

არ გამოვრიცხავთ, რომ **მ-** პრეფიქსიც იყოს მასუბსტანტივებელი.

შეიძლება ითქვას, რომ მრავლობითის აფიქსი ოდენ ფლექსიური ელემენტია არსებით სახელებში, ხოლო ზედსართავ, რიცხვით სახელებსა და კუთვნილებით, რაოდენობით ნაცვალსახელებში **მატრანსლიერებელი**, ანუ წარმომქმნელი ელემენტია. {-ეფ} მორფემის ამგვარი დანიშნულება კარგად გამოჩნდა ლაზურში, სადაც არა მარტო სახელის სახელად ტრანსლაცია ხდება, არამედ ზმნიზედისა და ზმნისა — სახელად. მაგალითად, **შქა** „შუა, შუაში“ გამოიყენება როგორც კავშირად, ასევე — ზმნიზედად. წინადადებაში „ჰეფხე-სთერი მუფერ დრუკუნ სევდა ჩქიმი **შქალეფე**?

(ყიფშ. II, 44, 29) „ტოტებივით როგორ ირხევა სევდა ჩემში?“ — **შქალეფე** ფორმაში **-ლეფე** სუფიქსი მასუბსტანტივებელია. ასევე საინტერესოა **დიდოფე** „ძალიანები“ (ყიფშ. II, 43, 33), შდრ. **დიდო** „ძალიან“.

-ფე ლაზურში ზმნიზედებთანაც დაჩნდება. მაგ.: **ჰაშოფე** დუწუ დო ჰე ბოზო იგზალუ (ჩიქ. II, 48-1) „ესეები“ უთხრა და ეს ქალი წავიდა“. როგორც არნ. ჩიქობავა შენიშნავს, „ზუსტად რომ ვთქვათ, ჰაშოფე არ არის „ესეები“. ჰაშო ნიშნავს „ასე“, „ამგვარად“ და ამ უკანასკნელის მრავლობითია ჰაშოფე“ [ჩიქობავა 1936, 65]. ხოლო, თავის მხრივ, **ჰაშოფე** ფორმამ შეიძლება ბრუნვის ნიშანიც დაირთოს. მაგალითად, არქაბულ ტექსტებში დავადასტურეთ **ჰაშოფეთე** — მოქმედებითი ბრუნვის ფორმა: **„ჰაშოფეთე** დიდო გზას იდე'შ-ქულე არ ბადი ქონაგეს (ყღ. 27, 5) „ამგვარად („ამგვარებით“) დიდი გზის გავლის შემდეგ ერთი მოხუცი შემოხვდათ“; **ჰაშოფეთე** ირი ხოლო ოკიკათეს დო ბადი-ნა ჯანტუ, ქერიშა იგზალეს (ყღ. 27, 9) „ამგვარად („ამგვარებით“) ყველა მოგროვდა და მოხუცი რომ იწვა, იმ ადგილისკენ წავიდნენ“.

-ებ სუფიქსის დანიშნულების შესახებ ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისები რეალურად არ გამორიცხავენ ერთმანეთს, თუ რიცხვის კატეგორიას განვიხილავთ ტრანსლაციურ საშუალებად.


ტრანსლაცია, ანუ გარდაქმნა ერთი მეტყველების ნაწილისა მეორე მეტყველების ნაწილად, ერთი სინტაქსური კონსტრუქციისა — სხვა კონსტრუქციად, შესიტყვების სემანტიკის ცვლა, ანუ ენის შემადგენელი ნაწილების მუდმივი გარდაქმნისა და ურთიერთჩანაცვლების უნარი არის ის, რაც ენას ანიჭებს სიცოცხლისუნარიანობას.

რიცხვის კატეგორიის ლოგიკურ-სემანტიკური არსიდან გამომდინარე, ლაზურში **-ეფ** მორფემა ზმნის პირიან ფორმებთანაც დაჩნდება ხოლმე. ამ ფაქტს პირველად ყურადღება მიაქცია არნ. ჩიქობავამ. თავის „ლაზურის გრამატიკულ ანალიზში“ მას მოჰყავს ერთი მაგალითი — ჰა-ნა **გიწვი-ფე** დოგახენენ-ნა, ბოზო ჩქიმი მეჭჩარე (II, 62, 27) „რაც რომ გითხარი, თუ შეგიძლია გააკეთო,

ჩემს ქალს მოგცემ“ — და შენიშნავს: „გიწვი ნიშნავს „გითხარი (მე შენ)“; გ ი წ ვ ი - ფ ე იქნებოდა „გითხარ-ებ-ი“, ე. ი. „ნათქვამები“. ზმნა აქ კონტექსტში სახელის მნიშვნელობას ატარებს, თუმცა ორდინარული პირიანი ფორმაა“ [ჩიქობავა 1936, 65]. ჩვენც არაერთი მაგალითი დავადასტურეთ მსგავსი წარმოებისა, როგორიცაა: შქუ-ნა **მოწკეტეს-ფე,** ღორმოთი ვროსი ოწკედას (ყიფ. II, 74, 2) „ჩვენს მნახველებს ღმერთი უკეთესად ხედავს“; სქანდენ წოხლე-ნა **ოდეს-ფე,** ვარ მოხთუ დო სი აკო ორდო მოთ მოხთი? (ყიფ. II, 11, 15) „შენზე ადრე წასულები („წავიდნენები“) არ მოსულან და შენ ასე ადრე როგორ მოხვედი?“ ნა **დოსჭიდუ-ფეს** ჯოხონტეს, ართეღის — ლია, მაჟურას — კოსტა (ყიფ. II, 7, 13) „დარჩენილებს („რომ დარჩა-ებს“) ერქვათ: ერთს — ლია, მეორეს — კოსტა“; ფარა-ნა ვარ **უღუნან-ფეს,** ფიცარიში ოხორი უღუნან (ყიფ. II, 74, 8) „ფულის არ მქონეებს („არ აქვთებს“) ხის სახლი აქვთ“; ნა **მოხთეს-ფე** ჯუმა-თქვანი რენ-ჲა (დიუმ. 25, 1-193) „მოსულები („რომ მოვიდნენ-ები“) თქვენი ძმა არისო“; ჰაქ ნა **ტეს-ფე** გოჲშაშეს (დიუმ. 102, XIV-28) „აქ მყოფნი („რომ იყვნენ-ები“) გაოცდნენ“ — ყველა კონტექსტში **-ფე** დართული ზმნის პირიანი ფორმა სახელის ფუნქციის მქონეა: პირველ წინადადებაში (აგრეთვე არნ. ჩიქობავას მიერ მოყვანილ მაგალითშიც) ობიექტური პირის გამომხატველია მრავლობით რიცხვში, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში — რეალური მოქმედი პირის რიცხვის აღმნიშვნელია. ამავე დროს, **დოსჭიდუ-ფეს** და **გიწვი-ფე** ფორმების გარდა, ყველგან წარმოდგენილია S_3-ის რიცხვის ნიშანი (-ან, -ეს). მაშასადამე, **-ფე** ვერ იქნება პირის მრავლობითობის გამომხატველი — ორი მორფემა ერთი და იმავე ფუნქციით ერთ ფორმაში არ შეიძლება იყოს. ჩვენი აზრით, **-ფე** მორფემას ერთი დანიშნულება აქვს: ზმნის პირიანი ფორმის გასუბსტანტივება. აქედან გამომდინარე, ზმნის პირიან ფორმას **-ფე**-ს შემდეგ შეიძლება დაერთოს ბრუნვის ნიშანი, ამის მაგალითი დაადასტურა გ. კარტოზიამ ათინურ კილოკავში: ნა **ბიგზალითუ-ფეში** (კარტ. 1970, 1-8) „წასულების (ზედ. რომ წავედით-ებ-ის)“.

აგრეთვე, ზემოთნახსენები **დოსჭიდუ-ფე-ს** მიცემითი ბრუნვის ნიშნითაა გაფორმებული. როგორც ვხედავთ, ზმნის პირიანი ფორმა ახალ შინაარსს იძენს: ზმნის კლასიდან გადადის სახელის კლასში.

შეიძლება ითქვას, რომ ლაზურში მრავლობითის აფიქსი არის ფლექსიურიც და წარმომქმნელიც, უპრიანია, ითქვას, გარდამქმნელი. ეს არაა წარმოქმნა ლექსიკურ-სემანტიკური გაგებით, არამედ ერთი კლასის სიტყვის ტრანსლაცია მეორე კლასის სიტყვად. კერძოდ, **არსებითი სახელის** კლასში მოექცევა ყველა დანარჩენი სრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილი.



სქემიდან ჩანს, რომ ტრანსლაცია ხდება როგორც მორფოლოგიურ, ასევე სინტაქსურ დონეზე, რაც თავისთავად სემანტიკურ გადაწევასაც გულისხმობს.

მეგრულში, ლაზურისაგან განსხვავებით, ამგვარი გარდაქმნა შეჩერდა სახელის დონეზე ისევე, როგორც ქართულში, თუმცა აშკარაა ტენდენცია უპირო ზმნის, ანუ საწყისების გაფორმებისა მრავლობითობის სუფიქსით: წერები, ცეკვები, ჩხუბები, ლაპარაკები... ფაქტია, რომ ტერმინოლოგიაში გააქტიურდა ამგვარი წარმოება. ამ მიმართულებით ბევრი რამ არის საკვლევი და საინტერესო, რაც ამჯერად სცილდება ჩვენს ძირითად თემას. ჩვენი აზრით, ზოგადად ტრანსლაციის საკითხი ქართველურ ენებში საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

§ 3. მუ- მესამე პირის ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმები

მეგრულსა და ლაზურში ისევე, როგორც დანარჩენ ქართველურ ენებში, I და II პირის ნაცვალსახელთა მრავლობითის ფორმები სუპლეტური წარმოებისაა. გამოითქვა ვარაუდი, რომ ქართულსა და ზანურში პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები პირველი და მეორე პირისა ორსავე რიცხვში შეიცავს უე ელემენტს, რომელიც უშუალოდ მოსდევს თავკიდურ ძირეულ თანხმოვანს ან თანხმოვანთა კომპლექსს [გამყრელიძე 1959, 36-50]. ნ. მარი ქართულის I და II პირის ნაცვალსახელებში გამოყოფდა მრავლობითობის მაწარმოებელ **-ენ** და **-ემ** სუფიქსებს [მარი 1925, 87-88], ასევე ლაზურის პირის ნაცვალსახელებშიც **ნ** ბოლოკიდურს რიცხვის სუფიქსად თვლიდა [მარი 1910, 34]. თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ I და II პირის ნაცვალსახელთა მრავლობითის ფორმებში (ასევე მხოლოობითშიც) **-ნა** დაბოლოება ქართულში და **-ნ** ზანურში სადეტერმინაციო ელემენტია [ჩიქობავა 1936, 73], რომელიც თანდებულებსა და ზმნისართებშიც გვევლინება ქართულში, და როგორც ჩანს, ისტორიულად ლოკატიური მნიშვნელობის მქონე დე-

იქტურ ნაწილაკს წარმოადგენდა [მარტიროსოვი 1964, 86].

ამჯერად ჩვენი ყურადღების საგანია III პირის ნაცვალსახელი **მუ-** მეგრულსა და ლაზურში, რომელიც ქართული **მან** ნაცვალსახელის შესატყვისია [ჩიქობავა 1936, 73; ჩართოლანი 1985, 139]. მისი მრავლობითი იწარმოება **-ეფ** სუფიქსის დართვით, მაგრამ თვალში საცემია მის წინ გაჩენილი ელემენტები: ლაზურში — **თ: მუ-თ-ეფ-ე** „მათ, თვითონ“, მეგრულში — **ნ: მუ-ნ-ეფ-ი** „მათ, თვითონ“. ამ თანხმოვნითი ელემენტების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებები:

ა) ნ. მარმა თავის „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკაში“ მუ-თე-ფე და ნამ-თე-ფე ფორმებში გამოყო **თე** და **ფე** ელემენტები, როგორც მრავლობითობის სუფიქსები. შესაბამისად, ამგვარი ფორმები „ორმაგი მრავლობითობის“ გამომხატველად მიიჩნია [მარი 1910, 35].

ბ) ი. ყიფშიძემ მეგრულში მესამე პირის ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმაში მხოლობითი რიცხვისთვის **მუ** ნაცვალსახელური ფუძე გამოყო, მაგრამ მრავლობითი რიცხვის პარადიგმაში — **მუნ** ფუძე (მუნ-ეფ-ი, მუნ-ეფ-ქ || მუნ-ენ-ქ || მუნ-ემ-ქ...). ასევე პირის ნაცვალსახელთა სქემაშიც მესამე პირის ნაცვალსახელი ასეთი სახითაა წარმოდგენილი: „მუ<მუნ “он, сам“, მუნეფი “они, сами“ [ყიფშიძე 1914, 92-93].

გ) არნ. ჩიქობავამ როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში მიუთითა **მუ** ნაცვალსახელურ ფუძეზე და აღნიშნა: „მრავლობითში ლაზური ფუძეც განიცდის ცვლილებას და მეგრულიც: ლაზურში **-თ-** დაერთვის, მეგრულში **-ნ**... “ ეს ელემენტები „ერთი და იმავე ღირებულების მორფოლოგიური ოდენობა უნდა იყოს, ოღონდ სხვადასხვა ენობრივი ფენიდან. მათი მორფოლოგიური ფუნქცია და სადაურობა გარკვევას საჭიროებს“ [ჩიქობავა 1936, 76-77].

დ) მონოგრაფიაში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ ივ. ჯავახიშვილმა ნაცვალსახელთა ანალიზისას გამოთქვა ვარაუდი, რომ მეგრული ჩვენებითი ნაცვალსახელი **თინა** თავდაპირველად უკუქცევითი უნდა ყოფილიყო

და მისი კვალი უნდა ჩანდეს მეგ. **მუნეფი** და ლაზ. **მუთეფე** ფორმებში [ჯავახიშვილი 1938, 442].

ზანურის საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ **მუ||მუქ, მუნეფი||მუთეფე** ნაცვალსახელები იშვიათად იხმარება. განსაკუთრებით ეს ითქმის მეგრულზე, სადაც ჩვენებითმა ნაცვალსახელმა თითქმის გამოაძევა იგი და თავად იკისრა III პირის გამოხატვა. შეიძლება ამ ფაქტორმაც შეუწყო ხელი **მუ** ნაცვალსახელის მნიშვნელობის დავიწროებას და უკუქცევითობის სემანტიკით შემოფარგვლას. ი. ყიფშიძე შენიშნავს, რომ უკუქცევითი ნაცვალსახელის ფუნქციით მეგრულში იხმარება **დუდი** „თავი, თვითონ“ ფორმა [ყიფშიძე 1914, 98]. მაგ.: ჰოდ, ჩქიმ ჯაგა, ჩქიმი ჩელა, **დუდი** მაფუ ონგარალი (ტ. I, 294, 13) „ჰოი, ჩემო ჯაგა, ჩემო ჩელა, თავი მაქვს დასატირი“; იშა ვაგისხუნუანო, **დუდი** ვადიღორათინი? (ტ. I, 292, 19) „იმას არ გირჩევნიათ, თავი არ მოიტყუოთ?“ მუშ **დუს** კოჩი ღოლანსგნი, ინა ნტერს ვაღოლენია (ყიფშ. 98) „თავის თავს კაცი რომ დამართებს, იმას მტერი არ უზამსო“...

მუ „მან“ ნაცვალსახელისათვის უკუქცევითობის სემანტიკის მეორეულობაზე ისიც მეტყველებს, რომ თანამედროვე მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში არცთუ იშვიათად იხმარება ქართულიდან შესული **თვითონ** უკუქცევითი ნაცვალსახელი „უმთავრესად პირველი პირის ნაცვალსახელის მსაზღვრელად“ [მარტიროსოვი 1964, 222]. მაგ.: **მა** გაცუნუქ **თვითონ** (ხუბ. 10, 36) „მე გამოგყვები თვითონ“; **მუქ თვითონ** თაშ ზოჯუ... „მან თავად ასე ბრძანა“...

აღსანიშნავია, რომ მეგრულსა და ლაზურში **მუ** ნაცვალსახელის უკუქცევითობა თვალში საცემია შერწყმულ და რთულ წინადადებებში. როცა ეს ნაცვალსახელი შემასმენლების მომდევნოდ ან წინადადების ბოლოში დგას, მაშინვე სუბიექტი [მან] იძენს აქტიობის ნიშანს — „სუბიექტის აქტიურობა გულისხმობს, რომ **ის მოქმედებს თვითონ**“ [მაჭავარიანი 1987, 54]. მაგალითად, წინადადებაში — „ცხენი ოროს **ქიგოორინუ, მუქც** ჯაში ჯინცგ ქიდიინჯირგ (ყიფ. 96, 17) „ცხენი ჩრდილში დააყენა, თვითონ კი ხის ძი-

რას დაწვა“ — სუბიექტის „მუქგ“ მიერ განხორციელებული პირველი ქმედება „ცხენი ოროს ქიგიორინუ“ ეხება პირდაპირ ობიექტს, მისკენაა ორიენტირებული, ხოლო მეორე მოქმედება — „ჯაში ჯინცგ ქიდიინჯირგ“ თავად სუბიექტზეა ორიენტირებული, ანუ თვითონ განიცდის ამ მოქმედებას, ან მას ეხება ამ მოქმედების შედეგი. მოვიყვანთ სხვა საილუსტრაციო მასალას:

ა) **მეგრულში:**

ოში მანათი ჩილს ქიმეჩგ, ოში მანათი **მუქ** ქგდეკინგ დო ოში მანათი სქუას ქიმეჩგ (ხუბ. 195, 20) „ასი მანეთი ცოლს მისცა, ასი მანეთი თვითონ დაიტოვა და ასი მანეთი შვილს მისცა“; მიდეეყონგ დო ცას ქიმიკახუნუუ დო **მუქგ** სუა ქიმიკააფორგ (ყიფ. 39, 4) „წაიყვანა და ცაში დასვა და თვითონ ფრთა მოაფარა“; ლუდუკის ქგდუტუ კგლა დო **მუქ** მიდართგ (ხუბ. 89, 14) „ლუდუკის დაუტოვა გასაღები და თვითონ წავიდა“; მუჭო ქიმინგკო ლუდუკიქგნ, ქუწუ ალექსანდრექ დო **მუქ** მიდართგ იშო (ხუბ. 91, 9) „როგორ მოქცეულიყო ლუდუკი, უთხრა ალექსანდრემ და თვითონ წავიდა“...

ბ) **ლაზურში:**

არ ბიგა მა მომჩუ დო არ ბიგა **მუქ** ქოდიქაჩუ (ასათ. 45, 12-21) „ერთი ჯოხი მე მომცა და ერთი ჯოხი თვითონ დაიჭირა“; კულანი... ია ოხოიშ დოლოხე ქანაშქვეს დო **მუთეფე** იგზალეს (ასათ. 87, 47-6, 7) „გოგო... ის სახლში („სახლის შიგნით“) დატოვეს და თვითონ წავიდნენ“; ჯუმა-მუშის დიდი და ქომეჩუ, **მუქ** ჭუტა ნა ტუ ქეჭოფუ (კარტ. 194, 5) „თავის ძმას უფროსი და მისცა, თვითონ კი, რომელიც უმცროსი იყო, ის დაიტოვა“; გურუნი დო მსქვერი-ნა ვა იჩინამს კოჩი, **მუქ** რენ გურუნი (ჩიქ. II, 22, 15) „ვირსა და შველს რომ ვერ გაარჩევს კაცი, ის თვითონაა ვირი“...

მარტივ კონსტრუქციებში, სადაც წინადადების თავში დგას **მუ||მუქ** ნაცვალსახელი, უკუქცევითობის სემანტიკა დაჩრდილულია. მაგ.: წინადადებაში „მუქ ვა უწუა ჯგგროვა... (ხუბ. 141, 27) „მან არ უთხრა კარგადო“. **მუქ** ნაცვალსახელის პირიელობაა წინ

წამოწეული. ასევე ლაზურში: **მუქ** დოჭაუ, ჰე ნუსაქ-ქი... (კარტ. 1972, 160, 27) „მან დაწერა, ამ რძალმა რომ... " **მუქ** კითხუ-ქი, „შაინაზი, მოთ იმგა?"-და (ასათ. 55, 16, 88) „მან ჰკითხა „შაინაზი, რად ტირიო?".

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით მეგრულსა და ლაზურში **მუ** ნაცვალსახელი მოქმედი პირის, სუბიექტის გამომხატველია. ნაკლები სიხშირით იხმარება მისი მრავლობითის ფორმები, მაგრამ აქაც **სუბიექტს, პიროვნებას** გამოხატავს. მაგალითად,

ა) **მეგრული მუნეფი** „ისინი, თვითონ"

სახელობითი ბრუნვის ფორმით: მუჯო შხაფილი კერიცალო **მუნეფი ქეითიჩქვაფუდეს** (ყიფ. 150, 13) „ვით მშიერი კერატები „თვითონ" ჩქამუნობდნენ";

მოთხრობითი ბრუნვის ფორმით: ცხენი ოდიარეშა გუ̄ტეს, **მუნეფქ ქგმისვანჯეს** (ხუბ. 97, 19) „ცხენი საძოვარზე მიუშვეს, თვითონ დაისვენეს"; ინა **მუნენქ ქიმნიქუნეს...** (ხუბ. 78, 6) ის თვითონ მათ დაიხურეს... " **მუნენქ ვადანებესია** ართიანც დო რთხულენანია სამართალს (ხუბ. 88, 21) „მათ ერთმანეთს არ დაანებეს და გთხოვენო სამართალს"; **მუნენქ** ხეს ჟიჟირი ტაბაჩა **ქოდაკეს...** (ხუბ. 36, 29) „თვითონ ხელთ ორ-ორი დამბაჩა დაიჭირეს".

მიცემითი ბრუნვის ფორმით: **მუნენს** სოდე **ოკოდგნ,** თექ ქგდოლგ (ხუბ. 105, 14) „მათ სადაც უნდოდათ, იქ დაეცა"; ქოთ გაგმინწყუ̄ ჟირხოლოქ, მუჯო **მუნეფს აშქიდირუაფუდესგნი** თეშ (ხუბ. 33, 3) „კიდეც გამოეწყო ორივე ისე, როგორც მათ ეკადრებოდათ"; მარა თი დღაქ **გითდირთგ მუნენს,** მუთ წოხოლენ (სუბ. 137, 15) „მაგრამ ისეთივე დღე დაადგა მათ, რაც წინათ".

ბ) ლაზური **მუთეფე** „ისინი, თვითონ"

სახელობითი ბრუნვის ფორმით: ჰეთეფე დოღუინეს დო **მუთეფე** კაი **სქიდეს** (კარტ. 1972, 164, 24) „ესე-

ნი მოკვდნენ და თვითონ კარგად დარჩნენ"; ოხოიში საები **მუთეფე დიყვეს** (ასათ. 68, 29-51) „სახლის პატრონი თვითონ გახდნენ"; დოყვილეს, **მუთეფე ქომოხთეს** ოხოიშა (ასათ. 92, 48, 13-14) „მოკლეს, თვითონ მოვიდნენ სახლში"; **მუთეფე-თი** „ვარ ვულურთ"-ია **მიწვეს** (ყიფ. II, 1,8) „მათაც „არ წავალთო" მითხრეს". მაყვაა ოდას **მუთეფე ინჯირასუნტეს** (კარტ. 1972, 112, 21) „მეორე ოთახში თვითონ წვებოდნენ";

მოთხრობითი ბრუნვის ფორმით: **მუთეფექ** ქაეზდეს ოცხოჯი, საპონი... დო ჰეიშა ქაეხთეს (კარტ. 1968, 158, 30) „თავად აიღეს სავარცხელი, საპონი... და სხვენზე ავიდნენ"; ჰიტა ბერეფექ, **მუთეფექთი იძიცაფან** (ჩიქ. I, 121, 1) „პატარა ბავშვები, ისინიც იცინიან"; ნეკნას ბექჩეფექ ვარ ამოჩქვეს კოჩი, **მუთეფექ მეხთეს** ფათიშაიშა (კარტ. 1968, 175, 15) „კარის მცველებმა არ შეუშვეს კაცი, თავად მოვიდნენ ხელმწიფესთან"; **მუთეფექ-თი იბგარეს,** „სი მუჰო კილით"-ქა... (ჩიქ. II, 78, 14) „მათაც იტირეს, „შენ როგორ მოგკალითო"... **მუთეფექ-თი** ოკოკიდინუ ნაშქვეს (ჟღ. 98, 10) „მათაც საჩხუბრად მიუშვეს".

მიცემითი ბრუნვის ფორმით: **მუთეფესთი** ხეზმექდაი არაბიში ბიჭი უყოუნტეენან (კარტ. 1972, 104, 20) „მათაც მოსამსახურედ არაბი ბიჭი ჰყოლიათ"; ფადიშაი-თი მციქა შუფე დიყვეენ, **მუთეფეს** მუთუ ვარ უწვეენ დო ნაშქვენ (ჩიქ. I, 124, 5) „მეფე ცოტა შემთვრალა, მათთვის არაფერი უთქვამს და შემოუშვია" — ამ უკანასკნელ წინადადებაში **მუთეფეს** ფორმა დამატების ფუნქციას ასრულებს.

ასეთია **მუნეფი** და **მუთეფე** III პირის ნაცვალსახელების ფუნქციური დატვირთვა მეგრულსა და ლაზურში. რაც შეეხება მათ ფორმობრივ მხარეს, მეგრულში დასტურდება მხოლოდ **მუ-ნ-ეფი** ფორმა, ანუ **-ეფ** რიცხვის ნიშნის წინ ყოველთვის დგას **ნ**

თანხმოვანი. საერთო წესის თანახმად, მოთხრობითსა და მიცემით-ში რიცხვის ფორმანტი წარმოდგენილია **-ენ||-ემ** ვარიანტებით: მუნენქ|||მუნემქ, მუნენს||მუნემს. შეიძლება ითქვას, რომ მეგრულში **მუ-ნ-ეფ-ი** ფორმა არანაირ ცვლილებას არ განიცდის.

ლაზურში საინტერესო ვითარებაა. როგორც არნ. ჩიქობავა შენიშნავს, **მუთეფე** ფორმაში შეიძლება ჩავარდეს რიცხვის ფორ-მანტისეული თანხმოვანი **-ეფ→-ე** და მივიღოთ **მუთეე** ფორმა [ჩიქობავა 1936, 82], მაგ.: **მუთეექ**-თი ვა იფხონან (ჩიქ. I, 38, 20) „თვითონაც არ ჰამენ“; **მუთეექ** სოდე ჰკომანენ, სი-თი ჰექო-ლე ჰკომი-ა (ჩიქ. I, 38, 12) „მათ სადაც უჰამიათ, შენც იქ ჰა-მეო“. **-ეფ** ფორმანტის თანხმოვანი შეიძლება მიცემითის ფორმა-შიც დაიკარგოს. მაგ.: მა ვარ ვიდი **მუთეშ-კალა** (ყიფ. II, 1, 8) „მე არ წავედი მათთან“: მუთეფეს → მუთეეს → მუთეს + კალა → მუთეშ-კალა.

ყველა ზემოთ ნახსენებ შემთხვევაში **-თ-** ელემენტი აუცილებ-ლად წარმოდგენილია **მუ-** ნაცვალსახელური ფუძის მომდევნოდ. მაგრამ არის ორი ფორმა, რომლებშიც **ნ** თანხმოვანი იჩენს თავს. ერთ შემთხვევაში **თ** ბგერის ნაცვლად **ნ** დგას **-ფე** ფორმანტის წინ: გეი მენდახთეს ქოი-მუთეფეშიშა. ნე-თი მიჩქინ **მუნეფეშ** სა-ღლუღი... (ასათ. 191, 168-36, 37) „უკან გაბრუნდნენ („წავიდ-ნენ“) თავიანთ სოფელში. არც „ვიცი მათი სიცოცხლე“... მეორე შემთხვევაში **მუნთეფე** ფორმა, სადაც ერთბაშად ორივე **ნ** და **თ** ელემენტია წარმოდგენილი. მოვიყვანთ მაგალითებს:

ჰენთეფეში ათმაჯაქ ნა ჰოფუმს ბულდუჯინი **მუნთეფეში** ივენ (ჩიქ. I, 12, 29) „მათი მიმინო რომ იჭერს... ის მათი იქნება“; ჩქიმი მალი **მუნთეფეს** ჰოდოსქიდუნან ჩქიმი ოღუუშკულე (კარტ. 1968, 171, 23) „ჩემი ქონება მათ დარჩებათ ჩემი სიკვდილის შემ-დეგ“; **მუნთეფეში** ფათიშაითი ეჩდოჟურ წანეი დენ (კარტ. 1972, 114, 10) „მათი ხელმწიფე ოცდაორი წლის იქნება“; ქომოხთუ **მუნთეფეში** კაულიში ორა (კარტ. 1972, 98, 2) „მოვიდა თავიანთ დათქმულ დროს“; ქონულვან კვინჩაშა, ხორცი, შააბი ჟინ ქოგე-დუმენან, **მუნთეფეთი** ქოგეხედუნან (კარტ. 1972, 88, 30) „მი-

ვლენ ფრინველთან, ზედ დააწყობენ ხორცსა და შარბათს, თვითონაც დასხდებიან"; ემუშენი **მუნთეფექ** ბიგა ვა გეჩეს, ფათი'შაიშა ქონიყონეს (კარტ. 1972, 49, 23) „ამიტომაც მათ ჯოხი არ დაარტყეს (იმათ) და ხელმწიფესთან მიიყვანეს". ჰაწი **მუნთეფეში** ოხორის ხენან (ჩიქ. II, 39, 7) „ახლა თავიანთ სახლში სხედან".

მაშასადამე, ლაზურში გვაქვს სამი ფორმა — **მუთეფე, მუნეფე*, მუნთეფე,** მაშინ, როცა მეგრულში გვაქვს ერთადერთი **მუნეფი** ფორმა. შეიძლება გვეფიქრა, რომ ამოსავალი ფორმა **ნ**-არიანი უნდა ყოფილიყო. საყურადღებოა, რომ III პირის ნაცვალსახელთან წარმომავლობით დაკავშირებული კითხვითი ნაცვალსახელი **მუ** „რა?" [კლიმოვი 1964, 124; მარტიროსოვი 1964, 187-188; ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 206] უდევს საფუძვლად განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს **მუთხა, მუთხანი** „რაღაცა" (შდრ. მეგრ. მუდგა, მუდგარენი „რაღაცა"). მაგრამ ლაზურში შეგვხვდა **მუნთხანი** ფორმაც. მაგალითად, **მუნთხანი** ნა უნონ, ქომეჩი (კარტ. 1972, 65-38) „რაღაცა რომ უნდა, მიეცი", სქანი'სთერი მჭიფე დო გუნძე **მუნთხანეფეს** ჩქიმი'სთერი ბაბა ქომოლი კოჩიშა მუთუ დახენენ-ი? (ჟღ. 25, 35) „შენნაირი წვრილი და აწოწილი რაღაცეები ჩემნაირ ვაჟკაცს რას უზამს?" **მუნთხა** მიღუტეს (ჟღ. 77, 1) „რაღაცა გვქონდა"; ჰე **მუნთხანი** მოხთაში... (ჟღ. 5, 15) „ეს რაღაცა რომ მოვიდეს"... **მუნთხანიენთე** ქეხთუ (კარტ. 1972, 66, 26) „რაღაცნაირად ავიდა"; აჩქვა ძირუ-ქი, **მუნთხა** მულუნ... (კარტ. 1972, 176, 3) „სხვა რაღაცა ნახა, რომ მოდის"...

ცხადია, ამ ფორმებში აღდგება **ნ** დეტერმინანტი-სუფიქსი, რომელიც მხოლოობით რიცხვში გვაქვს ხოლმე: ორჭაიქ უჯოხუ: **„მუნ** ორენ"-და (ჟღ. 99, 35) „ორჭელმა (სოფელია არქაბეში) დაუძახა: რა არისო"; სი ხე-ნა ოკონდრიკი დო ნოგური, **მუნ** ორტუ? (ჟღ. 36, 25) „შენ ხელი რომ მოდრიკე და გაბრაზდი, რა იყო?" საერთოდ, ზანურში დეტერმინანტი **-ნ** სუფიქსი, პირის ნაცვალსახელების მსგავსად, კითხვით ნაცვალსახელებსაც დაერთვის, რომ-

* ერთადერთი მაგალითია, ისიც საქართველოში ჩაწერილი.

ლებიც მხოლოობითში იკარგება, მაგრამ აღდგება მრავლობითში: მინ? „ვინ“ — მინ-ეფ-ი „ვინები“, მუ||მუნ? „რა“ (ამ უკანასკნელს მეგრულში მრავლობითი არ ეწარმოება, ხოლო ლაზურში გვექნება **მუფე,** მაგრამ ზოგჯერ **მუეფე**-ც დასტურდება, რაც აშკარად მიგვანიშნებს დეტერმინანტი **ნ** თანხმოვნის დაკარგვას) — [ჩიქობავა 1936, 83-85]. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ლაზური ფონოტაქტიკის მიხედვით **ნთ** დეცესიური მიმდევრობის ნაზალური კომპლექსი დასაშვებია [ქუთელია 1979], შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **მუნთეფე** ფორმაში შენარჩუნებულია — **ნ** დეტერმინანტი თანხმოვანი, რომელიც სახეზეა მეგრულში **მუ-ნ-ეფ-ი** ფორმაში.

თ ელემენტი ლაზურის ფორმაში ბადებს კითხვას: ხომ არ არის ის ნაშთი **თი** „თავი“ არსებითი სახელისა, რომელსაც უკუქცევითი ნაცვალსახელის მნიშვნელობაც აქვს [მარი 1910, 147]. აღსანიშნავია, რომ მეგრულშიც დასტურდება ეს **თი** ოდნავი სემანტიკური გადაწევით: „თავის სახლში, თავისთან“ მნიშვნელობის მქონეა. მაგ., მიდეცონუ მუში **თიშა** (ყიფ. 7, 22) „წაიყვანა თავისთან“; ჰიჰე ხანიში უკული მუში **თიშა** გუუტუ (ყიფ. 7, 24) „კოტა ხნის შემდეგ თავის სახლში („თავისთან“) გაუშვა; მუში **თიშა** ქგმორთგ თე კოჩქგ (ყიფ. 13, 2) „თავის სახლში მოვიდა ეს კაცი“; ინტგ მუში **თიშა** (ყიფ. 9, 13) „გაიქცა შინ („თავისთან“)...

როგორც ვხედავთ, **თი** ძირითადად თან ახლავს **მუში** „მისი, თავისი“ კუთვნილებით ნაცვალსახელს. შესაძლოა ლაზურშიც **თი** მიერთვოდა **მუ(<მუნ)** III პირის ნაცვალსახელს და აძლიერებდა უკუქცევითობის სემანტიკას: **მუ˹ნ˺ თი** „მან თვითონ“... აღსანიშნავია, რომ ლაზურში უკუქცევითობის მნიშვნელობა უფრო გამოკვეთილია, ვიდრე მეგრულში.

ვფიქრობთ, რომ ლაზ. **მუ-თ-ეფ-ე** და მეგრ. **მუ-ნ-ეფ-ი** ფორმათა **თ** და **ნ** ელემენტები ისტორიულად განსხვავებული წარმომავლობისა ჩანს. ისინი მრავლობითობის ფორმებმა შემოინახა იმდენად, რამდენადაც მათ ხმოვანთგამყარი თანხმოვნის ფუნქცია შეასრულეს.

§ 4. ჩვენებით და მიმართებით ნაცვალსახელთა მრავლობითის ფორმებისათვის ლაზურის ათინურ კილოკავში

ლაზურის ათინურ კილოკავში ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემა წარმოდგენილია **ჰამ** „ეს“, **ჰიმ** „ის“ ფორმებით, რომლებიც, ხოფურ **ადა** „ეს“, **ია** „ის“ და ვიწურ-არქაბულ **ჰადა** „ეს“, **ჰეა** „ის“ ნაცვალსახელებისაგან განსხვავებით, შეიცავს **მუ** ნაცვალსახელურ ძირს: **ჰამ<ჰამუ, ჰიმ<ჰიმუ.** სხვაობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა მრავლობით რიცხვში: „ხოფურსა და ვიწურ-არქაბულში მხოლოობითი რიცხვისა მხოლოდ ჩვენებითი ნაწილები გვაქვს: **ა-||ჰა-** — **ე-||ჰე-:** მათ დაერთვის **თ** ელემენტი, მას მოსდევს მრავლობითობის მაწარმოებელი **-ეფ** და სახელობითი ბრუნვის დაბოლოება **-ე:** ხოფ.: **ა-ნ-თ-ეფ-ე,** ვიწ. -არქ.: **ჰა-მ-თ-ეფ-ე||ჰა-თ-ეფ-ე. თ**-ს წინ **მ-||ნ-** ფონეტიკურადაა განვითარებული“ [ჩიქობავა 1936, 82]. შესაბამისად, ლაზურშიც აღდგება **თ** ნაცვალსახელური ძირი, რომელიც დასტურდება მეგრულში: ა-**თ**-ე „ეს“, ე-**თ**-ი „ის“...

ლაზურში სახელთა მრავლობითის წარმოების სისტემაში განსხვავებულ სურათს ქმნის ათინური კილოკავის **ჰანი, ჰინი** ჩვენებითი ნაცვალსახელები, აგრეთვე **ნანი** „რომლები“ მიმართებითი ნაცვალსახელი, რომლის მხოლოობითის ფორმაა **ნამუ** „რომელი“. აღნიშნულ ნაცვალსახელებში არსად არ ჩანს **-ეფ** სუფიქსი, ხოლო სახელობითის **ე** ნიშნის ნაცვლად გვაქვს **ი,** რომელიც ფუძესაა შეხორცებული და თან გადაჰყვება სხვა ბრუნვებშიც. თუ **ნ**-ს მივიჩნევთ მრავლობითობის სუფიქსად [მარი 1910, 13; ცაგარელი 1957, 26], გამოდის, რომ ირიბ ბრუნვებში გვაქვს შემდეგი მიმდევრობა: ჰა-ნ-ი-ქ, ჰა-ნ-ი-ს, ჰა-ნ-ი-შ... ჰი-ნ-ი-ქ, ჰი-ნ-ი-ს, ჰი-ნ-ი-შ... ნა-ნ-ი-ქ, ნა-ნ-ი-ს, ნა-ნ-ი-შ... ერთ შემთხვევაში ჰა||ჰი ჩვენებით ნაწილაკებს მოსდევს მრავლობითი რიცხვის ნიშანი **ნ,** შემდეგ ფუნქციადაკარგული სახელობითის **ი** დაბოლოება და ბოლოს შესაბამისი ბრუნვის ნიშანი. მეორე შემთხვევაშიც იგივე თანმიმდევრობაა, მხოლოდ ჩვენებითი ნაწილაკის ნაცვლად გვაქვს ნაწილაკი **ნა,** რომლის „პირდაპირი მნიშვნელობა „რა“ უნდა იყოს“ [ჩიქობავა 1936, 184].

მეგრულში ჩვენებით და მიმართებით ნაცვალსახელთა მრავლობითის მსგავსი ფორმები არ მოგვეპოვება. რაც შეეხება ქართულს, აქ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ დასავლურ კილოებში „მრავლობითი რიცხვი იწარმოება სახელობითის ნ- სუფიქსიანი ფუძის განზოგადებით სხვა ბრუნვებში. ნაცვლად ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ი გ ი ნ ი - ი მ ა თ ტიპის წარმოებისა, გვაქვს: ა გ ი ნ ი ა გ ე ნ ი, ა გ ი ნ მ ა ა გ ე ნ მ ა, ა გ ი ნ ს ა გ ე ნ ს პარალელურად ა მ გ ე ნ მ ა, ა მ გ ე ნ ს, ი მ გ ე ნ მ ა, ი მ გ ე ნ ს“... [ჩართოლანი 1985, 103]. დასავლური კილოების ჩვენება თითქოს უახლოვდება ათინური კილოს ვითარებას, მაგრამ ჩნდება კითხვა. ამ დიალექტებში (გურული, ქვემოიმერული, ლეჩხუმური, აჭარული) „სახელობითის **ნ**-იანი ფორმის გენერალიზაცია დანარჩენ ბრუნვებში“ მიჩნეულია მეორეულ მოვლენად, ინოვაციად [მარტიროსოვი 1964, 315-316; ჩართოლანი 1985, 106]; რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ათინურში დადასტურებულ **ჰანი, ჰინი, ნანი** ფორმებს?

ნ. მარმა თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში „ლაზური (ლაზური) ენის გრამატიკა“ **ჰანი, ჰინი** ფორმების ანალიზისას აღნიშნა, რომ აქ შემონახულია მრავლობითი რიცხვის ნიშანი **ნ,** რომელსაც მიერთვის სახელობითი ბრუნვის **ი** დაბოლოება. შემდეგ მსჯელობას ასე განაგრძობს: „... показатель мн. числа ნ появляется и с тубал-кайнским именнымъ окончанием ე (ნ-ე), но одновременно с ფე — в форме с двумя показателями множественности: ჰამი-ნე-ფე эти, здешние, ჰი-ნე-ფე-ს в техъ (местах) ნამ-ი-ნე-ფე которые“ [მარი 1910, 34].

ჰამინეფე, ნამინეფე ფორმებში ორმაგ მრავლობითზე ვერ ვიმსჯელებთ, რადგანაც ორივეგან გამოიყოფა **მინ** „ვინ?“ კითხვითი ნაცვალსახელი. ლაზურში **მინ** ფორმა კარგავს ბოლოკიდურ ნ-ს, მაგრამ მას ი. ყიფშიძე ადასტურებს ჩხალურში, სადაც აღდგება ხმოვნით დაწყებული სიტყვის და ნაწილაკების (-ია, ო) წინ. მაგ.: ჰაქა **მინ** ორენ? (ყიფ. I, 11, 54) „ეს ვინ არის?“ **მინეფი, ნამინეფი||ნამგნეფგ** ფორმები ჩვეულებრივია მეგრულშიც, სა-

დაც მხოლოობითში **მი** იხმარება ნ-ს გარეშე (შდრ. მუ < მუნ „თვითონ“). ჩვენი აზრით, ათინურშიც **ჰა-მინ-ეფ-ე** ფორმაში **მინ** „ვინ?“ კითხვით ნაცვალსახელს წინ ერთვის დეიქსისი **ჰა,** ხოლო მომდევნოდ — რიცხვის მაწარმოებელი **-ეფ** სუფიქსი. შესაბამისად მნიშვნელობა გვიჩვენებს პირველ პირთან მყოფთ: „ესენი“, „აქაურები“ — **ჰამინეფე** სადე სიფთერი-დულდა იქუმანი? (მარი, 87, 8) „აქაურები ყველა მიმინოს ჰერითაა დაკავებული?“ ფორმა **ნამინეფე** ადგილზე მიუთითებს — „რომელი, როგორი ადგილები?“ მაგ.: ღომა სიფთერითე **ნამინეფე** გოხთი ორთიჰიშენი? (მარი, 89, 6) „წუხელ რომელ ადგილებში წახვედი მიმინოს დასაჭერად?“

როგორც ვხედავთ, ნაცვალსახელთა სისტემაში განცალკევებით დგას **ჰანი, ჰინი** და **ნანი** ფორმები. ნ. ჩართოლანის მიერ გამოითქვა ვარაუდი: „ხომ არ შეიცავს **ნ** ძირს ლაზურის ათინურ კილოკავში მრავლობით რიცხვში გამოვლენილი **ჰანი-ჰინი?**“ [ჩართოლანი 1985, 140]. მეცნიერი ზანურისთვის აღადგენს შემდეგ ნაცვალსახელურ ძირებს: */შ/, /ქ/, *მო/→მუ/, *დ→თ,* ნ. ეს უკანასკნელი თითქოს არ დასტურდება ლაზურში. აქ, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია რამდენიმე არსებითი მომენტი.

ცნობილია, რომ ქართველურ ენებში ჩვენებითი ნაცვალსახელები ასრულებენ III პირის ნაცვალსახელის ფუნქციას, მაგრამ არსებობს სხვაობაც: ქართულში გვაქვს ჩვენებით ნაცვალსახელთა სამწევროვანი სისტემა, სადაც „ორი ფუნქციაა განვითარებული: ერთი მხრივ, მიმართება პირებთან არის დაკავშირებული (პირველ პირთან მყოფი, მეორე პირთან მყოფი, მესამე პირთან მყოფი), ხოლო, მეორე მხრივ, გადმოცემულია საგნის სიახლოვე-სიშორე“ [ჩართოლანი 1985, 7]; ზანურში, ასევე სვანურშიც, გვაქვს ჩვენებით ნაცვალსახელთა ორწევროვანი სისტემა, ანუ მიმართება პირებთან არ არის დაკავშირებული. სივრცეში ორიენტაცია, ანუ სიშორე-სიახლოვის აღნიშვნა მეგრულ-ლაზურში ემყარება დეიქტურ ხმოვანთა ოპოზიციას: ა — ახლოს მყოფი, ი||ე- შორს მყოფი. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ლაზურში [ჩართოლანი 1985, 142].

ათინურში ამგვარ ორწევრა სისტემას ქმნის **ჰამ** და **ჰიმ** ნაცვალსახელები, რომლებშიც **მუ** ნაცვალსახელური ფუძე შეკვეცილი სახითაა წარმოდგენილი. ერთი მხრივ, გვაქვს **ჰამ, ჰიმ** ნაცვალსახელები, მეორე მხრივ, **ჰამუ, ჰიმუ.** მათი ფუნქციებიც გამიჯნულია. როგორც წესი, არასრული ფორმები **ჰამ, ჰიმ** იხმარება მხოლოდ ჩვენებითობის ფუნქციით, ანუ მსაზღვრელად ახლავს არსებით სახელს. მაგალითად:

ჰამ დღაში ჲოხო ლიტროფ ონ (მარი, 92, 10) „ამ დღის სახელი „ლიტროფი“ არის; **ჰამ სუაშა** ვიწე ოფშა მენდრა'ნი? (მარი, 93, 19) „ამ ადგილიდან ვიწემდე დიდი მანძილია?“ **ჰამ ქითაბ** ქომომჩიკო (მარი 94, 24) „ეს წიგნი რომ მოგეცა“; ჰუს **ჰამ დელიქ** ჯუმა მუშის უწუ-ჩი... (ყიფ. II, 81, 9) „ამ ზარმაცმა თავის ძმას უთხრა რომ... “ ცუუ, **ჰამ ჩობანიქ** მუდა მოღოდეს? (ყიფ. 81, 26) „უ, ამ მწყემსმა რა დაგვმართა?“ **ჰიმ** ხოჯაქ ნაკ ჭარა ტკუ? (მარი 95, 11) „იმ ხოჯამ სად ისწავლა?“ **ჰიმ** სუა მა ვა მიშქუნ (მარი 94, 11) „ის ადგილი მე არ ვიცი“; **ჰიმ დორა** წულუ ჯუმა გზა ნაგუ! (ჩიქ. II, 122, 19) „იმ დროს უმცროსი ძმა გზას გაუდგა!“ **ჰიმ დაჩხურიში** იანიშა მენდახთუ (ჩიქ. II, 119, 6) „იმ ცეცხლის ქვეყანაში წავიდა“; ნაქ იდუ **ჰიმ კოჩი?** (ყიფ. 83, 24) „სად წავიდა ის კაცი?“ ალი დო ოსმანი-თი **ჰიმ გზას** ღურეს (ყიფ. 93, 7) „ალი და ოსმანიც იმ გზაზე მოკვდნენ“.

თუ **ჰამ, ჰიმ** ნაცვალსახელები III პირის გამომხატველია, ანუ სახელობით ბრუნვაში მყოფი სუბიექტური და ობიექტური პირის ფუნქციას ასრულებს, წარმოდგენილია სრული ფორმებით: **ჰამუ, ჰიმუ,** რომელსაც ზოგჯერ მიერთვის -თი („ცა“) ნაწილაკი. მაგ.: **ჰიმუ-თი** ციდუ, ფარა დოქლიმუ (ჩიქ. II, 128, 23) „ისიც წავიდა, ფული შეინახა“; **ჰიმუთი** ბოგზალი, ვარ მომწონდუ (კარტ. 1970, 221, 24) „ისიც გავუშვი, არ მომეწონა“; **ჰიმუთი** მენდებიონიკო, ბაბაშკიმი მოკაპინასენ გალე (კარტ. 1970, 220, 25) „ისიც რომ წამეყვანა, მამაჩემი გამაგდებდა გარეთ“; მუმული შქიმი **ჰამუქ** ნუკვათუ! (ყიფ. II, 76, 23) „ჩემი მამალი ამან დაკლა“; **ჰამუქ** ემიშინახუ დო ტკვა (თქვა) მუდაშენი ვარ ემიშინახით? (ყიფ. II, 80,

21) „ამან შემინახა და თქვენ რატომ არ შემინახეთ?“ **ჰამუქ** ბაშკა ხორძა დოღურინუ! (ყიფ. 80, 4) „ამან უფროსი რძალი მოაკვდინა“.

შეინიშნება ერთი ტენდენციაც — გარდამავალ ზმნებთან მოსალოდნელი მოთხრობითი ბრუნვის ნაცვლად გვხვდება სახელობითის ფორმა. მაგ.: **ჰიმუ** ფარა **მეჩუ** დო კაიღო (‖ფელუკა) უინდრუ (კარტ. 1970, 226, 27) „იმან ფული მისცა და ნავი უყიდა“; **ჰიმუ ოშკომუ** დიდო დადაღი... (კარტ. 1970, 227, 8) „იმან ჭამა ბევრი ჯოხი“... შკუნი ლაზი დიდო გეჩუ ხოლო შეითანი, ხოლო **დოწამუ ჰიმუ** (კარტ. 1970, 227, 12) „ჩვენმა ლაზმა კიდევ ბევრი ურტყა ეშმაკს, კვლავ დაბეგვა („მოკლა“) იმან“; **ჰიმუ დიინდრუ** ვი მანათი ხამი (კარტ. 1970, 228, 1) „იმან იყიდა ათ მანეთად დანა“...

მიცემითი ბრუნვის ნაცვლადაც შეიძლება შეგვხვდეს სახელობითის ფორმა: დაჰა ვროსი **დოლვონქურტუ ჰიმუ** (კარტ. 1970, 224, 13) „უფრო კარგი ეცვა იმას“.

ჰამ, ჰიმ ნაცვალსახელთა მსგავსად **ნამუ** „რომელი“ მიმართებითი ნაცვალსახელის შეკვეცილი ფორმა **ნამ** გამოიყენება მსაზღვრელის როლში. მაგ.: **ნამ ქოიშა** ეშკახთარე? (მარი, 84, 8) „რომელ სოფელში მიდიხარ?“ ლაქინ **ნამ** დღა ონ, ვა მიშქუნ (მარი, 92, 12) „მაგრამ რომელი დღეა, არ ვიცი“; **ნამ კუი** დოლოტოჩი? (კარტ. 1970, 228, 19) „რომელ ჭაში ჩააგდე?“

ნაცვალსახელთა სრული და არასრული ფორმების ამგვარი ფუნქციური გამიჯვნა მეგრულისთვისაც დამახასიათებელია. კერძოდ, **ათენა ‖ თენა, ეთინა ‖ თინა** ნაცვალსახელების არასრული (მოკვეცილი) ფორმებია: **თენა > ენა / თე / ე**; **თინა > ინა / თი / ი**. შესაბამისად, პირის ნაცვალსახელებია ყოველთვის სრული ფორმები, ხოლო არასრული ფორმებიდან ნ-არიანი ვარიანტები: **ენა, ინა**. რაც შეეხება **თე/ე** და **თი/ი** ფორმებს, მათ ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქცია აქვთ და „არასოდეს გვხვდება დამოუკიდებლად, გამოიყენება როგორც მსაზღვრელები, ყოველთვის უსწრებენ საზღვრულს და არ იცვლებიან არც ბრუნვის და არც რი-

ცხვის მიხედვით (თე კოჩი „ეს კაცი“, თე კოჩქ „ამ კაცმა“... თე კოჩეფი „ეს კაცები“. თე კოჩეფქ „ამ კაცებმა“) [ცხადაია 2009, 23]. თავისთავად **ათენა, ეთინა** ფორმები რთული აგებულებისაა და ორი ნაცვალსახელური ძირის — **-თ**-ს და **-ნ**-ს შეერთებით ჩანს მიღებული, რომლებსაც წინ ერთვის დეიქსისები **ა** და **ე**, ესენი ასევე უკავშირდებიან ლაზურის ჰამ, ჰიმ, ჰანი, ჰინი ფორმებში დადასტურებულ ჰა, ჰი ელემენტებს [მარი 1925, 18, 22; ჩართოლანი 1985, 140; ჩიქობავა 1936, 81].

ათინური ტექსტების მიხედვით **ნამუ** ნაცვალსახელი III პირის გამომხატველია. მაგ.: სქუალითი **ნამუ ორე,** ქალე მიში ანდერი? (მარი 113, 25-3) „ქალიშვილი, რომელიც ასეთია, ვისია ოხერი?“ **ნამუ**-თი **ცონ,** მიწვი (ჩიქ. II, 136, 14) „რომელიც არის, მითხარი“.

მრავლობით რიცხვში **ჰანი, ჰინი, ნანი** ნაცვალსახელები იხმარება მხოლოდ III პირის ფუნქციით ისევე, როგორც **ჰამუ, ჰიმუ, ნამუ** ნაცვალსახელები.

1) დგას სახელობით ბრუნვაში და აღნიშნავს გარდაუვალი ზმნის სუბიექტურ პირს:

ჰანი ქომოხთეს (ჩიქ. II, 108, 9) „ესენი მოვიდნენ“; ანთხოზეს **ჰანი... ჰანი** იმტეს (ჩიქ. II, 132, 27) „გაედევნენ ესენი... ესენი გაიქცნენ“; **ჰანი** ქოგამახტეს, ცარ კონაღიშა მენდახტეს (ჩიქ. II, 132, 34) „ესენი ჩამოვიდნენ, ერთ სასახლეში წავიდნენ“; **ჰანი-თი** იგზალეს, ფარა ნიში ეჭოფუმან (ყიფ. 80, 35) „ესენიც წავიდნენ, თავის ფულს აიღებენ“; **ჰანი-თი** გემიჯი შქიმი ცონ! (ჩიქ. II, 133, 1) „ესენიც ჩემი მეზღვაურები არიან“; **ჰანი**-თი სუმი-თი ოკიკათეს... (ჩიქ. II, 133, 15) „ესენიც სამივე შეიკრიბნენ“... ქონ, ამა ჰუს **ჰინი** მუდა იფელენ? (მარი, 93, 13) „არის, მაგრამ ახლა ისინი რისთვის ვარგა?“

2) **ჰანი||ჰინი** გადმოსცემს გარდამავალი ზმნის სუბიექტურ პირს სახელობითი ბრუნვის ფორმით ნაცვლად მოთხრობითისა: **ჰანი თქვეს**-ჟი „შქუ-თი ბიმტათ!“ (ჩიქ. II, 133, 6) „ამათ თქვეს, რომ „ჩვენც გავიქცეთო!“ **ჰანი ქოდოლიქუნეს,** დუგუნიშა ცულუ-

ნან ცხენეფეთე (ჩიქ. II, 130, 30) „ამათ ჩაიცვეს, ქორწილში მიდიან ცხენებით"; **ჰინი** დულდა იქუმან (ჩიქ. II, 107, 3) „ისინი საქმეს აკეთებენ"; **ჰინი** ოხორი **წოფხუმან** (ჩიქ. II, 107, 3) „ისინი სახლს აშენებენ"; **ჰინი თქვეს**-ჩი (ჩიქ. II, 119, 17) მათ თქვეს, რომ...

3) გამოხატავს პირდაპირ ობიექტურ პირს:

ქომეფჩი **ჰინი** ჰიმუ (კარტ. 1970, 219, 10) „მივეცი ისინი იმას"; **ჰინი** ჰეჲ მებაშქვი, მა ქომოვთი (ჩიქ. II, 124, 5) „ისინი იქ გავუშვი, მე მოვედი"; ლაზური ასკერეფე მენდახტეს დო **ჰინი** ომტინეს (ყიფ. II, 72, 29) „ლაზი ჯარისკაცები წავიდნენ და ისინი გააქციეს"; **ჰინი** ბგორათ, ქობძირათ დო მოვიდონათ (ყიფშ. II, 73, 7) „ისინი მოვძებნოთ, ვნახოთ და მოვიყვანოთ".

4) მიცემით ბრუნვაში დგას ე. წ. ინვერსიულ ზმნებთან: **ჰინის ქუშქუნან** (ჩიქ. II, 107, 27) „მათ იციან"; **ჰინის** მუთი ვარ **ახენერან** (ყიფშ. II, 82, 8) „მათ არაფერი გამოუვათ"...

ათინურ ტექსტში ვერ დავადასტურეთ **ნანი** ფორმა, მაგრამ ცხადია, მისი ხმარების პრინციპი იგივე იქნება, რაც **ნამუ** „რომელი" ნაცვალსახელისა. მაშასადამე, **ჰამუ, ჰიმუ, ნამუ** და **ჰანი, ჰინი, ნანი** ფორმათა ფუნქციური დატვირთვა ასეთია — გამოხატონ სუბიექტური (იშვიათად ობიექტური) პირი მოქმედების ლოკატიური ორიენტაციის ჩვენებით. ამავე დროს, ისინი, რიცხვის მიხედვით ოპოზიციურ წყვილებს ქმნიან: **ჰამუ — ჰანი, ჰიმუ — ჰინი, ნამუ — ნანი.** იქმნება შთაბეჭდილება, რომ **მუ** ნაცვალსახელური ფუძის საპირისპიროდ გვაქვს **ნი** ნაცვალსახელური ფუძე, რომელსაც ამჯერად სიმრავლის გამოხატვა აკისრია (შდრ. მეგრ. **ენა, ონა** ფორმები).

ჩნდება კითხვა, შესაძლებელია თუ არა, რომ **ჰამუ, ჰიმუ, ნამუ** ფორმებს **-ეფ** სუფიქსით ეწარმოებინათ მრავლობითი რიცხვი. დავიწყოთ იმით, რომ ხოფურსა და ვიწურ-არქაბულში **ნამუ** „რომელი" ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმაა **ნამთეფე** [ჩიქობავა 1936, 84]. **ნამთეფე<*ნამუთეფე** ნაცვალსახელში გამოიყოფა **მუთეფე,** რაც **მუქ** „მან" III პირის ნაცვალსახელის მრავ-

ლობითის ფორმაა. ასევე მეგრულში **ნამუ**-ს მრავლობითი გადმოიცემა **ნამუნეფი** ნაცვალსახელით, სადაც **მუნეფი** ფორმა ასევე III პირის ნაცვალსახელის მრავლობითის გამომხატველია მეგრულში. ის ფაქტი, რომ მეგრულსა და ლაზურის ვიწურ-არქაბულ, ხოფურ კილოკავებში **ნამუ** ნაცვალსახელის მრავლობითი **-ეფ** სუფიქსითაა ნაწარმოები, გვაფიქრებინებს, რომ **ნანი** „რომლები“ ფორმისათვის მრავლობითობის გამოხატვა მეორეულია. ალბათ იგივე ითქმის **ჰანი, ჰინი** ჩვენებით ნაცვალსახელებზეც, მით უმეტეს, რომ ი. ყიფშიძის მიერ ჩაწერილ მასალაში გვაქვს **ჰანეფე** ფორმა: უკაჩხე **ჰანეფეს** მილეთი (კოჩეფე) ოფშა ხავი დიდუ (ყიფ. II, 72, 31) „მათ უკან უთვალავი ხალხით გაივსო... “ არნ. ჩიქობავას ყურადღება მიუქცევია ამ ფორმისთვის: „საგულისხმოა აგრეთვე ათინური **ჰანეფე** 72_{31} ჩვეულებრივი ჰანი-ს ნაცვლად („ესენი“)... “ [ჩიქობავა 1939, XXX]. აქვე თუ გავიხსენებთ ნ. მარის მიერ ზემოთ მოყვანილ ამონარიდში ნახსენებ ფორმას — **ჰონეფეს** [მარი 1910, 34], საინტერესო სურათი იქმნება: **ჰანეფე, ჰინეფე** ფორმებში ან დაჩრდილულია **ჰან-ი** ფორმის მრავლობითობის სემანტიკა და რიცხვის გამოხატვა **-ეფ** მორფემას ეკისრება; ან **ჰან-ი** ნაცვალსახელს არც ჰქონია თავდაპირველად მრავლობითობის მნიშვნელობა და მასში წარმოდგენილია **ნ** ნაცვალსახელური ძირი **ჰა||ჰი** დეიქსისების მომდევნოდ.

***ჰან** და ***ჰინ** ფორმების დაშვებას გვაფიქრებინებს ასევე ყიფშიძისეულ ათინურ ტექსტებში დადასტურებული **ჰინ** ფორმა: **ჰინ**(?) ბოზო-მოთა, სევდა-მუშიშენი მერაღი-ნა უ-თე, **ჰამ** დესტანი გამიღუ (ყიფ. II, 90, 2-3) „იმ შვილიშვილმა, თავისი სევდის გამო ბნელი ფიქრებით შეპყრობილმა, ეს პოემა გადმოიღო“... როგორც ვხედავთ, კონტექსტში ერთდროულად ჩვენებითობის ფუნქციით იხმარება **ჰინ** „იმ, ის“ და **ჰამ** „ეს, ამ“ ნაცვალსახელები. ცხადია, ორივე მხოლოობით რიცხვშია, რამდენადაც მითითებითის ფუნქციით ხმარებისას ჩვენებით ნაცვალსახელებს მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოებათ.

ვფიქრობთ, **ჰინ** ფორმა ისევე დასაშვებია ათინურში, რო-

გორც **ჰიმ, ჰამ** ფორმები. აღსანიშნავია, რომ არქაბულშიც არცთუ იშვიათად გვხვდება **ჰემუ>ჰემ** ფორმები, რაც **ჰიმუ>ჰიმ** ნაცვალსახელთა ბადალია (ი/ე — ხმოვნებს სიშორის აღნიშვნა ეკისრებათ ზანურში). იმავე არქაბულში, კერძოდ, ს. ჟღენტის მიერ ჩაწერილ ტექსტებში, შეგვხვდა **ჰენ** „ის“ ფორმა, რომელსაც აშკარად მხოლოობითობის გაგება აქვს, იხმარება მსაზღვრელის როლში და ჩვენებითობის სემანტიკის მქონეა. მაგალითად, არ იერის ქორტეს ოთხო ჯუმა. **ჰენ** დიდი-ნა რენ, დელი რენ დო გამსარათ ჯოხონს (ჟღ. 127, 28) „ერთ ქვეყანაში იყო ოთხი ძმა. ის, უფროსი რომელიცაა, სულელია და გამსარათი ჰქვია“; „კაჲ-ა ბოზოფეს დობკითხა“-ჲა, თქუ ფადიშარიქ. **ჰენ** დიდი ბოზოს უწუქი... (ჟღ. 132, 19-21)... „კარგიო, ქალიშვილებს ვკითხავო“, — თქვა ხელმწიფემ. იმ უფროს ქალიშვილს უთხრა რომ... “ მაჟურაფე დინჯირეს. **ჰენ** დიდი-ნა რენ-ქი, ჩუმერს (ჟღ. 130, 14) „სხვები დაწვნენ. ის, უფროსი რომელიცაა, ფიქრობს“; **ჰენ** ჭუტა-ნა რენ, ბოზოქ ჩუმერს (ჟღ. 130, 20) „ის გოგო, უმცროსი რომელიცაა, ფიქრობს“; ოკულ **ჰენ** ჭუჭუტა ბოზოს ქოდუჯოხუ (ჟღ. 132, 25) „მერე იმ პატარა ქალიშვილს დაუძახა“; **ჰენ** ჭუტა ბოზოს მაწკინდი-თი ვარ უღუნ (ჟღ. 138, 6) „იმ უმცროს ქალიშვილს ბეჭედიც არა აქვს“...

როგორც ჩანს, ათინური **ჰანი** „ესენი“, **ჰინი** „ისინი“, **ჰანეფე** „ესენი“, **ჰინეფე** „ისინი“, აგრეთვე ათინური **ჰინ** და არქაბული **ჰენ** „ის“ ფორმათა **ნ** ელემენტი ერთი და იგივე ოდენობაა და ნაცვალსახელურ ძირს წარმოადგენს.

ლაზურსა და მეგრულში **ნ** ნაცვალსახელური ძირის არსებობას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ ზანურში გარდაუვალ ზმნებში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად გვაქვს **-ნ** სუფიქსი, რომელიც ზმნას მრავლობით რიცხვშიც გადაჰყვება. პირის ნიშნები კი ზმნაში წარმოშობით ნაცვალსახელური პროკლიტიკა-ენკლიტიკებია.

დასასრულ, ისმის კითხვა: რამდენად დასაშვებია ლაზურში განსხვავებული ფუძეებით [ჰამუ — ჰანი, ჰიმუ — ჰინი] III პირის ნაცვალსახელის მხოლოობითი და მრავლობითი რიცხვის გამოხატ-

ვა? მსგავსი რამ არ უნდა იყოს შეუძლებელი, თუ გავითვალისწინებთ სვანურის ლენტეხური კილოს თავისებურებას — III პირის ნაცვალსახელთა მრავლობითი გადმოიცემა მხოლობითის ფუძეზე სხვა ნაცვალსახელური ფუძის მიერთებით: ალა — ალმინ || ამნილ; ეჯა — ეჯმინ, ხოლო ბალსზემოურში — Არ მრავლობითობის სუფიქსის დართვით [თოფურია 1979, 232; ჩართოლანი 1985, 124-125].

II თავი

პირის მრავლობითობის გამოხატვა ზმნაში

§ 5. სუბიექტური პირის რიცხვის წარმოება I და II სერიის მწკრივებში

შესავალში ითქვა, რომ ზმნასთან მიმართებით რიცხვის კატეგორია ლოგიკური თვალსაზრისით სცილდება სახელთა მრავლობითის ჩვეულებრივ გაგებას. როგორც წესი, ზმნაში აისახება მასთან შეწყობილი პირის (აქტანტის) რიცხვი. აგლუტინაციურ და ამავდროულად პოლიპერსონალურ ენებში ზმნური ფორმა ასახავს იმ და იმდენ პირს, რომელსაც და რამდენსაც შეიწყობს, არა მხოლოდ მატერიალურად მარკირებულს, არამედ ნულოვანი მარკირების მქონესაც. ამიტომაც პირთა რიცხვის გამოხატვის ანალიზისას უპრიანია სუბიექტ-ობიექტის ცნებებით ვისარგებლოთ, რადგან სუბიექტი და ობიექტი ენის ლოგიკურ-სემანტიკური დონის უნივერსალური კატეგორიებია. ამასთან ნებისმიერი ფორმალური კატეგორია (ვალენტობა, აქტანტები, ადგილიანობა...) „ფორმალური მორფოლოგიისა და სინტაქსის აგებას ემსახურება. პირთა რომლობა და როგორობა კი დეფინიციის ძალით, მათ სემანტიკურ, შინაარსობლივ დატვირთვას გულისხმობს“ [მაჭავარიანი 1987, 79]. ამ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რიცხვის კატეგორიასთან მიმართებით, რადგან, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია შენიშნული, ქართველურ ენებში მკაცრად არის დაცული პირი [I, II] ~ არაპირი [III] დიქოტომია სუბიექტური პირის რიცხვის აღნიშვნისას, ხოლო მეგრულ-ლაზურში ეს პრინციპი ობიექტურ პირებზეც ვრცელდება [ასათიანი 1999, 25-26].

აღნიშნული შეხედულება ემყარება იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი საკომუნიკაციო აქტი ორ პირს გულისხმობს. მაშინაც კი, როცა ადამიანი საკუთარ თავთან რჩება, ფიქრით მეორე „მე“-ს მიმართავს. ამიტომაც ვ. ფონ ჰუმბოლდტი დაასკვნის: სწორედ ეს

ნიშან-თვისება, რომელიც მთელ კაცობრიობას ჰყოფს ორ დაპირისპირებულ კლასად — „ჩემი“ („თავისი“) და „სხვისი“ — არის საფუძველი ყოველგვარი საზოგადოებრივი კავშირისა თუ გაერთიანებებისა [ჰუმბოლდტი 1985, 395-399]. ამგვარი დიქოტომია კარგად ჩანს პირის ნაცვალსახელებში. ერთი მხრივ, გვაქვს დაპირისპირება მე ~ შენ, მეორე მხრივ — მე/შენ ~ ის. ფრანგმა ენათმეცნიერმა ე. ბენვენისტმა კორელაციის ამ ორ სახეს შემდეგი კვალიფიკაცია მისცა: ა) **სუბიექტურობის** კორელაცია, როცა ერთმანეთს უპირისპირდება „მე“ სუბიექტური პირი და „შენ“ არასუბიექტური პირი; ბ) **პირიანობის** კორელაცია, როცა ერთმანეთს უპირისპირდება პირი [მე, შენ] და არაპირი [ის] [ბენვენისტი 1974, 264-266]. რამდენადაც ზმნაში რიცხვის გამოხატვა მჭიდროდ არის დაკავშირებული პირის კატეგორიასთან (მხოლოდ პირი შეიძლება იყოს ამა თუ იმ რიცხვის მქონე), საკითხი ასე დგება: აისახება თუ არა პირთა კორელაციის ეს სახეები მრავლობით რიცხვშიც. ე. ბენვენისტის აზრით, აისახება, მაგრამ პირისა და არაპირის მრავლობითის გაგება განსხვავებულია. კერძოდ, „ჩვენ“ სხვა არაფერია, თუ არა მკვეთრად დანაწევრებულ ელემენტთა გაერთიანება, რომელშიც გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს „მე“-ს ზოგჯერ იმ ზომამდე, რომ მრავლობითის შეცვლა შეიძლება მხოლობითის ფორმით. ამის მიზეზი ისაა, რომ „ჩვენ“ არ წარმოადგენს „მე“-ს უბრალო პლურალიზაციას („ჩვენ“ ≠ მე+მე+მე...), არამედ ესაა „მე“, რომლის კონკრეტული საზღვრები წაშლილია, გადაწეულია... [ბენვენისტი 1974, 268]. „ჩვენ“ ბუნდოვნად მიუთითებს იმათზე, ვისაც საკუთარი „მე“-ს გარდა გულისხმობს მთქმელი. მაშინაც კი, როცა კითხვაზე „ვინ შემომიერთდება მე?“ ადამიანების ჯგუფი პასუხობს: „ჩვენ ყველა გიერთდებით“, — თითოეული მეტყველის პოზიციიდან ეს ნიშნავს მხოლოდ ამას: **„მე** გიერთდები და **სხვებიც** (ჩემი აზრით)“ [იესპერსენი 1958, 220-221]. II პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა „თქვენ“ შეიძლება გულისხმობდეს ჩვეულებრივ მრავლობითს, როცა თქვენ=შენ+შენ+შენ... ან, ო. იესპერსენის

ტერმინოლოგიით, მიახლოებით მრავლობითს, როცა თქვენ=შენ+ერთი ან მეტი პირი, რომლებიც არ მონაწილეობენ საკომუნიკაციო აქტში [იესპერსენი 1958, 221].

„ჩვენ“ და „თქვენ“ პირის ნაცვალსახელთა ამგვარი გაგებიდან გამომდინარე, ე. ბენვენისტის აზრით, ზმნის პირი მრავლობითში პირს გაფართოებულად და დიფუზურად გამოხატავს [ბენვენისტი 1974, 269]. მათ საპირისპიროდ, III პირთან გვაქვს ნამდვილი ზმნური პლურალიზმი. სწორედ მესამე პირი, რომელიც თავისი არსით არაპირია, შეიძლება გამოხატავდეს მრავლობითობას, რაოდენობრიობას. ამიტომაც, ე. ბენვენისტის შეხედულებით, ზმნასა და პირის ნაცვალსახელებში მრავლობითი რიცხვი იმდენად მრავლობითობას არ გვიჩვენებს, რამდენადაც უსაზღვრობას. შესაბამისად, ზმნურ ფორმათა დაყოფა მხოლოობითისა და მრავლობითის ფორმებად ხელახლა უნდა იქნეს ინტერპრეტირებული პირის კატეგორიის ჩარჩოებში საკუთრივ პირის (=მხოლოობითი რიცხვი) და გაფართოებული პირის (=მრავლობითი რიცხვი) ურთიერთდაპირისპირების საფუძველზე [ბენვენისტი 1974, 269].

ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ I და II პირი უპირისპირდება III პირს, რომელიც ე. ბენვენისტის მიერ არაპირად კვალიფიცირდება, რაც საკამათოა. ერთი მხრივ, ცხადია, რომ პირველი და მეორე პირები მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელია, ხოლო მესამე პირი — ადამიანისაც და არაადამიანისაც. მეორე მხრივ, პირველი პირის სიმრავლის აღმნიშვნელი „ჩვენ“ გრამატიკულად და ლოგიკურადაც გულისხმობს **მე** (პირველი პირი) + **სხვა პირს**, რა თქმა უნდა, „სხვა ადამიანს“, რომელიც შეიძლება იყოს „შენ“ და „ის“. ეს კარგად ჩანს იმ ენებში, სადაც ინკლუზივი და ექსკლუზივი გარჩეულია:

ჩვენ (ინკლუზივი) = მე (პირველი პირი) + შენ (მეორე პირი)
= მე (პირველი პირი) + თქვენ (შენ + ის)
(მესამე პირი)

= მე (პირველი პირი) + თქვენ (შენ + ისინი
ის (მესამე პირი) + ისინი (მესამე პირები)
ჩვენ (ექსკლუზივი) = მე (პირველი პირი) + ის (მესამე პირი)
= მე (პირველი პირი) + ისინი (ის + ისინი)
(მესამე პირები)

თქვენ შესაბამისად იქნება შენ (მეორე პირი) + ის (მესამე პირი) ან ისინი (ის + ისინი, მესამე პირები). ამ კომბინაციებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ **ის** (მესამე პირი) პირია, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ მიემატებოდა პირველ და მეორე პირებს და ვერ შექმნიდა მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელს*

ნათელია, რომ **ჩვენ**, **თქვენ** ნაცვალსახელებში მოაზრებული **მესამე პირი** ისეთივე პერსონალური პირია, როგორც, **მე** და **შენ**. მაგრამ არსებობს მეორე კატეგორიის (თუ რიგის) მესამე პირი, უფრო სწორად ინპერსონალური პირი, რომელიც, ბენვენისტის ტერმინოლოგიით, არაპირია. იგულისხმება სწორედ სახელთა ის სემანტიკური ჯგუფები, რომლებიც ადამიანს არ აღნიშნავენ. შესაბამისად ნაცვალსახელი **ისინი** თავისი არსით ორგვარია:

(1) ისინი = ის (ადამიანი) + ის (ადამიანი) მესამე პირი
(2) ისინი = ის (არაადამიანი) + ის (არაადამიანი) მესამე არაპირი

თავისთავად, **ისინი** ნაცვალსახელის „ორმაგი" ბუნება კარგად ჩანს მორფოსინტაქსურ დონეზე. კერძოდ, უსულო სახელებით გადმოცემული ქვემდებარის რიცხვის მარკირება ზმნა-შემასმენელში არ ხდება (იხ. III თავი).

ჩვენი აზრით, **მესამე** პირის სემანტიკურმა „დუალიზმმა" განაპირობა მორფოლოგიურ დონეზე რიცხვის გამოხატვისას გარკვეული ასიმეტრია, რაც კარგად გამოჩნდა მეგრულ-ლაზურის მაგალითზეც.

მეგრულ-ლაზურში ისევე, როგორც ქართულში, **პირველი და მეორე სუბიექტური პირები** მრავლობით რიცხვში მარკირებულია **-თ** სუფიქსით ყველა შესაძლო კომბინაციაში: S_1O_2, S_1O_3,

* მსჯელობა მოგვყავს მ. ქურდიანის რეცენზიიდან (იხ. ხელნაწერი რეცენზია ჩვენი საკანდიდატო ნაშრომისა „გრამატიკული რიცხვის სისტემა ზანურში").

S_2O_1, S_2O_3. ეს პრინციპი ერთნაირად ვრცელდება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებზე I და II სერიის მწკრივთა* ფორმებში. ვნახოთ საილუსტრაციო მასალის მიხედვით:

ა) მეგრული

აწმყო:

I პირი — ჩქი **უკეთენთ** დოხორემს ნგერეფი დო ჯოღორემს (ყიფ. 168, 13) „ჩვენ ვუკეთებთ სახლებს მგლებსა და ძაღლებს"; ტყურათ დუც(უ) **იბღორენთ** ვარა... (სამ. 8, 1-4) „ტყუილად თავს ვიტყუებთ, თორემ... " თექ **მუფშენთ** მათ, შხვათი (სამ. 83, 60-10), „იქ ვმუშაობთ მეც, სხვაც"; ამხანაგი **ვორეთ** (ხუბ. 41, 13) „ამხანაგი ვართ"...

II პირი — ამხანაგეფ, **ქაარწყეთ,** ყარსის მუქ მოხვადგნი (ტ. I, 281, 397-1) „ამხანაგებო, ხედავთ, ყარსში თუ რა მოხდა"; ჩქიმ ღოროფილს **ვეჩინენთო?** (ტ. I, 251, 130-2) „ჩემს შეყვარებულს არ იცნობთ?" — მუსიე, პატონი **კითხულენთი**-ნი ჩქიმიჯგურა საწყარს? (ყიფ. 4, 20) „—რასაა, ბატონო, რომ ეკითხებით ჩემნაირ საწყალს?" — პატონი, სამაგალითოს **მირაგადუთ** (ყიფ. 4, 22) „ბატონო, სამაგალითოს („განსაცვიფრებელს") მეუბნებით"; რხამო ნუ **ირჯებუთ** (ხუბ. 21, 17) „ხამივით ნუ იქცევით"...

უწყვეტელი:

I პირი — ოჭუმარეს გამწგმორღვანდეს, უჩენიას **ვორთგდით** (ტ. I, 282, 399-19) „დილით წამოგვყრიდნენ, „უჩენიას" ვაკეთებდით"; ჩქგ თუდოლეშე **მოფუბრინუნდით** (ხუბ. 61, 20) „ჩვენ ქვემოდან მოვფრინავდით"; ისგ **გეფსურენდითგ** დო საფორ დიხას **ფთხორგნდით**

---

* მეგრულ-ლაზურში მწკრივთა რაოდენობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა [მარი 1910, 46, 50-54; ყიფშიძე 1914, 059; ჩიქობავა 1936, 154-156; როგავა 1953; მარგველაშვილი 1983; ჰუმბურიძე 1986, 131-135]. ჩვენ მოგვყავს ძირითად დრო-კილოთა გამომხატველი მწკრივები.

(ტ. I, 283, 1) „იმას გავისტუმრებდით და საფარ მიწას („სანგარს") ვთხრიდით"; ჭყიშის ვა ნოჩქვედგ ჩქი დუს **მითგვოხედითი** ნი... (ყიფ. 22, 25) „მწყემსს არ სცოდნია, რომ ჩვენ თავში ვისხედით"...

II პირი — თქვა მოდნალეთ **ქარგუდითიავო?** (ხუბ. 93, 34) „თქვენ მოსამსახურედ (გამო)ადგებოდითო?"

მყოფადი (სრული):

I პირი — სამანგიეროთ ჩქი **გაგგმოინწყუნთ** ჯგირი ოხორუს (ხუბ. 84, 25) „სამაგიეროდ ჩვენ გამოგიწყობთ კარგ სამოსახლოს"; ჭა ხანც ვა **გიცუნანთია** (ყიფ. 105, 6) „ცოტა ხანს არ წაგიყვანთო"; ტერც სარხოშა **ვამგკიმჭანთ,** დუცუ **ვადობდვანთ** ჯვეშობურო (სამ. 83, 60-15) „მტერს ახლოს არ მოვუშვებთ, თავს არ დავდებთ ძველებურად"; უკული აკა **ვეპუაფუთი** თე ოჭვალი ქიანასი (ტ. I, 84, 164-19) „მერე კი არც ერთი არ ვიქნებით ამ დასაწვავ ქვეყანაზე"...

II პირი — მაჟირა გაჭირებაშე ხოლო **დარსხებაფუანთ** თქვანი დუსგ და... (ხუბ. 55, 33) „მეორე გაჭირვებიდანაც თუ გამოახსნევინებთ თქვენს თავს... " მარა მუჭო ინენს თექ **დოცვილუნთ** დო... (ხუბ. 93, 31) „მაგრამ როგორც კი იმათ იქ მოკლავთ და... " თქვა გიჩქვნა, თქვანი გლახა საქმეთ მა შურც ვა **წამიცხონენთგ** და დო ცოროფილო **ქიცხოვრენთგ** და (ყიფ. 79, 9) „თქვენ იცით, თქვენი ცუდი საქმეებით მე სულს თუ არ წამიხდენთ და სიყვარულით თუ იცხოვრებთ"; ურემუა ვამიჩქუდ და ამდღა **დუმოგურუანთო** (ტ. I, 232, 347-28) „ურმის ხელობა თუ არ ვიცოდი, დღეს შემასწავლითო"...

წყვეტილი:

I პირი — ჯგირი ქობალი **ქობძირითია** ჩანელი (ხუბ. 20, 22) „კარგი პური („ყანა") ვნახეთო ამო-

სული"; ათეშენი **მივოცოთით** სქუა (ხუბ. 93, 32) „ამიტომ დავკარგეთ შვილი"; ასე, მუჟამც **დიბრჩგნითგნ(ი), ქინვოლითგ** გონებასგ (სამ. 16, 10-45, 46) „ახლა, როცა დავბერდით, ჩავვარდით გონებაში"; გვალას მითონთხორილი დგ დო **მითიბლით** თექი დო **ქიმთიიმწყით** (ყიფ. 22, 20) „მთაში გამოქვაბული („გამოთხრილი") იყო და შევედით იქ და მოვეწყვეთ"...

II პირი[3] — მუშენი **ინაცოთით** წყარს თქვანი სქუა? (ხუბ. 93, 31) „რატომ ჩააგდეთ წყალში თქვენი შვილი?" ვარია, მა **გომიტეთია,** ოღონდ თქვანი რახტის ვითოჟირი ფუთით უმონდასი, ფერი **დომიჭკადაფეითია** (ყიფ. 105, 16) „არაო, მე გამიშვითო, ოღონდ თქვენს ლახტზე თორმეტი ფუთით მეტი რომ იქნება, ისეთი გამომიჭედეთო"; ირი დიხაშა **გილართით,** ირი ქიყანა **დიილით** (ყიფ. 79, 3) „ყველგან იარეთ, ყველა ქვეყანა შემოიარეთ"; — **გოკვათით** ანწი, **გეგგმიილით** გური დო ჩხონჩხი (ყიფ. 95, 1) „—გაკვეთეთ აწი, გამოიტანეთ გულ-ღვიძლი"; — **მიდეცონით** მარანიშა დო **ქოჩით** ღვინი (ყიფ. 20, 24) „წაიყვანეთ მარანში და დაალევინეთ ღვინო"...

II კავშირებითი:

I პირი — ხანდა **ვადგვარკათი** თესი (სამ. 84, 61-10) „შრომა არ დავაკლოთ მას"; **გეშებლათ** თი უშქური **დო ოპჭკომათია** (ხუბ. 94, 20) „ამოვიღოთ ის ვაშლი და შევჭამოთო"; **ქიდგვოსორგათ** მოსავალი, **გავამდიდრათ** ოჯახი დო ჩქინ რინაში მომავალი (სამ. 84, 61-18) „დავახვავოთ მოსავალი, გავამდიდროთ ოჯახი და ჩვენი ყოფნის მომავალი"; — **მიდავრთათგ** დო ქალაქი **ქიიბძირუათია** (ყიფ. 47, 13)

[3] მეგრულ-ლაზურში ამ მწკრივის II პირის ფორმები ბრძანებითის ფუნქციით გამოიყენება მსგავსად ქართულისა.

„წავიდეთ და ქალაქი ვინახულოთო“...

II პირი — **ვაცვილათ** თქვანი შურიშ ოჩხონაფალო (ხუბ. 54, 18) „არ მოკლათ თქვენი სულის საცხონებლად“; თი თქვან ჯგგრი ფანიაში სახელი **ვემიცოთათგნი** (სამ. 109, 71-25) „იმ თქვენი კარგი („ბედნიერი“) ოჯახის სახელი არ დაკარგოთ“; მარა თქვათ ნუ გოკონა უდაჩხირეთ **დობჭვათინ** (ტ. I, 75, 147-15) „მაგრამ თქვენც ნუ გინდათ უცეცხლოდ დამწვათ“...

შევნიშნავთ, რომ მეგრულის საანალიზო მასალაში ვერ მოვიძიეთ პირობითი I და II-ის მრავლობითობის მაგალითები, ასევე მყოფადუსრულისა და პირობითუსრულისა, მაგრამ ეს არსებითად არაფერს ცვლის — I და II პირის რიცხვი იმავე **-თ** სუფიქსით გამოიხატება. ამჯერად მოგვყავს ლაზურის საილუსტრაციო მასალა:

ბ) ლ ა ზ უ რ ი

აწმყო:

I პირი — ჭიტა მჭიი **უკათეფთ** დო **პკანკუფთ** (ასათ. 138, 88-38) „ცოტა ფქვილს ვუზამთ („გავურევთ“) და ვნაყავთ“; ბერეფე შქუნი მექთებიშე ვარ **ვოშქუმთ,** ჭარა ვარ **ვოზიტაფამთ** (ყიფ. II, 75, 6) „ჩვენს ბავშვებს სკოლაში არ ვუშვებთ, წერას არ ვასწავლით“; შქუ ხავი კოჩეფე **ვორეთ** (ყიფ. II, 75, 3) „ჩვენ სხვა კაცები ვართ“; ჩქინ აშო მგარინერი **გოვულუთ,** ჯუმა ჩქიმი! (ყიფ. II, 19, 35) „ჩვენ ასე ტირილით დავდივართ, ჩემო ძმაო!“

II პირი — ყურძენი **ომხორთ**-ი თქვან-და (ჩიქ. I, 28, 12) „ყურძენს ჭამთ თქვენაო!“ შარაბი მოთ ვა **შუფთ**-და? (ჩიქ. I, 28, 13) „შარბათს რატომ არ სვამთო?“ თქვან ია მუ **კანკუფთდა?** (კარტ. 1972, 101, 37) „თქვენ ამას რას ნაყავთო?“ თქვა მოთ **ოლდაფუთ** ართიქათის? (ყიფ. I, 13, V-18) „თქვენ რატომ თამაშობთ ერთმანეთთან?“ მუჭო **ხაჩქუმთ?** (დიუმ. 139,

XXXIII-7) „როგორ თოხნით?“ თქვან მუ **ოქომთ?** (ყღ. 19, 18) „თქვენ რას აკეთებთ?“

უწუვეტელი:
I პირი — ვიტოხუთ კოჩი **ვორტოთ** ა ოხორის (ასათ. 117, 12) „თხუთმეტი კაცი ვიყავით ერთ სახლში“; ჩქუნ ჰაკო კაი **ფსქირდუტოთ** (ყღ. 14, 6) „ჩვენ კარგად ვცხოვრობდით („ვრჩებოდით“); უკაჩხე ლაზუტი დიმონჭაშკულე, **დოპტახუმტოთ,** გოდორით **მობიკიდამტოთ** დო **ფთოორუმტოთ** ოხორიშა (კარტ. 1970, 226, 10, 17) „შემდეგ, სიმინდი რომ მოიწეოდა, მოვტეხდით, გოდრით მოვიკიდებდით და ვზიდავდით შინ“; დაჩხური **ბოგზამტოთ,** ნოკანჩხულე **მეპტოჩუმტოთ** (კარტ. 1970, 226, 10-14) „ცეცხლს ვანთებდით, ნაკვერცხლებს ვისროდით... “

II პირი — ბაბა, ტოკსეე ნანა-კალა ონჯიდეს ნა **ოპარამოთამტოთ...** (დიუმ. 125, XXV-12) „მამა, წუხელ დედასთან საწოლში რომ ლაპარაკობდით“...

I კავშირებითი:
I პირი — ჩქინ-თი დიხა მო **მეფჩაპტათ** ფარათე (ყიფ. 6, 6) „ჩვენც მიწას ნუ მივცემთ („გავყიდით“) ფულზე“; ბოზოფეს ოჭარუ მო **ვოგურაპტათ!** (ყიფ. 6, 7) „გოგოებს წერა-კითხვას ნუ ვასწავლით“; ჩქინ ჰუმანიში-ნა **მეიტათ,** სი გისტვინუფთ (ჩიქ. I, 79, 21) „ჩვენ ხვალ რომ შეგხვდეთ, შენ დაგისტვენთ“...

წყვეტილი:
I პირი — შქუ (შკუ) დოლოხე **დოფსქუდოთ** (ყიფ. 73, 30) „ჩვენ შიგნით დავრჩით“; **მოქთოთუ,** ჯინი თხინალი **ქოდოფხედოთუ** (კარტ. 1970, 220, 3-9) „მოვედით, ზემო თხილნარში დავსხედით“; ლანგაიშა ფიცარი **ქეშკებილოთუ,** ჰიქ ფაცხაფე **დოპოთუ** (კარტ. 1970, 220, 3-10) „ქარხნიდან ფიცარი ამოვიტანეთ, იქ ფაცხები გავაკეთეთ“; ნანათქვანიშ ბუძი **ფშვოთ,** ჯუმა **დობივოთ**-და (დიუმ. 25, I-208) „დედათ-

ქვენის ძუძუ ვწოვეთ („დავლიეთ"), ძმები გავხდითო"; თქვანდე-შაქის ნაკო კოჩი მოხთუ, ირი ხოლო **დობოლურინით** (დიუმ. 25, I-216) „თქვენამდე რამდენიც კაცი მოვიდა, ყველა დავხოცეთ"; ჩქინ აწი დუშმანის-ნა **ვოჯგინით** (ყიფ. II, 2, 23) „ჩვენ ახლა მტერს რომ ვაჯობეთ"...

II პირი — არ თქვა **დოლოწკედით,** ბექი ქაიშიმერთ! (კარტ. 1968, 158, 10) „ერთი თქვენ ჩახედეთ, იქნებ ამოიღოთ"; ხჩინიქ ნა დოლოწკედას, **ნუნთხით** დო **ქოდოლოტკოჩით, დოგიბით** დო სუფთას **ქოგესვაით** (კარტ. 1968, 158, 21) „დედაბერი რომ ჩახედავს, ჰკარით, ჩააგდეთ, მოხარშეთ და სუფრაზე დადეთ"; თქვა დაღის კოჩიშ ხორცი **ჰკომით** დო მა ვარ **მომიღით** (დიუმ. 24, I-187, 188) „თქვენ ტყეში კაცის ხორცი ჭამეთ და მე არ მომიტანეთ"; ჰაქ მუშენ **მოხთით?**-და (დიუმ. 25, I-210) „აქ რატომ მოხვედითო?" ჰა ბიჭი **ოდონით** დო თი **ნოკვათით!** (ყიფ. I, 9, IV-57) „ეს ბიჭი წაიყვანეთ და მოკალით („თავი მოჭერით").

II კავშირებითი:

I პირი — ჰამ აღასთი **მებოკვათაფათ!** (ყიფ. II, 31, 2) „ამ ბატონს მოვაჭრევინოთ („მოვაკვეთინოთ")"; „ჩალა **დოპკორობათუ**"-მა... (კარტ. 1970, 221, 3-26) „ჩალა მოვაგროვოთ-მეთქი"; მუ ივენ, მაშქითან ნეკნა-თი **გომწკათ-და** (დიუმ. 23, I-113) „რა იქნება, მეშვიდე კარიც რომ გავხსნათო"; არ ჰექ-თი **მენდებოშქვათ** (დიუმ. 27, I-329) „ერთი იქაც გავგზავნოთ"; ხე დო კუჩხე **ოკობუკორათ** დო ზუღას **დოლოპტკოჩათ**-და (დიუმ. 102, XIV-30) „ხელფეხი შევუკრათ და ზღვაში გადავაგდოთო"...

II პირი — თქვან ვა **დოლოწკედათ** (კარტ. 1968, 158, 19) „თქვენ არ ჩახედოთ"; ფადიშაჰიქ: „ჰადა **დომიხენათ-ნა,** ბოზო მექჩათენ-და (დიუმ. 61,

V-81) „ხელმწიფემ: „ეს რომ გამიკეთოთ, გოგოს მოგცემთო“; ვარ **ძირათ-ნა,** ირი ხოლო კილათენ (ყღ. 78, 32) „რომ ვერ ნახოთ, ყველა ამოხოცეთ“...

როგორც ცნობილია, ლაზურში II კავშირებითის ფუძისაგან იწარმოება მყოფადის სამი ტიპი: **უნონ** მეშველზმნიანი ხოფურში (ჩხალური ვარიანტით); **-ერე** სუფიქსიანი ვიწურ-არქაბულსა და ათინურში; **-ორენ** მეშველზმნიანი არქაბულში.

უნონ მეშველზმნიანს ამჯერად არ შევეხებით, რადგან ის ინვერსიული ზმნების ტიპს განეკუთვნება და მრავლობითის გამოხატვაც სხვა პრინციპს მიჰყვება. ყველაზე ფართო გავრცელებისა და ძირითადი ტიპი მყოფადის წარმოებისა არის **-ერე** სუფიქსიანი. მყოფადის ფორმებში ხშირია ამ სუფიქსის ცვეთა: **-ერე||-რე||-ე**. როგორც არნ. ჩიქობავა შენიშნავს, ხმოვნების შემდეგ **-რე** მიერთვის ზმნას, თანხმოვნების მომდევნოდ კი **-ერე||-ე** გვაქვს. თუმცა, არც თუ იშვიათად, **ე**-ს ერთვის **-ნ**, რომლის მორფოლოგიური ფუნქცია გ. კარტოზიას აზრით, გაუჩინარებულია, თუმცა არქაბულში დადასტურებული **ორენ** დაბოლოება **რე**, **ენ** დაბოლოების პარალელურად, აფიქრებინებს, რომ **-ნ** ბოლოკიდური S_3-ის ნიშანს წარმოადგენს [კარტოზია 2005, 118-119]. მრავლობით რიცხვში, I და II პირში, **-ერე** და **-ენ** სუფიქსების წინ რიცხვის ნიშანი **-თ** დგას. როგორც საანალიზო მასალიდან ჩანს, **-ენ** დაბოლოებიანი მყოფადის ფორმები უფრო არქაბულისთვისაა დამახასიათებელი, განსაკუთრებით უხვადაა იგი ჟ. დიუმეზილის მიერ ჩაწერილ არქაბულ ტექსტებში. მაგალითად, ოხოის ნა **პჭკომათენ** მუთუ ვარ მიღუნან-ჲა (დიუმ. 60, V-7) „სახლში რომ ვჭამოთ, არაფერი გვაქვსო“; ჰემ ნთხა-ბოზო **მომიჲონათენა**-ა (დიუმ. 71, VII-45) „ის თხა-ქალიშვილი მომიყვანეთო“; თქვათი ჩქიმისტერი დღა **ძირათენ** (ყიფ. I, 13, V-24) „თქვენც ჩემისთანა დღე ნახოთ“; სი მუ ღოდარე, ბოზო **მომჩათენ-ი?** (დიუმ. 61, V-78, 79) „შენ რას იზამ, გოგოს მოგვცემო?“ ვა-ნა გზა **დომოგურათენ**-ჲა (დიუმ. 25, I-230) გზა მასწავლეთო“; თქვა მუ **ღოდათენ,** მა მუ ბგორუმ?-ჲა (დიუმ. 81, IX-92) „თქვენ რად გინდათ, მე რას

ვეძებო“... ჰა ფარაფე სო **ბძირათენ?** (ჟღ. 23, 5) „ეს ფული სად ვნახოთ?“

-ერე სუფიქსიანი ფორმები I და II პირში: ხამეფე **გცადათერე** (ყიფ. II, 76, 22) „დანები ვცადოთ“; ოფშა ნეძი უღუნო, **მევიხირათერე!** (ყიფ. II, 77, 16) „ბევრი კაკალი აქვს, მოვიპაროთ“; აჰა, ე ჯუმა, დიჯინი, შქუ-თი **დევიჯინათერე!** (ყიფ. II, 84, 17) „აბა, ძმაო, დაწექი, ჩვენც დავიძინოთ!“ ბოზო-მოთა შქიმი **მექჩათერე** დო დუგუნი **პათერე,** ბოზომოთა **იდონათერე!** (ჩიქ. II, 98, 23) „ჩემს შვილიშვილს მოგათხოვებთ („მოგცემთ“) და ქორწილი გადავიხადოთ („ვქნათ“), შვილიშვილი წაიყვანეთ“...

წყვეტილისაგან ნაწარმოები **პირობითი II-ის** მაგალითია: არ დაღი **ქოგეფხვითკო,** უკაჩხე ჰემ დაღი დაჩხურითო **ოპჭვითკო,** უკაჩხე **დოფაღითკო,** უკაჩხე-თი **დოფხაჩქითკო** (ყიფ. II, 55, 3) „ერთი ტყე უნდა გაგვეკაფა, მერე უნდა გადაგვეწვა, შემდეგ გაგვესუფთავებინა, მერე უნდა მოგვეთოხნა“...

ს. ჟღენტი შენიშნავს, რომ არქაბულში „როდესაც ზმნებში მრავლობითის მაჩვენებელ **თ**-ს მოსდევს სხვათა სიტყვის გადმოსაცემი ნაწილაკი **-და, თ** მყღერდება. მაგ.: „მოდღი ფარა, **ოკობირთად-და**“ (117_{10}-90_{20}) მოიტანე ფული, გავიყოთო; „ჩქუ ოჩალიშუშე **მებულუდ**“-და — ჩვენ სამუშაოდ მივდივართო; „თქვეს: **დობინჯირად-და**“ — თქვეს: დავიძინოთო; **ბოხორონად-და** (ტექ. 62, 8) ვიცეკვოთო, **პად-და** (ტექ. 86, 10) ვქნათო; „ფორჩა **მომიღდ**“-და (ტექ. 62, 10) — პერანგი მომიტანეთო და სხვ.“ [ჟღენტი, 1938, XV]. მსგავსი მაგალითი შეგვხვდა სხვა ტექსტშიც: ბოზოქ უწუ-ქი: **დობინჯირად-და** (კარტ. 1972, 166, 32) „გოგომ უთხრა დავწვეთო“...

ამრიგად, S_1 და S_2-ის ერთადერთი მარკერია **-თ** სუფიქსი მრავლობით რიცხვში. არქაბულში შეიძლება დაჩნდეს **-დ** ალომორფი. რაც შეეხება S_3-ს, მისი მრავლობითობის გამოხატვა **-ან** და **-ეს** ფორმანტებს აკისრია როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნებში. მათი განაწილება მწკრივთა მიხედვით ხდება, კერძოდ, აწმყო დროის ფორმებში **-ან** სუფიქსი გამოიყენება, ხოლო

ნამყო დროის მწკრივებში — **ეს** სუფიქსი. აღსანიშნავია, რომ ამ მორფემებს გარკვეული ცვლილებები მოსდის როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში.

მეგრულში, როგორც წესი, **ან** სუფიქსის თანხმოვნითი ელემენტი დაკარგულია, თუ მას არ მოსდევს კითხვითი ნაწილაკი **-ო** (ჭარუნ-ან-ო? „წერენ?“), ან სხვათა სიტყვის **-ია||-იე** ნაწილაკი (ჭარუნ-ან-ია „წერენო“). არცთუ იშვიათად **-ან** სუფიქსი სრული სახითაა წარმოდგენილი **დო** „და“ კავშირის წინ. მაგ.: ჯარი **უჩქვნან** დო გგმოჩანა საქონელს (ხუბ. 129, 12) „შეკრება (ყრილობა) იციან და ყიდიან საქონელს“.

ა) ა < -ან სუფიქსიანი მრავლობითის ფორმები მეგრულში

აწმყო: თოფი ხეს **უკებუნა** (სამ. 112, 73-47) „თოფი ხელში უპირავთ“; ჩქიმი ჯიმალეფი ბრელცგ ვა **მუშენა** (ყიფ. 69, 30) „ჩემი ძმები ბევრს არ მუშაობენ“; ბოშეფ **გუმოფურინანა** შავარდენი-ქირიცალო (ტ. I, 153, 123-3) „ბიჭები შემომციცინებენ („მაფრინდებიან“) ქორ-შევარდენივით“; ნაყიდერ ჩხოუს **ჰვალგნან** დო **ოგორანა** მარდუალს (ტ. I, 169, 240-1) „ნაყიდ ძროხას წველიან და აგინებენ გამზრდელს“, **მინქილუნა** ოჭკუმალიშა (ხუბ. 85, 35) „მიექანებიან საჭმლისაკენ“; ყარულო **გურენა** ჯიმალეფია (ხუბ. 68, 23) „ყარაულად „უდგანან“ ძმებიო“; **ცხოვრენა** დიდიშე დიდი ცქვაფილო (ხუბ. 32, 35] „ცხოვრობენ დიდად სანაქებოდ“...

მყოფადი: თის რაშიშ კუდელს **ჭეკაკირანან** დო **გუტენა** გოლაშა (ხუბ. 14, 27) „მას ცხენის კუდზე გამოაბამენ და გაუშვებენ მთაში“; ათეჯგურა ცუდეს თენეფი შხვას ხოლო **გაუკეთენანია** (ხუბ. 21, 24) „ამისთანა სახლს ესენი სხვასაც გაუკეთებენო“; ტერეფი **მიდამგღანანია** დიხას გვერდო ნაშინელც (სამ. 90, 65-45) მტრები წამართმევენო ყანას, ნახევრად დანაშენებულს“; ბორკის ხეს **ქიმეთხუნა,** ნთხორილც **ქინაბათქუანა,** ოროს **ქუქგთოდოხოდუნა,** თუთუმც **ქუთუბათქუანა** (ტ. I, 280, 396-11, 14) „ფეხებში („წვივში“) ხელს ჩაავლებენ, თხრილში ჩააგდებენ,

(თვითონ) ჩრდილში დასხდებიან, თამბაქოს გააბოლებენ"; თიწკგმავა ყარულეფი გალე ჰახანს **ქიდირულუანანია** (ხუბ. 126, 8) „მაშინ დარაჯები გარეთ ცოტა ხანს დაიძინებენო"...

ბ) **-ან სუფიქსი ლაზურში** უცვლელად არის შენარჩუნებული III პირის მრავლობითის ფორმებში:

აწმყო — სუმიქ-თი ჰექ **დგინან,** მუთებუაში **ზოპონან** (დიუმ. 117, XX-34) „სამივე იქ დგას („დგანან"), თავისთვის ლაპარაკობენ"; ნთაროს **მოლახენან** (დიუმ. 25, I-199) „თაროში სხედან"; ათეფე **მეკორუფან** დო ბოზოშ ოხორიშა **მენდულვან** (ყიფ. II, 8, 35) „ამათ შეკრავენ... და ქალიშვილის სახლში წავლენ"; მჭკიდიში ნოტეხის ხჩინი ოხორჯალეფეს **ოკითხაფაფან** დო ფუჯის **ქორჩაფან** (ჩიქ. I, 127, 27) „მჭადის ნატეხს მოხუც ქალებს შეალოცვინებენ და ფურს აჭმევენ"; **ქოდოხედუნან** თონის დო **ღაღალაფან** (კარტ. 1972, 115, 1) „დასხდებიან თონეში და ლაპარაკობენ"; ბაშქა კოჩეფე **ოყვენან** დო **ქოხოწონაფან** (ასათ. 213, 126-7) „სხვა კაცები იქნებიან და მიხვდებიან"; ლეტეფე მუ ლაზუტი **ხაშქუმან,** ბრინძი-თი **ხაშქუმან** (ყიფ. II, 74, 9) „თავის მიწაზე სიმინდს თოხნიან, ბრინჯსაც თოხნიან"; ტუფეღი **ქოსუმან** (ყღ. 17, 6) „იარაღს წმენდენ";

ამრიგად, **-ან** S_3-ის რიცხვის ერთადერთი მარკერია აწმყო-მყოფადის მწკრივებში და თავისი ფუნქციით უტოლდება ქართულში **-ენ, -ან** მორფემებს, რომლებიც ზმნის გარდამავლობის მიხედვით ნაწილდებიან; ამგვარი დიფერენციაცია მეგრულ-ლაზურში არ ხდება.

როგორც აღვნიშნეთ, S_3-ის მრავლობითობის ნიშანი ნამყო დროის მწკრივებში არის **-ეს** სუფიქსი. კერძოდ, მეგრულში ამ მორფემით მარკირებულია უწყვეტლის, ხოლმეობითის, პირობითი I და II, წყვეტილის ფორმები. უნდა ითქვას, რომ **-ეს** სუფიქსის პარალელურად იხმარება **-ოს** ფორმანტიც. ი. ყიფშიძე ამ სუფიქსებს უკავშირებს თითქოს ზანურში არსებულ **ს** ფუძიან მეშველ

ზმნას და წერს: „**ს** „существовать" самостоятельно не употребляется. От него имеем форму **ეს,** resp. **ოს** (есть, сущий), сращающуюся с глагольными темами в третем лице прош. несовершенного и аориста" [ყიფშიძე 1914, 106]. ცნობილია, რომ S_3-ის ნიშანი მხოლოობით რიცხვში მეგრულ-ლაზურში სამია: **ს, ნ, უ.** ამათგან **უ** მოუდის მხოლოდ ნამყო დროის მწკრივებს. შესაძლოა, მეგრულში რაღაც საფეხურზე გვერდიგვერდ იხმარებოდა III პირის ნიშანი და რიცხვის სუფიქსიც (შდრ. საშუალ ქართულში მიცემითის S_3-ის აღნიშვნა: -სთ). ამ შემთხვევაში, თავს მოიყრიდა **უე** ხმოვანთკომპლექსი. ვფიქრობთ, **უე→ეე** ფონეტიკურ ცვლილებას ასახავს შემდეგი ფორმები: მინილესგნი, **ქგმგლახვილეეს** ართი დედგბი [<*ქგმგლახვილ-უ-ეს] (ყიფ. 63, 27) „რომ შევიდნენ, შიგ ნახეს ერთი დედაბერი"; მუმასგ **ქეშაატყვინეესგ** [<*ქეშაატყვინ-უ-ეს] (ყიფ. 12, 13) „მამას შეატყობინეს". თავის მხრივ, S_3-ის მრავლობითობის **-ოს** მორფემის წინ დაჩნდება **ო** ხმოვნითი ელემენტი, რომელიც შესაძლოა მწკრივის ნიშანი იყოს. შდრ. I და II პირის ფორმები: **გობნწყი** „გავხსენი", **ობჩი** „ვილაპარაკე" და ა. შ. მაგალითები:

თიჯგურა მოცადინექ **იციოს,** წანამოწანას ჯგირი დუქანი **გოგუმანწყიოს** (ყიფ. 3, 13) „ისეთი ბეჯითები აღმოჩნდნენ, რომ წელიწადში კარგი დუქანი გამართეს („გამოაწყვეს")"; გედირთეს ტარიელემქგ, ქიგედოხოდეს მუშუში რაშემცგ, **გოურქიოსგ...** (ყიფ. 87, 29) „ადგნენ ვაჟკაცები, დასხდნენ თავიანთ რაშებზე, გააჭენეს"; ბრელი **ოჩიოს** შხვა დო შხვა... (ჩიფ. 94, 1) „ბევრი ილაპარაკეს სხვა და სხვა"; იშაგორილი კოჩეფქუ **გაგმოძიოს** (ყიფ. 5, 3) „რჩეულმა კაცებმა გამოიძიეს"; სქუალენქ მუმა **გამკრგიოს** (ყიფ. 79, 12) „შვილებმა მამა გამოიგლოვეს"; ღობერი სერით **დოხიოს** (სამ. 89, 65-19) „ღობე ღამით დაშალეს"; ე შხვა სინჯალემქგ **გეგნოციოს"** (ყიფ. 100, 33) „სხვა სიძეები გადაიკარგნენ"; **გამეეთხიოს** ართიანსგ (ტ. II, 20, 3) „გამოეთხოვნენ ერთმანეთს"... **„გემიწოციოსგ** არძოქგ დო ქგმაზადესგ (ტ. II, 22, 23) „წამოცვივდა ყველა და წინ მიეგებნენ".

ოო→ო/ ō: **გაგგმოინწყოსგ** დო მიდართესგ გვალაშა (ყიფ. 56, 10) „გამოეწყვნენ და წავიდნენ მთაში", ათენერი

პლანიშა **ოკოცის** (ხუბ. 51, 2) „ამგვარი სახით დაიშალნენ"; **თქვენს** სუმი ხოლო ჯიმალენქ (ხუბ. 194, 4) „თქვეს სამივე ძმებმა"; **თქვის** გგმაჯინე კათაქ (ხუბ. 16, 19) „თქვეს ზედამხედველმა კაცებმა"; **ქოცენს** დინახალე აბანაში მინჯექ დო მუში ბოშენქ (ხუბ. 74, 24) „შეცვივდნენ შიგნით აბანოს პატრონი და მისი ბიჭები". **...იჩენს** ჭიჭეხანს (ტ. II, 298, 38) „ისაუბრეს ცოტა ხანს".

როგორც ვხედავთ, **-ის** რიცხვის ალომორფი გვაქვს მხოლოდ წყვეტილის მწკრივში განსხვავებით **-ეს** სუფიქსისაგან, რომელიც უწყვეტელსა და წყვეტილში თანაბრად იხმარება.

შეიძლება ითქვას, რომ მეგრულში S_3-ის რიცხვის ნიშანი {-ეს} წარმოდგენილია */-ეს/* და */-ის/* ალომორფებით, თუმცა ამ უკანასკნელის ხვედრითი წილი მინიმალურია. {-ეს} მორფემას მყარი პოზიცია აქვს როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნებთან. საილუსტრაციო მასალა:

ა) გარდამავალი ზმნები

უწყვეტელი — ოსურსქუას **ათხინდეს** დო ჭკორს **აბზითენდესიინი** (ტ. I, 289, 411-12) „ქალიშვილს ათხოვებდნენ და ყმას მზითევში ატანდნენ"; სუმიხოლოს **პილგნდესგ** წარდგენა დო ჩინიშენი (ტ. I, 276, 386-9) „სამივეს გვკლავდნენ ჩინ-მედლებისთვის"; **სოფუნდესგ** ჭაფურიასგ, **გინააფინანდესგ** ტკილცგ, **ოხუმუანდესგ** (ყიფ. 56, 14) „კრეფდნენ ბალახს („ხევდნენ ჭიაფერს"), გადააფარებდნენ ტკილს და ახმობდნენ..." იმი სერცგ ნდემეფი ვა **მგშაათინანდესგ** (ყიფ. 55, 11) „იმ ღამეს დევები ვერ ბედავდნენ შესვლას... "

წყვეტილი — მუჭოთი **ქოგეგონეს** თენა სქუალენქგ ნი, სუმხოლოქ **მინდომეს** ოგურაფუშა ულა (ყიფ. 7, 14) „როგორც კი გაიგონეს ეს შვილებმა, სამივემ მოინდომა სასწავლებლად წასვლა"; ჭიჭე სარწუმალო **ქუუცოდეს** მუმალეფქ თინეფს სავაჭროთი (ყიფ. 3, 11) „ცოტა რამ წვრილმა-

ნი უყიდეს მამებმა ვაჭრობის დასაწყებად"; ხორციელო **ორჭოფეს,** იშო **გეგგმორჩესია...** (სამ. 75, 52, 16) „ცოცხლად შეგიპყრეს, თანაც გაგყიდესო"; **გოკვათეს** უშქური დო **ოჭკომეს** (ხუბ. 69, 32) „გაჭრეს ვაშლი და შეჭამეს"; **ქიმ̄ღეს** ოქრო დო **ქვდარღვეს** ოხვამეს (ხუბ. 73, 2) „მოიტანეს ოქრო და დაყარეს სამლოცველოში"; მენძელი **ქვმიჭანესჳ** დო დოხუნა **ისხუნესჳ** (სამ. 92, 66-11) „მასპინძელი მოიხმეს და დასხდომა არჩიეს"...

ბ) გარდაუვალი ზმნები

როგორც ცნობილია, /-ეს/ S_3-ის რიცხვის აღმნიშვნელია ქართულშიც, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში მხოლოდ გარდამავალ ზმნებს შემორჩათ ეს დაბოლოება, ხოლო გარდაუვალ ზმნებში მისი ადგილი დაიკავა **-ნენ/** დაბოლოებამ. თუმცა **-ეს** ნიშანი შეიძლება შეგვხვდეს „გარდამავალთაგან გამოსულ გარდაუვალ ზმნებში ცელქობს-იცელქებს ტიპისა" [შანიძე 1980, 178]. მეგრულში, ასევე ლაზურშიც, **-ეს** მორფემა განზოგადებულია — თანაბრად მოუდის როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებითი და საშუალი გვარის ზმნებს. ამ პრინციპით ის უახლოვდება ძველ ქართულს, სადაც **-ეს** მორფემას ასევე განზოგადებული ფუნქცია ჰქონდა.

მაგალითები მეგრულიდან:

უწუვეტელი — ჩიტეფი **ოჰგრჰინგდეს** (სამ. 51, 39-26) „ჩიტები ყღურტულებდნენ"; დაპეჯებული სუმარეფი მუშუშ ცუჩა **ორთუუდესჳ** (სამ. 51, 39-27) „დაპატიჟებული სტუმრები თავიანთ სახლში ბრუნდებოდნენ"; სუმი დღა დო სერს **ქორკინებულენდესჳ** (ყიფ. 81, 14) „სამი დღე და ღამე ჰიდაობდნენ"; დათა დო მუში ჯიმალეფი **ორჯგინანდეს** და... (ყიფ. 16, 33) „დათა და მისი ძმები თუ აჯობებდნენ"... სიმინდიშ გამდიდრებული კათა **ოზინდჳნდეს** ოჭიშის (ტ. I, 193, 293-26) „სიმინდით გამდიდრებული ხალხი იჭიმებოდნენ წელში"...

წუვეტილი — ცირენქ კისერს **ქეითაძღირკეს, ქეითაღურჯოლეს** (ხუბ. 5, 7) „ქალიშვილები ყელზე ჩამოეკიდნენ, შემოეხვივნენ“; **ქეკაჭიშეს** თე ბოშენქ თე მონადირეს შარას (ხუბ. 65, 17) „დაეწივნენ ეს ბიჭები ამ მონადირეს გზაზე“; ზღვაპიჯგშა **გგშელეს** დო **ქეშეხვადეს** მეკარეს (სამ. 97, 66-208) „ზღვისპირას ამოვიდნენ და შეხვდნენ მეჯოგეს“; ბოშემქგ ღუჯი **გააცქვირინესგ** (ყიფ. 93, 18) „ბიჭებმა ყური ცქვიტეს“...

პირობითი II — დუუჩინგ ნდემეფცგ მუში დორთაშა **უყარულესგკო** ნი დო **უჯინესკო** ნი (ყიფ. 65, 5) „დაუბარა დევებს, რომ მის მობრუნებამდე უნდა ეყარაულათ და ეყურებინათ“; ოკო **გიაცუნესგკო**-ნი, გაამათხოზგ ნდემიში ნაულერცგ (ყიფ. 64, 31) „უნდა მიდევნებოდა და მიუყვა დევის ნაკვალევს“; ხოლო სუმი ქალაქეფიშა ოკო **იკილესგკონი** (ყიფ. 4, 30) „კიდევ სამ ქალაქში უნდა ასულიყვნენ“; ოკო **უჯინესგკო** ნი ნდემიში მორდილიში მუულასგ (ყიფ. 64, 29) „უნდა დალოდებოდნენ დევის გაზრდილის მოსვლას“...

აქვე მოვიყვანთ **ლაზურის** საილუსტრაციო მასალას:

უწუვეტელი — მუხარებეშე-ნა მუიტუ, ქარტალეფე, გზას **ჰოფუპტეს** დუშმანეფექ (ყიფ. II, 11, 24) „მუხარებედან რომ აგზავნიდნენ, იმ წერილებს გზაში იჭერდნენ მტრები“; მეჰმედ-ფაშას მუთუ ვა **კითხუპტეს** (ყიფ. II, 11, 24) „მეჰმედ-ფაშას არაფერს არ ეკითხებოდნენ“; ემ ზამანიში კოჩეფექ ემუთე **იქიპტეს** კაბღა (ყიფ. II, 12, 20) „ახლანდელი კაცები იმით **ომობდნენ** („შვრებოდნენ“ ომს)“; უკულე **მოიტეს** ოხორიშა, ჯარი **იმხორტეს,** უკაჩხე **იხორონამტეს,** ზურნა **ოჭანდინამტეს,** დაულითი **მეჩამტეს,** ოხორზალეფე **ტრაღოდამტეს** (კარტ. 1970, 225, 10-9, 10) „მერე მოდიოდ-

ნენ შინ, საჭმელს ჭამდნენ, შემდეგ ცეკვავდნენ, ზურნას აჭყვიტინებდნენ, დოლსაც უკრავდნენ, ქალები მღეროდნენ“; ეშკიაფე ზენგინი კოჩეფე **ნუმჩინამტეს,** ქარტალი **ნუნჭარამტეს** (კარტ. 1970, 226, 10-32) „ყაჩაღები მდიდრებს შეუთვლიდნენ, წერილს მისწერდნენ“;

წუვეტილი — ოთხენეჩ ასქერი-კოჩეფექ სულტანი **ქანაშქვეს** დო სარფიშა **ქომოხთეს** (ყიფ. II, 3, 28) „ოთხმოცმა ჯარისკაცმა სულთანი წაიმძღვარა და სარფში მოვიდნენ“; სუმ წანაშქულე პაპაფეს ჟურ წანა, სუმ წანა ჯეზა **ქომეჩეს** (ყიფ. II, 5, 29) „სამი წლის შემდეგ მღვდლებს ორი წელი, სამი წელი სასჯელი მისცეს“; ბერეფექ მექთებეს მუ **ძირეს,** მუ **ოკითხეს,** ია **ოყვეს** (ყიფ. II, 6, 2) „ბავშვებმა სკოლაში რაც ნახეს, რაც ისწავლეს, ის გახდნენ“; მა ჰაქ **ქოდოლომიტალეს** (დიუმ. 168, LV-74) „მე აქ დამტოვეს“; ეშკიაფექ **გომჩვეს,** ფაა **მენდემიღეს** (ჩიქ. II, 97, 24) „ყაჩაღებმა გამძარცვეს, ფული წამართვეს“; ხოჯეფე-თი **ქოდოდგითეს** (ჩიქ. I, 16-13) „ხარებიც შედგნენ“...

ლაზურში S_3-ის მრავლობითობის **-ეს** ფორმანტს სხვადასხვა სახის ფონეტიკური ცვლილება მოსდის. ცნობილია, რომ ლაზურში **ჲ** შედეგია **ი**-ს დასუსტებისა, ან რეფლექსია **რ, უ, ყ (ც)** ბგერებისა [ჩიქობავა 1936, 13; ქუთელია 1985]. აღსანიშნავია, რომ გ. კარტოზიას მიერ 1970 წელს ჩაწერილ ათინურ ტექსტებში **ჲ** იჭერს **-ეს** მორფემის თანხმოვნითი ელემენტის ადგილს, ანუ **ს** ბგერის რეფლექსადაც გვევლინება **ეს>ეჲ,** მაგ.: ზენგინი **დოეჲ** ჰინი (კარტ. 223, 7, 5) „გამდიდრნენ („მდიდარი გახდნენ“) ისინი“; შქუ ბიტითუშა ლაზუტი ვარ **უღურტეჲ** (219, 1-9) „ჩვენ რომ მივდიოდით, სიმინდი არ ჰქონდათ“; არჰავე მილლეთი მუაჯირი **მენდახტეჲ** (კარტ. 220, 3, 7) „არქაბეში ხალხი მუჰაჯირად წავიდა („წავიდნენ“); აჩიღი ვა **გამეიღამტეჲ, აშქურინერტეჲ** (კარტ.

219, 1-9) „აშკარად არ გამოჰქონდათ, ეშინოდათ“; ჰინი ლაზუტი **ქუღურტეჲ** (კარტ. 219, 1-8) „მათ სიმინდი ჰქონდათ“.

აღსანიშნავია, რომ ათინურისთვის დამახასიათებელი S_3-ის **ეს>ეჲ**პროცესი ბუნებრივია კახური დიალექტისათვის, სადაც ჰ და ს ბგერების რეფლექსია როგორც პირის ნიშნებში, ასევე მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტებშიც [ჯორბენაძე 1989, 315-316]. შეიძლება ითქვას, რომ უკიდურესი დასავლური ქვესისტემა (ლაზური) და აღმოსავლური ქვესისტემა (კახური) ერთგვაროვანი პროცესების მაჩვენებელია.

ს. ჟღენტს შენიშნული აქვს მიცემითი ბრუნვის ნიშნის **-ს**'ს ასიმილაცია (გამჟღერება) სხვათა სიტყვის **დაჲ-ს** დართვის დროს. მაგ. ქორბაზ-დაჲ ← ქორბას-დაჲ „მუცელსო“, არ ნჯაზ-დაჲ ← არ ნჯას-დაჲ „ერთ ხესო“ და სხვ. [ჟღენტი 1938, XV]. ამგვარი გამჟღერება შეიძლება მოუვიდეს **-ეს** სუფიქსის თანხმოვანსაც **დაჲ** ნაწილაკის დართვისას **ეს>ეზ**. მაგ.: ვეზიეფეს ვა **აჯგონეზჲა** დო ქელოღლანი მინ იენია (კარტ. 1972, 158, 28) „ვეზირები ვერ მოერივნენო („აჯობეს“) და ქელოღლანი ვინ არისო“; უჩქურის ეფთი დო ჩქარი ვარ **შემინახეზ-ჲა** (ჟღ. 84, 24) „ვაშლის ხეზე ავედი და არაფერი არ შემინახესო“; კუჭიუინაქ ნანა სქანიში გჲარი მუჭო **მიხენეზ-ჲა** (ჟღ. 60, 17) „კუჭუინამ დედაშენის საჭმელი როგორ გაგვიკეთაო“...

ლაზურში „რომ“, „როცა“ კავშირების როლს ასრულებს **-ში** ნაწილაკი, რომელიც მიერთვის ზმნის პირიან ფორმას [ჩიქობავა 1936, 185]. თუ ეს ნაწილაკი აღმოჩნდა **-ეს** რიცხვის ფორმანტის მომდევნოდ, **ს** თანხმოვანი იკარგვის: **ეს>ე** მაგალითად:

ოპარამითამტე-ში < ოპარამითამტ-ეს-ში: ჰანთეფექ იპარამითამტე-ში ოხოიშე არ ალაჯაკლი ქომოხთუ (დიუმ. 93, XII-171) „ესენი რომ ლაპარაკობდნენ, სახლში ერთი მევალე მოვიდა“;

დიგურე-ში < დიგურ-ეს-ში: ჩირაღეფექ მუნდეს ზანახათი დიგურე-ში ჰემორას დოღურინუ (დიუმ. 99, XIII-39) „შეგირდებმა როცა ხელობა/ხელოსნობა ისწავლეს, იმ დროს მოკლა“;

დაჭკინდე-ში < დაჭკინდ-ეს-ში: დაჭკინდე-ში ბაბამუშიქ მუ-

ამედის უწუ-დორენ (დიუმ. 122, XXIII-3) „რომ დაჭრეს, მამამისს მუჰამედისთვის უთქვამს“...

ზოგჯერ **-ში** ნაწილაკს მოსდევს **-უკულე/I-კულე** „შემდეგ“ თანდებული და ვიღებთ **შკულე** დაბოლოებას: **ქოგდოჭკე-შ-კულე < ქოგდოჭკ-ეს-შკულე:** მუხარებეს (კაბღას) ქოგდოჭკე-შ-კულე, მთელის უღუტეს ჩაქმაღონი ტუფეღი (ყიფ. 12, 17) „მუხარებეში ომის დაწყების შემდეგ („რომ დაიწყეს შემდეგ“), ყველას ჰქონდა იარაღი“;

იდე'შ-ქულე < იდ-ეს-შ-ქულე: ჰაშოფეთე დიდო გზას იდე'შ-ქულე არ ბადი ქონაგეს (ყღ. 27, 5) „ამგვარად გზას რომ დაადგნენ, შემდეგ შემოხვდათ ერთი მოხუცი“; იდე-იდე-შ-ქულე ხოლო არ ღეჯი ქოძირეს (ყიფ. 36, 31) „რომ იარეს, იარეს, შემდეგ ერთი ღორი ნახეს“;

ქოდოგურე-შკულე < ქოდოგურ-ეს-შკულე: დივეფექ გზა ქოდოგურე-შკულე გოჭქოეს-დორენ (დიუმ. 26, 1-251) „დევებმა გზა რომ ისწავლეს, შემდეგ მობრუნებულან“...

მასალიდან ჩანს, რომ **-ეს > -ე** პროცესი არქაბულისთვის არის დამახასიათებელი, განსაკუთრებით უხვადაა დიუმეზილის არქაბულ ტექსტებში.

შეგვხვდა **ეს > ეშ** პროცესის მაგალითიც ასევე **-ში** ნაწილაკის გავლენით (ასიმილაცია): ფეხრი, შუქრი დო ახმედი ჯამეშენ ოხორიშა **ოშოტეშ-ში** (ჩიქ. I, 55, 14) „ფეხრი, შუქრი და ახმედი ჯამედან სახლში რომ მიდიოდნენ“...

ამრიგად, ლაზურში **-ეს** მრავლობითობის სუფიქსი შეიძლება შეგვხვდეს შემდეგი სახეცვლილებით: **-ედ, -ეზ, -ეშ, -ე.**

როგორც ვხედავთ, მეგრულსა და ლაზურში ნამყო დროის მწკრივებში S_3-ის რიცხვის გამოხატვა ხდება {-ეს} მორფემით. როგორც {-ან}, ასევე {-ეს} მორფემათა განაწილებისას მნიშვნელობა არა აქვს ზმნის გარდამავლობასა თუ გვარს, ანუ ქართულისებური დიფერენციაცია (-ან — -ენ; -ეს — -ნენ) მეგრულ-ლაზურში არ ხდება.

ზანურში დიდი ადგილი უჭირავს კავშირებითის, ანუ ნატვრითი კილოს ფორმებს. რა არის S_3-ის რიცხვის ნიშანი ამ

მწკრივებში? ი. ყიფშიძე მეგრულში ნატვრითი (აწმყოს კავშირებითი და მყოფადის კავშირებითი) და II კავშირებითის ფორმებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „в 3-м лице ед. ч. а присоединяется суффиксь ს(ი), а во мн. ч. — ნ(ი)“ [ყიფშიძე 1914; 067; 065]. შესაბამისად, უღლების პარადიგმებში III პირის ფორმები შემდეგი სახითაა შეტანილი: დვან-და-ნ(ი), ჭარუნ-და-ნ(ი), ოგორან-და-ნ(ი)... **-ნ** სუფიქსი ისტორიულად მომდინარეობს **-ან** სუფიქსისაგან, რომელიც კავშირებითი კილოს **-ა-** სუფიქსის გავლენით კარგავს ხმოვანს — ეს პროცესი ერთნაირად განვითარდა მეგრულ-ლაზურში. ამის გათვალისწინებით არნ. ჩიქობავა კავშირებითის ფორმებში S_3-ის რიცხვის ნიშნად **-ან** სუფიქსს ასახელებს [ჩიქობავა 1936; 140, 142]. ალ. ონიანი III სუბიექტური ანუ „სავალდებულო“ პირის ნიშნებად მრავლობითში მეგრულისთვის გამოყოფს /-ან/, /-ა/, /-ნ/ და /-ეს/ სუფიქსებს და აღნიშნავს: „***-ან/, /-ა/*** ალომორფები თანხმოვანთა მომდევნოდ დასტურდებიან, ხოლო ***-ნ/*** — ხმოვნის მომდევნოდ, ამდენად, მათ განაწილებაში ფონოლოგიური პოზიცია იღებს მონაწილეობას“ [ონიანი 1978, 74]. ჩვენი მხრივ, აღვნიშნავდით, რომ მეგრულში **ფონოლოგიურად** შეპირობებული ალომორფებია: ***-ა/, -ან/, -ეს/, -ი ს/*** ხოლო ლაზურში — ***-ეს/, -ე ი/, -ე ზ/, -ე/*** სუფიქსები. რაც შეეხება ***-ნ/*** სუფიქსს, ის **მორფონოლოგიურად** შეპირობებულია, რადგანაც **ან > ნ** პროცესი განხორციელდა მორფემათა — კავშირებითი კილოს **-ა** სუფიქსისა და რიცხვის **-ან** მორფემის — ზღვარზე. ეს პროცესი მთლიანად გავრცელდა მეგრულ-ლაზურზე და, შეიძლება ითქვას, რომ სინქრონიულ დონეზე უღლების პარადიგმაში **-ნ** სუფიქსს თავისი მყარი ადგილი აქვს:

მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას:

II კავშირებითის ფორმები

მ ე გ რ უ ლ შ ი — დო უზოჯგ მუში ჯარც ზღვაპიჯითგ **დიკონანი,** ხმელო **გეგგნორჩანი** დო ცულეთ ზღვაშა **ონილანი**... (სამ. 103, 66, 457-

460) „და უბრძანა თავის ჯარს, ზღვისპირეთით დაიხიონ, ხმელეთზე გაიჩოჩონ და ყულევით ზღვაში ჩავიდნენ“... მუნეფიში მამულგშენი **გეგგმირჩინანი** ქომოლობა (სამ. 101, 66-369) „თავისი მამულისთვის გამოიჩინონ ვაჟკაცობა“; წყარი ქოჩი, წოხოლენი კუჩხეფი ვა **დიშოლანგ** ნი, თეში (ყიფ. 8, 33) „წყალი დაალევინე, წინა ფეხები რომ არ დაისველონ ისე“...

ლაზურში — ოღარღალუ მუსაიბეთიშ-კულე დელიკანლეფე მაჟურანი ოდაშა ონჯირუშა **ოგზალან** (ყიფ. 9, 24) „ყურანზე საუბრის შემდეგ გმირები სხვა ოთახში დასაძინებლად წავიდნენ“; ქამეწილუფან დო სუმ დღა უგდაელეფექ **ქუომხონან** (კარტ. 1972, 87, 9) „დაკრიფონ და სამი დღის უჭმელებმა შეჭამონ“; ნოღამისაში კოჩეფექ, ჯუმალეფექ **აკვანან** ბახჩიში! (ჩიქ. I, 133, 25) „პატარძლის მოყვრებმა („კაცებმა“), ძმებმა მოუტანონ საჩუქარი“; ბაბა! ენთეფეს უწვი დო სო-თი ე კოჩი ოხოი ჩქინიშა **ვარ-მუნდიყონან!** (ჩიქ. I, 21-16) „მამა! ამათ უთხარი და... ეს კაცი ჩვენს სახლში არ წაიყვანონ“.

ამრიგად, სინქრონიულ დონეზე მეგრულ-ლაზურ ზმნაში სუბიექტური პირის მრავლობითობის გამოხატვა ხდება შემდეგი სუფიქსებით: I და II პირებისთვის — **-თ** მორფემა; III პირისთვის — **-ან, -ეს, -ნ** სუფიქსები. ამ უკანასკნელთა განაწილება ხდება მკაცრად დაცული კანონზომიერებით: **-ან** — აწმყოსა და მყოფადში; **-ეს** — უწყვეტელში, წყვეტილსა და პირობითის მწკრივებში; **-ნ** — I და II კავშირებითებში. როგორც რ. ასათიანი აღნიშნავს, „I და II პირის სახელები პირისა და რიცხვის აღნიშვნის თვალსაზრისით ფუნქციონალურად თანაბარი ძალისანი არიან და უპირისპირდებიან III პირის სახელს, რომელიც ამ თვალსაზრისით უფრო შეზღუდულია, დამატებით პირობებს მოითხოვს და იერარ-

ქიულად უფრო დაბალ საფეხურზე მდებარეობს“ [ასათიანი 1999, 20]. ამგვარ დაპირისპირებას კარგად წარმოაჩენს მრავლობითობის მარკერები, რომლებიც ასე შეიძლება ჩაიწეროს:

{-თ} [I, II] ~ [III] {-ან ∞ -ეს ∞ -ნ}

რიცხვის ნიშანთა განაწილების ამგვარი მოდელი მორფოლოგიურ დონეზე სვანურშიც გვაქვს: **-დ [I, II]: [III] -ხ**. საერთოდ, ქართველურ ენებში სუბიექტური პირის რიცხვის გამოხატვის ერთიანი პრინციპია გატარებული — სუფიქსთა საშუალებით გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირები [I, II] და არამონაწილე პირები [III] [ასათიანი 1999, 26], მაგრამ მეგრულ-ლაზურში ეს დიქოტომია დაცულია ობიექტური პირის რიცხვის გამოხატვის დროსაც. სწორედ ეს თავისებურება იქნება ჩვენი შემდგომი მსჯელობის საგანი.

§ 6. ობიექტური პირის რიცხვის გამოხატვა I და II სერიის ფორმებში

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ახალ სალიტერატურო ქართულში ობიექტური უღვლილების სისტემაში მოხდა ცვლილებები: 1. პირდაპირი ობიექტის აღნიშვნის ძველი სისტემა მოიშალა; 2. პირველი ობიექტური პირის (როგორც პირდაპირის, ასევე ირიბის) მრავლობითობა მკვიდრად აღინიშნება **გვ**- პრეფიქსით; 3. მეორე ობიექტური პირის მრავლობითობას გამოხატავს **-თ** სუფიქსი. რაც შეეხება მესამე ობიექტურ პირს, პირდაპირი წყობის დროს ზმნებში მისი მრავლობითობა ძირითადად არ აღინიშნება, თუმცა ზოგიერთ დიალექტში არის ტენდენცია აღინიშნოს **-თ** სუფიქსით [ჩიქობავა 1968, 276-277]. უფრო მეტიც, მრავლობითობის **-თ** მორფემა სულ უფრო დაბეჯითებით იკავებს **-უეII-კე** ფორმანტის პოზიციას, რომელიც ზოგიერთ დასავლურ და აღმოსავლურ დიალექტებში II და III ობიექტური პირის მრავლობითობის გამომხატველი იყო [ქავთარაძე 1974, 229; ჯორბენაძე 1989, 328-329; მელიქიშვილი 1988, 77-78]. ამ ტენდენციამ თავი იჩინა ქართულ სალიტერატურო ენაშიც უკვე XI ს-

დან [სარჯველაძე 1984, 568], განსაკუთრებით ფეხი მოიკიდა მე-16 ს-დან ისტორიულ საბუთებში [სურმავა 1989] და თვალსაჩინოა თანამედროვე ქართველ მწერალთა ენაშიც [კიკნაძე 1987].

როგორც ვხედავთ, ქართულში ობიექტის სიმრავლის გამოხატვის სისტემაში დიდი გარდატეხა მოხდა და ძველი **-ენ**-იანი მოდელი შეიცვალა ახლით (**გვ-; -თ**). როგორია ვითარება მეგრულ-ლაზურში? პირველ რიგში, ზანურის თავისებურებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ **გვ-** პრეფიქსის კვალი ზანურში არ ჩანს, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ მრავლობითობის აღნიშვნა ამ მორფემისთვის მეორეულია [ჩიქობავა 1946, 123; შანიძე, 1980, 169; ონიანი 1978, 236-239]. ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად მეგრულ-ლაზურში იგივე მორფემებია გამოყენებული, რაც სუბიექტთან: **-ან, -ნ, -ეს, -თ,** მაგრამ თითოეული მათგანის გამოყენებისას მკაცრი კანონზომიერებაა დაცული, რაც ორი ფაქტორითაა განპირობებული: 1. ობიექტური პირის რომლობა; 2. სუბიექტური პირის რომლობა და მისი კომბინაციები ობიექტურ პირთან.

(I) მოდელი, რომელიც გამოიკვეთება მეგრულ-ლაზურში, დაკავშირებულია სუბიექტური და ობიექტური პირების შემდეგ კომბინაციებთან: S_1O_2; S_2O_1. ამ შემთხვევაში O_1 და O_2-ის მრავლობითობა გამოიხატება **-თ** სუფიქსით (როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ობიექტისა). მაგალითად:

ა) O_1 და O_2 რიცხვის გამოხატვა მ ე გ რ უ ლ შ ი

$S_2O^{pl}_1$ — ჩქითი კოჩი ვორეთგ დო ნგმგ **ბღოლანთ** ცოდაში გადიდებასია (ყიფ. 158, 18) „ჩვენც კაცნი ვართ და ნუ „გვიზამთ“ ცოდვის გადიდებასაო“; სქანი მეტი მითა პუნანია დო სი ხოლო **მიდინგთოა** (ყიფ. 235, 19) „შენს მეტი არავინ გვყავსო და შენც გვეკარგებიო“; მიოჯინი სქანი ღორონსგ დო სი **დგმაზეეთოა** (ყიფ. 44, 5) „შეხედე შენს ღმერთს და დაგვაზავე“; **დგმართოთგ** სი უკულია დო ართო მიიბშათია (ყიფ. 64, 21) „დაგვიბრუნდი მერე შენ და ერთად წავიდეთო“...

$S_1O^{pl}{}_2$ — გაჭირებას **მუგოშინანთ** ჩქიმი გური ხაშილითი (ტ. I, 168, 132-3) „გაჭირვებას მოგახსენებთ ჩემი დარდიანი („მოხარშული") გულით"; მა თქვა მუჟანს **ქორძირითგნ,** ხეთე **ქიმეცოროფით** (ტ. I, 155, 137-3) „როცა მე თქვენ განახეთ, მაშინვე შემიყვარდით"; მა **გაგიგონითგ** დო დაჩხირი **აკოგირზით** (ყიფ. 8, 28) „მე გაგიგონეთ და ცეცხლი დაგინთეთ"; ართის **დოგიჩინანთია** დო თქვა გიჩქვნანია შიასრულენთია და... (ყიფ. 26, 25) „ერთ რამეს დაგიბარებთ და თქვენ იცითო, როგორ შეასრულებთო!"

ბ) O_1 და O_2-ის რიცხვის გამოხატვა ლ ა ზ უ რ შ ი

$S_2O^{pl}{}_1$ — ჰამ ოხორჯას უწვეს „გდაი **დომიხენამთია?"** (კარტ. 1972, 161-10) „ამ ქალს უთხრეს: „საჭმელს გაგვიკეთებო?" ჩქუ მენდებილათენ-და, სი ჰეშო **მემათხოზათე-ა** (ჟღ. 57, 11) „ჩვენ წავიღებთო, შენ კიდევ დაგვედევნეო"; ჩქინ-ნა აქ **ბძირით,** მითიკალა ვარ თქვა (ჩიქ. I, 46, 26) „ჩვენ რომ აქ გვნახე, არავისთან არ თქვა"; ჩქუნ **მიწვით** დო ჩქუნ-თი ბხაჩქათენ (ჟღ. 6, 21) „ჩვენ გვითხარი და ჩვენც დავთოხნით". ჩქუნ მის **მემიშქვით,** ხასანი ჩქიმი! (ჟღ. 10, 1) „ჩვენ ვის შეგვატოვე, ჩემო ხასან!"

$S_1O^{pl}{}_2$ — ჰაწი მა ბიდარე, გდარი **მოგიღათენ** (ჟღ. 61, 8) „ახლა მე წავალ, საჭმელს მოგიტანთ"; მა ოშკური **დეგიბლათერე,** მა-თი მიშინახით! ვა მიშინახათ-ნა, დუდი **მეგიკვათათერე!** (ყიფ. 80, 15) „მე ვაშლს ჩამოგიყრით, მეც შემინახეთ, თუ არ შემინახავთ, თავს მოგჭრით!" ჰიტა ლაქინი ძიუში, „ბეეფე **ქოგეკჰიშითდა"** დო უჯოხუ (კარტ. 1968, 159, 47) „ცოტა ახლოს რომ ნახა, „ბავშვებო, დაგეწიეთო" და დაუძახა"; ამა მა თქვა **ქოდოგოგუამთ** (კარტ. 1972, 174, 5) „მაგრამ მე თქვენ გასწავლით"; ჰაწი ნთაროს **დოქშინახათდა** (დიუმ. 24, I-183) „ახლა თაროში დაგმალავთო"...

ამრიგად, მეგრულ-ლაზურში O_1 და O_2-ის I და II სუბიექტურ პირებთან დაწყვილებისას, ობიექტის მრავლობითობა აღინიშნება **-თ** სუფიქსით. ამის საპირისპიროდ O_3-ის რიცხვი აღუ-

ნიშვნელი რჩება S_1O_3, S_2O_3 კომბინაციებში. ამჯერად I, II და III პირთა დიქოტომია მიღწეულია იმით, რომ მარკირება ხდება I და II ობიექტური პირისა, ხოლო III ობიექტური პირი არამარკირებულია. პირობითად ეს მოდელი ასე შეიძლება ჩაიწეროს:

{-თ} [I, II] ~ [III] {Ø}

ეს მოდელი ირღვევა, როგორც კი I და II ობიექტური პირი მესამე სუბიექტურ პირთან დაწყვილდება: S_3O_1, S_3O_2. ამჯერად ამოქმედდება მრავლობითობის გამოხატვის სხვა პრინციპი. კერძოდ, ობიექტის რიცხვის მარკირება ხდება S_3-ის ფორმანტებით — **-ან, -ეს, -ნ.** მათი განაწილება მწკრივთა მიხედვით ხდება: **-ან** — აწმყო დროის მწკრივებში, **-ეს** — ნამყო დროის მწკრივებში, **-ნ** — კავშირებითებში. მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას:

ა) O_1 და O_2-ის რიცხვის აღნიშვნა S_3O_1, S_3O_2 კომბინაციებში მ ე გ რ უ ლ შ ი

$S_3O^{pl}_1$ — **აწმყო-მყოფადის -ან||-ა (< -ან) სუფიქსიანი ფორმები:** ჩქით **ოპჭკომუნანია** თინავა (ხუბ. 240, 6) „ჩვენც შეგვჭამსო ისო“; ირი ჩქგნ გასაჭირგშე თინა **ბთხილანა** (ყიფ. 137, 23) „ყოველი ჩვენი გასაჭირიდან ის გვიცავს“; ბზოთონც თგრი **მოჩხუპუნა...** (ყიფ. 162, 30) „ზამთარში თოვლი გვეჩხუბება“; ბექოქ ქეშგმატყვეს და, ჟირხოლოს **დოპილუნა** (ხუბ. 96, 25) „ბექომ თუ შეგვატყო, ორივეს მოგვკლავს“; დედაქ ვეშემიტყვან(ი), ვარა **გობლახუნა** ჟირხოლოს (ტ. I, 247, 103, 3) „დედამ არ შეგვიტყოს, თორემ გვცემს ორივეს“; ვარ, თენა **ვაბღოლანა** ჯგირსია (ხუბ. 237, 18) „არა, ეს არ დაგვმართებს სიკეთესო“...

უწყვეტელი — მყოფადის ხოლმეობითი: -ეს სუფიქსიანი ფორმები: თქვანი სქუა ქორდგკონი, პატის თინა **ჭოფცენდეს** (ხუბ. 93, 28) „თქვენი შვილი რომ ყოფილიყო, პატივს ის გვცემდა; ოჭგმარეს მუდგენ ჟამს **დობგორუნდესია, ქგმობრაცგნდესია, გეპჭვალუნდესია** (ხუბ. 112, 5) „დილით როდისმე მოგვძებნიდაო, მოგვრეკავდაო, მოგვწველიდაო“; ულალუდუკონია დო **დამიფარენდესია** (ხუბ. 137, 15) „ეყეფა და დაგვიფარავდაო“;

ათე პატონი მუს ჯოხოდ, კისერს **მუნობხედესინი** (ტ. I, 289, 412-9, 10) „ეს ბატონი ვინ იყო („რას ერქვა“), კისერზე რომ გვაჯდა“...

წუვეტილი: -ეს სუფიქსიანი ფორმები: ჩქი მუ შქას ვორეთია, მართახით ოჭიში **გემიჭვესია** (ხუბ. 162, 3) „ჩვენ რა შუაში ვართო, მათრახით ზურგი რომ აგვიწვაო“; შარას გლახა დღაქ **ქომგმოჭიშესგ** (ყიფ. 22, 18) „გზაში ცუდმა ამინდმა („დღემ“) მოგვისწრო“; აჰ, ღორონქ სქანი ბედნიერობა **ქგმოძირესია** (ხუბ. 106, 6) „აჰ, ღმერთმა შენი ბედნიერება გვაჩვენაო“; **ვედგმემორჩილეს** ყაზახიქია (ხუბ. 156, 2) „არ დაგვმორჩილდა გლეხიო“; ღრუბელქ **ქიგგმანთხეს** (ხუბ. 75, 32) „ღრუბელი დაგვეცა“...

$S_3O^{pl}{}_2$ — **ა<-ან** სუფიქსიანი ფორმები:
თქვა სქუა **ქედგებადებუნა** წანამოწანაშა (ყიფ. 277, 15) „თქვენ შვილი დაგებადებათ ერთ წელიწადში... “ მარა ვა **გგგანჭყორანი** ღორონთქგ (ყიფ. 79, 4) „მაგრამ ღმერთი არ გაგიწყრეთ“; პილათგ ნი, მუსგ **გოკეთენანია?** (ყიფ. 37, 5) „რომ მომკლათ, რას „გაგიკეთებთ“ („არას გარგებთ“); გეწყინგ და ვაგგმაჭყორა, ნაჭარა მუს **გოცილგნა?!** (სამ. 64, 47-35) „თუ გეწყინა, არ გამიწყრე, წერილი რას გერჩით?“

ბ) O_1 და O_2-ის მრავლობითობის აღნიშვნა S_3O_1, S_3O_2 კომბინაციებში ლ ა ზ უ რ შ ი

$S_3O^{pl}{}_1$ — **-ან** სუფიქსიანი ფორმები: ჩქუნ-თი ხეს **მოქაჩუნან!** (ჟღ. 17, 32) „ჩვენც ხელზე გვექაჩება“; მუნდეს ბაბა ცქანიქ დუღუნ **მიხენანორენ,** მუნდეს **ოკომჭარანორენ,** ჰემინდოს მა ცქანი ბორე (ჟღ. 50-15) „როდესაც მამაშენი ქორწილს გაგვიმართავს, როდესაც (ჯვარს) დაგვწერს, მაშინ მეც შენი ვარ“; ჩქუ ჰეაქ **დომპილანენ** (ყიფ. 64, 26) „ჩვენ ის მოგვკლავს!“ ხოჯაქ იროთე **მომოღერდინამან** (ჩიქ. II, 88, 7) „ხოჯა ყოველთვის გვატყუებს“...

-ეს ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ი ფ ო რ მ ე ბ ი:

ადა კულანიქ **მემობარგეს** ოხოი (ასათ. 143, 91-21) „ამ გოგომ მიგვილაგა სახლი“; ოხრასქირიქ ტოფელი გვერდი გზას **მემოლგირეს** (ვან. 166, 2) „მაზლმა შუა გზაზე თოფი დაგვიმიზნა“; ქელოღლანიქ კავე მუშენი **მომიღეს** მუსაფირეფეკალა? (ყღ. 72, 2) „ქელოღლანმა ყავა რატომ მოგვიტანა სტუმრებთან?“ ამა მანჯე მუშიქ ხოჯი **მემიხირეს-და** (ყღ. 30, 30) „მაგრამ პატრონმა ხარი მოგვპარაო“; ქჩინი, ჰადა თანგრიქ **მომჩეს“** (დიუმ. 60, V-35) „დედაბერო, ეს ღმერთმა მოგვცა“; რუსიქ **დომშვეს, დომხალეს,** ამბაი ვარ გიჩქინ-ი? (ყიფ. 20, 9) „რუსმა დაგვწვა, დაგვბუგა, ეს ამბავი არ იცი?...

$S_3O^{n}{}_2$— **-ან** სუფიქსიანი ფორმები

ჰამ კოინი მიში'ნ, ფადიშაი **გიჭითხანენ,** ჩაქჩაქ ფადიშაიში კოინეფე' ნან თქვითდა (კარტ. 1970, 225, 16) „ეს ცხვრები ვისიაო, ხელმწიფე რომ გკითხავთ, ჩაქჩაქ ხელმწიფის ცხვრებია-თქო, უთხარით“; არ ფუკარაში ბერექ მუფე გოღოდამან (ყღ. 77, 7) „ერთი ღარიბის ბიჭი რეებს დაგიშავებთ („გაგიკეთებთ“).

-ნ სუფიქსიანი მყოფადი (II კავშირებითისაგან ნაწარმოები):

ფადიშაი მულუნ ასკერითე, თქვა **კილანენ** (კარტ. 1970, 225, 19) „ხელმწიფე მოდის ჯარით, თქვენ დაგხოცავთ“; აღაქ ოგნას-ნა, დუდი **მემიკვათა-ნ-ენე** (ყიფ. 80, 28) „ბატონმა რომ გაიგოს, თავს მოგვჭრის!“; სინთი ხოშ ვა გინონ, ქი ჩქინი ასქეი ექ **დომაყვილან?** (კარტ. 1968, 168, 110) „შენც ხომ არ გინდა, რომ ჩვენი ლაშქარი იქ დაგვეხოცოს?“.

როგორც ვხედავთ, (II) მოდელის მიხედვით, O_1 და O_2 სიმრავლის აღნიშვნა ხდება S_3-ის რიცხვის ფორმანტებით: **-ან, -ეს, -ნ.** მესამე ობიექტური პირის მრავლობითობა აქაც აღუნიშნველია: S_1O_3, S_2O_3, S_3O_3 კომბინაციებში ობიექტური პირის Ø ნულოვანი მარკერი გვაქვს.

ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის (II) მოდელი პირობითად ასე შეიძლება ჩაიწეროს:

{-ან∞-ეს∞-ნ} [I, II] ~ [III] {Ø}

მაშასადამე, ობიექტური პირის რიცხვის აღნიშვნის (I) და (II) მოდელში მკაცრადაა დაცული I-II ~ III პირთა დიქოტომია. პირველი და მეორე ობიექტი მარკირებულია, ერთი მხრივ, **-თ** სუფიქსით, მეორე მხრივ — **-ან, -ეს, -ნ** მორფემებით. მათ უპირისპირდება III ობიექტური პირი თავისი უნიშნობით. ის ზოგადი პრინციპი, რომელიც სუბიექტური პირის მრავლობითობის გამოხატვისას ვრცელდება ქართველურ ენებში, მეგრულ-ლაზურში ობიექტთან მიმართებაშიც იჩენს თავს.

როგორ შეიძლება აიხსნას ეს ფაქტი მეგრულ-ლაზურში?

-თ სუფიქსით ობიექტის მარკირებისას, კომუნიკაციის აქტში მონაწილეობს I და II პირები, რომელთა ფუნქცია ურთიერთჩანაცვლებადია. S_1O_2 კომბინაციაში მეორე პირი მსმენელია, ხოლო პირველი პირი — მოუბარი. მაგრამ S_2O_1 კომბინაციაში პირთა როლები შეცვლილია. როგორც ე. ბენვენისტი შენიშნავს, პირველი და მეორე პირის ამგვარ ურთიერთმიმართებაში დევს ენის, როგორც სუბიექტურობით აღბეჭდილი სისტემის არსი. ის, ვისაც „მე" ვუწოდებ „შენ", თავის თავს განიხილავს როგორც „მე"-ს, ხოლო „მე" — როგორც „შენ". შესაბამისად, ენა არსებობს იმდენად, რამდენადაც კომუნიკაციის აქტში ჩართული „მე" და „შენ" პირები თავის თავს მოიაზრებენ სუბიექტად, ანუ საკუთარ რეალობას ანიჭებენ „ეგო"-ს გაგებას.

ცნობილი ლინგვისტი ბოდუენ დე კურტენე წერს, რომ ეგოცენტრიზმი შეიძლება იყოს **ობიექტურიც.** ამის ნიმუშად მეცნიერს მოჰყავს ის ენები, სადაც სქესის კატეგორიაა გარჩეული. მრავლობითი რიცხვის გამოხატვისას ამ ენებში ხდება სქესთა ნიველირება, კერძოდ, მრავლობითში მდედრობითი და საშუალი სქესის ასიმილაცია ხდება მამრობითი სქესის მიერ, ხოლო „არაცოცხალისა" — „ცოცხალის" კატეგორიის მიერ [კურტენე 1963, 80]. ო. ესპერსენი სავსებით ბუნებრივ მოთხოვნილებად მიიჩნევს მამრობითი და მდედრობითი სქესის სულიერი საგნების ერთ ჯგუფში გაერთიანებას მრავლობით რიცხვში. შესაბამისად, ზოგიერთ ენაში იქმნება გარკვეული სინტაქსური წესი, რომლის მი-

ხედვით მამრობითი სქესის რიცხვის ფორმა გამოყენებულია ორივე (მამრობითი, მდედრობითი) სქესის რიცხვის აღსანიშნავად [იესპერსენი 1958, 217]. როგორც ვხედავთ, იმ ენებში, სადაც სქესის კატეგორიაა გარჩეული, მრავლობითში სქესთა ნეიტრალიზაცია ხდება მამრობითი სქესის („პრივილეგირებულის“) ნიშნით, ხოლო იმ ენებში, სადაც კლასის კატეგორიაა გარჩეული, ამგვარი უნიფორმაცია ხდება ნივთის კლასის ნიშნით. მაგალითად, იბერიულ-კავკასიურ ენებში „ადამიანის კატეგორია მრავლობითში არა ჩანს, მის ადგილს ნივთისა იჭერს... მხოლოობითში გარჩეულია ადამიანი (პიროვნება) და ნივთი, მრავლობითში ეს გარჩევა მოშლილია: ხდება დეპერსონალიზაცია“ [ჩიქობავა 1956, 318], თუმცა ზოგიერთ კავკასიურ ენაში, სადაც პიროვან-კლასოვანი უღვლილებაა, მრავლობითშიც შენარჩუნებულია ადამიანისა და ნივთის დაპირისპირება: „ნივთის კატეგორიის ერთი ნიშანი ადამიანთა მრავლობითობას გამოხატავს (ყოველთვის ბ-), ნივთთა კატეგორიის მეორე ნიშანი — ნივთთა მრავლობითობას (უმეტეს შემთხვევაში რ-/დ-)“, უფრო მეტიც, დარგუულსა და ქისტურში „I და II კლასის სახელები მრავლობითის პირველსა და მეორე პირში მრავლობითის ზოგად დ- საწარმოებელს გამოივლენს... იმავე კლასების სახელები მესამე პირის ფორმებში ბ- ფორმანტით წარმოგვიდგება“ [ანდღულაძე 1968, 29; 171]. მაშასადამე კლას-კატეგორიის მრავლობითი რიცხვის I და II პირი ფორმალურად უპირისპირდება III პირს და, ამავე დროს, ყველა შემთხვევაში მრავლობითი რიცხვი გამოიხატება ნივთის კლას-კატეგორიის ნიშნით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეგრულ-ლაზურში ობიექტის მრავლობითის გამოხატვის მოდელების მიხედვით, ერთი მხრივ, დაცულია სუბიექტური ეგოცენტრულობის პრინციპი — აღინიშნება ადამიანის გამომხატველი I და II პირის მრავლობითი რიცხვი: **თ** სუფიქსით, მეორე მხრივ, იმავე პირების მრავლობითობა აღინიშნება III პირის მრავლობითობის **ან, ნ, ეს** სუფიქსებით.

მეგრულ-ლაზურში ობიექტის მრავლობითის გამოხატვის ორივე მოდელის მიხედვით განზე რჩება მესამე პირი, როგორც

არამარკირებული წევრი. მაგრამ რამდენადაც „მარკირება ყოველთვის გარკვეულად გაპირობებულია“ [მაჭავარიანი 1987, 25], პოტენციურად არის შესაძლებლობა არამარკირებული წევრის მარკირებისა, როგორც კი სათანადო პირობები შეიქმნება. ისტორიულად ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი ჩანს ინვერსია, რომელსაც უკავშირდება მორფოლოგიური ობიექტის, იმავე რეალური სუბიექტის მრავლობითობის წარმოების სისტემა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ორგანულ კავშირშია ობიექტური პირის რიცხვის გამოხატვის (II) მოდელთან.

§ 7. ინვერსიის საკითხი და მიცემით ბრუნვაში დასმული RS-ის რიცხვის გამოხატვა

ქართულ ზმნაში ინვერსიასთან დაკავშირებით ორი თვალსაზრისია ცნობილი: არნ. ჩიქობავას შეხედულებით, თანამედროვე ქართულში მორფოლოგიური სუბიექტი და ობიექტი ყოველთვის არ უდრის სუბიექტ-ობიექტს სინტაქსური თვალსაზრისით და ამ მიმართებაში პირისა და ბრუნვის კატეგორიასთან ერთად რიცხვის კატეგორიაც იღებს მონაწილეობას. აქედან გამომდინარე, ინვერსია არის პირთა შებრუნებული წყობა, რაც თავს იჩენს როგორც გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებში, ასევე „მაქვს“, „მიყვარს“ ტიპის გარდაუვალ ზმნებში [ჩიქობავა 1950, 057-058; ჩიქობავა 1968, 131-136]. შესაბამისად, ინვერსია გააზრებულია, როგორც ქართული ენის განვითარებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი ისტორიული პროცესი, რაც დაკავშირებულია მარტივი წინადადების მექანიზმის ევოლუციასთან.

მეორე თვალსაზრისით, „ქართულში ადგილი აქვს პირის ნიშანთა ინვერსიას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ვინის რიგის ნიშნები ერთ შემთხვევაში სუბიექტური პირის აღმნიშვნელად გვევლინებიან, სხვა შემთხვევაში კი ობიექტური პირისა; პირუკუ: მანის რიგის ნიშნები ერთ შემთხვევაში ობიექტური პირების ამსახველებია ზმნაში, სხვა შემთხვევაში კი — სუბიექტური პირებისა“.

შესაბამისად, გარდამავლობა და III სერია არის „აუცილებელი პირობა პირის ნიშანთა ინვერსიისათვის ზმნაში“ [შანიძე 1953, 199-201]. ა. შანიძე არ იზიარებს მოსაზრებას „მაქვს“, „მიყვარს“ ტიპის ზმნათა ინვერსიულობის შესახებ, რადგანაც: 1. გარდაუვალ ზმნაში გამორიცხულია პირდაპირი ობიექტის არსებობა, 2. შეუძლებელია ირიბი ობიექტი სახელობით ბრუნვაში იდგეს [შანიძე 1981, 504-517].

უახლეს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მკვლევართა ერთი ნაწილი უარყოფს ინვერსიის ფაქტს როგორც დიაქრონიულ დონეზე: სავალდებულო და არასავალდებულო პირების დაშვებით ნაცვლად სუბიექტ-ობიექტისა [ონიანი 1978, 33-55], ასევე სინქრონიულ დონეზე: ფორმათა პერფექტული სემანტიკიდან ამოსვლით [უთურგაიძე, 2003], აგრეთვე ქართულის ზმნურ სისტემაში სუბიექტ-ობიექტის კატეგორიის ოპოზიციის მოხსნით და ნაცვლად ამისა ნებელობის ცნების შემოტანით [ასათიანი 1982].

მკვლევართა მიერ შენიშნულია, რომ ინვერსიის პროცესს გარკვეული გრამატიკულ-სემანტიკური საფუძველი აქვს. ინვერსია ხდება „ზმნათა იმ კლასებში, სადაც ვინ-ის რიგია ნეიტრალიზებული, მის მიერ გამოხატული პირის აქტიობის და აგენტურობის ხარისხის დაქვეითების ან სრული დაკარგვის თვალსაზრისით... რაც უფრო იზრდება ზმნის ფორმაში მან-ის რიგის აქტიობა, მისი ეგოცენტრული ფუნქცია, მით უფრო იგრძნობა ფორმის ინტროვერტულობა და ინვერსიულობაც“ [მაჭავარიანი 1987, 84]. ინვერსიის პროცესის დაწყებას მკვლევართა ერთი ნაწილი უკავშირებს სტატიკურ ზმნებს, რომელთა ერთ-ერთი ნიშანია ინვერსიულობა, რაც ზოგიერთ შემთხვევაში საქცეო სისტემის დაშლის შედეგად არის მიჩნეული [სუხიშვილი 1976, 43-49]. მეორე მხრივ, „პრეფიქსიანი ვნებითის ყალიბით ნაწარმოებ ზმნებში გამოიყოფა ერთი ჯგუფი ფორმებისა, რომლებიც გამოხატავენ სხვადასხვა მნიშვნელობებს: შესაძლებლობას, მიჩნევითობას, გუნებას, გრძნობა-აღქმას, ქონა-ყოლას და ა. შ. ყველა ამ ფორმისათვის საერთო სემანტიკური ნიშანია სტატიკურობა“ [დათუკიშვილი 1996,

76]. შესაბამისად, გარდაუვალ ზმნებში გამოყოფენ ლაბილური ინვერსიის რელატიურ ვნებითებს, სტაბილური ინვერსიის რელატიურ მედიოპასივებს და რელატიური აგებულების ძირითადად უგვარო სტატიკურ ზმნებს [მელიქიშვილი 1995]. უფრო მეტიც, დ. მელიქიშვილის აზრით, III სერიის ფორმები წარმოადგენენ არა შესაბამის დინამიკურ გარდამავალ ზმნათა ინვერსიულ ფორმებს, არამედ სტატიკური ზმნებისას, ე. ი. სტატიკურ ზმნათა ინვერსიაქმნილმა გადინამიკურებულმა ფორმებმა გააგრძელეს მოქმედებითი გვარის დინამიკურ ზმნათა პარადიგმა და წარმოშვეს პერფექტულ დროთა ფორმები [მელიქიშვილი 1978, 87].

ბ. ჯორბენაძის თვალსაზრისით, „ინვერსიის მიზეზი ქართულში სულიერ (უპირატესად ადამიანის) და უსულო საგანთა ურთიერთმიმართებაში ძევს: ინვერსიის დროს გრამატიკული ირიბი ობიექტი გამოხატავს სულიერ პირს, ხოლო გრამატიკული ქვემდებარის როლში გამოდის უსულო საგანი“ [ჯორბენაძე 1981, 76]. მკვლევრის აზრით, ქართულში შეინიშნება ინვერსიის მორფოლოგიური აღნიშვნის ტენდენცია, კერძოდ, ხდება ინვერსიის მორფოლოგიური გამოხატვა მრავლობითი რიცხვის ფორმებში: უყვარ-ს მას — უყვარ-თ მათ. აქ „გასათვალისწინებელია ფორმანტთა ურთიერთობის ფაქტორი“ — ქართულში მრავლობითი რიცხვის ფორმანტთა შეხვედრისას რჩება სუბიექტის და არ ჩანს ობიექტის მრავლობითობის გამომხატველი ფორმანტები: ის თქვენ გიხატავ-თ, მაგრამ ისინი თქვენ გიხატავ-ენ. „მაშასადამე, ის, რისი მრავლობითობის აღმნიშვნელიც რჩება სუბიექტურ და ობიექტურ პირთა შეხვედრისას, ენაში გაიგება სუბიექტად, რისიც არა — ობიექტურ პირად. ამის კვალობაზე, კონსტრუქცია: ბავშვებს უყვარ-თ დედები — იმაზე მიგვითითებს, რომ ამ კონტექსტში სწორედ „ბავშვებს“ ფორმაა გაგებული სუბიექტად, თუმცა გრამატიკულად იგი ირიბი ობიექტური პირია“ [ჯორბენაძე 1981, 77]. ე. ი. **-თ** ფორმანტით გამოიხატება მრავლობითობა სემანტიკურად გააზრებული სუბიექტისა და არა მორფოლოგიური სუბიექტისა.

ამგვარად, ქართულში ინვერსიის რამდენიმე გრამატიკულ-სე-

მანტიკური საფუძველია გამოყოფილი: 1) მანის რიგის აქტივობა, ეგოცენტრული ფუნქციის ზრდა; 2) ზმნის სტატიკურობა (პოლიპერსონალური ბუნების სტატიკურ ზმნაში ლოგიკურად პასიური სუბიექტისა და ლოგიკურად აქტიური ობიექტის არსებობა); 3) ირიბი ობიექტის მიმართება **ვინ** ჯგუფის სახელთან (ის ყოველთვის ადამიანის, პიროვნების გამომხატველია). ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, მთავარი სემანტიკური ფაქტორია, რადგანაც სუბიექტის ცნება ენაში უშუალოდ პირის, ადამიანის რაობასთან არის დაკავშირებული (ადამიანი ~ არაადამიანი — ეს დიქოტომია ვლინდება ენობრივ აზროვნებაში ყველა დონეზე). გრამატიკულ დონეზე ინვერსიის პროცესისთვის, როგორც ჩანს, ხელსაყრელი პირობები სწორედ სტატიკურ ზმნებში შეიქმნა. საქცეო სისტემის მოშლამ და ამ სისტემის წევრთა ფუნქციის გადაწევამ ზმნის სტრუქტურის ცვლილებას შეუწყო ხელი. მ. სუხიშვილის აზრით, ეს ცვლილებები აისახა ზმნის პირნაკლობაში, ხმოვანი პრეფიქსის დაკარგვაში, სუბიექტური წყობის არქონაში და სხვ. ამ უკანასკნელმა კი განაპირობა ის, რომ გრამატიკული ობიექტი რეალური სუბიექტის როლში მოგვივლინა [სუხიშვილი 1976, 43-49].

რელატიურ-სტატიკურ ზმნებში ინვერსია რომ გაცილებით მყარი მოვლენაა, კარგად ჩანს მეგრულ-ლაზურის მაგალითზე. რამდენადაც ინვერსია ირიბ ობიექტთან არის დაკავშირებული, დგება მიცემითი ბრუნვის მორფო-სინტაქსური დატვირთვის საკითხიც მეგრულსა და ლაზურში. მეგრულში მიცემითი ბრუნვის ფუნქციური დატვირთვა ქართულის მსგავსია: ის არის როგორც ირიბი, ასევე პირდაპირი ობიექტის ბრუნვა, ასევე — III სერიაში ინვერსიული გარდამავალი ზმნების რეალური სუბიექტი და რელატიურ-სტატიკური ზმნების RS-იც მიცემითში დგას.

მიცემითი ბრუნვის პოზიცია მეგრულში მყარია, რასაც ვერ ვიტყვით ლაზურზე. ლაზურში მხოლოდ ირიბი ობიექტური პირი და ინვერსიული რელატიურ-გარდაუვალი ზმნების რეალური სუბიექტი გადმოიცემა მიცემითი ბრუნვით. ითვლებოდა, რომ გარდამავალ ზმნებში ინვერსია ნაკლებპროდუქტიული აღმოჩნდა —

აქ თურმეობითების წარმოების სხვა სისტემა დამკვიდრდა [მარი 1910, 46; ჩიქობავა 1936, 145], თუმცა გ. კარტოზიამ თავისი გამოკვლევებით აჩვენა, რომ „სინამდვილეში, ინვერსიული თურმეობითები ლაზურში ნაშთის სახით კი არ არის შემორჩენილი, არამედ საყოვლთაოდ არის გავრცელებული. უფრო მეტიც, მათ გამოყენების არე გაუფართოებიათ და, მეგრულის მსგავსად, ზოგ გარდაუვალ ზმნასაც ეწარმოება"... [კარტოზია 2005, 98]. თანაც „ისახება ტენდენცია, გაუთანაბრდეს ზმნის ინვერსიული ფორმები პირდაპირი წყობის ზმნებს სინტაქსური ძალის მიხედვით... აქ არა მარტო ირიბი ობიექტი ინარჩუნებს თავის ბრუნვას, არამედ სუბიექტიც იმავე ბრუნვაში რჩება, რა ბრუნვაშიცაა პირდაპირი წყობის დროს" [კარტოზია 1968, 145]. ჯერ კიდევ, არნ. ჩიქობავამ უ ძ ი რ ა მ უ ნ „უნახავს" ფორმის ანალიზისას მიუთითა პირდაპირ წყობაზე ინვერსიულის ნაცვლად, რაც ათინური კილოს თავისებურებად მიიჩნია [ჩიქობავა 1936, 153], მაგრამ გ. კარტოზიამ დიუმეზილის, ს. ჟღენტის მიერ ჩაწერილ არქაბულ ტექსტებში და მის მიერ მოპოვებულ ხოფურ მასალაშიც გამოავლინა მსგავსი შემთხვევები. მეცნიერის აზრით, „პირდაპირი წყობის ზმნებთან ინვერსიულ ფორმათა გათანაბრების ტენდენცია რელიეფურად იჩენს თავს გარდაუვალ ზმნებში" [კარტოზია 1968, 145-146]. მიუხედავად ინვერსიული კონსტრუქციის რღვევისა ლაზურში, მორფოლოგიურ დონეზე რელატიურ-სტატიკური ზმნა თავის ინვერსიულ სტრუქტურას ინარჩუნებს. ამის დასტურია მრავლობითი რიცხვის გამოხატვის სისტემა.

ცნობილია, რომ რელატიურ-სტატიკური ზმნები მცირერიცხოვანია ქართულში და, შესაბამისად, ზანურშიც. მაგრამ ინვერსიულ ფორმათა რაოდენობას ზრდის პოტენციალისის კატეგორიის არსებობა მეგრულ-ლაზურში. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, პოტენციალისის ერთ-ერთი ნიშანი ინვერსიულობაა, რადგანაც პოტენციალისის რელატიური ფორმა ჩვეულებრივ გამოხატავს რეალური სუბიექტის ქმედების შესაძლებლობას [ჩიქობავა 1936, 110-112; შეროზია 1984, 6-7]. ესაა ა- -ე

პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები ფორმები, რომლებიც ქართულში -ე-ნიანი ვნებითების ტოლფარდია. ჩვენს მასალაში პოტენციალისის ფორმები საკმაოდაა (განსაკუთრებით ლაზურში), მაგრამ ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია ქონა-ყოლების, გრძნობა-აღქმის, მიჩნევისა და გუნების გამომხატველი ზმნებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლაზურში რელატიურ-სტატიკურ ზმნათა ობიექტური წყობის კონსტრუქციები ხშირ შემთხვევაში ირღვევა, მაგრამ **ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა უცვლელია.** ზმნაში წარმოდგენილია **მანის** რიგის პირის ნიშნები და მრავლობითობის **-ან, -ეს, -ნ** სუფიქსები, რომლებიც მრავლობით რიცხვში დასმული რეალური სუბიექტის (მორფოლოგიური ობიექტის) მარკერებია. RS_1 და RS_2-ის მრავლობითობის აღმნიშვნელ ფორმებთან ძნელია იმის დადგენა, მთქმელი რომელ ბრუნვას გულისხმობს, მაგრამ RS_3-ის შემთხვევაში ეს თვალსაჩინოა. ჩვენს ხელთ არსებულ საანალიზო მასალაში 3-ჯერ მეტია მიცემითის ფორმები. მაგალითად:

ა) RS_3 დგას მიცემით ბრუნვაში

აწყო: **-ან** სუფიქსიანი ფორმები

ია **ჯუმალეფესთი** ჩქიმი კაინობა ვა **უნონან** (კარტ. 1972, 42, 9) „იმ ძმებსაც ჩემი სიკარგე („სიკეთე") არ უნდათ"; ჰაკო **ფადიშაღეფეს** მსქვა ბოზოფე **უდონუნან** (კარტ. 1972, 174, 21) „...ხელმწიფეებს ლამაზი ქალიშვილები ჰყავთ"; აწი ე კოჩიშ **ბერეფეს** თის ნოსი ვა **უღუნან,** მუთუ ვარ **ახვენენან!** (ჩიქ. I, 130, 14) „ახლა ამ კაცის ბავშვებს თავში ჭკუა არა აქვთ, ვერაფერს ვერ აკეთებენ („ეკეთებინებათ"); მაჟურანი **ბერეფეს** ვარ **უჩქინან** (დიუმ. 117, XX-21) „სხვა ბავშვებმა არ იციან"; **ანთეფეს** დიდო წკაი **აშვენან** (კარტ. 1968, 166, 67) „ამათ ძალიან სწყურია"; ჩქვა დო მაჟვაა **ფათიშაეფეს აშქუინენან** (კარტ. 1972, 43, 12) „სხვა და სხვა ხელმწიფეებს შეეშინდებათ"; ჟურ **ჯიმას ჰაგოჭკონდუნან** (ასათ. 158, 99-17) „ორ ძმას დაავი-

წყდებათ“...

უწყვეტელი: **-ეს** სუფიქსიანი ფორმები
ფადიშაღ დო ვეზირის დუღუნიშ ოხენუ **უნდეს** (კარტ. 173, 17) „ხელმწიფესა და ვეზირს ქორწილის გამართვა უნდოდათ“; **ანთეფეს უღუტეს** (კარტ. 1972, 19, 17) „ამათ ჰქონდათ“; **ლაზეფეს უჲონუტეს** არ ფადიშაღი (კარტ. 1972, 173, 5) „ლაზებს ჰყავდათ ერთი ხელმწიფე“; თელი **ლაზისტანის** ამუშენ **აშქურინეტეს** (ყიფ. 10, 33) „მთელ ლაზისტანს ამისი ეშინოდა“...

წყვეტილი: **-ეს** სუფიქსი
ანთეფეს აშქუინეს (კარტ. 1968, 150, 19) „ამათ შეეშინდათ“; **ბეეფეს** მუ **ალოდეს** (კარტ. 1972, 44, 34) „ბავშვებს რა დაემართათ“; **კულანეფეს** ჩობანი ნა ღუუ, კაი **აწონეს** (ასათ. 68, 29-51) „გოგოებს, მწყემსი რომ მოკვდა, ძალიან გაუხარდათ“; **კოჩეფეს გვაკვიეს,** „ადა მუ ენდა?“ (კარტ. 1968, 161, 80) „კაცებს გაუკვირდათ, ეს რა არისო?“ **ჰანთეფეს** ყურ ბერე **დავეს** (დიუმ. 89, XI-7) „ამათ ორი ბავშვი ეყოლათ“; **კოჩეფეს** ხოჯა ვა **მაღერდინეს...** (ჩიქ. I, 9-8) „კაცებმა ხოჯა ვერ მოატყუეს („ვერ შეძლეს მოტყუება“)...

ბ) RS_3 დგას სახელობით ბრუნვაში

სუმ **ჯუმა** ბაბა ნიშიშე ცარ დიბი უშკური **უღურთეს** (ჩიქ. II, 130, 1) „სამ ძმას მამისგან ერთი ვაშლის ხე ჰქონდა“; ოთხი-ხოლო **ჯუმა** ოხორჯალეფე **მიყონუნან** (ყიფ. 645, 11-2) „ოთხივე ძმას ცოლები გვყავს“; **მთინთი დვაყვეს** არ ყუჯი ბეე (კარტ. 1972, 114, 33) „მათაც ეყოლათ ერთი ყრუ ბავშვი“; **ზენგინეფე აშკურინეტეს** დო მეჩამტეს (კარტ. 1970, 227, 1) „მდიდრებს ეშინოდათ და აძლევდნენ“; ბელქი **კონჩეფე** შქიმი **ქუშკუნან** (ჩიქ. II, 137, 26) „შეიძლება ჩემმა კაცებმა იციან“;

შეიძლება ითქვას, რომ როგორც **ა)**, ასევე **ბ)** შემთხვევაშიც,

რეალური სუბიექტის მრავლობითობა ზმნაში გამოხატულია **-ან** სუფიქსით აწმყო-მყოფადის მწკრივში, **-ეს** სუფიქსით ნამყოს მწკრივებში; კავშირებითში მოსალოდნელია **-ნ** სუფიქსის დართვა: უღუტ-ა-ნ „ჰქონდეთ“, აშქუინ-ა-ნ „შეეშინდეთ“... მრავლობით რიცხვში რელატიურ-სტატიკურ ზმნებში ინვერსიული წყობა უფრო მყარია, ვიდრე მხოლობითში. გ. კარტოზიას აზრით, ლაზურში ინვერსიულ ზმნებთან „ნაირიბალი პირმიუმართავი ობიექტის მიცემითში დასმის შემთხვევები“ სრულ ანალოგიას ჰპოვებს ძველ ქართულში დადასტურებულ მოვლენასთან: „მესამე სერიის მწკრივებში ნაირიბალი პირმიუმართავი ობიექტი სპორადულად მიცემითშია დასმული“, როგორც ქართულში, ასევე ლაზურშიც ეს პროცესი გვიანდელი ჩანს [კარტოზია 1968, 144-145]. ჩვენი აზრით, ამის დასტურად მრავლობითის ფორმებიც გამოდგებოდა. ვფიქრობთ, რომ მრავლობითობის -ან, -ეს, -ნ სუფიქსების არსებობა ზმნაში ძლიერი არგუმენტია ინვერსიული წყობის შესანარჩუნებლად, რადგანაც, ფაქტია, რომ ქართულშიც და მეგრულ-ლაზურშიც ინვერსიის პროცესი დასრულდა მაშინ, როცა ის გრამატიკულადაც გაფორმდა ენაში, ანუ ზმნის ფორმაში გაიჩინა თავისი წარმომადგენელი მრავლობითობის სუფიქსის სახით [მელიქიშვილი 1978; ჯორბენაძე 1981]. ლაზურში, სადაც მიცემითი ბრუნვის ფუნქციები მინიმალურია და საუკუნეთა მანძილზე არამონათესავე (ბერძნული, თურქული) ენების ძლიერ ზეწოლას განიცდიდა, ბუნებრივი იქნებოდა, რომ არა თუ რელატიურ-გარდაუვალ ზმნებს შეენარჩუნებინათ ნომინატიური კონსტრუქცია, არამედ რელატიურ-გარდამავალი ზმნებიც გადასულიყვნენ ნომინატურ კონსტრუქციაზე, მაგრამ ეს პროცესი არ მოხდა. პირიქით, ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა განაპირობებს კონსტრუქციის შენარჩუნებასაც. რელატიურ-სტატიკურ ზმნებში დამკვიდრებული მოდელი **RS**-ის რიცხვის გამოხატვისა საკმაოდ მდგრადი აღმოჩნდა. ამ მოდელის თანახმად, RS_3-ის მრავლობითობის გამომხატველი ფორმანტები ანალოგიით გადავიდა პირველსა და მეორე პირში. მაგალითები:

ა) RS_1-ის რიცხვის აღნიშვნა ლაზურში

-ან სუფიქსიანი: ანთეფე ოხორის **მინონან...** (ყიფ. I, 10, 11-8) „ესენი სახლში გვინდა“; კაბაეთი ხვალა ჩქინ ვა **მიღუნან** (კარტ. 1972, 45, 23) „ღვინო მარტო ჩვენ არა გვაქვს“; მსქიბუს ჩქი კოჩი მითი ვა **მიყოუნან** (ასათ. 123, 73-22) „წისქვილში ჩვენ კაცი არავინ არა გვყავს“; ჩქუ ჰადა ვარ **მაჭკომენან** (ჟღ. 56, 9) „ჩვენ ეს არ გვეჭმევა“; ეკონაი ფიათი მომჩი, მუკო ნა ანდღა ოხოის **დომიბალუნან** (კარტ. 1968, 172, 12) „იმდენი („იმდენი ფასი“) მომეცი, რამდენიც დღეს შინ გვეყოფა“; ჩქუ გუი ვა **მომალემან!** (ჩიქ. II, 66, 7) „ჩვენ გული არ მოგვდის“; ჩქუ ვეზირიშა **მაშქურნაფუნან** (ყიფ. 31, 5) „ჩვენ ვეზირისა გვეშინია“; ხოჯაქ მუ თქვასერე, შქუ ვა **მაჯერენან!** (ჩიქ. II, 88, 8) „ხოჯამ რაც უნდა თქვას, ჩვენ არ გვჯერა“; სანქის ვა **მახორონენან** (ჩიქ. I, 50, 9) არ გვეცეკვება“.

-ეს სუფიქსიანი ფორმები:

ჩქინ ყონა **მიღუტეს** (ასათ. 207, 119, 12) „ჩვენ ყანა გვქონდა“; ეგერ ბაბა ჩქიმი ვა რტუკონ-ნა, უშქიი ჰიჩ ვა **მაჭკომეტეს** (ჩიქ. I, 67, 23) „მამაჩემი რომ არ ყოფილიყო, ვაშლს ვერ შევჭამდით („ვერ შევძლებდით ჭამას“); ჰაწი არ შეი **გომოჭკონდეს** ჰე ქარმატეში, ჰე-თი დოფთქვათ! (ჩიქ. II, 61, 17) „ახლა ერთი რამ დაგვავიწყდა წისქვილზე, ისიც ვთქვათ“; ჩქუნ ჰაშო **მემაფიკორეს** (ჟღ. 3, 25) „ჩვენ ასე მოგვაფიქრდა“; სოღუნი გდარი **მამშქორინეს** (ყიფ. 32, 16) საჭმელი მოგვშივდა“...

ბ) RS_2-ის რიცხვის გამოხატვა ზმნაში

ჰეშო **მეგომსქუნან** ზენგინეფეს (ჟღ. 56, 17) „ასე მოგიხდებათ მდიდრებს!“ კულანეფე-ჩქიმი, ნანათქვანი ვორე, ვა **გაშქუონან** (ასათ. 1968, 114, 31) „ჩემო შვილებო, დედა-თქვენი ვარ, ნუ გეშინიათ“; სო რენ, სო **გდონუნან?** (ჟღ. 17, 27) „სად არის, სად გყავთ“; ჩქიმი ხალი თქვან ვა **გიჩქინან** (კარტ. 1972, 13, 29) „ჩემი მდგომარეობა თქვენ არ იცით“; ნგდადი **გინონან-ი?** -და მკითხეს (დიუმ. 164, LIV-6) „საჭმელი გინდათო?“ — გვკითხეს“; ჯუმალეფე-თი **ჭოგაჭკომენან** (ასათ. 156, 98-36) „ძმებიც შემოგეჭმევათ“...

ამრიგად, ლაზურში რელატიურ-სტატიკურ ზმნათა მრავლობითის წარმოების მოდელი ასეთია: როდესაც **RO** მესამე პირია და მასთან კომბინაციაში შემოდის **RS$_1$, RS$_2$, RS$_3$** — სამსავე შემთხვევაში **RS**-ის რიცხვი აღინიშნება ერთი და იმავე აფიქსით: **-ან** მორფემით აწმყო დროის მწკრივებში; **-ეს** სუფიქსით — ნამყო დროის მწკრივებში, **-ნ** სუფიქსით — კავშირებითში. ეს მოდელი ვრცელდება მთლიანად მეგრულზეც. ამჯერად მოვიყვანთ **მეგრულის** საილუსტრაციო მასალას:

ა) RS-ის მრავლობითობის გამოხატვა აწმყო-მყოფადში -ან||-ა (<ან) სუფიქსით

I პირი — ოჭკომალი ირფელი **მიღუნანია** (ხუბ. 150, 18) „საჭმელი ყველაფერი გვაქვსო“; სი ვარია, ჩქითი **ქომიჭირანია** (ყიფ. 27-20) „შენ კი არა, ჩვენც გვიჭირსო“; ჟგრი დღასგ შურ(ი) **მიდგგნა** დო ხოლო ართიან(ი) ვა **მოცოდგნა** (სამ. 62, 46-33) „ორი დღე სული გვიდგას და ერთმანეთი კი არ გვეცოდება“; თენა ირკოცგ **ბჯოგგნა** (სამ. 16, 11-6) „ეს ყველას გვძულს“; ხეშა **ვადგმახვარხვალენა** ხუჯ თოფიში ტახილეფი (ტ. I, 279, 395-11) „ხელს ვერ ვანძრევთ („არ შეგვეძლება განძრევა“) თოფით მხარდატეხილები“...

II პირი — გიოდვით სახელი, მუ **გოკონანი** (ხუბ. 26, 22) „დაარქვით სახელი, რაც გინდათ“; თით **შეგილებუნა** ასე დემორჩილათიე (ხუბ. 158, 3) „ისიც შეგიძლიათ, ახლა დაემორჩილოთ“; თქვა ვა **გოსქუნა** ჩქიმი ნჯარება (სამ. 63, 46-54) „თქვენ არ გშვენით ჩემი გამოჯავრება“; ჩელა, ბუსქა, მუ გიჭირა, კოლექტივი მინჯეთ **რცუნა** (ტ. I, 36, 63-13, 14) „ჩელა, ბუსკა რა გიჭირთ, კოლექტივი გყავთ პატრონად“; ალმასეფი **გიცორა** დო ვართ ხვარენთი მანჯანეფს (ტ. I, 113, 202-31) „ალმასები გიყვართ და არც კადრულობთ („ხმარობთ“) მარჯნებს“...

III პირი — დასურო ჩქიმი გურიჭუა **ქულუნანდა** (ხუბ. 35, 32) „თუ მართლა ჩემი გულისტკივილი აქვთ“; მუ **ოჭირჭნანი** ვა მიჩქგ... (სამ. 87, 63-57) „რა სჭირთ,

არ ვიცი... " ძღაბენს ქომონჯ **ვაშიბუნა** (ტ. I, 238, 33-3) „გოგოებს ქმარი ვერ უშოვიათ"; **ონარლგნა** დალეფს (ხუბ. 135, 14) „ენაღვლებათ დებს"...

ბ) RS-ის რიცხვის გამოხატვა -ეს სუფიქსით:

უწყვეტელი:

I პირი — სქუა ჩქე **ვაპუნდეს** (ხუბ. 93, 30) „ჩვენ შვილი არ გვყავდა"; თე ჩქიმი ჯიმა დინგდგნ **მიჩქედესია** (ხუბ. 106, 37) „ეს ჩემი ძმა დაიკარგებოდა, გვეგონაო"; სახორციელესია ხოლო **ბჯოგუდესია** ჩქია ართიანია (ხუბ. 111, 31) „სიცოცხლეშიც გვძულდაო ჩვენო ერთმანეთი"; ჩქია სახორციელესია ხოლო თაში **მიცორდეს** ართიანია (ხუბ. 111, 28) „ჩვენ სიცოცხლეშიც ასე გვიყვარდა ერთმანეთიო"...

III პირი — მუჯო მუნეფს **აშქიდირუაფუდესგნი** თეში (ხუბ. 33, 4) „როგორც მათ ეკადრებოდათ ისე"; მარა პაპაში უმუშოთ ხვამა **ვეშულებუდესგ** (სამ. 92, 66-13) „მაგრამ მღვდლის გარეშე ლოცვა არ შეეძლოთ"; ინეფიში სახენწგფოში დიხაშა კუჩხიში გედგგმაშათი **ოშქურუდესგ** (ყიფ. 81, 31) „იმათ სახელმწიფოში მიწაზე ფეხის დადგმისაც ეშინოდათ": გრანიცეფიშა პარახოდეფი **გილალედესგ** (ყიფ. 3, 15) „საზღვარგარეთ ხომალდები დაუდიოდათ"...

წყვეტილი:

I პირი — ვეგელუდი დო ქგმორთიე, **მახოლესია** (ხუბ. 39, 28) „არ გელოდი და რომ მოხვედი, გაგვიხარდაო"...

III პირი — ექ **ეწყინეს** უჩაში დალენს (ხუბ. 61, 18) „ეს ეწყინათ უფროს დებს"; ქიმერთუნ, **ახოლეს** (ხუბ. 45, 12) „რომ მივიდა, გაუხარდათ", ბოლოს **გეურჩქინდეს** ართ ოსურსქუაქ (ხუბ. 138, 29) „ბოლოს გაუჩნდათ ერთი ქალიშვილი".

RS-ის მრავლობითობა კავშირებითში **-ნ** სუფიქსით არის მარკირებული. მაგ.: **გიცორდ-ა-ნ-ი** ართიანი (ყიფ. 79, 6) „გიყვარდეთ ერთმანეთი“; **რწანდ-ა-ნ-ია** ართიანი (სამ. 90, 65-78) „გწამდეთო ერთმანეთის“; ათექ **გაშქოპყორდ-ა-ნ...** (სამ. II, 5-39) „ეს არ დაგავიწყდეთ...“

ამრიგად, რელატიურ-სტატიკურ ზმნებში საქცეო სისტემის მოშლის შედეგად მოქმედება და ზოგადად მთელი სამეტყველო სიტუაცია მიმართულ იქნა მიცემითი ბრუნვით გადმოცემული პირისაკენ. ეს უკანასკნელი კი ყოველთვის გამოხატავდა ადამიანს, პიროვნებას. ინვერსიის შედეგად, მიცემითი, როგორც პერსონალური პირი, ლოგიკურად, ფუნქციურად სუბიექტად იქნა გაგებული. შესაბამისად, RS_3-მა შეიძინა + პიროვნების ნიშანი. შეიძლება ითქვას, რომ ინვერსიულ ზმნებში RS_1, RS_2, RS_3 — თანაბარი ძალის მქონე პირებია, რომელთა მრავლობითობის გამოხატვაც ერთსა და იმავე მორფემას ეკისრება. შესაბამისად ინვერსიულ ზმნებში გვაქვს მხოლოდ ერთი სახის დაპირისპირება: **RS ~ RO**, ანუ სუბიექტისა და არასუბიექტის დაპირისპირებაში მრავლობით რიცხვში მხოლოდ სუბიექტია მარკირებული.

თუ გავითვალისწინებთ, რომ III სერიის გარდამავალი ზმნების ინვერსიული ფორმებიც ისტორიულად გარდაუვალ ზმნებადაა მიჩნეული [როგავა 1975, 277; მელიქიშვილი 1978; არაბული 1984, 25-26], არაა მოულოდნელი, რომ **RS**-ის მრავლობითობის გამოხატვის მოდელი რელატიურ-სტატიკური ზმნებიდან გავრცელდა III სერიის ინვერსიულ გარდამავალ ზმნებზე. პირველ რიგში, ეს ითქმის მეგრულზე, სადაც III სერიის ინვერსიული ფორმები ეწარმოებათ როგორც რელატიურ-გარდამავალ, ასევე რელატიურ-გარდაუვალ ზმნებს. მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას:

	RS-ის რიცხვის აღნიშვნა III სერიის მწკრივებში
I თურმეობითი:	**-ან||-ა (<-ან) სუფიქსიანი ფორმები** — ხვალე ვორდითია დო კოჩი **ქიშებძინებუნანია** (ყიფ. 102, 1) „მარტო ვიყავით

და კაცი შეგვძენიაო"; ჭურია დო კახეშ(ი) დუცუ **მიცხოვრებუნა** შხვა ფარანც (სამ. 117, 78-42) „ჭურია და კახეს თავზე გვიცხოვრია ერთხანს"; აი, ჯიმაღურელი, მუზმა ხანც **ქვნობრულუენაია** (ყიფ. 81, 22) „აი, ჩემო ძმაო („ძმამკვდარო") რამდენ ხანს გვძინებიაო"; აი ათენერი ხერხით **დუუღორებუნა** (ყიფ. 12, 15) „ამგვარი ხერხით მოუტყუებიათ მგზავრები"; **ეუკინუნა** დო **დუუცვილუნა** ხოჯი (ყიფ. 12, 8) „ამდგარან და დაუკლავთ ხარი"; ართიშახგ თე **ვეზირენს** ძალამი მუთუნი სამართალი **გუურჩქინუუნანი** (ტ. II, 330, 19) „ერთხელაც ამ ვეზირებს რაღაც სამართალი რომ გაუჩენიათ"; მეფეში **ოსურისკუალენს,** სუმს **მედინაფუნა** ოქროში ბეჭედეფი (ტ. II, 326, 36) „მეფის ქალიშვილებს, სამს დაჰკარგვია ოქროს ბეჭდები".

-ეს სუფიქსიანი ფორმები II თურმეობითი:

გიმასიზმარგ, ღორონთემც **გეგგმურთუმუდესი** თუდო (ტ. I, 23, 40-1) „დამესიზმრა, ღმერთები ჩამოსულიყვნენ ძირს"; გორდემს მეურემეფი ვიშო **გოულახუდეს** (ტ. I, 232, 347-20)" „ბაყაყებს მეურმეები იქით უცემიათ"; მეურემეფს ულუნა დო სუდის **უჩივლებუდეს** (ტ. I, 232, 347-22) „მეურმეებს უვლიათ და სასამართლოში უჩივლიათ"; ხაზინას **ქოგენთხაფუდეს,** კარი **გეგგლუტახუდეს,** ფარა **გეგგმუღალუდეს,** ნაბადი **ქოგგნაფახუდეს** (ტ. I, 231, 347, 13-16) „ხაზინას თავს დასხმიან, კარი ჩამოემტვრიათ, ფული გამოეტანათ და ნაბადი წამოეფარათ".

გ. კარტოზიას მიერ ლაზური კილოკავების დიალექტების მიხედვით მოპოვებულ მასალაშიც გარდამავალი თუ გარდაუვალი

ზმნების ინვერსიულ ფორმებში **RS**-ის მრავლობითობა გამოხატულია **-ან** და **-ეს** სუფიქსებით შესაბამის მწკრივებში. მაგალითებს მოვიყვანთ მისი მონოგრაფიიდან „ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში“ (გვ. 99-102):

I თურმეობითი: **ქოდულუბღაფუნან** „ჩაუყრიათ“ (კარტ. II, 306_{11}), **ქოდოგურაფუნან** „დაუსწავლიათ“ (კარტ. II, 306_{15}), **ქოდუდგინუნან** „დაუდგამთ“ (კარტ. II, 306_{13}), **უზოპინუნან** „უთქვამთ“ (აჭარ. 104_{26})...

II თურმეობითი: **დუკოდაფუტეს** „აეშენებინათ“ (ჩიქ. I, 146_{19}), **მიძიამუტეს** „გვენახა“ (= გვენახეთ)“ (კარტ. II, 156_{38}), **გაუხთიმუტეს** „ჩა(მო)სულიყვნენ“ (კარტ. I, 203_{24}).

ათინურ-ართაშენულში **-ეს** > **-ედ** ვარიანტიც არის წარმოდგენილი: **უზირამუტედ** „ენახათ“ (კარტ. II, 205_{16}).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მეგრულ-ლაზურში მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის გამოხატვის მოდელი კარგად წარმოაჩენს რიცხვის კავშირს პერსონალური პირის კატეგორიასთან. ინვერსიის განხორციელების გადამწყვეტი ფაქტორი გახდა პერსონალური პირის რაობა, რითაც ვლინდება კიდეც ენის ეგოცენტრულობა.

ინვერსიულ ზმნებში რიცხვის გამოხატვის ზანური მოდელი ასე შეიძლება ჩავწეროთ: **RS [I, II, III] ={-ან∞-ეს∞-ნ}.**

ეს მოდელი მხოლოდ მეგრულ-ლაზურში როდი ფუნქციონირებს. სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (იმერული, გურული, აჭარული) ინვერსიულ ზმნებთან ჩვეულებრივია **RS**-ის რიცხვის გამოხატვა S_3-ის მრავლობითობის ნიშნით. როგორც ნ. სურმავა წერს, „აჭარულში მიცემითში დასმული პირის მრავლობითობის მაწარმოებელი ზმნური სუფიქსების (-ან, -ეს) ნაკვთთა მიხედვით განაწილება ზანურის მსგავსია“... სუფიქსი **-ან** გარდამავალი და მედიოაქტიური ზმნების I თურმეობითსა და გარდაუვალი ინვერსიული ზმნის აწმყოში გვხვდება, სუფიქსი **-ეს** გარდა-

მავალი ზმნის II თურმეობითსა და სტატიკური ვნებითის აორისტში, **-ენ** გარდაუვალი ზმნის უწყვეტელსა და წყვეტილში [თოფურია 1954; სურმავა 1988, 89-92].

გურულშიც მიცემით ბრუნვაში დასმული რეალური სუბიექტის მრავლობითობა გამოხატულია **-ენ, -ან** სუფიქსებით: „მაამისი **გუქცოენ** შვილებს“, „ბიჭებს ეზოში **გოეკეთებოენ** კაცის მოჩვენება“... [ჯაჯანიძე 1970, 256]. მსგავსი ვითარებაა ქვემოიმერულში, სადაც ინვერსიულ და გაინვერსიულების გზაზე მდგომ ზმნებში თითქმის არ იხმარება **-თ** სუფიქსი სუბიექტის მრავლობითობის ნიშნად. მის ნაცვლად გამოიყენება **-ენ** სუფიქსი. ასევე **-ენ** სუფიქსი გამოხატავს მესამე ობიექტურ პირსაც, როცა ის მიცემით ბრუნვაშია [კუბლაშვილი 1985, 142]. ამ პროცესს დასავლურ დიალექტებში ეძლევა კვალიფიკაცია, როგორც ზანურის სუბსტრატს [ჟღენტი 1936; სარჯველაძე 1965, 198], თუმცა ეს უფრო ენის შინაგანი განვითარების შედეგი ჩანს, ვიდრე ზანურის გავლენა [თოფურია 1954; სურმავა 1988, 92]. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტენდენცია — **-ან** სუფიქსის გამოყენება **-უელ-თ** სუფიქსების ნაცვლად ფერეიდნულ კილოშიც შეინიშნება [ჩიქობავა 1927], ასევე მესხურშიც [სარჯველაძე 1984, 567].

უფრო მეტიც, სვანურშიც S_3-ის მრავლობითობის ფორმანტით ხდება II და III **RS**-ის რიცხვის აღნიშვნა. როგორც ვ. თოფურია შენიშნავს, ეს ფუნქცია -ხ ფორმანტისათვის „შედარებით ახალი დანაკისრები უნდა იყოს: სგაჲ ჯალატ-ხ ეჯა, ეჯაჲრს ხალაჲტხ ეჯა = ძვ. ქართული თქვენ გიყუარ-ს იგი, მათ ხუყუარ-ს იგი. მდგომარეობა ანალოგიურია მოძმე ენებშიც, ოღონდ განსხვავება სუფიქსების გამოყენებაშია: ახალი ქართული I და II პირის მრავლობითის **-თ**'ს მიმართავს, სვანური და ლაზურ-მეგრული კი — III პ. ბოლოსართს“ [თოფურია 1967, 28]. როგორც ჩანს, ეს მოვლენა ცალკეულ ქართველურ ენებში მათი შინაგანი განვითარების შედეგია.

ინვერსიულობა რელატიურ-სტატიკურ ზმნებში ერთ თავისებურებასაც წარმოაჩენს. რეალური ობიექტის (მორფოლოგიური სუ-

ბიექტის) მრავლობითობის გამოხატვისას მხოლოდ ერთი მოდელი მოქმედებს განურჩევლად პირთა კომბინაციებისა. სქემატურად წარმოვადგენთ მაგალითებს:

$RO^{pl}{}_1$ —	სი ჩქი **გიცორ-თ**	„შენ ჩვენ გიყვარვართ“
	თის ჩქი **ვუცორ-თ**	„მას ჩვენ ვუყვარვართ“
$RO^{pl}{}_2$ —	მა თქვა **მიცორ-თ**	„მე თქვენ მიყვარხართ“
	თის თქვა **უცორ-თ**	„მას თქვენ უყვარხართ“
$RO^{pl}{}_3$ —	მა თინეფ **მიცორს**	„მე ისინი მიყვარს“
	სი თინეფ **გიცორს**	„შენ ისინი გიყვარს“
	თის თინეფ **უცორს**	„მას ისინი უყვარს“

როგორც ვხედავთ, RO_3-ის რიცხვი ამჯერადაც არ აღინიშნება, ხოლო RO_1 და RO_2-ის მრავლობითი რიცხვი **-თ** სუფიქსით გამოიხატება კომბინაციებში: RS_1RO_2, RS_2RO_1; RS_3RO_1, RS_3RO_2, ანუ S_3-ის ჩართვა არ იწვევს ობიექტის რიცხვის გამოხატვის (II) მოდელის ამოქმედებას.

ვფიქრობთ, ამას განაპირობებს რეალური სუბიექტის გამოხატველი სამივე პირის (I, II, III) გათანაბრება + პიროვნების ნიშნით, რაც რეალური ობიექტის (მორფოლოგიური სუბიექტის) რიცხვის გამოხატვისას უფრო მეტად წინ წამოსწევს ენისთვის დამახასიათებელ სუბიექტურ ეგოცენტრიზმს — I და II **RO** რიცხვის გამოხატვისას ამოქმედდება მხოლოდ **თ**-ანიანი მოდელი.

მორფოლოგიური თუ რეალური ობიექტის რიცხვის გამოხატვის სისტემის ანალიზმა ალ. ონიანი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „საერთო-ქართველურში (აგრეთვე გარკვეულ საფეხურამდე ქართველურ ენებშიც) არასავალდებულო პირთა [ე. ი. ობიექტურ პირთა — ლ. ე.] რიცხვი სეგმენტური მორფოლოგიური ერთეულით არ აღინიშნებოდა; სხვაგვარად რომ ვთქვათ, არასავალდებულო პირთა მრავლობითობა მორფოლოგიურად არ იყო გამოხატული“ [ონიანი 1978, 212]. რეალურად ობიექტის რიცხვის გამოხატვა სამსავე ქართველურ ენაში უკვე არსებული სისტემის მოდიფიკაციის გზით მოხდა. „ქართული ენის აღმოსავლურმა დიალექტებმა შემასმენელში დამატებათა სიმრავლის მარკირება

მოახდინეს სუბიექტური I და II პირების მრავლობითობის გამომხატველი -თ სუფიქსით, ხოლო დასავლურმა დიალექტებმა იმავე სუბიექტური III პირის სიმრავლის გამომხატველი -ენ სუფიქსით (გვხვდება -ეს სუფიქსიც)“ [უთურგაიძე 2007, 19]. ითვლება, რომ დასავლური დიალექტები მიჰყვნენ ე. წ. ზანურ მოდელს, თუმცა ზანურში -თ სუფიქსითაც გადმოიცემა ობიექტის სიმრავლე I და II პირში განსხვავებით ქართულის II და III პირებისა. ერთი რამ ცხადია, ზანურში ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის სისტემა უშუალოდ უკავშირდება სუბიექტის რიცხვის აღნიშვნის სისტემას, რადგან ორივეგან ამოსავალია მთავარი პრინციპი — მარკირება ხდება იმ პირისა, რომელიც **ადამიანის** გამომხატველია. დამატებით არგუმენტად მოვიხმობთ სპეციფიკურ მწკრივთა ფორმებს მეგრულსა და ლაზურში.

§ 8. მრავლობითი რიცხვის გამოხატვა მეგრულის IV სერიის მწკრივებსა და ლაზურის არაინვერსიულ თურმეობითთა ფორმებში

I და II სერიის ძირითადი მწკრივები მეგრულსა და ლაზურს საერთო აქვს, მაგრამ სხვაობა თავს იჩენს თურმეობითთა წარმოებაში. მეგრულში გარდამავალ ზმნებს III სერიის მწკრივები, ქართულის მსგავსად, ინვერსიულად ეწარმოებათ. ამ შემთხვევაში ამოსავალია II სერიის ფორმები, ამიტომაც მათ გ. როგავამ „აორისტის თურმეობითის ნაკვთები“ უწოდა საპირისპიროდ „აწმყოს თურმეობითის ნაკვთებისა“, რომლებიც **ნო-... -ე** აფიქსებით გამოიხატება. სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს მეგრულში სპეციფიკურ თურმეობითებს: **„ნო** პრეფიქსიანი თურმეობითის ნაკვთების ცალკე ჯგუფად (მეოთხე ჯგუფად) გამოყოფას მოეპოვება როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური საფუძველი. 1. თურმეობითის ეს ორი ჯგუფი — მესამე და მეოთხე ჯგუფები — **დამოუკიდებელი ნაკვთების სისტემის შქონეა;** 2. გარდამავალი ზმნა აწმყოს თურმეობითის ნაკვთებში **ნომინატიური კონსტრუქციისაა — თინა** ნოჰკირუე თის, ხოლო აორისტის თურ-

მეობითის ნაკვთებში, **დატიური კონსტრუქციისაა — თის უჰ-კირუ თინა** 3. ისტორიულადაც ისინი **სხვადასხვა დროის წარმონაქმნებია"** [როგავა 1953, 18].

IV სერიის თურმეობითებში რიცხვის გამოხატვის სისტემა ემთხვევა აწმყო დროის მწკრივებში სუბიექტური პირის მრავლობითის გამოხატვის სისტემას: I და II პირის რიცხვი იწარმოება **-თ** სუფიქსით, ხოლო III პირის მრავლობითი გადმოიცემა შემდეგნაირად: III თურმეობითში — **-ან||-ა** სუფიქსით; IV თურმეობითსა და IV პირობითში — **-ეს** სუფიქსით; IV კავშირებითში — **-ნ** ფორმანტით. მაგალითად:

III თურმეობითი

I პირი — ტყურათ **ნობლაცაფუეთო** ათე დროშა, თქვა ჰვირეფი (ტ. I, 279, 395-15) „ტყუილად ვთამაშობთ („ვთამაშობდით") (თურმე) ამ დრომდე, თქვე დამწვრებო"...

II პირი — ჯგირო **ნოლაცაფუეთ** ნარდის „კარგად თამაშობთ (თურმე) ნარდს"...

III პირი — სუმ წანას **ნოკეთებუენა** ცუდეს (ტ. II, 270, 26) „სამ წელს აშენებდნენ (თურმე) სახლს"; თიცალი მახინჯი ცოფენა თინეფი, ნამუდა ჭიცანას **ნორგოლაფუენა** (ყიფ. 12, 1) „ისეთი ბოროტები ყოფილან ისინი, რომ ქვეყანას ყინავდნენ („აცივებდნენ") თურმე"...

IV თურმეობითსა და IV პირობითში III პირის **-ან** რიცხვის ნიშანს ჩაენაცვლება **-ეს** სუფიქსი. მაგ.: თინეფ **ნოჭკირუედ-ეს** დაფის „ისინი ჭრიდნენ (თურმე) დაფნას"; თეშ ნოკობუენა, ნამგდა ირო დროს **ნოტარებუედ-ეს-კო(ნ)** „ისე ნდომებიათ („ნანდომებათ"), რომ ყოველთვის დრო ეტარებინათ თურმე...

IV კავშირებითში S_3-ის რიცხვს **-ნ** სუფიქსი გამოხატავს: თაშ **ნოლორებუედა-ნ** სქან გამგნარყის „ასე მოეტყუებინოთ (თურმე) შენი შთამომავლობა"...

რიცხვის გამოხატვის ეს სისტემა იცვლება ე. წ. ინვერსიული რელატიურ-სტატიკური ზმნებისათვის. რამდენადაც მათ აწმყო ინვერსიულად ეწარმოებათ, ეს თავს იჩენს აწმყოს თურმეობითშიც, კერძოდ, სამსავე პირში **RS**-ის მრავლობითი გამოიხატება ერთი და იმავე მორფემით: III თურმეობითში — **-ან||-ა** სუფიქსით; IV თურმეობითსა და IV პირობითში — **-ეს** სუფიქსით; IV კავშირებითში — **-ნ** მორფემით. მაგალითისათვის მოვიყვანთ **III თურმეობითის** ფორმებს:

I პირი — თოლსგ სინთე ვა **ნობღვენა,** მუ ჭირდგნი, **ვანობჩქვენა** (ყიფ. 168, 2-3) „თვალთ ჩინი არ გვქონია (თურმე), რა ჭირდა, არ გვცოდნია (თურმე)“;

II პირი — თქვა **ნორჩქვენა** მშვენიერი იადონიშ ტოლი ბირა (ტ. I, 99, 195-7) „თქვენ გცოდნიათ (თურმე) მშვენიერი იადონის მსგავსი მღერა“;

III პირი — ვა **ნოპალუენა** მუთუნი, ართი ქომოლი სქუაში მეტი (ყიფ. 12, 18) „არ ჰყოლიათ (თურმე) არავინ, ერთი ვაჟიშვილის გარდა“.

როგორც ვხედავთ, სუბიექტური პირის (მორფოლოგიურია იგი, თუ რეალური) მრავლობითის გამოხატვისას IV სერიის მწკრივებში მოქმედებს **S**-ის რიცხვის გამოხატვის იგივე მოდელები, რაც I და II სერიაშია. როგორი ვითარებაა ობიექტური პირის რიცხვის გამოხატვისას?

თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ მაგალითებს I სერიის ფორმებთან შეპირისპირებით.

1) O-ის რიცხვის გამოხატვა კომბინაციებში: S_1O_2; S_2O_1; S_1O_3; S_2O_3

აწმყო:	**III თურმეობითი:**
სი ჩქი **ბჭარუნ-თ**	სი ჩქი **ნობჭარუე-თ**
„შენ ჩვენ გვწერ“	„შენ ჩვენ გვწერ (გვწერდი) თურმე“
მა თქვა **რჭარუნ-თ**	მა თქვა **ნორჭარუე-თ**
„მე თქვენ გწერთ“	„მე თქვენ გწერთ (გწერდით) თურმე“

მა თინეფს **ბჭარუნქ**	მა თინეფს **ნობჭარუექ**
„მე მათ ვწერ“	„მე მათ ვწერ (ვწერდი) თურმე“
სი თინეფს **ჭარუნქ**	სი თინეფს **ნოჭარუექ**
„შენ მათ წერ“	„შენ მათ წერ (წერდი) თურმე“

როგორც ვხედავთ, O_3-ის მრავლობითობა არ აღინიშნება, ხოლო O_1 და O_2-ის რიცხვი **-თ** სუფიქსით გადმოიცემა, ანუ იგივე **თ**-ანიანი (I) მოდელი გამოიყენება, რაც I სერიის ფორმებში.

2) **O-ის მრავლობითობის აღნიშვნა კომბინაციებში:**

S_3O_1; S_3O_2; S_3O_3

აწმყო	**III თურმეობითი**
თინა ჩჭი **ბჭარუნა**	თინა ჩჭი **ნობჭარუენა**
„ის ჩვენ გვწერს“	„ის ჩვენ გვწერს (გვწერდა) თურმე“
თინა თქვა **რჭარუნა**	თინა თქვა **ნორჭარუენა**
„ის თქვენ გწერთ“	„ის თქვენ გწერთ (გწერდათ) თურმე“
თინა თინეფს **ჭარუნს**	თინა თინეფს **ნოჭარუე**
„ის მათ სწერს“	„ის მათ წერს (წერდა) თურმე“

აქაც O_3-ის მრავლობითობა არ გამოიხატება, ხოლო O_1 და O_2-ის რიცხვი — **-ან / -ა** სუფიქსით IV თურმეობითში, IV პირობითში — **-ეს,** IV კავშირებითში — **-ნ** სუფიქსით გადმოიცემა.

IV სერიაში ობიექტური პირის რიცხვის გამოხატვის ორივე ის მოდელი გამოიყენება, რომელიც I და II სერიის ფორმებში გვაქვს. ამდენად, მეგრულში IV სერიის მწკრივებში სუბიექტური და ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გამოხატვის ოთხივე მოდელი ფუნქციონირებს.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თურმეობითის წყებაში მეგრულ ერთპირიან ზმნასთან გვაქვს **აღწერითი და ორგანული** წარმოება. აღწერით წარმოებას ახასიათებს **-ერე (II→ეეII→ე)** სუფიქსი. როგორც ი. ასათიანი შენიშნავს, „-ერე სუფიქსიანი წარმოება თურმეობითისა მეგრულსა და ლაზურს საერთო უნდა ჰქონდეთ. ოღონდ ლაზური ამ მხრივ უფრო შორსაა წასული. -ერე სუფიქსიანი წარმოება თურმეობითისა ლაზურში თუ ერთადერთი არა, ყოველ შემთხვევაში ყველაზე გავრცელებული, ძირითადი წარმოებაა ყველა სახის ზმნებში. მე-

გრულში იგი მხოლოდ ერთპირიან, გარდაუვალ ზმნებშია“ [ასათიანი 1970, 151].

ლაზურში **-ერე** სუფიქსიანი თურმეობითი ძირითადად გავრცელებულია ხოფურ კილოკავში და წარმოდგენილია მისი 4 სახეობა: 1. ნანამყოუსრულარი თურმეობითი, 2. ნააორისტალი თურმეობითი პირველი, 3. ნააორისტალი თურმეობითი მეორე, 4. პირობითისაგან ნაწარმოები თურმეობითი [კარტოზია 1976, 121].

როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში **-ერე** სუფიქსით ნაწარმოები თურმეობითები მრავლობითში რიცხვის ნიშნებს ბოლოში დაირთავს: **-ერე** სუფიქსის მომდევნოდ I და II პირში დაჩნდება **-თ** მორფემა, ხოლო III პირში — **-ან** და **-ეს** სუფიქსები. ამ უკანასკნელთა განაწილება ლაზურში ასე ხდება: **-ან** სუფიქსი S_3-ის მრავლობითს გამოხატავს ნანამყოუსრულარ თურმეობითსა და ნაორისტალ თურმეობით პირველში, ხოლო **-ეს** სუფიქსით მარკირებულია S_3 ნააორისტალ თურმეობით მეორეში. მოვიყვანთ მაგალითებს:

ნანამყოუსრულარი თურმეობითი:

ოშ პალონი ასქერი **გამახტერენან** (ყიფ. II, 18, 24) „ასი ჯარისკაცი გამოსულან თურმე“; ტუფჭეღეფეს კვინჩეფე უთოკელე **ქოგელახედერენან** (ყიფ. 3, 34) „იარაღზე ჩიტები დამსხდარან თურმე“

ნააორისტალი თურმეობითი I:

გოწკედუში, ხორცი ვა ენ, **ქანიხიდეენან!** (კარტ. 1972, 152, 29) „რომ გახედა, ხორცი არ არის, მოუპარავთ თურმე!“ ბადი ბინეხი თოკიშ დეინე **იხმარეენან** (კარტ. 1972, 153, 24) „თოკის ნაცვლად სვია ცუდი ვენახი უხმარიათ“...

ნააორისტალი თურმეობითი II:

მითხანეფე **მოხთერეტეს** დო ჩქინი ზექიე **ქამორკეეტეს** (ჩიქ. I, 48, 15) „ვიღაცეები მოსულან და ჩვენი ზექია მოუტაცნიათ თურმე“; ეშქიდაფე-ნა მოხთასინტეს დო კაი **დიხაზორელერეტეს** (ჩიქ. I, 53, 28) „ყაჩაღები რომ მოვიდოდნენ და კარგად მოემზადებოდნენ თურმე“...

ე. წ. ინვერსიულ ზმნებში **RS** სამსავე პირში S_3-ის რიცხვის

ფორმანტებითაა მარკირებული. მაგ.: "ა! მუ ლოყა ჩხომეფე **გიღუტერენან-და** (ჩიქ. I, 72, 5) „ეს რა გემრიელი თევზები გქონიათო"; ენთეფეს თი ართეი „ბანჯგვლია" — ჯოხონი ჯოღოი **უყოუნტეენან** (ჩიქ. I, 80, 24) „მათ ერთი „ბანჯგვლია" რომ ერქვა, ისეთი ძაღლი ჰყოლიათო"...

ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებში არაინვერსიული თურმეობითები იწარმოება მეშველი ზმნების **დორენ** „არის", **დორტუნ** „იყო" დართვით [ჩიქობავა 1936, 141; 144]. შესაბამისად გვექნება **დორენ** მეშველი ზმნით ნაწარმოები ნანამყოსრულარი თურმეობითი და ნააორისტალი თურმეობითი I, **დორტუნ** მეშველი ზმნით ნაწარმოები ნააორისტალი თურმეობითი II. თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ათინურში ნანამყოსრულარი თურმეობითი და ნააორისტალი თურმეობითი I არ ჩანს [კარტოზია 1976, 121, 767. 2].

სუბიექტური პირის რიცხვის ნიშნები, როგორც წესი, მეშველი ზმნის წინ დაჩნდება: I და II პირში — **-თ** სუფიქსი, ხოლო III პირში — **მხოლოდ -ეს სუფიქსი ფუნქციონირებს განსხვავებით -ერე სუფიქსიანი თურმეობითებისაგან.** მაგალითად, ნააორისტალი თურმეობითი II-ის **I პირის** ფორმა: შკუდა აშო **ფთქვითუდორტუდა?** (კარტ. 1970, 225, 9-26) „ჩვენო ასე გვითქვამსო". წარმოვადგენთ **III პირის** ფორმებს:

ნანამყოსრულარი თურმეობითი:

კინჩი **ოფუთხინამტესდორენ...** (ყიფ. II, 65, 20) „ჩიტს ააფრენდნენ თურმე"; დუნდა უძირამუ ჰეშო **ოკითხომტეს-დორენ** (დიუმ. 23, I-105) „ქვეყნის უნახავად ისე კითხულობდნენ თურმე";

ნააორისტალი თურმეობითი I:

ოკულე ბაბა **დუღურესდორენ** (კარტ. 1972, 168, 32) „მერე მამა მოუკვდათ თურმე", ჰაშოთე ოში დო სუმენჩი კოჩი **დოტკობესდორენ** (დიუმ. 22, I-66) „ამგვარად ას სამოცი კაცი დამალეს თურმე".

ნააორისტალი თურმეობითი II:

ნანა დო ბაბა დოღურუ-ში ჰანთეფექ **ქელიხუნეს-დორ-**

ტუნ (დიუმ. 75, VIII-6) „დედა და მამა რომ მოუკვდა ამათ დაისვეს (თურმე) გვერდით"; არ მჭიფე ნოკეფეთე არ ოდას **ჭამოკიდეს-დორტუნ** (დიუმ. 28, I-378) „ერთი წვრილი ძაფებით (თოკებით) ერთ ოთახში დაკიდეს თურმე".

ამრიგად, რიცხვის წარმოების თვალსაზრისით, თურმეობითთა სპეციფიკური ფორმები მეგრულსა და ლაზურში ახალს არაფერს გვთავაზობს. აქაც მოქმედებს მრავლობითის გამოხატვის ის სისტემა, რაც I და II სერიის მწკრივებისა და ე. წ. ინვერსიული ფორმებისთვის იქნა ენაში შემუშავებული. ცხადია, რომ IV ჯგუფის თურმეობითები მეგრულში და არაინვერსიული თურმეობითები ლაზურში ახალი ფორმაციისაა.

შეიძლება ითქვას, რომ მეგრულ-ლაზური ზმნის მთელ მორფოლოგიურ სტრუქტურაში, მკაცრად განსაზღვრული წესების თანახმად, ფუნქციონირებს სუბიექტური და ობიექტური პირის რიცხვის გამოხატვის 4 ძირითადი მოდელი, რომლებიც საკმაოდ მდგრადი აღმოჩნდა.

პირველი მოდელი ასახავს სუბიექტური წყობის ზმნებში სუბიექტის რიცხვის აღნიშვნის სისტემას. თუ ზმნას ეწყობა მრავლობით რიცხვში დასმული სუბიექტური პირი, მისი სიმრავლე ყოველთვის არის აღნიშნული ზმნაში ისე, რომ დაცულია [I, II] ~ [III] დიქოტომია. კერძოდ, I და II სუბიექტური პირი მარკირებულია **-თ/** სუფიქსით, ხოლო III სუბიექტური პირი — **-ან/, -ეს/, -ნ/** სუფიქსებით (ან შესაბამისი ალომორფებით). ამ უკანასკნელთა განაწილება ხდება მკაცრად დაცული კანონზომიერებით: **-ან/** — აწმყო დროის მწკრივებში; **-ეს/** ნამყო დროის მწკრივებში; **-ნ/** კავშირებითების ფორმებში. ფორმალურად ეს შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

{თ} [I, II] ~ [III] {-ანთ-ესთ-ნ} **(I)**

(II) და **(III)** მოდელები გვიჩვენებს ობიექტური პირის რიცხვის გამოხატვის სისტემას ობიექტური წყობის ზმნებში.

(II) მოდელი მოქმედებს, როცა ობიექტური პირი წარმოდგენილია კომბინაციებში S_1O_2, S_2O_1, S_1O_3, S_2O_3. ამ მოდელის თა-

ნახმად, ზმნაში აღინიშნება O_1 და O_2-ის მრავლობითობა, ხოლო O_3-ის რიცხვი არ გამოიხატება. შესაბამისად სახეზეა პირთა დიქოტომია, რომელიც ფორმალურად ასე წარმოგვიდგება:

{-თ} [I, II] ~ [III] {Ø} (II)

ეს მოდელი უახლოვდება (I) მოდელს და წარმოაჩენს I და II პირის თავისებურებებს: ურთიერთჩანაცვლებადობასა და სუბიექტურ ეგოცენტრიზმს. I და II პირისათვის სიმრავლის მომნიშვნელი საერთო სემანტიკური ნიშანია + სხვა, რომლის მარკირებაც ხდება ზმნაში **-თ** რიცხვის ნიშნით, სულერთია, I და II პირები სუბიექტურია, თუ ობიექტური.

(II) მოდელში არ ფიგურირებს S_3. მაგრამ კომბინაციებში S_3O_1, S_3O_2, S_3O_3 მოქმედებს ობიექტის რიცხვის გამოხატვის (III) მოდელი. ძალაში რჩება შემდეგი პრინციპი: O_3-ის მრავლობითობა არ აღინიშნება თუმცა O_1 და O_2-ის რიცხვს გამოხატავს S_3-ის სიმრავლის მორფემები. ამჯერად სუბიექტური ეგოცენტრიზმის პრინციპს გადაკვეთს ობიექტური ეგოცენტრიზმი, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ ენებში, სადაც პიროვან-კლასოვანი უღვლილებაა: მრავლობითშიც შენარჩუნებულია ადამიანისა და ნივთის დაპირისპირება (სხვადასხვა ფორმანტითაა მარკირებული, ერთი მხრივ, I და II პირები, მეორე მხრივ — III პირი), თუმცა ორსავე შემთხვევაში რიცხვის ნიშანი ნივთის კლასისაა. ძველ ქართულში მოქმედი ობიექტის რიცხვის აღნიშვნის სისტემაც მიჩნეულია კლასოვანი უღვლილების გადმონაშთად (ჩიქობავა 1956).

შეიძლება ითქვას, რომ {-ან}, {-ეს}, {-ნ} სუფიქსებით O_1 და O_2-ის სიმრავლის გადმოცემის ზანური (III) მოდელი უახლოვდება ქართულში სახელობითით გამოხატული ობიექტის მრავლობითის ასახვის მოდელს. ის ერთგვარად გვიჩვენებს პიროვან-კლასოვანი უღვლილებისთვის დამახასიათებელ ენობრივ მსოფლხედვას:

{-ან~ -ეს~ ნ} [I, II] ~ [III] Ø (III)

(III) მოდელი მჭიდროდაა დაკავშირებული (IV) მოდელთან, რომელიც არის შედეგი ენაში მომხდარი ისტორიული გარდატეხისა — **ინვერსიის** ძალით მიცემითმა ბრუნვამ შეიძინა მეტი სინ-

ტაქსური აქტიობა, ანუ რელატიურ-სტატიკურ ზმნებში საქცეო სისტემის მოშლამ, მანის რიგის პირთა ეგოცენტრისტული ბუნების გააქტიურებამ, ადამიანის აღმნიშვნელი სახელით გადმოცემული მორფოლოგიური ობიექტის რეალურ სუბიექტად გადააზრებამ ხელი შეუწყო მრავლობითი რიცხვის გამოხატვის ახალი მოდელის დამკვიდრებას. ინვერსიამ წაშალა ზღვარი I, II და III პირებს შორის, რამდენადაც III პირი მხოლოდ და მხოლოდ +პიროვნების ნიშნით ხასიათდებოდა. მაშასადამე, **O_1, O_2, O_3** პირებმა შეიძინეს სუბიექტურობის ნიშანი, რითაც მორფოლოგიური სუბიექტი ნეიტრალიზებულ იქნა. შესაბამისად, ზმნაში გამოიხატა **RS**-ის მრავლობითი რიცხვი {-ან}, {-ეს}, {-ნ} ფორმანტებით სამსავე პირში:

RS [I, II, III] = {-ან∞-ეს∞-ნ} **(IV)**

შეიძლება ითქვას, რომ მეგრულ-ლაზურში მრავლობითობის გამოხატვის ოთხი მოდელიდან პირველი სამი ეყრდნობა [I, II] ~ [III] პირთა კორელაციას, ხოლო მეოთხე — სუბიექტი ~ არასუბიექტის კორელაციას. მაშასადამე, ზანურში **რიცხვის კატეგორიის ასახვისას გადამწყვეტია პერსონალური პირის ფაქტორი,** რითაც კარგად ჩანს ენის ეგოცენტრისტული ბუნება. შემთხვევითი არაა, რომ ისტორიულად რიცხვის ნიშნებმა ქართულში და, ნაწილობრივ, ზანურშიც [III] პირის გამოხატვის ფუნქციაც შეიძინეს.

ზანურში პირის მრავლობითის წარმოების ოთხი მოდელიდან **(I), (III)** და **(IV)** მოდელები ახლოს დგას ქართულში მოქმედ მოდელებთან. სპეციფიკურია **(II)** მოდელი ისევე, როგორც თავისებურია თანამედროვე ქართულში ობიექტის მრავლობითის წარმოების სისტემა. ოთხივე მოდელს თუ გავაერთიანებთ, რიცხვის ფორმანტები ასე განაწილდება ზანურში:

პირი	MS	M. O	RS
I	თ	თ, ან, ეს, ნ	ან, ეს, ნ
II	თ	თ, ან, ეს, ნ	ან, ეს, ნ
III	ან, ეს, ნ	Ø	ან, ეს, ნ

როგორც ვხედავთ, რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით, I და II პირი ზმნაში ყოველთვის მარკირებულია, ხოლო III პირი —

მხოლოდ მაშინ, როცა ის სუბიექტია (მორფოლოგიური ან რეალური).

ცხრილის მიხედვით, ზანურში **-თ** მორფემის ფუნქცია და ადგილი გარკვეული და სტაბილურია ქართულისგან განსხვავებით, სადაც ის „მოძრაობს" I პირიდან III პირისაკენ. საერთოდ, მრავლობითის ფორმანტთა ამგვარი „მოძრაობა" დამახასიათებელი ჩანს ქართულ-ზანურისთვის: ზანურში და ქართული ენის დიალექტთა ნაწილშიც S_3-ის ნიშნები გადადიან I და II პირში.

ცხადია, რომ მეგრულ-ლაზურში **-თ** მორფემა ყოველთვის გამოხატავს I და II პირის მრავლობითობას (ადამიანის აღმნიშვნელი პირები) განურჩევლად როგორობისა (სუბიექტი, ობიექტი), ხოლო **-ან, -ეს, -ნ** მორფემები სამსავე პირის რიცხვის აღმნიშვნელია, თუმცა მარკირებისას გათვალისწინებულია პირთა როგორობა: III სუბიექტური თუ I, II ობიექტური პირი. თავისთავად, **-ან, -ეს, -ნ** მორფემების განაწილების წესი (კონკრეტული მწკრივების მიხედვით) კიდევ ერთხელ მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ III პირის ნიშნებსაც და რიცხვის მარკერებსაც ქართველურ ენებში ისტორიულად სხვა ფუნქცია ჰქონდათ. როგორც ჩანს, მესამე პირი თავისი უნიშნობით უპირისპირდებოდა I და II პირს მრავლობით რიცხვშიც.

მიუხედავად საუკუნოვანი იზოლაციისა, მეგრული და ლაზური გასაოცარ სიახლოვეს ინარჩუნებენ რიცხვის წარმოების თვალსაზრისით. უფრო მეტიც, მეგრულ-ლაზური ქმნის გრამატიკული რიცხვის წარმოების ერთიან სისტემას, რომელიც სინტაქსურ და სემანტიკურ დონეზეც წარმოაჩენს საერთო წესებსა თუ ტენდენციებს.

III თავი

მორფოსინტაქსური და სემანტიკური ანალიზი

§ 9. რიცხვში შეთანხმების საკითხი პრედიკატულ შესიტყვებაში

შესიტყვება არის სინტაქსური ერთეული, რომელშიც შემავალი სიტყვები ქმნიან გარკვეულ ურთიერთდამოკიდებულებას. ეს დამოკიდებულება, სულ მცირე ორ სიტყვას გულისხმობს, რომელთაგან ერთი მთავარია, გაბატონებული, მეორე — მასზე დამოკიდებული [ჩიქობავა 1968, 115; კიზირია 1982, 21-24]. სიტყვათა ურთიერთდამოკიდებულების ძირითადი სახეებია: შეთანხმება, მართვა და მირთვა. ამათგან შეთანხმება გულისხმობს სიტყვათა იმგვარ კავშირს, როცა: 1. სახელი ითანხმებს სახელს ბრუნვასა და რიცხვში; 2. სახელი ითანხმებს ზმნას რიცხვში [ჩიქობავა 1968, 117; კვაჭაძე 1977, 17-19]. შეთანხმების ორივე სახეობა განაპირობებს როგორც სახელური, ასევე პრედიკატული შესიტყვებების თავისებურებებს ქართულში. პრედიკატული შესიტყვება, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ზმნურ-სუბიექტური და ზმნურ-ობიექტური [კიზირია 1982, 24-25].

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, პრედიკატულ შესიტყვებაში „ქვემდებარის ან დამატების რიცხვის ფორმა არ არის გამოწვეული სხვა წევრთან სინტაქსური ურთიერთობით, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით შემასმენელზე: შემასმენლის რიცხვის ფორმა დამოკიდებულია ქვემდებარესა და დამატება-ობიექტებზე. ამიტომ ქვემდებარე-შემასმენლისა, ერთი მხრივ, და დამატება-ობიექტებისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობა, მეორე მხრივ, ერთ-ერთ ძირითად საკითხად ამ წევრთა შორის რიცხვის (და პირის) მიხედვით დამყარებული ურთიერთობის გარკვევას გულისხმობს“ [კვაჭაძე 1977, 97-98].

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ **ნარ-თან**-იანი და **ებ**-იანი მრავლობითით გა-

მოხატული აქტანტებისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება სინტაქსურად განსხვავებულად ფორმდება ძველსა და ახალ ქართულში. ძველ ქართულში, ერთი მხრივ, -ნ/-თ სუფიქსით გაფორმებული ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების რიცხვში შეთანხმება ორმხრივი იყო: სახელის სიმრავლე დამატებით მარკირებული იყო შემასმენელშიც — კაც-ნ-ი მოვიდ-ეს... კაც-ნ-ი დამალ-ნ-ა... " როგორც თ. უთურგაიძე აღნიშნავს, „სიმრავლის გაგება შემასმენელში პირმიმართ აქტანტებს (სუბიექტს, პირდაპირ დამატებას, ირიბ დამატებას) შეაქვთ, ე. ი. თუ პირმიმართი რომელიმე აქტანტი მრავლობით რიცხვში დგას, იგი უთუოდ შეითანხმებს შემასმენელს რიცხვში, მიუხედავად იმისა, ამ აქტანტის სიმრავლე შემასმენელში მარკირებული იქნება თუ არა. შეთანხმება რიცხვში იმიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მთქმელიცა და ადრესატიც ზმნურ ქმედებაში მონაწილეთა რიცხვს პირმიმართი აქტანტის რიცხვის მიხედვით განსაზღვრავენ"[უთურგაიძე 2007, 11-12). მაშასადამე, -ებ სუფიქსით გაფორმებული აქტანტების შემთხვევაშიც რიცხვში შეთანხმებაა, თუმცა მარკირება არ ხდება შემასმენლის მიხედვითაც. თ. უთურგაიძე შეთანხმების ამ სახეს **ცალმხრივ მარკირებულს** უწოდებს. შესაბამისად, ინოვაციად მიიჩნევს -ებ-იანი აქტანტებისა (მათ შორის მიცემითში დასმული სახელის) და შემასმენელს შორის ორმხრივ მარკირებულ ურთიერთობას ახალ ქართულში, დიალექტებში (resp. ქართველური ენებიც) [უთურგაიძე 2007, 19; 2009, 173-184].

ცხადია, ქართულში **ებ** სუფიქსიანმა სახელმა შეიძინა **ნ** სუფიქსიან სახელთა მსგავსი გაგება და სცადა მისი მსგავსი სინტაქსური ფორმების გაკეთება. **-ებ** სუფიქსის დარად მეგრულ-ლაზურშიც **-ეფ** მორფემას იმთავითვე კრებითობის ფუნქცია ჰქონდა. როგორც კ. დონდუა შენიშნავს, ებ-იანი მრავლობითის სახელები, რომლებიც ნივთის ან სოციალურად პასიური არსებების აღმნიშვნელია, შემასმენელს მხოლოობითში ითანხმებენ როგორც ძველ ქართულში, ასევე მეგრულ-ლაზურში [დონდუა 1967, 143-156]. თუ გრამატიკული შინაარსის გამოვლენა ფორმის სა-

შუალებით ხდება [უთურგაიძე 1957, 150], მით უფრო უმწერლობო ენა ანგარიშს უწევს შინაარსს. სწორედ რიცხვში შინაარსობლივმა შეთანხმებამ დააკისრა **-ებ** კრებითობის ფორმანტს მრავლობითობის გამოხატვა სინტაქსურ დონეზე. როგორც თ. უთურგაიძე შენიშნავს, „**ებ** სუფიქსიან სახელს ახალი ფუნქცია პირველად ადამიანთა გამომხატველ სახელებთან უნდა შეეძინა“ [უთურგაიძე 1957, 161]. ასე უნდა მომხდარიყო მეგრულ-ლაზურშიც. მომდევნო თავებში რიცხვში შეთანხმების საკითხი ორმხრივი და ცალმხრივი მარკირების წესით განხილული იქნება სწორედ ორი სემანტიკური ჯგუფის — **ვინ** და **რა** ჯგუფის — სახელთა შეპირისპირების ფონზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „**ვინ** და **რა** ჯგუფებად დაყოფა სახელთა ფუნდამენტური მნიშვნელობის დაჯგუფებაა, რომელიც გამსჭვალავს ქართველურ ენათა მთელ სისტემას. ესაა ბინარული სემანტიკური ოპოზიცია, რომელიც ამოსავალში ადამიანისა (პიროვნების) და ნივთის მორფოლოგიურ ოპოზიციას ვარაუდობს“ [ჩიქობავა 1979, 119-133; შენგელია 1988, 146]. ამავე დროს საფიქრებელია, რომ ამ სემანტიკური კატეგორიის ფუნქციონირება დასაშვებია „ენობრივი სისტემის სხვადასხვა რგოლში (ასე რომ არ იყოს, ვერც **ვინ** და **რა** კითხვითი ნაცვალსახელები შემოინახავდა ამ დაპირისპირებას)“ [შენგელია 1988, 146]. ვფიქრობთ, რომ ამგვარი დაპირისპირება კარგად ჩანს მეგრულ-ლაზურშიც სინტაქსურ დონეზე.

§ 10. ვინ ჯგუფის სახელის მიერ ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების შესახებ

ქართულსა და სხვა ქართველურ ენებშიც სახელთა სემანტიკური დაყოფა, პირველ რიგში, გულისხმობს **ვინ** და **რა** ჯგუფის გამოყოფას. ერთი მხრივ, გვაქვს ადამიანის აღმნიშვნელი სახელები (**ვინ** ჯგუფისა) და მეორე მხრივ, ყველა დანარჩენი, არა-ადამიანთა სახელები (**რა** ჯგუფისა) [შანიძე, 1980, 38]. მეგრულ-ლაზურშიც **მი<მინ** „ვინ?“ კითხვა დაესმის მხოლოდ ადამიანის

გამომხატველ სახელებს, ხოლო **მუ||მუ-და** „რა?“ — ყველა დანარჩენს, რაც ადამიანს არ აღნიშნავს [მარი 1910, 28; ყიფშიძე 1914, 047; ჩიქობავა 1936, 83]. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზან. **მი-** და ქართ. **ვი-** მასალობრივადაც ერთი და იგივეა [მარტიროსოვი 964, 182-183]. ცნობილია, რომ **„ვინ** ნაცვალსახელს მრავლ. რიცხვი ჩვეულებრივ არა აქვს, მაგრამ ცდა კი არის მისი გაჩენისა: „ყარაულებად ვ ი ნ ე ბ ი არიან“-ო, ჯითხულობთ ყაზბეგის „მამის მკვლელში“. სიმრავლის გამოსახატავად ჩვეულებრივ „ვინდავინ“ იხმარება“ [შანიძე 1980, 103]. ქართულისგან განსხვავებით, მეგრულსა და ლაზურში **მი||მინ** ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვი ეწარმოება. კერძოდ, მეგრულში **-ეფ** სუფიქსის დართვისას აღდგება მხოლოობითში დაკარგული დეტერმინანტი სუფიქსი **ნ** (ალ. ონიანის აზრით, ის მოთხ. ბრ. -ის უძველესი ნიშანია ისევე, როგორც ქართულში, [იხ. ონიანი 1989, 148-152]) და მივიღებთ **მინეფი** ფორმას, ხოლო ლაზურში **მი** დაირთავს **-ფე** დაბოლოებას, როგორც ხმოვანფუძიანი სახელი და გვექნება **მიფე** ფორმა [ყიფშიძე 1914, 047-048; ჩიქობავა 1936, 84].

მაშასადამე, ზანურში სავსებით ბუნებრივია **მი** „ვინ“ ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმები, რაც გარკვეულწილად მიგვანიშნებს **ვინ** ჯგუფის სახელთა სინტაქსურ ძალაზე რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, I და II პირი წინადადებაში ან პირის ნაცვალსახელითაა წარმოდგენილი, ან ზმნით გადმოცემული შემასმენლის ფორმით იგულისხმება. როგორც წესი, III პირი წინადადებაში არსებითი სახელებითაა წარმოდგენილი ან ჩვენებითი ნაცვალსახელებით. **თუ სუბიექტი პირველი ან მეორე პირია და დგას მრავლობით რიცხვში, ის ყოველთვის ითანხმებს ზმნა-შემასმენელს რიცხვში გამონაკლისის გარეშე და ეს შეთანხმება ორმხრივ მარკირებულია.** ეს არის საერთო ნორმა, რაც გატარებულია მთლიანად მეგრულსა და ლაზურში. მაგალითად,

ა) მ ე გ რ უ ლ ი

I პირი: **ჩქი უხაჩქვნთ** ქობალსია არძა მუქთახორასია (ყიფ. 168, 9) „ჩვენ ვუთოხნით ყანას ყველა მუქთახორასაო“; ჩქგ თით **შიბლებუანთია** ბედნიერი ცხოვრებას (სამ. 91, 65-105) „ჩვენ იმით შევძლებთო ბედნიერად ცხოვრებას“...

II პირი: უკული **თქვა** თითო-თითოთგ **ოშეელითია** (ყიფ. 28, 13) „მერე თქვენ თითო-თითოდ ადითო“; **თქვა** ოსტატეფი **რეთია** ვო დო? (ხუბ. 21, 17) „თქვენ ოსტატები ხართო და?“ [დანარჩენი მაგალითები იხ. § 5 გვ. 43-46].

ბ) ლ ა ზ უ რ შ ი

I პირი: ნჯას ნა ეჲულუნან კოჩეფე, **შკუ** ნიშანის **დეუღირამთ** დო **პილუმთჲა** (კარტ. 1970, 230, 16-6) „ხეზე რომ ადიან კაცები, ჩვენ ნიშანს ვუმიზნებთ და ვკლავთო“; **ჩქინ** ფააშ მოგაფუშა **მეულუთჲა** (კარტ. 1972, 12-14) „ჩვენ ფულის საშოვრად მივდივართო“...

II პირი: ყურძენი **ომხორთ-ი თქვან-ჲა?** (ჩიქ. I, 28, 12) „ყურძენს ჭამთ თქვენაო?“... არ **თქვა დოლოწკედით,** ბექი **ქაიშიმერთ!** (კარტ. 1968, 158-19) „ერთი თქვენ ჩახედეთ, იქნებ ამოიღოთ!“ [დანარჩენი მაგალითები იხ. §5. 49-52].

მესამე პირის აღმნიშვნელი სახელის მიერ ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეთანხმებისას მეგრულსა და ლაზურში ვითარება იცვლება. **ლაზურში ვერ დავაფიქსირეთ ვერც ერთი შემთხვევა ვინ ჯგუფის სახელსა და ზმნა-შემასმენელს შორის რიცხვში ცალმხრივი მარკირებით შეთანხმებისა.** აქ, როგორც წესი, რიცხვში შეთანხმების პრინციპი აბსოლუტურად ყველგანაა გატარებული (მაგალითები იხილეთ § 5, გვ. 51; 55-56), ამას ვერ ვიტყვით მეგრულზე. მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გვაქვს შემთხვევები, როცა რიცხვში შეთანხმება არაა მარკირებული. მასალაში ერთი ტენდენციაც შეინიშნება — არამარკირებულია გარდაუვალი ზმნით გადმოცემული შემასმენელი. მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას:

ა) გარდამავალი ზმნით გამოხატული შემასმენელი რიცხვში არაა მარკირებული:

ინეფი ვარწყენი თეში დოგორ მითაჯინალი (ხუბ. 33, 36) „ისინი რომ ვერ ხედავს, ისე მოძებნე ჰუჰრუტანა („გასახედი“); ასე თე **ძღაბეფი** მანგიორს **ოპასუხგ** თე ბოშის (ხუბ. 281, 18) „ახლა ეს ქალიშვილები სამაგიეროს პასუხობს ამ ბიჭს“; ინა ღორონთიშ **სქუალენქ ქითხუა** (ხუბ. 163, 21) „ის ღვთის შვილებმა ითხოვაო“; **თენენქ** ვა **გეგუო** (ხუბ. 175, 8) „ამათ ვერ გაიგო “; **ჯიმალენქ** მუთუნ **ვათქუა** (ხუბ. 121, 20) „ძმებმა არაფერი თქვაო“; **დოკირგ თენენქ** თაქ მუთ ქოძდგნ ვეში (ხუბ. 148, 13) „შეკრა ამათ, აქ რაც კი ნივთი იდო“; **ჯიმალენქ უწუ** (ხუბ. 150, 6) „ძმებმა უთხრა... “

ბ) ცალმხრივ მარკირებული შეთანხმება სახელსა და გარდაუვალი ზმნით გადმოცემულ ზმნა-შემასმენელს შორის

თინეფი რე ოსტატეფი (ხუბ. 21, 15) „ისინი არის ოსტატები“; ჩქიმი **ჯიმალეფი ქგმურს** დო დორცვილუნსია (ხუბ. 146, 16) „ჩემი ძმები მოვა და მოგკლავსო“; ათე შარეფიშა **ულიორიე** ჩქიმი **ჯიმალეფი** (ხუბ. 148, 19) „ამ გზებზე წასულია ჩემი ძმები“; სქან **სქუალეფქგ დოლურგ** (ხუბ. 238, 30) „შენი შვილები მოკვდა“; მუთუ **უჩაშეფი ქორდუ** ნი... (ყიფ. 5, 21) „რაც კი უფროსები იყო... “ **მაყარეფქგთ(ი) გაკოცუ** (სამ. 51, 39-29) „მაყრებიც დაიშალა“; მარა **სინჯალემქგ** სოლე ოკო **მორთასიო** (ყიფ. 91, 25) „მაგრამ სიძეები საიდან უნდა მოვიდეს“; ეს **ენეფი ვაფიქრენცგ** (სამ. 98, 66-283) „ამას ესენი არ ფიქრობს“; ოდო **მუნეფქ** ჩხომო **გინირთგ** (ხუბ. 247, 31) „ჰოდა, ისინი თევზად იქცა“; **თენენქ დირჩინუ** (ხუბ. 138, 28) „ესენი დაბერდა“. ქემერთგნი, **ქომაზადგ** მუში **დალენქგ** (ტ. II, 16, 14) „რომ მივიდა, გამოეგება მისი დები“; ენა **ჯიმალენქ იხუუ** ძალამი (ტ. II, 12, 24) „ეს ძმებმა ძალიან იწყინა“; ჳეს ქაწუხენს **ჯიმალეფი ვარენეი** (ტ. II, 12, 20) ცოტათი კი სწუხს, ძმები რომ არ არიან („არის“).

გ) რეალურ სუბიექტსა და ინვერსიული ზმნით გამოხატულ შემასმენელს შორის ცალმხრივ მარკირებული შეთანხმება

ეთი **დემეფის ნოცუნუე** ხოლო დიდა (ხუბ. 240, 18) „იმ დე-ვებს ჰყოლია კიდევ დედა“; **თენენც** თიქ **ქეცოროფც** (ხუბ. 186, 16) „ამათ ის შეუყვარდა“; თი **ოსურეფც** ცუდე უსქვამური **აფუნაა** (სამ. 123, 21) „იმ ქალებს სახლი ულამაზო („დაულაგე-ბელი“) აქვსო“; გურქ **მეხორცქც მარჩქილეფც** (სამ. 105, 67-31) „გული გაუსკდა მსმენელებს“; **ტერეფც** ოდიარეთ **ოკოდც** (სამ. 89, 65-7) „მტრებს საძოვრად უნდოდა“; **თინეფცც** ვა **შეუუტყვე-ბუდუკო** ნოტევა (ყიფ. 75, 1) „მათ არ შეეტყოთ ნეტავ“; **ჯვე-შეფც** ლეკური **უკებუდუ...** (სამ. 112, 74, 7) „წინაპრებს ხმალი ეჭირა“;. **თინემს ვემეწონებუნი** მუ ეფერი ცირეფი რე (ტ. I. 225, 335-3) „მათ რომ არ მოეწონება, ასეთი რა გოგოები არიან“; ასე-იან **ოსურენს ახარენს** პარკიშ ფარა (ტ. I, 225, 336-1) „ახლან-დელ ქალებს ახარებს (აბრეშუმის) პარკის ფული“.

ვინ ჯგუფის სახელს ხშირად ახლავს **მსაზღვრელი, რომე-ლიც გამოხატავს რაოდენობას.** ასეთი მსაზღვრელი მეგრულში შეიძლება იყოს რაოდენობითი რიცხვითი სახელი, მათ შორის ნა-წილაკიანი ფორმები **ჟორხოლო** „ორივე“ ტიპისა, ასევე კრებითო-ბის სემანტიკის მქონე **ბრელი** „ბევრი“, **არძა||არძო** „ყველა“. ლაზურშიც რაოდენობითი რიცხვითი სახელების გარდა მსა-ზღვრელად გვაქვს **მთელი||თელი** „ყველა“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი. როგორც ცნობილია, ქართული სალიტერატურო ენის ნორმის თანახმად, ასეთი სახელებით განსაზღვრული ქვემდე-ბარე დგას მხოლოობით რიცხვში, შემასმენელსაც მხოლოობით რიცხვში ითანხმებს. მეგრულსა და ლაზურში ეს ნორმა დარღვეუ-ლია, თუმცა ვითარება ერთნაირი მაინც არ არის. რაოდენობის აღმნიშვნელი სახელით განსაზღვრული ქვემდებარე ხან მხოლოო-ბით რიცხვშია, ხან — მრავლობითში, თუმცა ლაზურში ტენდენ-ცია იქითკენაა, რომ მხოლოობითში შეეწყოს საზღვრული მსა-ზღვრელს. მეგრულში მსაზღვრელ-საზღვრულის კავშირი, შეიძლე-

ბა ასე ითქვას, ნებისმიერია: თანაბრად არის როგორც შეთანხმების, ასევე შეუთანხმებლობის შემთხვევები. ბუნებრივია, შემასმენლის რიცხვში შეთანხმების დროსაც ამგვარი ქვემდებარე თავისებურად იქცევა, მაგრამ ერთი სხვაობა მეგრულსა და ლაზურს შორის აქაც თვალშისაცემია: **ლაზურში რაოდენობის მაჩვენებელი სახელით განსაზღვრული ქვემდებარე** (მიუხედავად იმისა, მხოლობითშია თუ მრავლობითში) **ზმნა-შემასმენელს ყოველთვის ითანხმებს რიცხვში.** მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას ლაზურიდან:

ა) რიცხვითი სახელით განსაზღვრული ქვემდებარე დგას მხოლობით რიცხვში და ზმნა-შემასმენელს შეიწყობს მრავლობითში

ჟურ ჯუმა მენდახთეს ნოღაშე, ჯუმუ დიინდრეს (კარტ. 1970, 229, 14-2) „ორი ძმა წავიდნენ ქალაქში, მარილი იყიდეს"; **შქით ბერე**-ჩქიმიქ (ჰ)ანდღა დიშქაშე იდეს (დიუმ. 24, I-178) „ჩემი შვიდი ბავშვი დღეს შეშაზე წავიდნენ"; **ჟურ კოჩი** ოკოხენან (ყღ. 104, 8) „ორი კაცი სხედან"; **სუმ ბეე** არქადაში დიყვეს (ჩიქ. I, 79, 19) „სამი ტოლი ბავშვი ამხანაგები გახდნენ"; ზამანის **ჟურ კოჩიქ** ყურძენი დოწილეს (ჩიქ. I, 22-21) „დროულად ორმა კაცმა ყურძენი დაკრიფეს" ამმა **ჯურ ლაზიქ** მოგურეს-ჲა (ჩიქ. I, 23-24) „მაგრამ ორმა ლაზმა გვასწავლესო"...

ბ) რაოდენობითი სახელით განსაზღვრული ქვემდებარე დგას მრავლობით რიცხვში და შემასმენელს ითანხმებს მრავლობითში (ორმხრივი მარკირება)

ჟუ კოჩეფე მულუნან (კარტ. 1972, 167, 11) „ორი კაცები მოდიან"; ომში წანა წოხლე ხოფას **ჟურ ჯუმალეფე** მამოდოლეფექ კაბლას **ქოგდოჭკეს** (ყიფ. 12, 11) „ასი წლის წინათ ხოფაში ორმა ძმებმა — მამოდოლებმა ომი დაიწყეს"; **მთელი კოჩეფე** უკუიბღეს დო დაჩხირი ქანოსქირინეს (ჩიქ.

I, 90, 12) „ყველა კაცები გაიქცნენ და ცეცხლი ჩააქრეს"; აწი **ჯუმალეფექ მთელიქთი** ბაბა-მუშიში კაი ოწკომილუს ქოგდოჭკეს (კარტ. 1972, 135, 3) „ახლა ძმებმა ყველამ მამის გახდა დაიწყეს".

ლაზურისგან განსხვავებით, **მეგრულში** ორი ნორმა იჩენს თავს:

ა) განუსაზღვრელი ნაცვალსახელით არძა||არძო „ყველა" და რიცხვითი სახელით განსაზღვრული ქვემდებარე მხოლოობით რიცხვში დგას, შემასმენელიც მხოლოობით რიცხვში შეეწყობა. მაგალითად:

არძა მუშა-მოხანდექ ოკო გეგგმიგვანასგ (სამ. 115, 76, 31) „ყველა მშრომელი უნდა გამოძღეს"; **ფირი ჯიმა** მახინჯი კოჩი ქოცოფე (ყიფ. 52, 20) „ორი ძმა ქურდი ყოფილა"; ქოცოფენია **ვითოფირი ჯიმა** კათა (ყიფ. 14, 22) „ყოფილა თორმეტი ძმაკაცი"; მიდართგე **ბრუო კოჩქგ** (ხუბ. 168, 17) „წავიდა ეს რვა კაცი". **ეჩი დო ვით** ყარული გუჯანუნია თისია გალე (ხუბ. 134, 2) „ოცდაათი დარაჯი უწევს მას გარშემო"; ათე ყოშისგ **სუმი ზისუნანე გგმახენია** (ტ. II, 14, 15) „ამ კოშკში სამი მზეთუნახავი ზისო".

თუმცა შეიძლება გამონაკლისიც გვქონდეს — შემასმენელი მრავლობითში იდგეს. მაგ.: **„არძო მეწამალექგ** გინოჭყვიდეს (ყიფ. 36, 3) „ყველა მეწამლემ გადაწყვიტეს"; **შქვით კოჩქ** ხიორ-ხიორია დო ხარგელო **მინილეს** (ხუბ. 228, 5) „შვიდი კაცი ხრიგინ-ხრიგინითა და ხორაგით შემოვიდნენ". ათე **ფირი ჯიმაქ** ოტყალეშა **მიდართესგ** (ტ. II, 12-16) „ეს ორი ძმა სანადიროდ წავიდა". ართგმაჟიაშ ხასიას **ცხოვრენდეს ფირი მეზობეეფი** (ტ. II, 332, 36) „გვერდ-გვერდ ცხოვრობდნენ ორი მეზობლები".

ბ) რაოდენობის აღმნიშვნელი სახელით განსაზღვრული ქვემდებარე დგას მრავლობით რიცხვში, მას შემასმენელი მრავლობით რიცხვში ეთანხმება ორმხრივი მარკირებით. მაგალითად:

ჩქი ვორდით **სუმენჩი ჯიმალეფი** (ყიფ. 22, 15) „ჩვენ ვიყავით სამოცი ძმები"; თე **ფირი ბოშეფი** ცირაში ოხვამილაფუშა

მიიშესგ-ნი (ყიფ. 64, 1) „ეს ორი ბიჭები გოგოს მოსატაცებლად რომ მიდიოდნენ"; ბოლოს **სუმი მედიატორენქ** ქეშიაფასეს ცუდე, ხულა (ტ. I, 216, 320-84) „ბოლოს სამმა მედიატორებმა შეაფასეს სახლი, ხულა"; **ჟირხოლო სინჯალენქგ** დუდი გეკოჰოფეესგ (ყიფ. 94, 22) „ორივე სიძეებმა თავი წამოყვეს"; ქეგედოხოდეს **ჟირხოლო ტარიელემქგ** რაშემც (ყიფ. 103, 32) „დასხდნენ ორივე ვაჟკაცები ცხენებზე"; ჩქიში **ჯიმალეფქ არძოქ** დიიჰყანჰყეს (ყიფ. 22, 23) „ჩემი ძმები ყველა გაისრისნენ".

გამონაკლისები აქაც გვექნება. მაგ.: თიწკგმა ართო დიზღოდგ ხოლო **ბრელი ლექერთეფქ** (სამ. 102, 66-121) „ძაშინ სულ გაწყდა ბევრი ვაჟკაცები": **სუშ ძღაბეფი** ქიმთოხე გალიას (ხუპ. 281, 14) „სამი გოგოები ზის გალიაში"...

როგორც ვხედავთ, **მეგრულში მრავლობითობის სემანტიკის მქონე სახელით განსაზღვრული ქვემდებარის ფორმა განაპირობებს შემასმენლის რიცხვსაც** — მხოლობითში დასმულ ქვემდებარეს შემასმენელიც მხოლობითში ეწყობა, ხოლო მრავლობითში დასმულ ქვემდებარეს — შემასმენელი მრავლობით რიცხვში ეთანხმება. მაშასადამე, ძირითადად ხდება ფორმისა და შინაარსის თანხვედრა.

ლაზურში ერთგვარი უნიფორმაცია გვაქვს — ყველა შემთხვევაში შინაარსი უსწრებს ფორმას, ანუ რაოდენობის გამომხატველი სახელით ქვემდებარის განსაზღვრა საკმარისი პირობაა იმისთვის, რომ შემასმენელი ქვემდებარემ მრავლობით რიცხვში შეიწყოს. ხშირად ამგვარ წინადადებებში საზღვრული სახელი ჩავარდნილია და რაოდენობრიობის გამომხატველი მსაზღვრელი კისრულობს ქვემდებარის როლს. ასეთ ვითარებაში ლაზურში, როგორც მოსალოდნელია, რიცხვში შეთანხმება ხდება, ე. ი. **რიცხვითი სახელით ან განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან ზმნა-შემასმენელი ყოველთვის მრავლობით რიცხვში დგას.**

მაგალითად:

ა) **ქვემდებარე რიცხვითი სახელითაა გამოხატული:**
ოთხოთი ქოგედგითეს გზას (კარტ. 1972, 13, 34)

„ოთხივე დაადგნენ გზას"; **ფუი-თი** ო კ ვ ა კ ი დ ე ს (ჩიქ. I, 84, 18) „ორივე წაიჩხუბნენ"; **ფუითი** ართიქათის ნ უ გ ა მ ა ნ (კარტ. 1972, 167, 12) „ორივე ერთმანეთს შეხვდებიან"; **ფური-თი** ბარა-ბერ ნ უ ლ უ ნ ა ნ (ყღ. 109, 15) „ორივე ერთად დადიან"; **ფური-თი** დ ო ღ უ რ ე ს (დიუმ. 81, IX-107) „ორივე მოკვდნენ"; **ფური** ხოლო მ ე ხ თ ე ს დო გ ო წ კ ე დ ე ს-ში (ყიფშ. 16, 18) „ორივე რომ მივიდნენ და გააღეს"...

ბ) ქვემდებარე გადმოცემულია ნაცვალსახელებით მთელი||თელი, ორი „ყველა"

ჩქვაში ბერეფეს ო წ კ ე დ უ, **თელი** მუსლიმანი დ ი ყ ვ ე ს (ყიფ. 5, 37) „სხვის ბავშვებს შეხედა, ყველა მუსლიმანი გახდნენ"; **მთელიქ ღაღალეს** დო ხასანის უწვეს-ჭი... (ჩიქ. I, 90, 26) „ყველამ ილაპარაკეს და ხასანს უთხრეს, რომ... " **მთელიქ-თი** ხოჯას ო წ კ ე ტ ე ს (ჩიქ. I, 7, 15) „ყველა ხოჯას ხედავდნენ"; მჩხუი **მთელიქ** ქ ო ჭ კ ო მ ე ს (ჩიქ. I, 1, 25) „ცხვარი ყველამ შეჭამეს"; **მთელიქ** ხოჯას უ ს ი მ ი ნ ა ნ დო „ამინ!" ზოპონან (ჩიქ. I, 30, 35) „ყველა ხოჯას უსმენენ და „ამინ!" ამბობენ"; **ორი** ო კ ი კ ა-თ ე ს დო სუმ ჩათალი გზაშე ქ ო მ ო ხ თ ე ს (დიუმ. 28, I-369) „ყველა შეიკრიბნენ და სამივე გზიდან მოვიდნენ"; **ორიქ** ბერეფე ქ ო მ ე ჩ ე ს მექთების (ყიფ. 5-32) „ყველამ შვილები შეიყვანეს („მისცეს") სკოლაში".

მ ე გ რ უ ლ შ ი რიცხვითი სახელითა და განუსაზღვრელობი-თი ნაცვალსახელებით **არძა||არძო, ორი** „ყველა", „ყოველი" გამო-ხატული ქვემდებარე ძ ი რ ი თ ა დ ად ზმნა-შემასმენელს მრავლო-ბით რიცხვში შეიწყობს. ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ მოხდეს რიცხვში შინაარსობლივი შეთანხმება. მაგალითები მეგრულიდან:

ა) რიცხვითი სახელი ზმნა-შემასმენელს მრავლობითში შეიწყობს:

გ ე გ გ მ ი ნ წ ყ ი ი ს **ჟირხოლოქ** (ყიფ. 94, 6) „გამოეწყვნენ ორივე"; რ ე ნ ა თექგ **ჟირხოლო** (ყიფ. 83, 7) „არიან იქ ორივე"; **ჟირხოლოქ** ქაშქვილი დო ქასაგანი ქ ა ც ო თ ე ს (ხუბ. 101, 11) „ორივემ მშვილდისარი ისროლეს"; **ჟირხოლოქ** სატევარი გ ე გ გ-

ლ ე ნ წ ყ ე ს (ხუბ. 101, 14) „სამივე სატევარი ჩამოიხსნეს“; **სუმ-ხოლოქ** დ ე ფ ხ ა ნ ა გ ე ს (ხუბ. 112, 22) „ორივე დაძმობილ-დნენ“; **სუმი ხოლო** ჩილამი, სქუამი რ დ ე ს (ხუბ. 64, 2) „სამივე ცოლ-შვილიანი იყვნენ“. მაგრამ გვაქვს გამონაკლისიც: **ჟირხოლოქ** ე კ ი რ თ გ ბრელი ხიოლით (ტ. II, 16, 34) „ორივე წაიქცა დიდი სიხარულით“; **სუმიხოლოს** ართი ხენწიფეში ოსურსქუალეფი ც უ ნ ს ი ა (ტ. II, 16, 11) „სამივეს ერთი ხელმწიფის ქალიშვილები ჰყავსო [ცოლად].

ბ) განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ზმნა-შემასმენელს მრავლობითში შეიწყობს

გულუაშ(ი) ოთხოზინგშა **არძაქ** მ ი დ ე თ ა რ ხ ა ლ ე ს (სამ. 93, 66-60) „გულუას მდევრად ყველა გაცვივდნენ“, **არძო** ართო ართიანცგ მ უ ნ ა ნ თ ხ უ დ ე ს გ (ყიფ. 99, 19) „ყველა ერთად ერთმანეთს ეცემოდნენ“; **არძოქ** გ ე გ გ ნ ო ც ი ი ს გ შხვა არდგილეფიშა (ყიფ. 86, 8) „ყველა გაცვივდნენ სხვა ადგილებზე“; **არძაქ** თანახმათ გ ი ნ ი რ თ ე ს (ყიფ. 83, 29) „ყველა დაეთანხმა („თანახმა „გახდნენ“). **არძაქ** ოკო ქ ი მ ე რ თ ა ნ ხანიშა დიდი ძღვნით“; (ხუბ. 14, 24) „ყველა უნდა მივიდნენ ხანთან დიდი ძღვნით“; **ორკოჩქგ** ართო „ურა!“ ქ გ დ ი ძ ა ხ ე ს გ (ყიფ. 92, 14) „ყველამ ერთად „ვაშა!“ დაიძახეს“...

შედარებით ნაკლებად, მაგრამ თავს იჩენს შემთხვევებიც, როცა შემასმენელი მხოლოობითში დგას. მაგ.: **არძოქ** ქ ო-ძ ი რ გ , მუშა რდგ საქმენ (ხუბ. 136, 14) „ყველამ ნახა, თუ რაში იყო საქმე“; **არძას** გ ა უ კ ვ ი რ დ გ (ხუბ. 223, 30) „ყველას გაუკვირდა“, **არძოს** ვენოკ მ უ ღ გ (ხუბ. 286, 4) „ყველას გვირგვინი მოაქვს“; **არძაქგ** დ ო შ ქ უ რ ო ნ დ უ ა (ტ. II, 22, 20) „ყველა დაშინდაო“ (ყიფ. 95, 13); **ორკოცგ** გ უ უ კ ვ ი რ დ გ ... (ყიფ. 84, 8) „ყველას გაუკვირდა“; ანწ **ორკოჩი** ი რ ჩ ქ ი ნ ა ნ ს (ტ. I, 24, 41, 3) „აწი ყველას ეცოდინება“... როგორც ვხედავთ, ფორმობრივი შეთანხმება თავს იჩენს გარდაუვალ, განსაკუთრებით, ინვერსიულ-გარდაუვალ ზმნებთან.

მეგრულში ვინ ჯგუფის სახელებს მიეკუთვნება კრებითი სა-

ხელი **კათა** „ხალხი“, რომლის მნიშვნელობით ლაზურში იხმარება ნასესხები სიტყვა **„მილლეთი“**. ამგვარი სახელით გადმოცემული ქვემდებარე, ქართულისგან განსხვავებით, მეგრულ-ლაზურში შემასმენელს მრავლობით რიცხვში შეიწყობს. მართალია, მეგრულში იშვიათად თავს იჩენს ფორმობრივი შეთანხმების მაგალითებიც, მაგრამ საერთო ტენდენცია მხარს უჭერს რიცხვში შინაარსობრივ შეთანხმებას. მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას:

ა) კათა „ხალხი“ სიტყვით გადმოცემული ქვემდებარე მრავლობითში შეიწყობს შემასმენელს

უჯინეს შხვა **კათაქ** (ყიფ. 84, 10) „უყურეს სხვა ხალხმა“; შუმილი **კათა** მუნეფიში დუდიშო **ილაცაფუდესგ** (ყიფ. 65, 29) „მთვრალი ხალხი თავისთვის თამაშობდნენ“; დიდებული **კათაქ** შეეხვეწეს (ყიფ. 5, 15) „დიდებულმა ხალხმა სთხოვეს“; მუნეფიში ოსურეფი ქიმიცონან თი **კათაქ** (ხუბ. 16, 35) „თავიანთი ცოლები მოიყვანონ იმ ხალხმა“; თქვის გგმაჯინე **კათაქ** (ხუბ. 16, 19) „თქვეს ზედამხედველმა ხალხმა“; ვარ, მუჭომი **კათა** ცოფენა (ხუბ. 17, 12) „ან როგორი ხალხი ყოფილან...

ზოგჯერ **კათა** სიტყვის კრებითობა დაჩრდილულია და მას მიერთვის მრავლობითობის **-ეფ** სუფიქსი. ასეთ შემთხვევაში ფორმობრივადაც ქვემდებარე შემასმენელს მრავლობით რიცხვში მოითხოვს: შეეხვეწეს ნუზუს გაჭირებულ **კათეფქ** (ხუბ. 78, 34) „შეეხვეწნენ ნეძვს გაჭირვებული ხალხები“; ქგმულა **კათეფი** დო ქგგოიცენანიე (ხუბ. 123, 17) „მოვლენ ხალხები და შემოგეხვევიანო“...

იშვიათად, **კათა** სახელთან შემასმენელი მხოლოობით რიცხვშიც შეიძლება შეგვხვდეს. მაგ.: შქვრენც **კათა** გოჭყორდგნი (სამ. 87, 63-49) „შიმშილით ხალხი გაწყდება“; სო **რე** თი **კათეფი?** (სამ. 98, 66-269) „სად არის ის ხალხები?“ თე დროს ჭიშკარც ქგმადგრთგ ცხენამ **კათაქ** გვალო ბრელქ (სამ. 95, 66-153) „ამ დროს ჭიშკარს მოადგა ცხენოსანი ხალხი ძალიან ბევრი“...

ლაზურში მილლეთი „ხალხი“ სიტყვით გამოხატული ქვემ-

დებარე შემასმენელს მრავლობით რიცხვში შეიწყობს. მაგ.: **მილლეთიქთი** მუ ღვან, ფუკარაფექ? (კარტ. 1972, 135, 35) „ხალხმა რა ქნან, ღარიბებმა?“ **მილლეთიქ** წკაიში დოფშუმუშა (‖დოფშუშა) იხაზიენან (კარტ. 1972, 87, 35) „ხალხი წყლის მოსამარაგებლად („ასავსებად“) ემზადებიან“; **მილლეთის** დიდო კაიაწონენან (კარტ. 1972, 88, 1) „ხალხს ძალიან უხარიათ“...

ამრიგად, **ვინ** ჯგუფის სახელის მიერ ზმნა-შემასმენლის შეთანხმების თვალსაზრისით, მეგრულ-ლაზურში გამოვლინდება შემდეგი წესები:

1) **ლაზურში** ყველა შემთხვევაში სახელი ზმნა-შემასმენელს **მრავლობით რიცხვში** ითანხმებს, როგორც წესი, ორმხრივი მარკირებით.

2) **მეგრულში,** ძირითადად, **ვინ** ჯგუფის სახელით გამოხატული ქვემდებარე შემასმენელს მრავლობით რიცხვში ითანხმებს ორმხრივი მარკირების წესით, მაგრამ თავს იჩენს ცალმხრივი მარკირების ისეთი შემთხვევები, როცა ზმნა-შემასმენელთან შეწყობილი სახელი არაა გამოხატული მრავლობითის ნიშნით, მაგრამ მარკირებულია შემასმენელი. ლაზურში ეს წესი თითქმის უგამონაკლისოა, თუმცა მეგრულში უფრო ტენდენციის სახე აქვს. მაშასადამე, სახელის (არსებითი, რიცხვითი...) სიმრავლის სემანტიკა საკმარისი პირობაა შემასმენლის მარკირებისათვის. პრედიკატული შესიტყვების ერთ-ერთი წევრის მარკირებით მიღწეულია სახელისა და ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეთანხმება. როგორც ჩანს, ე. წ. არანორმირებული ენისთვის რიცხვში შეთანხმების ორმხრივად მარკირება შინაარსობლივი ფაქტის გამოხატულების დონეზეც დადასტურების ტენდენციის შედეგია.

§ 11. მრავლობით რიცხვში დასმული რა ჯგუფის სახელი და ზმნა-შემასმენელი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეგრულ-ლაზურშიც ცალკე ჯგუფად გამოიყოფა არაადამიანის აღმნიშვნელი სახელები, რომლებსაც **მუ** „რა?“ კითხვითი ნაცვალსახელი დაესმის. ჩვენს ყურა-

დღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ქართულში **რა** ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვი ეწარმოება (როგორც **ნ**-არიანი, ასევე **ებ**-იანი: **რა-ნ-ი, რაები**), ხოლო ზანურში თავისებური ვითარება გვაქვს: ერთი მხრივ, ლაზურში **მუ** „რა“ ნაცვალსახელის მრავლობითი გამოიხატება **მუფე** (იშვიათად **მუეფე**) ფორმით, ხოლო მეგრულში **მუ** მრავლობითს არ აწარმოებს [ყიფშიძე 1914, 048; ჩიქობავა 1936, 84]. იშვიათად მრავლობითის სემანტიკის აღსანიშნავად მეგრული მიმართავს **მუ** ნაცვალსახელური ფუძის გაორმაგებას: **მუდომუ** ვეგლაძუდგ სტოლს „რაები (ზედ. „რადარა“) არ იდო მაგიდაზე“... სწორედ ისევე, როგორც ქართულში **ვინ** ნაცვალსახელის რედუპლიკაცია ხდება სიმრავლის აღსანიშნავად: **ვინდავინ** მოვიდა?

ამგვარი ვითარება მეგრულსა და ლაზურში ხომ არ მიგვანიშნებს იმას, რომ **რა** ჯგუფის სახელებს ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების უნარი არ გააჩნდათ ან ნაკლებად ახასიათებდათ? ეს არც უნდა იყოს მოულოდნელი, რამდენადაც **რა** ჯგუფი სემანტიკურად მაინც **ნივთის** კატეგორიას უკავშირდება, რომელიც, თავის მხრივ, კრებითობის გამომხატველი თუ შეიძლება იყოს. მეორე მხრივ, **რა** ჯგუფის სემანტიკური სეგმენტაცია **სულიერ** და **უსულო** სახელებად გარკვეულწილად აისახება სინტაქსურ დონეზე რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულში „ჩვეულებრივია მრ. რიცხვში შეთანხმების შემთხვევები ქვემდებარესა და შემასმენელს შორის, როცა ქვემდებარეა ცხოველის ან ფრინველის სახელი“, ხოლო „როცა უსულო (არაცოცხალი) საგნის სახელი ქვემდებარეა და მრ. რიცხვში დგას, შემასმენელი შეიძლება შეუთანხმდეს რიცხვში მას და შეიძლება არა“ [შანიძე 1948, 113-114; კვაჭაძე, 1977, 102]. ამგვარი რყევის მიზეზი შეიძლება იყოს ნათარგმნი ლიტერატურა იმ ენებიდან, სადაც ქვემდებარე შემასმენელს უცილობლად მრავლობითში შეიწყობს, ან კიდევ სტილისტიკური აუცილებლობაა მწერლობაში, თუმცა „სალიტერატურო ქართულში იმდენად მკვეთრად იგრძნობა განსხვა-

ვება „ბავშვები იზრდებიან“ და „ხეები იზრდება“ კონსტრუქციებს შორის, რომ უკანასკნელში შეთანხმება პერსონიფიკაციის ეფექტს მოგვცემდა: ხეები იზრდებიან... “ [ჩიქობავა 1968, 273]. მიუხედავად ამგვარი შეფასებისა, შეიძლება ითქვას, რომ რა ჯგუფის სახელებსა და შემასმენელს შორისაც აპრიორი არსებობს რიცხვში შეთანხმება, რადგან „ხეები იზრდება“ გულისხმობს არა ერთი, არამედ **ყველა ხის** ზრდის პროცესს. ცხადია, ამ შემთხვევაშიც უნდა ვისაუბროთ შეთანხმების მარკირების წესზე: ცალმხრივი მარკირებაა თუ ორმხრივი მარკირება აქტანტებსა და ზმნა-შემასმენელს შორის. ცხადია, მნიშვნელოვანი ფაქტორია აქტანტთა სემანტიკა, მათ შორის გაპიროვნების როლი. ჩვენს ხელთ არსებულ საანალიზო მასალაში უსულო სახელის გაპიროვნების შემთხვევები მინიმალურია. ალბათ ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ზღაპრების, ანეკდოტების, სხვადასხვა ამბების პერსონაჟები ძირითადად ადამიანები, ან ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს წარმომადგენლები არიან. ჩვენ მიერ მოკვლეულ მაგალითებში **უსულო სახელები როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში, ზმნა-შემასმენელს ითანხმებს რიცხვში ცალმხრივი მარკირებით.** მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას:

ა) მეგრული:

ქგლორი ინოხენ იში **სუალეფი დგრიკვნს** ჯას (ხუბ. 115, 19) „ხოხობი რომ ზის, იმისი ფრთები დრეკს ხეს“; **ონანგერეფი გინირთუ** ზღვათ (ხუბ. 218, 28) „უნაგირები იქცევა ზღვად“; ეთექ **ეკოდგვნია ჭანდარეფია** (ხუბ. 133, 37) „იქ დგასო ჭადრებიო“; თიშ მამალას **ქინჯამუ** თე **გვალეფ** (ხუბ. 124, 9) „ისე სწრაფად იღება ეს მთები“; **შენობეფი** მუთ **ქგვედგუნი,** ირფელი გოხოლუნა ვარჩხილი (ხუბ. 35, 14) „შენობები რაც დგას, ყველაფერი გახლავთ ვერცხლისა“; **ნოტეხეფი** თეში **მეურს** ვერსი დო ჟირი ვერსის (ხუბ. 31, 9) „ნატეხები ისე მიდის ვერსსა და ორ ვერსზე“; ღუმანინჯი ზღვას **აშარდგ** გვალო ბრელი **ხვამარდეფი** (სამ. 97, 66-216) „წუხელ ზღვაში იდგა ძალიან ბევრი ხომალდები“, ათე **ოჭკომალემქ** არძოქგ ართიანიში უჯგუშიქ **ოცუ** (ყიფ. 90, 34) „ეს საჭმელები ყველა ერთმანეთზე უკეთესი აღმოჩნდა

(„იქნა“)“; მარა ათე **საქვარეფი** ძალამი მონკა დო საფიქრო ოქიმინალეფი **რენია** (ყიფ. 48, 21) „მაგრამ ეს საქმეები ძალიან მძიმე და საფიქრალი არისო“... გვაქვს გამონაკლისი, როცა უსულო საგანი გაპიროვნებულია და ზმნა-შემასმენელი მრავლობითში შეეწყობა: **ნეძენქ ქეშეხვეწეს** (ტ. II, 250, 19) „ნიგვზებმა სთხოვეს“; თი ნეძეფი **მორდელენა** დო **ქეგეჩანა** შარაპის (ტ. II, 252, 20) „ის ნიგვზები გაზრდილან და დგანან გზის პირას“; **ზარენქ** რეკუა **ქოდიშუეს** (ტ. II; 272, 19) „ზარებმა რეკვა დაიწყეს“.

ბ) ლაზური

ოხოეფე მთელი **ოქვენ** (კარტ. 1972, 15, 16) „სახლები ყველა იწვის“; ადა ქდოის **ოხოეფე** აშო მენდრა-მენდრა მოთ **რენ?** (კარტ. 1972, 78, 5) „ამ სოფელში სახლები ასე შორი-შორს რატომ არის?“ **ჭანდაფე**-მუთეფეში შქით ნდღა დო **შქითი** სერს **ტუ** (კარტ. 1972, 194, 20) „მათი ქორწილები შვიდი დღე და ღამე იყო“; **ქაუფეფე-თი** თხორელი **ტუ** (ჩიქ. II, 77, 18) „ქვევრები ჩამარხული იყო“; დემირიში **კაჩეფე** ჰექ **ოცონს** (ჩიქ. II, 36, 13) „რკინის ლურსმნებია იქ ჩარჭობილი“, აღანი **ფუქურეფე** მუ **ღოდამს?** (ჩიქ. II, 82, 16) „ახალი ფოთლები რას იზამს?“ კამწამიშ **თომალეფე** ჰიშო **ონუ!** (ჩიქ. 11, 102, 24) „წამწამის „თმებიც“ ისე არის!..“ მრავლობითში დგას შემასმენელი შემდეგ წინადადებაში: „მჯვე თუთა ჭკიუფანდა დო **მუუცხეფე ოქოფანდა** (კარტ. 1972, 144, 25) „ძველი მთვარე ცხრებაო და ვარსკვლავები ციმციმებენო!“

ქართული სალიტერატურო ენის ნორმის მიხედვით, სულიერი საგნის სახელით გადმოცემული ქვემდებარე შემასმენელს რიცხვში ითანხმებს ანუ ორმხრივ მარკირებულია [შანიძე 1948, 1137], თუმცა არც თუ იშვიათად გვაქვს ცალმხრივი მარკირებაც მსგავსად ძველი ქართულისა და ზოგიერთი დასავლური დიალექტისა (იმერული, გურული) [ჩიქობავა 1968, 273; ჯაჯანიძე 1970, 254; კუბლაშვილი 1985, 185]. **მეგრულ-ლაზურში, როცა ქვემდებარე სულიერი საგნის აღმნიშვნელია, ზმნა-შემასმენელს ითანხმებს რიცხვში, როგორც ორმხრივი მარკირებისა, ასევე ცალმხრივი მარკირების წესით**

ა) **მეგრული** (ორმხრივი მარკირება)

შარას **ქეწობხვადეს** ბრელი **გერენქ** (ყიფ. 46, 13) „გზაზე შემოგვხვდნენ ბევრი მგლები"; **ხოჯეფქ** წყარი **ვაშვეს** დო ქგმორთი (ყიფ. 9, 2) „ხარებმა წყალი არ დალიეს და მოდი"; ართიხანც **ღეჯეფქ** ვა **ძირეს,** მარა **ოლაჯინესი, ქოძირეს...** (ყიფ. 105, 17) „ერთ ხანს ღორებმა ვერ ნახეს, მაგრამ რომ გახედეს, შეამჩნიეს"; შუმილ-შუმილ **გორდეფი** სტოლსი **ქენკოგვართხუდეს** (ტ. I, 230, 344, 13) „მთვრალ-მთვრალი ბაყაყები მაგიდას უსხდნენ (რიხიანად)"; **გორდეფი დოშაყარენან** დო **ქიძახგნა** „მოლართისგ" (ტ. I, 229, 343-19) „ბაყაყები შეყრილან და იძახიან „წამოდითო"; მარა **ტორონჯენქ** ბირა **მიოტეს** (ხუბ. 134, 20) „მაგრამ მტრედებმა სიმღერა შეწყვიტეს"; **გედირთეს** დასურო **ქოთომენქ** (ხუბ. 63, 30) „ადგნენ მართლაც ქათმები" **„სუმიხოლო ჯოლორქ** ართიმაყიას **ქილუდირთეს** (ტ. II, 252, 32) „სამივე ძაღლი ერთიმეორეს ამოუდგნენ გვერდში"; სოდგენ კამპანიას **დორძღელენა ჯოლორეფი** დო თიშენ **ცურანანია** (ტ. II, 252, 39) „სადღაც ლხინში გამძღარან ძაღლები და იმიტომ ყმუიანო".

ბ) **ლაზური** (ორმხრივი მარკირება)

ყვაროჯეფეს ლეში **აჩქონენანდა** (ჩიქ. I, 69, 8) „ყვავებს ლეში ეგონებათო"; **ჯოლორეფე უნკაპეს** (ჩიქ. I, 28, 4) „ძაღლები გაიქცნენ"; **ჯოლორეფე** თილქის **გდოთხოზუტეს** (ჩიქ. I, 34, 6) „ძაღლები მელიას მისდევდნენ"; **კატუფე უნკაპეენან** ედო ქაგამიღეენ (ასათ. 143, 21, 25) „კატები გაქცეულან, ჰოდა გამოუტანია"; ია ემუშე გელაუკიდაფთ-ქი **კვინჩეფექ წკოფან** (ასათ. 132, 82-12) „იმას იმიტომ ჩამოვკიდებთ, რომ ჩიტები კრეფენ"; **ცხენეფექ** წკაი ვა **შუფანდა** (კარტ. 1972, 61, 38) „ცხენები წყალს არ სვამენო"; **არწივეფე გეხთეს, გდანკაპეს** დო **ქოყონეს** (კარტ. 1972, 34, 19) „არწივები მოფრიდნენ, გააქციეს და წაიყვანეს"; ირი უშქური **ოჭკომეს ნთხალეფექ** (ჟღ. 115, 22) „ყველა ვაშლი შეუჭამეს თხებმა";

აღსანიშნავია, რომ ე. წ. ზღაპრული პერსონაჟები (დევი, ეშ-

მაკი, ჭინკა, ჯაზი „ავი სული“) გაპიროვნებული არსებებია, ამიტომაც ამ სახელებით გადმოცემულ ქვემდებარეს შემასმენელიც ორმხრივი მარკირების წესით ეთანხმება. მაგალითად:

ქიოგინესგ დემემქგ, გაგგმოციის გალე (ყიფ. 88, 16) „იგრძნეს დევებმა, გამოცვივდნენ გარეთ“; ართი დიხას **ნდემეფი ოხორანა** (ყიფ. 87, 19) „ერთ ადგილას დევები ცხოვრობენ“; **ეშმაკეფქ ქომორთეს,** მუნეფიშ მოქმედებაში ჩიება ქოდააჭყეს (ყიფ. 6, 2) „ეშმაკები მოვიდნენ, თავიანთი მოქმედების მოყოლა დაიწყეს“... **სუმიხოლო ნდოენქ ქომორთესგნი** (ტ. II, 16, 15) „სამივე დევები რომ მოვიდნენ“.

თუმცა გვაქვს ცალმხრივი მარკირებაც: **დუძახგ დემენქ** (ხუბ. 205, 32) „დაუძახა დევებმა“; ართი ხანირე **ნდოეფი ვამაწუხენსგნი** (ხუბ. 9, 20) „ერთი ხანია, რაც დევები არ მაწუხებს“; **ეშმაკეფქ გაცდუნუვო,** ხანგურო მუქ აგახნარ? (სამ. 58, 44-83) ეშმაკებმა გაცდუნა, გიჟურად რამ აგახმიანა?“. აქი სუმი ჯიმა **ნდოეფი ოხორანსია** (ტ. II, 16, 11) „აქ სამი ძმა დევები ცხოვრობსო“.

ლაზურში, ვინ ჯგუფის სახელთა მსგავსად, ზღაპრული პერსონაჟებით გამოხატული ქვემდებარე ყოველთვის ითანხმებს შემასმენელს რიცხვში ორმხრივი მარკირებით: **ჯაზეფე ითტეენან** (ასათ. 141, 90-34) „ჯაზები გაქცეულან“; **ჯაზეფე ზოპონან** (ასათ. 150, 94-13) „ჯაზები ამბობენ“; ადა **ჭინკაფე ქომოხთეენანდა** (კარტ. 1972, 14, 10) „ეს ჭინკები მოვლენო“; ჟურ თანე **დევეფე ჲენან** (კარტ. 1968, 150, 19) „ორნი დევნი არიან“; **დევეფექ ჰოდოდგეს** სუფა (კარტ. 1968, 150, 22) „დევებმა გაშალეს სუფრა“...

როგორც აღვნიშნეთ, სულიერი საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარეს შემასმენელი ხან ცალმხრივი, ხანაც ორმხრივი მარკირებით ეთანხმება რიცხვში. ცალმხრივად მარკირებულია, როცა შემასმენელი გამოხატულია **გარდაუვალი** ზმნებით. ამ მხრივ ერთნაირი ვითარებაა მეგრულსა და ლაზურში. მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას:

მეგრული: თის მუთოხენია **ტორონჯეფი** (ხუბ. 134, 4) „მასში ზისო მტრედები“; **ცხენეფი** ოხვამეთ გინართუ (ხუბ. 218, 10) „ცხენები ეკლესიად

იქცა"; **ჯოლორეფი** ცოფე დიდ-დიდი (ხუბ. 14, 16) „ძაღლები ყოფილა დიდ-დიდი"; თი **ჩიტეფ** სოდერენ თექია (ხუბ. 133, 13) „სადაც ის ჩიტები არის, იქო"; ქიანაში გორჩქინაშე ბინა **ნოლვე** თაქ **ნგერეფც** (სამ. 115, 77-9) „ქვეყნის დასაბამიდან აქ ბინა ჰქონია მგლებს"; არძა **ცხენეფც** თექ ვალინე (სამ. 114, 76-5) „ყველა ცხენები იქ ვერ წავა"; **გორდეფი** თის იხვეწებუ (ტ. I, 231, 346-7) „ბაყაყები იმას იხვეწება"; აკიგვარგვათუ **რაშენქ** (ხუბ. 126, 10) „აზავთდნენ რაშები", **რაშეფი კირუნ,** თექ (ტ. II, 272, 17) „რაშები სადაც აბია, იქ".

ლაზური: **მსქვერეფე** სუმი ტუ (ჩიქ. II, 79, 11) „შვლები სამი იყო"; საბახთან ასქერეფე მეხთე-ში, **ნცხენეფე** ვარენ (ჟღ. 139, 25) ჯარისკაცები რომ მივიდნენ, ცხენები არ იყო"; ჩქინი **მამულეფექ** იადოშქვიდაფსდა (კარტ. 1972, 12, 21) „ჩვენი მამლები მას დააბრჩობსო", **ცხენეფეს** ოწკომილუ უნონ! (კარტ. 1972, 41, 27) „ცხენებს საჭმელი უნდა!" მსქვერიში **ბერეფე** ჟინდოლე ოხორი მუშის მოლახენ (ჟღ. 57, 38) „შვლის ნუკრები ზემოთ მის სახლში არის („ზის"); **წიპილეფე** მუშიქ უწუ-ქი (ჟღ. 110, 21) „თავისმა წიწილებმა უთხრა"; დო **კატუფე** ნა მოლახეტუ ოდაში ნეკნა გონწკუ... (კარტ. 1972, 16, 3) „და კატები რომ იჯდა, იმ ოთახის კარი გააღო"...

შეიძლება ითქვას, რომ **რა** ჯგუფის სახელის მიერ ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით, მეგრულსა და ლაზურში ერთნაირი ვითარებაა. კერძოდ:

1) უსულო სახელი ზმნა-შემასმენელს რიცხვში ითანხმებს ცალმხრივი მარკირების წესით;

2) სულიერი საგნის აღმნიშვნელი სახელი ზმნა-შემასმენელს რიცხვში ითანხმებს, როგორც ცალმხრივი, ასევე ორმხრივი მარკირებით.

§ 12. რიცხვში შეთანხმების საკითხი შერწყმულ წინადადებაში

შერწყმული წინადადება ფართოდ არის გავრცელებული როგორც ქართულში, ასევე ზანურში. რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით, საყურადღებოა როგორც ერთგვარქვემდებარეებიანი, ასევე ერთგვარშემასმენლებიანი წინადადებები.

ერთგვარი სახელებით შერწყმული წინადადების ანალიზისას, წინა თავების მსგავსად, გამოვყოფთ **ვინ** და **რა** ჯგუფის სახელებით გადმოცემული ქვემდებარეებით შერწყმულ წინადადებებს.

ლაზურში ვინ ჯგუფის, ანუ ადამიანის აღმნიშვნელი სახელით გამოხატული ქვემდებარეები შემასმენელს ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს მრავლობით რიცხვში შეიწყობს. მაგალითად:

ფადიშაჰი დო **ბოზოფექ** დიდო **ახვეწეს-დორენ** (დიუმ. 71, VII-46) „ხელმწიფე და გოგოები ძალიან ეხვეწნენ (თურმე)"; ჰაშო **ბადი** დო **ქჩინიქ** კატა ნდღას ხაზიდი ნგდად **იფხორნან** დო სეფა **ოქომან** (დიუმ. 60, V-36) „ასე ყოველდღე მოხუცი და დედაბერი მზამზარეულ საჭმელს ჭამენ და სუფრას შლიან"; სეიში გვერდიშა **ოხვამაპტეენან-და ხოჯაქ** დო **მოლაფე** მუშიქ (ჩიქ. I, 24-9) „შუაღამემდე ლოცულობდნენ ხოჯა და მისი მოლები"; **ნანა** დო **ბაბაქ** მან ია დეიშა **მენდამეყონოფან-და** (ჩიქ. I, 74, 5) „დედა და მამა მე იმ ადგილას წამიყვანენო"; არ ზამანის არ **ოხორჯა** დო არ **ქომოლი ქორტეს-დორენ** (დიუმ. 47, II-1) „ერთ დროს ერთი ცოლ-ქმარი ყოფილან"; დაღიშა **ნიტერენან** არ **ბიჭი** დო არ **ბოზო** დიშქაშ მომალუშენი (ყიფ. 16, 13) „ერთი ბიჭი და გოგო ტყეში მიდიან შეშის მოსატანად";

რა ჯგუფის სულიერი სახელებით გადმოცემული რამდენიმე ქვემდებარეც შემასმენელს რიცხვში ითანხმებს. მაგალითად:

ჯოლოი დო **მამულიქ ქიკითქვეენან** (კარტ. 1972 12, 3) „ძაღლი და მამალი დაძმობილდნენ"; არ **მკაფუ** დო **მთუთი** არქადაში **რენან...** (კარტ. 1972, 9, 8); „ერთი ტურა და დათვი მეგობრები არიან"; ოკულე **მკაფუ** დო **მთუთიქ** კაკალი **დოკანკეს**

დო გდაი **დოყვეს** (კარტ. 1972, 9, 20) „მერე ტურამ და დათვმა კაკალი დაამტვრიეს და საჭმელი გააკეთეს“; აწი **მთუთი, ღეჯი, მკდაფუ,** მთელი შეი **მულვან** დო **ოხოსანან** (კარტ. 1972, 15, 24) „ახლა დათვი, ღორი, ტურა — ყველა მოდიან და ასუფთავებენ“: **გიინიქ** დო **ჟოლოი** დო **კატუქ** დო **მამულიქ** აშო ყვეს (კარტ. 1972, 14, 30) „ვირმა და ძაღლმა და კატამ და მამალმა ასე ქნეს“...

შეგვხვდა შეუთანხმებლობის შემთხვევებიც. მაგ., არ ოხორის ჭორტუ **ჯოღორი** დო **მამული** (ჟღ. 138, 34) „ერთ სახლში იყო ძაღლი და მამალი“; ართეი **მთუთი** დო **მელი ჭორტეენ** (კარტ. 1972, 10, 16) „ერთი დათვი და მელია ყოფილა“.

შეიძლება ითქვას, რომ **ლაზურში შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი ქვემდებარეები (სახელები) ზმნა-შემასმენელს მრავლობით რიცხვში შეიწყობს** (სულ ერთია, ვინ ჯგუფის, თუ რა ჯგუფის სულიერი სახელებითაა გადმოცემული ქვემდებარე).

მეგრულში ასეთი ვითარება არა გვაქვს. მართალია, ადამიანის აღმნიშვნელი სახელებით გამოხატული რამდენიმე ქვემდებარე (სახელი) ძირითადად, ზმნა-შემასმენელს რიცხვში ითანხმებს, მაგრამ შეუთანხმებლობაც ხშირია (35X19). ეს უკანასკნელი, როგორც მოსალოდნელი იყო, გვაქვს მაშინ, როცა შემასმენელი გარდაუვალი ზმნითაა გადმოცემული. მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას:

ა) ვინ ჯგუფის სახელით გამოხატული რამდენიმე ქვემდებარის მიერ ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეთანხმება:

არჩქილენა თეს **პაპათ** დო **ბაღანა, დიდა** დო **მუმათ** (ხუბ. 87, 7) „უსმენენ ამას მღვდელიც და ბავშვი, დედა და მამაც“; **ხენწეფე** დო მუშ **ოსურქ** შქაშა **ქაშეხუნეს** ომბოლია (ხუბ. 58, 14) „ხელმწიფემ და მისმა ცოლმა შუაში დაისვეს ომბოლია“; **თათარაცანი** დო **ბეგოქ** ნადირობაშე **დირთესგნი** (ხუბ. 100, 17) „თათარაყანი და ბეგო ნადირობიდან რომ დაბრუნდნენ“; **ზოსმე** დო **ბუჩუნას** ართიან(ი) **გაკუჩქვეჩქუნა** (სამ. 119, 80-1) „ზოსიმე და ბუჩუნას ერთმანეთი დაუჩეჩქავთ“; **გულუა** დო მუში **ჯარქ**

დოხორეშე **ქგმორთესგ** (სამ. 99, 66-297) „გულუა და მისი ჯარი სამოსახლოებამდე მოვიდნენ“; **ხენწიფექგ,** მუში **ჩილქგ,** მუში **სქუალეფი** დო მუში **სინჯალემქგ მოლართეს** არძოქ ართო (ყიფ. 99, 31) „ხელმწიფე, მისი ცოლი, შვილები და სიძეები წამოვიდნენ ყველა ერთად“; **ქგმაზადესგ** მუნეფიში **დიანთილი** დო **ოსურემქგ** (ყიფ. 95, 10) „მოეგებნენ მათი დედამთილი და ცოლები...

ბ) ადამიანის აღმნიშვნელ რამდენიმე სუბიექტს ზმნა-შემასმენელი მხოლოობითში ეწყობა:

იშენი **მოგურუ დიდა** დო **მუმაქ** (ხუბ. 82, 26) „მაინც მასწავლა დედა და მამამ“; **გედირთგ** ხენწიფეშ **სქუაქ** დო მუში **მოცვენჯიქ** (ხუბ. 22, 12) „ადგა ხელმწიფის შვილი და მისი მხლებელი“; **ქიდოსქიდგ გიორგი** დო თე **ძლაბიქ** ხვალე თე ცუდეს“ (ხუბ. 146, 22) „დარჩა გიორგი და ეს გოგო მარტო ამ სახლში“; ათე დროს **ხენწიფე** დო მუში **ჩილი** ღურელ **რ დ გ** (ყიფ. 101, 32) „ამ დროს ხელმწიფე და მისი ცოლი მკვდარი იყო“; **მუმა** დო **დიდაქ** ნება ვა **მეჩგ** სქუას გირგვინიში გედგგმაში (ყიფ. 46, 25) „მამამ და დედამ ნება არ მისცა დაქორწინებისა“. **პატგნი** დო მუში **ჩილცგ ქგმუზოჯგ** (სამ. 92, 66-4) „ბატონი და მისი ცოლი მობრძანებულა“; ვარა საონჯღორო **ოჭგ მენძელი** დო **სუმარეფცგ** (სამ. 66, 280) „ან სამარცხვინო სჭირს მასპინძელსა და სტუმრებს“...

მეგრულში რა ჯგუფის სახელით გამოხატულ რამდენიმე ქვემდებარესთან ზმნა-შემასმენელი ხან მრავლობით რიცხვში დგას, ხან — მხოლოობითში (12X9). მაგალითად:

ა) ზმნა-შემასმენელი დგას მრავლობით რიცხვში:

მოლართეს ბადიდიშა **დემქგ** დო ვითი **გერი** დო **ტურაქ** ბადიდიშ გაატახგშა (ყიფ. 42, 2) „წამოვიდნენ ბერიკაცთან დევი და ათი მგელი და ტურა ბერიკაცის გამოსატეხად“; **დინააჯინესგ გერი** დო **ტურაქ** ართიანსგ (ყიფ. 42, 6) „შეხედეს ერთმანეთს მგელმა და ტურამ“; **ქინგარა ლეჯი, ქირი, ლაკვი** დო **თუნთი** (ხუბ. 11, 15) „ტირიან ღორი, ქორი, ლეკვი და დათვი“; **იანარი** დო **ქირსეთუთა გორგნა** დო **ქოძირგნა** (სამ. 110, 72-29) „იანვა-

რი და ქრისტეშობისთვე ეძებენ და იპოვიან“...

ბ) ზმნა-შემასმენელი დგას მხოლოობით რიცხვში ოკაამხანაგ ბაღირექ დო **ჰუკაქ** (ხუბ. 47, 14) „შეამხანაგდა ბეღურა და თაგვი“; ათე **გერი** დო **ტურაქ უწუუ** დემსგ (ყიფ. 41, 30) „ამ მგელმა და ტურამ უთხრა დევს“; **ჯა** დო **ტყაქ** მუშით **დიჭყუ** ცალუა (ხუბ. 2, 38) „ხემ და ტყემ თავისით იწყო ცელვა“; სწორეთ **მომიკოონტუ რაგად(ი)** დო სქვამ **ნინაქ** (სამ. 64, 47-1) „სწორედ თავბრუ დამახვია საუბარმა და ტკბილმა ენამ“... **ცა** დო **ქიანა ინწყუუ** (ტ. II, 252, 35) „ცა და დედამიწა იქცევა“; **ჯა** დო **ჯა** ართიანსგ **მიკოტტირხგ** (ტ. II, 26, 1) „ხე და ხე ერთმანეთს ეხეთქება“; **ჯა** დო **ქუაქ** არძოქ **ოკიირთგ...** (ტ. II, 20, 7) „ხე და ქვა — ყველაფერი წაიქცა“.

ო. ურიდიამ ყურადღება მიაქცია მეგრულის ერთ თავისებურებასაც: როცა გვაქვს ერთგვარშემასმენლებიანი წინადადება, მრავლობითი რიცხვის ფორმით გადმოცემული სახელი პირველ შემასმენელს ვერ ითანხმებს რიცხვში, მაგრამ მომდევნო მრავლობითში დგება (ურიდია 1960, 176). ჩვენს საანალიზო მასალაშიც შეგვხვდა ამგვარი შემთხვევები:

ათეში გურშენი **წეიჩხუბგ ნოსალენქგ** დო **გეგგნააცოთეს** ოჯახიშე თე რჩინგ კოჩი (ყიფ. 40, 3) „ამიტომ წაეჩხუბა რძლები და გააგდეს სახლიდან ეს მოხუცი კაცი“; სუმი მუში **ნოსალეფს გოჯოგუუ** ნდო გინორობუშა **ქუურაგუაფუნა** (ყიფ. 42, 8) „მის სამ რძალს შესძულებია და ხევში გადაუგდიათ“; ენეფქ ინგგრც **ვემგნათინგ,** პიჯი აშო **ქირთინეს** (სამ. 93, 66-70) „ამათ ენგურზე ვერ გაბედეს („გაბედა“), პირი აქეთ იბრუნეს“; **ქიმოჭიშუუ** ჩქინ **თურეფქ,** ირდიხაშე **მოუნჭეს** (სამ. 103, 66-469) „მიუსწრო ჩვენიანებმა, ყოველი მხრიდან დაუმიზნეს“; ართი ჰიფე შარას **ოკაკათგ გვერენქგ** ბრელქგ დო **მუუნჭეს** ართიანსგ დუდი... (ყიფ. 34, 32) „ერთ ვიწრო გზაზე შეიკრიბა ბევრი გველი და ერთმანეთს თავით დასცხეს“... სუმი **გორდეფ დოშუმელე, ქოგულენა** ქალაქის (ტ. I, 231, 346-3) „სამი ბაყაყი დამთვრალა, სეირნობენ ქალაქში“; **უაზახი** დო მუშ **სქუალენქ** მინს დუდ გუსოფგ, მინს

ხე **მეტახვ** დო **გეგვნორაცეს** თეშ არძა (ხუბ. 21, 23) „გლეხმა და მისმა შვილებმა ზოგს თავი გაუტეხა, ზოგს ხელი მოსტეხა და გაყარეს ასე ყველა“; **დოხოდვ** ამუსერი **ხენწიფექ** დო მუში **ჩილქ** დო **იფიქრეს** (ხუბ. 21, 23) „დაჯდა ამაღამ ხელმწიფე და მისი ცოლი და იფიქრეს“...

ამრიგად, ერთგვარქვემდებარეებიან შერწყმულ წინადადებაში ქვემდებარის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით ერთგვარი ვითარება არა გვაქვს მეგრულსა და ლაზურში.

1) **ლაზურში** როგორც **ვინ** ჯგუფის, ასევე **რა** ჯგუფის სახელით გადმოცემული ერთგვარი ქვემდებარეები შემასმენელს რიცხვში ითანხმებს. გადამწყვეტ როლს ასრულებს აზრობრივი შეთანხმება;

2) **მეგრულში ვინ** ჯგუფის სახელებით გამოხატული ერთგვარი ქვემდებარეები, **ძირითადად,** შემასმენელს მრავლობით რიცხვში ითანხმებს, თუმცა გვაქვს შეუთანხმებლობა უფრო მეტად გარდაუვალი ზმნით გადმოცემულ შემასმენლებთან;

3) მეგრულში **რა** ჯგუფის სახელებით გადმოცემული ერთგვარი ქვემდებარეები შემასმენელს შეიწყობს ხან მრავლობით რიცხვში, ხან — მხოლოობითში. რაიმე კანონზომიერების დადგენა ძნელია.

4) მრავლობითში დასმული ქვემდებარე ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადადებაში მხოლოდ ბოლო შემასმენელს ითანხმებს რიცხვში.

შეიძლება ითქვას, რომ სახელის მიერ ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით, მეგრულ-ლაზურში გამოიკვეთება შემდეგი ვითარება:

ა) **ვინ** ჯგუფის სახელებსა და ზმნა-შემასმენელს შორის მრავლობით რიცხვში ორმხრივ მარკირებული შეთანხმებაა; გამონაკლისები მეგრულში საერთო სურათს ვერ ცვლის.

ბ) **რა** ჯგუფის სახელებთან ამგვარი ვითარებაა: **უსულო** სახელები ზმნა-შემასმენელს რიცხვში **ცალმხრივი მარკირების წესით ეთანხმება; სულიერი** სახელები, ძირითადად, ცდილობენ

ზმნა-შემასმენელი მრავლობითში შეითანხმონ ორმხრივი მარკირებით, თუმცა ხშირია ცალმხრივი მარკირებაც. **სულიერი სახელების** მიერ სინტაქსური ძალის მოპოვება უნდა უკავშირდებოდეს მათ **გაპიროვნებას.** აღსანიშნავია, რომ მეგრულ-ლაზურში დამატება-ობიექტიც მხოლოდ I და II პირში ითანხმებს ზმნა-შემასმენელს მრავლობით რიცხვში ორმხრივი მარკირებით.

რ. ასათიანის აზრით, ქართულში „რიცხვის შეთანხმების თვალსაზრისით აშკარად განსხვავდება, ერთი მხრივ, კომუნიკაციის პროცესში უშუალოდ მონაწილე I და II და, მეორე მხრივ, კომუნიკაციის პროცესში უშუალოდ არმონაწილე (III) პირები: I და II პირი ზმნას რიცხვში ითანხმებს ყოველგვარი პირობის გარეშე; III პირი კი პირობითად: თუ ის არის (1) სულიერი სახელი და (2) სახელი, რომელზედაც საუბრობენ (თემა)... (1) პირობა საშუალებას გვაძლევს ქართულში გამოვყოთ სულიერობის სინტაქსური კატეგორია“ [ასათიანი 1982, 105-106].

ჩვენი მხრივ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მეგრულ-ლაზურისთვის სულიერობის კატეგორია არა რელევანტურია, რიცხვში შეთანხმებისა და ორმხრივი მარკირების თვალსაზრისით III პირშიც მეტი ძალა აქვს **პირის (პერსონის და არა სულიერის) სემანტიკურ კატეგორიას.**

როგორც ვხედავთ, ძირითადი ტენდენციების მიხედვით **მეგრული** და **ლაზური** უახლოვდება ერთმანეთს, მაგრამ არსებობს სხვაობაც — **ლაზურში უნიფიცირებულია სახელისა და ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეთანხმება, ხოლო მეგრულში ფორმისა და შინაარსის ჰიდალი ოგრძნობა.** ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზმნა-შემასმენლისა და მასთან დაკავშირებული აქტანტების ურთიერთობა რიცხვის კატეგორიის მიხედვით განსხვავებული სახით ხორციელდება გამოხატულების პლანში. „რადგან აქტანტებს თვითონ შეაქვთ რიცხვის გაგება შემასმენელში, ისინი არ საჭიროებენ მრავლობითი რიცხვის ნიშანს ქმედების აღმნიშვნელ სიტყვაში. ეს ნიშნები დაკავშირებულია მრავალპირიანობასთან: როდესაც აქტანტთაგან ზოგი მხოლობით რიცხვშია, ზოგი მრავლობითში, შემასმენელში საჭირო ხდება მათი დიფერენცირება

რიცხვის მიხედვითაც“ [უთუგაიძე 2007, 21]. ამავე დროს მეგრულ-ლაზურის მასალა მიანიშნებს, რომ ეს პროცესები ბოლომდე განხორციელდა **ადამიანის** სემანტიკის მქონე აქტანტებთან, ანუ **ვინ** ჯგუფის სახელებსა და შემასმენელს შორის დამყარდა ორმხრივ მარკირებული შეთანხმება რიცხვში. რაც შეეხება **არაადამიანის** სემანტიკის სახელებს, აქ პროცესი ნელი და დიფერენცირებულია: ერთი მხრივ, უსულო სახელებსა და შემასმენელს შორის რიცხვში ცალმხრივ მარკირებული რჩება შეთანხმება, მეორე მხრივ, სულიერ სახელებსა და ზმნა-შემასმენელს შორის რიცხვში შეთანხმება ხან ცალმხრივ მარკირებულია, ხანაც ორმხრივ მარკირებული. როგორც ჩანს, გადამწყვეტია **გაპიროვნების** ფაქტორი. პრინციპული ერთიანობაა იმ საკითხშიც, რომ I და II პირის გამომხატველი სუბიექტები ყოველთვის ორმხრივი მარკირებით ითანხმებენ ზმნა-შემასმენელს. ასეთივე შეთანხმებაა დამატება-ობიექტსა და ზმნა-შემასმენელს შორის, როცა დამატება I ან II პირია და სუბიექტი დგას მხოლოობით რიცხვში.

ზმნის მორფოსინტაქსური ანალიზიდან ცხადი ხდება, რომ მეგრულ-ლაზურში მრავლობითი რიცხვის გამოხატვის სისტემა ემყარება **ადამიანი — არაადამიანის** სემანტიკურ ოპოზიციას. შესაბამისად, როგორც მორფოლოგიურ, ასევე სინტაქსურ დონეზე გადმოიცემა **პერსონალური პირის,** ადამიანის აღმნიშვნელი სახელის მრავლობითობა.

ამრიგად, მეგრულ-ლაზურში მრავლობითი რიცხვის გრამატიკულ კატეგორიას საფუძვლად უდევს **პირის სემანტიკური კატეგორია.**

IV თავი

კოორდინაციის სისტემა ზანურში

არნოლდ ჩიქობავამ 1928 წელს სუბორდინაცია-კოორდინაციის ცნებების შემოტანით ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმი აღწერა, ხოლო 1936 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“ გაიმეორა იგივე თვალსაზრისი ლაზური და მეგრული შესიტყვების მიმართაც.

„მათშიაც (აგრეთვე სვანურშიც) ორპირიანი ზმნის შემცველი წინადადება დაფუძნებულია კოორდინაციაზე. სუბიექტი, ობიექტი და ზმნა — კოორდინატებია, მასთან ზმნა იქაც ძირითადი კოორდინატია, სუბიექტი და ობიექტი დიდს ან მცირე კოორდინატს წარმოადგენენ. განსხვავება იმაშიღა შეიძლება მდგომარეობდეს, რომ ჭანურის დიდი კოორდინატის ადგილი ქართულში შეიძლება მცირე კოორდინატმა დაიჭიროს და პირუკუ... “ [ჩიქობავა 1936, 183]. ამ ზოგადი მსჯელობით შემოიფარგლა მკვლევარი, თუმცა მიანიშნა, რომ კოორდინაციის სისტემა, რომელიც უნივერსალურია ქართველური ენებისათვის, გარკვეულად მოდიფიცირებულია ზანურში.

უკანასკნელ ხანს ქართულში კოორდინაციის საკითხი კვლავ იქცა მსჯელობის საგნად, კერძოდ, თანამედროვე სალიტერატურო ენის მონაცემთა გათვალისწინებამ წარმოაჩინა ამ სისტემაში არსებული სხვაობა ძველსა და ახალ ქართულს შორის [დათუკიშვილი, 1998, 39; მელიქიშვილი, 2001, 70-79].

ძველი ქართულის მცირე კოორდინატი, ანუ მიცემითბრუნვიანი ობიექტი ახალ ქართულში დიდი კოორდინატია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ზმნასთან რიცხვში შეთანხმების უნარი აქვს. ამ პროცესის დინამიკა ძველი ქართულიდან დღემდე და დიალექტებშიც [ბუიძე 1996, 131] თვალსაჩინოს ხდის რიცხვის გამოხატვის სისტემაში მომხდარ გარდატეხას. ამავე დროს კოორდინაციის

მექანიზმის აღწერისას უნდა დაზუსტდეს, რომ აქტანტებსა და შემასმენელს შორის რიცხვში შეთანხმება დამოკიდებულია აქტანტთა რიცხვზე, ხოლო მორფოსინტაქსურ დონეზე კოორდინატები უნდა შეფასდეს რიცხვში შეთანხმების ცალმხრივი და ორმხრივი მარკირების მიხედვით. აქტანტი ჩაითვლება დიდ კოორდინატად, თუ ის ზმნა-შემასმენელს რიცხვში ითანხმებს ორმხრივი მარკირების წესით.

მეგრულ-ლაზურში გრამატიკული რიცხვის გამოხატვის სისტემის მორფოლოგიური და სინტაქსური ანალიზის საფუძველზე ვფიქრობთ, შესაძლებელია დაზუსტდეს კოორდინატთა რაგვარობა ზანურში.

S_1 და S_2 დიდი კოორდინატებია, რადგანაც ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში ორმხრივი მარკირებით. არანაირი გამონაკლისი არ ხდება არც მეგრულში, არც ლაზურში. მაგ:

ა) მეგრული: **ჩქი უკეთენთ** დოხორემს ნგერეფი დო ჯოლორებს (ყიფ. 168, 13) „ჩვენ ვუკეთებთ „სახლებს“ მგლებს და ძაღლებს... “ უკული **თქვა** თითო-თითოთგ **ოშეელითია** (ყიფ. 28, 13) „მერე თქვენ თითო-თითოდ ადითო“.

ბ) ლაზური: **ჩქინ** ფააშ მოგაფუშა **მეულუთია** (კარტ. 1972, 12-14) „ჩვენ ფულის საშოვრად მივდივართო“; არ **თქვა დოლოწკედით**, ბექი ქაიშიმერთ! (კარტ. 1968, 158-10) „ერთი თქვენ ჩახედეთ, იქნებ ამოიღოთ... “ (იხ. გვ. 92-93).

S_3 ჩაითვლება დიდ კოორდინატად, როცა ის ადამიანის აღმნიშვნელია, განსაკუთრებით ლაზურში, სადაც ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ვერ დავაფიქსირეთ ვერც ერთი შემთხვევა **ვინ** ჯგუფის სახელის მიერ ზმნის რიცხვში ცალმხრივი მარკირებით შეთანხმებისა. მაგალითად, **სუმიქ-თი** ჰექ **დგინან**, მუთებუაში **ზოპონან** (დიუმ. 117, 33-34) „სამივე იქ „დგანან“, თავისთვის ლაპარაკობენ“, **ბერეფექ** მექთებეს მუ **ძირეს**, მუ **ოკითხეს**, ია **ოყვეს** (ყიფ. II, 6,2) „ბავშვებმა სკოლაში რაც ნახეს, რაც ისწავლეს, ის გააკეთეს „გახდნენ“...

განსხვავებული ვითარებაა მეგრულში, სადაც თავს იჩენს ორ-

გვარი ტენდენცია: 1) რელატიურ-გარდაუვალ და რელატიურ-სტატიკურ ზმნებთან რიცხვში შეთანხმება ხშირად ცალმხრივ მარკირებულია, ამიტომაც S_3 მცირე კოორდინატად გვევლინება. მაგ.: **თინეფი რე** ოსტატეფი (ხუბ. 21, 15) „ისინი არის ოსტატები“; ჩქიმი **ჯიმალეფი ქგმურს** დო **დორცვილუნსია** (ნუბ. 146, 16) „ჩემი ძმები მოვა და მოგკლავსო“; სქან **სქუალეფქგ დოლურგ** „შენი შვილები მოკვდა“; ეთი **დემეფის ნოცუნუე** ხოლო დიდა (ხუბ. 240, 18) „იმ დევებს ჰყოლია კიდევ დედა... “; **თენენც** თიქ **ქეცოროფგ**... (ხუბ. 186, 16) „ამათ ის შეუყვარდა“.

2) მეგრული ცდილობს ანგარიში გაუწიოს ფორმას, კერძოდ, შეთანხმება მოხდეს იმის მიხედვით, სახელი მორფოლოგიურადაც არის თუ არა მრავლობითის აღმნიშვნელი. კერძოდ, მრავლობითობის სემანტიკის სახელით განსაზღვრული ქვემდებარის ფორმა განაპირობებს შემასმენლის რიცხვსაც — მხოლოობითში დასმულ სახელს ზმნა მხოლოობითში ეწყობა, მრ. -ში დასმულს — მრავლობითში. ასევე, **ჟირხოლო** „ორივე“, **არძა** II **არძო** „ყველა“, **კათა** „ხალხი“ სახელები შემასმენელს ხან მხოლოობითში შეიწყობენ, ხან — მრავლობითში. მაგალითად, **გეგგმინწყითს ჟირხოლოქ** (ყიფ. 94, 6) „გამოეწყვნენ ორივე“, მაგრამ: **ჟირხოლოქ ეკირთგ** ბრელი ხიოლით (ტ. II, 16, 34) „ორივე წაიქცა დიდი სიხარულით...“ **არძაქ მიდეთარხალეს** (სამ. 93, 66-60) „ყველა წავიდნენ თქარუნით“... მაგრამ: **არძოქ ქოძირგ** მუშა რდგ საქმენ (ხუბ. 136, 14) „ყველამ ნახა, რაშიც იყო საქმე...“ ა. შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეგრულში ადამიანის სემანტიკის S_3, მართალია, ძირითადად ზმნას რიცხვში ითანხმებს ორმხრივი მარკირებით და დიდი კოორდინატია, მაგრამ არცთუ იშვიათად ის მცირე კოორდინატად გადაიქცევა. ამგვარი მერყეობა დამახასიათებელია სულიერი სახელებისათვისაც, რომლებიც მეგრულსა და ლაზურში ხან დიდი კოორდინატია, ხან მცირე. აღსანიშნავია, რომ რიცხვში ცალმხრივ მარკირებული შეთანხმება სჭარბობს გარდაუვალ ზმნებთან. მაგალითად,

ა) მეგრული: თის **მუთოხენია ტორონჯეფი** (ხუბ. 134, 4)

„მასში ზისო მტრედები“, **ცხენეფი** ოხვამეთ **გინირთუ** (ხუბ. 218, 10) „ცხენები სალოცავად (ეკლესიად) იქცა“; **გორდეფი** თის **იხვეწებუ** (ტ. I, 281, 326-7) „ბაყაყები იმას იხვეწება“.

ბ) ლ ა ზ უ რ ი: **მსქვერეფე** სუმი **ტუ** (ჩიქ. II, 79, II) „შვლები სამი იყო“, ჩქინი **მამულეფექ** ია **დოშქვიდაფსდა** (კარტ. 1972, 12, 21) „ჩვენი მამლები მას დაახრჩობსო“... **ნცხენეფე** ვა **რენ** (ყღ. 139, 25)... „ცხენები არ არის“.

უსულო სახელებით გადმოცემული S_3 როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში, ზმნას ითანხმებს რიცხვში ცალმხრივი მარკირებით, ამიტომაც ასეთ შემთხვევაში S_3 ყოველთვის მცირე კორდინატია (თუ სულიერივით მოქმედება არ მიეწერება). მაგ., მეგრული: ქგლორი ინოხენ ი̆ში **სუალეფი დირიკვნს** ჯას (ხუბ, 115, 19) „ხოხობი რომ ზის, იმისი ფრთები დრეკს ხეს“, **ონანგერეფი გინირთუ** ზღვათ (ხუბ. 218, 28) „უნაგირები იქცევა ზღვად... “ ლაზური: **ოხოეფე** მთელი **ოჭვენ** (კარტ. 1972, 15, 16) „სახლები ყველა იწვის“, **ქაუფეფე-თი** თხორელი **ტუ** (ჩიქ. II, 77, 18) „ქვევრები ჩამარხული იყო“, აღანი **ფუქურეფე** მუ **ღოდამს**? (ჩიქ. II, 82, 16) „ახალი ფოთლები რას იზამს?“

როგორც ვხედავთ, III პირში დასმული კოორდინატის რაგვარობა მეგრულ-ლაზურში ორ ფაქტორზეა დამყარებული: ადამიანის (სულიერის) სემანტიკის მქონეა თუ არაადამიანის (უსულო, ნაწილობრივ სულიერი) და მეორე — ზმნა გარდამავალია თუ გარდაუვალი. როგორც მორფოსინტაქსურმა და სემანტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, ზანურში რიცხვში შეთანხმებისას გადამწყვეტია პერსონალური პირის (ადამიანის) სემანტიკური კატეგორია. ეს კარგად გამოჩნდა ობიექტური პირის რიცხვის გამოხატვის მოდელებშიც, რომლებიც ერთნაირად ეხება როგორც სახელობითბრუნვიან, ასევე მიცემითბრუნვიან სახელებს.

I მოდელი ფუნქციონირებს, როცა ობიექტური პირი დაწყვილებულია S_1 და S_2-სთან. კერძოდ, კომბინაციებში S_1O_2 და S_2O_1 ობიექტის რიცხვი გამოიხატება **თ** მორფემით, ხოლო S_1O_3, S_2O_3 კომბინაციებში — O_3-ის რიცხვი არ გამოიხატება ზმნაში. მაგ.:

S_2O_1 — მეგრ.: სქანი მეტი მითა პუნანია დო **სი** ხოლო **მიდინგთია** (ყიფ. 235, 19) „შენს მეტი არავინა გვყავს და შენც გვეკარგებიო“; **დგმართით სი** უკულია... (ყიფ. 64, 21) „დაგვიბრუნდი მერეო შენ... “

ლაზ.: ჰამ ოხორჯას უწვეს გდაი **დომიხენამთია**?“ (კარტ. 1972, 161-10) „ამ ქალს უთხრეს: „საჰმელს გაგვიკეთებო?“ **სი** ჰეშო **მემათხოზათე-ა** (ჟღ. 57, 11) „შენ კიდევ დაგვედევნო...

S_1O_2 — მეგრ.: მა **თქვა** მუჟანს **ქორძირითგნ**, ხეთე ქიმეცროროფით (ტ. I, 155, 137-3)... „როცა მე თქვენ გნახეთ, მაშინვე შემიყვარდით“; **მა გაგიგონით** დო დაჩხირი **აკოგირზით** (ყიფ. 8, 28) „მე დაგიჯერეთ და ცეცხლი დაგინთეთ“.

ლაზ.: ჰაწი **მა** ბიდარე, გდარი **მოგიღათენ** (ჟღ. 61, 8) „ახლა მე წავალ, საჰმელს მოგიტანთ“, ამა **მა თქვა ქოდოგოგუამთ** (კარტ. 1972, 174, 5) „მაგრამ მე თქვენ გასწავლით...

II მოდელი ეხება S_3-თან დაწყვილებულ ობიექტებს. კერძოდ, S_3O_1, S_3O_2 კომბინაციებში ობიექტური პირის რიცხვი გამოიხატება -ან, -ნ, -ეს მორფემებით, რომელთა განაწილება ხდება მწკრივთა მიხედვით, ხოლო S_3O_3 კომბინაციაში ობიექტის რიცხვი არ აისახება.

მაგალითები: S_3O_1 —

მეგრ.: **ჩქით ოპჭკომუნანია თინავა** (ხუბ. 240, 6) „ჩვენც შეგჭამსო ის“, პატის თინა **ქოფცენდეს** (ხუბ. 93, 28). „პატივს ის გვცემდა“

ლაზ.: მუნდეს **ბაბა** ცქანიქ დუღუნ **მიხენანორენ**... (ჟღ. 50-15) „როცა მამაშენი ქორწილს გადაგვიხდის... “ ადა **კულანიქ მემიბარგეს** ოხოი (ასათ. 143, 91-21) „ამ გოგომ მიგვილაგა სახლი“.

S_3O_2 — მეგრ.: **თქვა** სქუა **ქედგებადებუნა** წანამოწანაშა (ყიფ. 277, 15) „თქვენ შვილი გეყოლებათ („დაგებადებათ“) ერთ წელიწადში“.

ლაზ.: არ ფუკარაში **ბერექ** მუფე **გოლოდამან** (ჟღ. 77, 7) „ერთი ღარიბი ბიჭი რაებს დაგიშავებთ („გიზამთ“).

აღნიშნული მოდელებიდან ჩანს, რომ მხოლოობით რიცხვში დასმულ სუბიექტურ პირთან დაწყვილებული ობიექტური პირი მეგრულსა და ლაზურში დიდი კოორდინატია, როცა ის გადმოცემულია I და II პირებით (რომლებიც ყოველთვის ადამიანის აღმნიშვნელია), ხოლო მცირე კოორდინატია, როცა III პირია.

ჩნდება კითხვა, რამდენად შესაძლებელია O_3 იყოს დიდი კოორდინატი და არის თუ არა ეს დამოკიდებული იმავე ფაქტორებზე, რაც სუბიექტის ანალიზმა გამოავლინა. აქ კი წამოიჭრება ინვერსიის საკითხი, რომელმაც, როგორც ჩანს, არათუ ქართულში გამოიწვია ზმნისა და სახელის სინტაქსური მექანიზმის ისტორიული ცვლილება [ჩიქობავა 1968; მელიქიშვილი 2001], არამედ ზანურშიც. ინვერსია მეგრულში გვაქვს როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებშიც, ხოლო ლაზურში ის შემოგვინახა რელატიურ-სტატიკურმა ზმნებმა. ინვერსიულ ფორმათა რაოდენობას ზრდის პოტენციალისის ფორმებიც. შესაბამისად, ამ ტიპის ზმნებში მორფოლოგიური ობიექტი ადამიანის (სულიერის) აღმნიშვნელია როგორც I და II პირში, ასევე III პირშიც. ამდენად, აქ მოქმედებს სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების III მოდელი, რომლის თანახმად სამსავე პირში MO ანუ RS-ის რიცხვი აღნიშნულია -ან, -ეს, -ნ მორფემებით.

მაშასადამე, ინვერსიულ ზმნებში MO დიდი კოორდინატია მაშინაც, როცა III პირში ითანხმებს ზმნას რიცხვში ორმხრივი მარკირებით, რადგან ის პერსონალური პირის გამომხატველია. მაგალითად,

მეგრ.: **ძღაბენს** ქომონჯ **ვაშიბუნა** (ტ. I, 238, 33-3) „გოგოებს ქმარი ვერ უშოვიათ“, ექ **ეწყინეს** უჩაში **დალენს** (ხუბ. 61, 18) „ეს ეწყინათ უფროს დებს“.

ლაზ.: ჰაკო **ფადიშალეფეს** მსქვა ბოზოფე **უჲონუნან** (კარტ. 1972, 174, 21) „ხელმწიფეებს ლამაზი ქალიშვილები ჰყავთ“, **ბეეფეს** მუ **აღოდეს** (კარტ. 1972, 44, 34) „ბავშვებს რა დაემართათ“ (იხ. გვ. 71-78).

აქვე თავს იჩენს ერთი საყურადღებო მოვლენა. მეგრულში

მიცემითი ბრუნვის ფუნქციური დატვირთვა ქართულის მსგავსია. ის არის როგორც ირიბი, ასევე პირდაპირი ობიექტის ბრუნვა, ასევე III სერიის ინვერსიული გარდამავალი ზმნების O-ისა და რელატიურ-სტატიკურ ზმნათა MO-ისა.

ლაზურში მიცემითის პოზიციები შესუსტებულია. ჯერ ერთი, გარდამავალი ზმნების კონსტრუქციებში ობიექტი ყოველთვის სახელობითბრუნვიანია, მხოლოდ ირიბი ობიექტი დგას მიცემითში, ასევე ინვერსიულ რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა MO გადმოცემულია მიცემითით. მკვლევართა მიერ აღინიშნა, რომ ლაზურში ისახება ტენდენცია, გაუთანაბრდეს ზმნის ინვერსიული ფორმები პირდაპირი წყობის ზმნებს სინტაქსური ძალის მიხედვით და ეს მოვლენა თავს იჩენს გარდაუვალ ზმნებში [კარტოზია 1968, 145-146]. ჩვენი მხრივ, აღვნიშნეთ, რომ ინვერსიულ-რელატიურ სტატიკურ ზმნებთან რეალურ სუბიექტად მოაზრებული მიცემითბრუნვიანი ობიექტი სახელობით ბრუნვაში შეიძლება დადგეს, ანუ არის მცდელობა კონსტრუქციის „გასწორებისა“. მაგალითები:

სუმ **ჯუმა** ბაბა ნიშიშე არ დიმი უშკური **უღურთეს** (ჩიქ. II 130, 1) „სამ ძმას („ძმა“) მამისაგან ერთი ვაშლის ხე ჰქონდათ“; ოთხი-ხოლო **ჯუმა** ოხორჯალეფე **მიყუნუნან** (ყიფ. 645, 11-12) „ოთხივე ძმას („ძმა“) ცოლები გვყავს“; **ზენგინეფე აშკურინეტეს** დო მეჩამტეს (კარტ. 1970, 227, 1) „მდიდრებს („მდიდრები“) ეშინოდათ და აძლევდნენ“; ბელქი **კონჩეფე** შქიმი **ქუშკუნან** (ჩიქ. II, 137, 26) „შეიძლება ჩემმა კაცებმა („კაცები“) იციან“.

მიუხედავად ამისა, შესიტყვების სემანტიკიდან გამომდინარე, მრავლობითში დასმული სულიერი სახელის, ობიექტის რიცხვი ზმნაში გამოიხატება. ამდენად, ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა, კერძოდ, რიცხვის გამოხატვის მოდელი ინვერსიულ ზმნებში იძლევა იმის საშუალებას, რომ მიცემითში დასმული MO ჩაითვალოს დიდ კოორდინატად.

როგორც ჩანს, მეგრულ-ლაზურში კოორდინატთა რაგვარობა არაა დამოკიდებული ბრუნვის ფორმებსა და მათ მიერ გადმოცემულ სინტაქსურ ცნებებზე. სახელობითბრუნვიანი ობიექტი ისევე

იქცევა, როგორც მიცემითბრუნვიანი და სინტაქსური ძალით ორივე უთანაბრდება სუბიექტს პირველსა და მეორე პირში. მათ ჩამორჩება III პირი, რომელიც დიდი კოორდინატია, თუ ადამიანის, პერსონის აღმნიშვნელი სუბიექტია (მორფოლოგიური ან რეალური), ხოლო მცირე კოორდინატია, როცა ან უსულო სახელით გადმოცემული სუბიექტური პირია, ან მორფოლოგიურად და სინტაქსურადაც ობიექტია.

ვფიქრობთ, რომ გრამატიკული რიცხვის გამოხატვის იდენტური სისტემა მეგრულსა და ლაზურში ერთნაირად აისახა კოორდინაციის სისტემაზე, რომელიც, შესაბამისად, ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო მათ გათიშვამდე. სავარაუდოა, თავის მხრივ, ზანურმა ხელი შეუწყო როგორც დასავლურ დიალექტებში, ასევე სალიტერატურო ქართულ ენაშიც კოორდინაციის სისტემის ცვლილებას, რაც დ. მელიქიშვილის აზრით „პერსონალური (აქტიური) და არაპერსონალური (პასიური) პირების (სულიერი-ადამიანი-უსულო) ოპოზიციის გაძლიერებამ გამოიწვია, რასაც მიცემითში დასმული სახელის (პერსონალური პირის) მიერ ზმნის მრავლობით რიცხვში შეთანხმება მოჰყვა: ისტორიულად შეთანხმების ფორმალური პრინციპი სემანტიკურმა შეცვალა“ [მელიქიშვილი, 2001, 77]. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ზანურში სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმებისას მაქსიმალურად გაზრდილია სემანტიკური ფაქტორის როლი, რაც კოორდინატთა რაგვარობაზეც აისახა.

ნაწილი II

ერგატიული კონსტრუქციის საკითხი მეგრულ-ლაზურში

§1. -ქ სუფიქსის ფუნქციისათვის მეგრულ ზმნაში

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მეგრულში **ქ** სუფიქსი დაერთვის ზმნის I და II პირის ფორმებს აწმყო-მყოფადში, I თურმეობითსა და IV სერიის II თურმეობითშიც განურჩევლად გარდამავლობისა (ყიფშიძე 1994 [1914]; ჩიქობავა 2008 [1936]). **ქ** მორფემის კორელატადაა მიჩნეული ლაზურში **რ** სუფიქსი, რომელიც ერთპირიან ვნებითსა და ზოგიერთ საშუალი გვარის ზმნაში გვხვდება, როგორიცაა: მეგრ. ბ-ღურუ-ქ, ლაზ. ბ-ღუ-რუ-რ „ვკვდები“, მეგრ. მე-ᲠვᲡ-ურ-ქ, ლაზ. ვ-ულუ-რ „მივდივარ“ (ჩიქობავა 2008 [1936]). ირ. ასათიანის თვალსაზრისით, ლაზურში **-რ** არ უნდა გაიმიჯნოს წინმავალი **ე, უ** ხმოვნებისგან, არამედ **-ერ, -ურ** სუფიქსები აწმყოს ფუძის მაწარმოებლად შეიძლება ჩაითვალოს I და II პირში [ასათიანი 1996, 11-12].

ი. ყიფშიძის აზრით, **-ქ** სუფიქსი S_2-ის ოდინდელი ***ხ||ჰ** პრეფიქსის ფონეტიკური ვარიანტია, რომელიც სუფიქსად მოიქცა და ანალოგიით I პირშიც გაჩნდა (ყიფშიძე 1994: 108 [1914]). ეს თვალსაზრისი არ გაიზიარა არნ. ჩიქობავამ, თუმცა ამ სუფიქსს რომ მორფოლოგიური ფუნქცია უნდა ჰქონოდა, ეჭვს არ იწვევდა (ჩიქობავა 2008: [1936]). **-ქ** მორფემის წარმომავლობასთან დაკავშირებით ქ. ლომთათიძემ გამოთქვა თვალსაზრისი, რომ ლაზ. **რ** და მეგრ. **ქ** მომდინარეობს მეშველი ზმნისაგან ო-რე-Რნ, რომელიც ლაზურში მორფემოიდებს წარმოადგენს: -დორეᲠნ, -ერე > რე > ე(ნ), ხოლო მეგრულში ძირითადად დასტურდება ქო-რე(ნ) ფორმით, სადაც **ქო-** ნაწილაკია. მკვლევრის აზრით, ეს მეშველი ზმნა თავდაპირველად უნდა გასჩენოდა სტატიკურ ზმნებს. გაცვეთის შედეგად **ქ** და **რ** სუფიქსებს ეკისრებოდათ სტატიკურობის, მდგომარეობის, არსებობის აღნიშვნა [ლომთათიძე 1946]. ბუნებ-

რივია, მეცნიერს არ გამოპარვია საკითხი: უნდა ჰქონოდა თუ არა ეს მარკერი III პირის ფორმას, ასევე მრავლობითი რიცხვის ფორმებსაც სამსავე პირში. ქ. ლომთათიძე აღნიშნავდა, რომ „ტექნიკური პირობების გამოა, რომ III პირში მხოლობითსა და მრავლობითში არ ჩანს ხოლმე მეგრულში ეს მეშველი ზმნა“ [ლომთათიძე 1946, 139]. როგორც ჩანს, „ტექნიკურ პირობებში“ იგულისხმება ის ფონოტაქტიკური შეზღუდვები, რომლებიც მეგრულს ახასიათებს. კერძოდ, აწმყო-მყოფადში გარდამავალ ზმნას III პირში ერთვის -**ს** სუფიქსი, შესაბამისად, -**ქ** მორფემის დართვით წარმოიქმნებოდა თანხმოვანთმიმდევრობა -**ნსქ**: ჭარუნ-ს შდრ. *ჭარუნს-ქ „წერს“. გარდაუვალ ზმნებში S_3-ის -**ნ** სუფიქსი თავისთავად იკარგება მხოლოობითში და მრავლობითში აღდგება, ამდენად -ნქ მიმდევრობის მთლიანად დაკარგვაც მოსალოდნელია, მით უმეტეს, რომ გარდამავალ ზმნებში ანალოგიური მოვლენა გვაქვს. შდრ.: ვ-ჭარუნ-ქ || ბჭარუ (ეს უკანასკნელი მოვლენა შენიშნული აქვს ქ. ლომთათიძეს [1946: 132]). თავისთავად, მრავლობითშიც მოსალოდნელი იყო არაკანონიკური თანხმოვანთმიმდევრობა: -**ნთქ**: *ბ-ჭარუნთქ, ხოლო III პირში იგივე -**ნქ** მიმდევრობა დაჩნდებოდა: *ჭარუნ-ანქ > ჭარუნ-ა.

ცხადია, მეგრულში -**ქ** მორფემის შესანარჩუნებლად ფონოტაქტიკური გარემო I და II პირის ფორმებშია. სავარაუდოდ, მსგავსი პროცესის გამო შემორჩა -**რ** სუფიქსი ლაზურსაც I და II პირში.

მაშასადამე, თავისთავად, გამოირიცხება -**ქ** სუფიქსის კავშირი პირის რომლობასთან. -**ქ** მორფემის ფუნქციის კვლევა მოითხოვს სუბიექტისა და ობიექტის, როგორც დამოუკიდებელი გრამატიკული კატეგორიების სემანტიკის გათვალისწინებას. ეს კარგად ჩანს ორპირიანი გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების ანალიზითაც, კერძოდ, ის ფორმებია საინტერესო, სადაც S_2O_3 კომბინაციაში S_2 და O_3 ნულოვანი ნიშნითაა მარკირებული:

ხანტუნ-ქ სი თის „ხატავ შენ მას“
აკეთენ-ქ სი თის „აკეთებ შენ მას“

ატყობუ-ქ სი თის „ემალები შენ მას“
უტიბუ-ქ სი თის „უთბები შენ მას“.

S→O სუბიექტ-ობიექტის ურთიერთმიმართებაში **-ქ** მორფემით აქცენტირებულია სწორედ ის სახელი, რომელიც მიმართავს მოქმედების ვექტორს ობიექტისაკენ. ესაა სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი. შესაბამისად დგება ზმნური კონსტრუქციების საკითხი. ერთი მხრივ, გვაქვს ნომინატიური კონსტრუქცია, სადაც პირის სუბიექტურობა ზმნაში მარკირებულია **-ქ** მორფემით. მეორე მხრივ, გვაქვს ერგატიული კონსტრუქცია (II სერია), სადაც პირის სუბიექტურობის განმსაზღვრელია მოთხრობითი ბრუნვა ასევე განურჩევლად ზმნის გარდამავლობისა.

ʳდოˀ-ხანტუ თიქ თინა „დახატა მან ის“
ʳგაˀ-აკეთუ თიქ თინა „გააკეთა მან ის“
და-ტყობუ თიქ თინას „დაემალა ის („მან“) მას“
გუტიბუ თიქ თის „დაუთბა ის („მან“) მას“

როგორც ჩანს, ზმნაში დადასტურებული **-ქ** მორფემა და სახელის მოთხრობითის ნიშანი **-ქ** სუფიქსი ერთი და იმავე მორფოლოგიური ფუნქციის მქონეა. ჩვენ მას ვუწოდებთ **სუბიექტობის სემანტიკის** გამომხატველ მორფემას, თუმცა თ. მახარობლიძის მიერ ის შეფასდა, როგორც მხოლოდ **ვინ-სულიერობის კატეგორიის** აღმნიშვნელი ზმნაში. მკვლევრის აზრით, „მეგრულ ზმნებში რომ **ქ** ერგატივის ნიშანია, ამის დასტურია ისიც, რომ ჭანურში აწმყოში დღესაც გვაქვს ერგატივი. როგორც ა. ჩიქობავა წერს: „ჭანურში ამჟამად გარდამავალი ზმნა ერგატივს მოითხოვს ყველა ნაკვთთან... ოღონდ მესამე პირში: პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს მოთხრობითი არა აქვთ... არა აქვთ იმიტომ, რომ პირველი და მეორე ისედაც ვინ-კატეგორიისაა და მოთხრობითით ამის გამოხატვა ენამ აიცილა, როგორც დამატებითი რეფერენცირება. ამიტომაა, რომ მეგრულში ზმნათა მხოლოდ პირველ-მეორე პირებშია **ქ** ერგატივის ნიშანი... შესაძლოა, ზოგადად ერგატიულობისა და ნომინატიურობის სისტემათა ზმნურ დიათეზას ფონოსემანტიკურ ან მორფოსემანტიკურ ეტიმოლოგიურ საფუძვლად

ედოს **სუბიექტის ვინ-სულიერობისა და რა-უსულობის** ანუ ადამიანი-ნივთის კატეგორიის ნიშანი. სუბიექტის რა-უსულო კატეგორია ნომინატიური ბუნებისაა და ვინ-სულიერი კატეგორია კი ერგატიული, აქტიური შინაარსით ხასიათდება“ [მახარობლიძე 2009, 93].

ამ ვრცელი ამონარიდიდან ჩანს, რომ მკვლევარიც სუბიექტის კატეგორიასთან აკავშირებს **-ჟ** მორფემას, თუმცა აზუსტებს სემანტიკას: ვინ-სულიერობის კატეგორია. **ადამიანის**, ვინ კატეგორიის მნიშვნელობა კარგად გამოჩნდა რიცხვის კატეგორიის ანალიზისას, ამიტომაც ჩვენ არ გამოვრიცხავთ **ადამიანის** სემანტიკის კავშირს ზოგადად ერგატივთან და კონკრეტულად **-ჟ** მორფემასთან მეგრულ ზმნებში. თუმცა არის რამდენიმე მომენტი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების შემდეგ ადამიანი-ნივთი ოპოზიცია ტრანსფორმირდება სუბიექტი-ობიექტი ოპოზიციით. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ზოგადად ერგატიულობისა და ნომინატიურობის სისტემათა ზმნურ დიათეზას საფუძვლად ედოს ადამიანი-ნივთის კატეგორია [მახარობლიძე 2009, 93], თუმცა მეგრულსა და ლაზურში განვითარებული პროცესები გვაფიქრებინებს, რომ უპირატესი გახდა სუბიექტი-ობიექტი კატეგორიის ნიშანი. თუმცა ეს პროცესი მეგრულსა და ლაზურში მაინც განსხვავებულად წარიმართა.

მეგრულში ერგატიულ და ნომინატიურ კონსტრუქციებში სუბიექტ-ობიექტის სემანტიკა აქტანტებიდან გადადის ზმნაში. მართალია, სუბიექტის ბრუნვა აწმყოში სახელობითია, მაგრამ მისი სუბიექტურობის დამატებითი მარკირება ხდება ზმნაში, ამჯერად განურჩევლად იმისა, ზმნა გარდამავალია თუ გარდაუვალი. სიმეტრიულობა დაცულია: ერგატივის ნიშნით მარკირებული ზმნა I სერიაში და ერგატიული ნიშნით მარკირებული სახელი II სერიაში. სიმეტრიულობისაკენ სწრაფვა სრულიად კანონზომიერია, თუმცა ეს პროცესი მეგრულში ბოლომდე არ წასულა განსხვავებით ლაზურისაგან, სადაც სრული სიმეტრიაა. თუმცა ამ სიმეტრიის

დარღვევა რომ განსხვავებული ტენდენციის დასაწყისია, ესეც კარგად ჩანს იმავე ლაზურის მაგალითზე.

§2. ერგატიული კონსტრუქციის განვითარების ტენდენციები ლაზურში

ლაზურში მოთხრობითი ბრუნვა იქცა გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვად განურჩევლად დრო-კილოსი, ხოლო სახელობითი — გარდაუვალი ზმნის სუბიექტის ბრუნვად ასევე განურჩევლად მწკრივისა და, რაც მეტად საყურადღებოა, სახელობითში დგას გარდამავალი ზმნის ობიექტიც ასევე განურჩევლად დრო-კილოსი (რა თქმა უნდა, ინვერსიულ ზმნებს თუ არ გავითვალისწინებთ). ანუ გარდამავალი ზმნის საკონვერსიო ობიექტი, იგივე სუბიექტი გარდაუვალი ზმნისა, ერთსა და იმავე ბრუნვაში დგება. მაშასადამე, ლაზურში I და II სერიაში, ასევე არაინვერსიულ თურმეობითებში ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციები ჩამოყალიბდა როგორც სუბიექტ-ობიექტის ოპოზიცია, შესაბამისად, მოთხრობით ბრუნვაში დასმული სახელი, ყოველთვის სუბიექტია, ხოლო სახელობითში — ყოველთვის ობიექტია ან კონვერსიული პასივის სუბიექტი.

მიუხედავად ამგვარი კანონზომიერებისა, ისიც ცხადია, რომ ლაზურში ერგატიული კონსტრუქციის განვითარების სხვადასხვა ტენდენციაა. ჯერ კიდევ ჟ. დიუმეზილი შენიშნავდა, რომ ლაზურში ზოგჯერ „არალეგიტიმური ერგატივი“ იჩენს თავსო [დიუმეზილი 2009, 12].

არნ. ჩიქობავას არ გამორჩენია ის ფაქტი, რომ „ს. ჯიქიას მიერ ჩაწერილ ტექსტებში მოთხრობითი მოშლილი ჩანს და მიცემითიც ამავე გზაზეა დამდგარი. მაგრამ ათინურს მთლიანად ეს არ ეხება“ [ჩიქობავა 1936, 181].

მართლაც, ტექსტების ანალიზიდან ჩანს, რომ გარდამავალი და გარდაუვალზმნიანი კონსტრუქციები უმეტესად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ანუ ზმნასთან შეწყობილი ყველა აქტანტი

სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. წარმოვადგენთ მაგალითებს:

I. გარდამავალზმნიანი:

კონსტრუქცია გულისხმობს: S erg. O^{ind} dat. O^{dir} nom.
როგორც წესი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვა მოშლილია:

(1) მემედ აღა ჰაჯილუღიშა ოლვაფუ გორუ (ჩიქ. II, 118, 2)
მემედ-აღა-[ქ] S nom. [erg.] ჰაჯილუღიშა **ოლვაფუ** O^{dir} nom. გორუ
„მემედ-აღამ სალოცავში წასვლა გადაწყვიტა („წასასვლელი იპოვა")";

(2) ოშქური-თი ნანა-მუში ქომეჩუ (ჩიქ. II, 122,12)
ოშქური-თი O^{dir} nom **ნანა-მუში-**[ს] O^{ind} nom. [dat.] ქომეჩუ
„ვაშლიც დედამისი [დედა-მისს] მისცა";

(3) ბოზუმოთა ხოჯა უბონამტუ-ში, თი უმბორტუშა, საპონი თოლი პიჯი დუსუ-სი..., (ჩიქ. II, 118, 15-16)
ბოზუმოთა-[ქ] S nom [erg.] **ხოჯა** O^{dir} nom. უბონამტუ-ში, თი უმბორტუშა, **საპონი** O^{dir} nom. **თოლი-პიჯი-**[ს] O^{ind} nom. [dat.] დუსუ-სი...
ქალიშვილი [„ქალიშვილმა"] ხოჯა [ხოჯას] რომ ბანდა, თავი [„თავს"] რომ ბანდა, საპონი თვალპირი [თვალ-პირს] აუსვა...

II. გარდაუვალზმნიანი:

(4) ხოჯა დახა თოლი ვა გვანწინუ (ჩიქ. II, 118, 16)
ხოჯა-[ს] O^{ind} nom. [dat.] დახა **თოლი** S nom ვა გვანწინუ.
„ხოჯა [ხოჯას] თვალი ვერ გაეხილა";

(5) ბოზუმოთა ხოლო აშქურინუ... (ჩიქ. II, 119, 19)
ბოზუმოთა-[ს] O^{ind} nom. [dat.] ხოლო აშქურინუ
„ქალიშვილი [ქალიშვილსაც] შეეშინდა";

(6) ცარ ფუკარა კოჩი ცარ ოხორზა ქუცონურთუ (ჩიქ. II, 124,9)

ცარ ფუკარა **კოჩი**-[ს] O^{ind} nom. [dat.] ცარ **ოხორზა** S nom
ქუცონურთუ
„ერთი ღარიბი კაცი [კაცს] ერთი ცოლი ჰყოლია“.

ჩვენ მიერ მოყვანილი გარდაუვალზმნიანი კონსტრუქციები ინვერსიული ზმნების შემცველია: (4) პოტენციალისის ფორმაა, (5) (6) რელატიურ-სტატიკური ფორმებია. შესაბამისად, მიც. ბრუნვაში მოსალოდნელი RS (იგივე გრამატიკული ობიექტი) სახელობითი ბრუნვის სახითაა წარმოდგენილი.

მაგალითებიდან ჩანს, რომ ათინურში მოშლის გზაზე იყო ერგატიული და დატიური კონსტრუქციები. გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები წარმოდგენილია ნომინატიური კონსტრუქციით, რომელიც თავისი არსით სცილდება ქართველურ (კავკასიურ ენათა) ნომინატიურ კონსტრუქციას (S-სახ. O-მიც.) და უფრო უახლოვდება ინდოევროპულს, თუმცა აკუზატივის არქონის გამო, ვერც ბოლომდე უთანაბრდება. ცხადია, რომ მორფოლოგიური სტრუქტურის შენარჩუნება, ანუ ზმნაში პირისა და რიცხვის ნიშნების გამოხატვა, უკვე ვეღარ გამხდარა სინტაქსური სტრუქტურის შენარჩუნების წინაპირობა. კერძოდ, კოორდინაციის მექანიზმი, რაც გამოარჩევს ქართველურ წინადადებას, მოშლილია.

არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, რომ ს. ჯიქიას მიერ ჩაწერილ ტექსტებში გამოკვეთილი ტენდენცია კონსტურქციების მოშლისა, მთელ ათინურზე არ ვრცელდებაო. თუმცა ეს დასკვნა ემყარებოდა XX ს-ის 20-30-იანი წლების მონაცემებს. თითქმის 80 წლის შემდეგ დღის წესრიგში დგება საკითხი: რა ვითარებაა თანამედროვე ათინურში, რა სახე მიიღო ტენდენციამ. ამავე დროს, ათინური კილოს მიხედვით დააფიქსირა არნ. ჩიქობავამ პირუკუ პროცესიც: ინვერსიულ ზმნასთან სუბიექტი მოთხრობითის ფორმით: (7) ჰიმ **დერემენჯი-თიქ** ისთერი ვორსი დაფი ვა **უძირამუნ** (II, 98-1) „იმ მეწისქვილესაც („მეწისქვილემაც“) იმისთანა კარგი შენობა არ უნახავს“. მოგვიანებით მსგავსი კონსტრუქციები მრავლად დაფიქსირდა გ. კარტოზიას მიერ სხვა კილოკავებში, კერძოდ კი პოტენციალისის ფორმებში: (8) **ემუქ** ჩქიმდა მუთუ ვა

ახვენტუ (კარტ. II, 37-24) „ის მე ვერაფერს მიშვრებოდა [„იმან ჩემდა რამე არ ეკეთებოდა]“.

I და II სერიის პარადიგმების მიხედვით მოთხრობითი ბრუნვის განაწილების წესი ძირითადად დაცულია ლაზურში, მაგრამ ე. წ. ინვერსიულ თურმეობითებში ვითარება არაერთგვაროვანია. მკვლევრებს არა ერთგზის აღუნიშნავთ, რომ ლაზურში მიმდინარეობს ინვერსიულ ფორმათა შენაცვლება პირდაპირი წყობის ფორმებით, რაც საერთო-ქართველურ მოვლენადაა შეფასებული [ჯორბენაძე 1995, 169; კარტოზია 2005, 174-177]. იგულისხმება, რომ ე. წ. ინვერსიულ თურმეობითებში გარდამავალი ზმნის ირიბი ობიექტი მიცემითშია (მიმართულებითის ნაცვლად), მაგ. (9) **„ყონას** (=ყონაშა) ხე-თი **ვა ნუსუმუტუ** (ჩიქ. I. 38-2) „ყანისთვის („ყანას“) ხელიც არ გაუსვამს“. ასევე სუბიექტიც შეიძლება იმავე ბრუნვაში დარჩეს, რა ბრუნვაშიც არის პირდაპირი წყობის დროს, ანუ მოთხრობითის ფორმით იყოს წარმოდგენილი.

პოტენციალისის ფორმები, ო. ურიდიას აზრით, მესამე სერიის მწკრივთა ფორმების ანალოგიურია, თუმცა გარდაუვალი. გ. კარტოზია კი მიიჩნევს [2005, 173], რომ ვნებითის ყალიბის გამოყენება (ფორმობრივი მხარე) არაა არსებითი პირობა, რათა პოტენციალისის ზმნები არ ჩადგეს გარდამავალი ზმნების უღლების პარადიგმაში ისევე, როგორც III სერიის სხვა ფორმები, რომლებიც ფორმით ვნებითია, ე. ი. **ძირუმს** „ხედავს“, **ძირუ** „დაინახა“ ზმნების რიგს აგრძელებენ ფორმები: **უძირამუნ** „უნახავს“, **აძირენ** „შეუძლია ხედვა“ [„ეყურება“].

მაშასადამე, ლაზურში, ერთი მხრივ, გვაქვს გარდამავალი ზმნების ე. წ. ინვერსიული კონსტრუქცია ფორმით: **RS** = მიცემითი, O^{d} = სახელობითი, O^{ind} = მიმართულებითი ბრუნვა:

(10) **მითიშა მუთუ** ვარ **მითქვაფუნ** (კარტ. I, 46, 23-24)
მითი-შა O^{ind} მუთუ O^{dir} ვარ მი-თქვაფ-უნ V^{inv}
„არავისთვის[ვინმესთვის] არაფერი [რამე] არ მითქვამს“.

მეორე მხრივ, გვაქვს ინვერსიული ზმნური ფორმები პირდაპირი კონსტრუქციის ფარგლებში ფორმულით: S= მოთხრობითი, O^{la-d} = მიცემითი, O^{dir} = სახელობითი: მაგ.

(11) ჰიმ **დერემენჯი-თიქ** ისთერი ვორსი **დაფი** ვა **უძირამუნ** (ჩიქ. II, 98-1)

ჰიმ დერემენჯი-თი-ქ S^{erg} ისთერი ვორსი დაფი O^{dir} ვა-უძირამუნ V^{inv}

„იმ მეწისქვილესაც [მეწისქვილემაც] იმისთანა კარგი შენობა არ უნახავს“.

პოტენციალისის ფორმებს თუ იმავე რიგისად განვიხილავთ, როგორც III სერიის ინვერსიულ ფორმებს, აქაც ორი სახის კონსტრუქცია გვაქვს: ერთი მხრივ, ინვერსიული: RS = მიცემითი, O = სახელობითი:

(12) **ჩქუ ჰაჲა** ვარ **მაჭკომენან** (ჟღ. 56, 9)

ჩქუ S^{dat} ჰაჲა O^{ind} ვარ მა-ჭკომენ-ან V^{inv}

„ჩვენ ეს არ გვეჭმევა“.

მეორე მხრივ, პირდაპირი კონსტრუქცია ფორმულით: S = მოთხრობითი, O = სახელობითი:

(13) **ქომოლი სქანიქ ბეე** თამამი ვარ **ახენუ** (ჟღ. 65-3)

ქომოლი სქანი-ქ S^{erg} ბეე O^{ind} თამამი ვარ ა-ხენ-უ V^{inv}

„[შენმა ქმარმა] შენს ქმარს ბავშვი მთლიანად ვერ გაეკეთა“.

სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ: მოთხრობითბრუნვიანმა სუბიექტმა, რომელიც ამოსავალში ლაზურშიც მხოლოდ II სერიის ბრუნვა იყო, ჩაანაცვლა სახელობითი ბრუნვა I სერიაში მთლიანად, რადგან პირდაპირი წყობა დარჩა პირდაპირ წყობად, ხოლო III სერიაში ეს პროცესი ასე უნდა წარმართულიყო: ჯერ ინვერსია მოხდა, ხოლო შემდეგ დაიწყო პირდაპირ წყობასთან გათანაბრების ტენდენცია.

საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ ქართველურ ენებში ინვერსიის პროცესის ფორმალური ასახვა, ანუ გრამატიკალიზაცია მოხდა მაშინ, როცა რიცხვის გამოხატვა მორფოლოგიის დონეზეც და სინტაქსური ძალითაც შეძლო მიცემითში დასმულმა სახელმა

[მელიქიშვილი 2001]. როგორც ჩანს, ინვერსიის გრამატიკალიზაცია ამით არ დამთავრებულა ლაზურში. გამომდინარე სისტემური ცვლილებიდან, რაც გარდამავალი ზმნის კონსტრუქციის „ჩასწორებით“ (თუ გნებავთ უნიფიკაციით) გამოიხატა, ამავე მიზეზით (თუ მიზნით) ინვერსიის გრამატიკალიზაცია ხომ არ ხდება სინტაქსურ დონეზეც: RS, იგივე მოქმედების მიმღები, განმცდელი პირი, რომელიც მიცემითი ბრუნვით გამოიხატებოდა, დადგა მოთხრობით ბრუნვაში. სინტაქსმა გაავლო მიჯნა „წარმომავლობით“ (ფორმა) გარდაუვალ და სინტაქსურ-სემანტიკურად (შინაარსის პლანი) გარდამავალი ზმნის პარადიგმებს შორის, ანუ ზმნური ფორმა დარჩა ინვერსიული, უფრო სწორედ, მორფოლოგიის შეუცვლელად შეიცვალა კონსტრუქცია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ერგატიულობა აქტანტთა მახასიათებელია და არა ზმნა-შემასმენლის. ამიტომ არცაა მოულოდნელი, რომ ანალოგიურად „ჩასწორდა“ პოტენციალისის ინვერსიული კონსტრუქციებიც.

როგორც ჩანს, ლაზურში ერგატიულობის მორფოლოგიური თუ მორფოსინტაქსური მახასიათებლების გაჩენას თურმეობითებსა და პოტენციალის ზმნურ კონსტრუქციებში ხელი შეუწყო როგორც ზმნათა სემანტიკამ, ასევე მათთან შეწყობილ სახელთა სემანტიკამაც.

გ. კლიმოვმა საგანგებოდ შეისწავლა ერგატიული კონსტრუქცია ლაზურში და „ანომალიად“ შეაფასა ის ფაქტი, რომ ერგატიული კონსტრუქცია გააჩნიათ არა მარტო გარდამავალ, არამედ გარდაუვალ ზმნებსაც. მან გამოყო სამი ჯგუფი ზმნებისა, რომლებსაც აერთიანებს ის, რომ ისინი გამოხატავენ აქტიური დენოტატის — „სულიერის“ მოქმედებას. ესენია, ძირითადად, მედიოაქტიური ზმნები **ო-ძიცინ-უ** „სიცილი“, **ო-ხორონ-უ** „ცეკვა“, **ო-პარამით-უ** „ლაპარაკი“, **ო-პეტელ-უ** „კიკინი“, **ო-ლალ-უ** „ყეფა“, **ო-ჭკედინ-უ** „ყურება“, **ო-ხვეწინ-უ** „ხვეწნა“ და ა. შ. ტიპისა, რომელსაც აქტიურ ზმნებს უწოდებს გ. კლიმოვი და მიიჩნევს, რომ ისტორიულად ლაზურში ადგილი ჰქონდა აქტიური და სტატიკური ზმნების ლექსიკურ ოპოზიციას, რაც განაპირობებდა აქ-

ტიურ და ინაქტიურ კონსტრუქციებს, რაც, თავის მხრივ, სისტემურ კოორდინაციას ჰქმნიდა არსებით სახელთა აქტიურ (სულიერ) და ინაქტიურ (უსულო) ჯგუფებთან [კლიმოვი 1976]. მეორე მხრივ, აქტიური წყობის ტრანსფორმაცია ნომინატიურ წყობად, მკვლევრის აზრით, განაპირობა აქტიური და სტატიკური ზმნების ოპოზიციის შეცვლამ ტრანზიტულ და ინტრანზიტულ ოპოზიციად. შესაბამისად, ინტრანზიტულ ზმნებთან **-ჭ** ნიშნით გაფორმებულ ბრუნვას უნდა მიეცეს არა ერგატივის, არამედ ნომინატივის კვალიფიკაცია, ხოლო საკუთრივ **-ჭ** მორფემა უნდა ჩაითვალოს ნომინატივის ალომორფად Ø ნულოვან ალომორფთან ერთად [კლიმოვი 1976, 154-156]. ასეთ შემთხვევაში, მკვლევრის შეხედულებით, გასაგები ხდება მოთხრობითბრუნვიანი კონსტრუქციის მქონე წინადადებების ფართო სპექტრი ყველა ზმნასთან გრამატიკული დროის განურჩევლად. აღსანიშნავია, რომ გ. კლიმოვს არც ის გამორჩენია, რომ გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარის გაფორმება **-ჭ** სუფიქსით ხშირად დამოკიდებულია ზმნის ადგილზე (პოზიცია) წინადადებაში, კერძოდ, როცა წინადადებაში გვაქვს ერთგვარი შემასმენლები და მათ შორის ერთ-ერთი ეკუთვნის კლიმოვის მიერ გამოყოფილ ზმნურ ჯგუფებს. ჩვენი მხრივ, დავაზუსტებდით, რომ ასეთი ზმნა უშუალოდ მოსდევს ქვემდებარეს, ხოლო მომდევნო ზმნა (ზმნები) გარდამავალია. მაგ. არ ნდღას არ მჩხვაფა ტარონის **ჩილ-ქომოჯიქ** ონტულეშა **ქოდოლოხთეს** დო **ხაჩქუმტეს** ჩქვა (აბაშ. 77, 10) „ერთ დღეს მზიან ამინდში ცოლქმარი ბოსტანში შევიდნენ და თოხნიდნენ"... „... **ქომოჯი** მუშიქ **ნასთერუ** დო ოსთერუს **ქოგდოჭკეს** (აბაშ. 77, 14) „მისმა ქმარმა ითამაშა და თამაშობა დაიწყეს".

მეორე ვითარება, რასაც გამოყოფს გ. კლიმოვი, ეხება ისეთ წინადადებას, რომელშიც ქვემდებარესა და ზმნა-შემასმენელს შორის მოქცეულია სახელმზმნური ვითარების გარემოება. მაგ., **ბაბაქ ხორონერ-ხორონერი** ოხორიშა **იდუ** „მოხუცი ცეკვა-ცეკვით წავიდა სახლში" [კლიმოვი 1976, 153].

ჩვენ ვრცლად მიმოვიხილეთ გ. კლიმოვის თვალსაზრისი, რადგანაც სპეციალურ ლიტერატურაში მან პირველმა გაამახვილა ყურადღება ლაზურის ამ თავისებურებაზე. გარდა ამისა, მისი თეორია თუ ჰიპოთეზა ქართველური (resp. ლაზური) ზმნის აქტიურობის შესახებ დღემდე რჩება სამუშაო დებულებად. მით უფრო, რომ ზმნური ლექსიკური დუბლეტების კვლევამ ქართულში გამოავლინა სულიერი ~ უსულო დიქოტომია (წოლა ~ დება, წაქცევა ~ დავარდნა), ხოლო ქონა-ყოლის ზმნების სემანტიკის შესწავლამ ძველ ქართულში გამოავლინა პიროვნება ~ ნივთის დაპირისპირება [შენგელია 2006, 86-122]. ასევე „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელთა დაპირისპირება თავს იჩენს როგორც ზმნასთან შეხამებისას, ასევე უღლების პარადიგმებშიც: „ვინ“ ნაცვალსახელის სემანტიკითაა გაპირობებული, რომ ძველ ქართულში მას არა აქვს მოქმედებითი (ინსტრუმენტალისი) და ვითარებითი (ტრანსფორმატივი) ბრუნვები, რომლებიც „რა“ კითხვით ნაცვალსახელს ეწარმოება. ხოლო „რამან“ ბრუნვა ძველ ქართულში იშვიათად დასტურდება. აქედან გამომდინარე, მ. სუხიშვილი დაასკვნის: „ნივთის სემანტიკური კლასის აღმნიშვნელი სახელების ერგატიული ბრუნვით ხმარება შეზღუდულია (თავიანთი სემანტიკით ისინი მხოლოდ სუბიექტის III პირის სახელებად შეიძლება მოგვევლინონ სათანადო ზმნებთან). მიგვაჩნია, რომ ამ სახელებში ერგატივის გამოყენება გვიანდელი უნდა იყოს. ძველი ქართულის ზოგიერთი ფაქტი შეიძლება მიგვანიშნებდეს ნივთის აღმნიშვნელ სახელებში ერგატიული ბრუნვის ჩამოყალიბების დინამიკას“ [სუხიშვილი 1999, 19].

ჩვენი დაკვირვებით, ადამიანი ~ ნივთი, სულიერი ~ უსულო დაპირისპირება გადამწყვეტია ერგატიული კონსტრუქციის გაჩენისას ლაზური გარდაუვალი ზმნების, ასევე გარდამავალი ზმნების III სერიის ფორმებში. საგანგებოდ შევისწავლეთ ნურდოღან აბაშიშის მიერ გამოცემული ვიწური ტექსტები [აბაშიში 2005], რათა შეგვედარებინა ადრე გამოცემულ ვიწურ ტექსტებთან, ასევე შეგვედარეთ სარფული (საქართველოს ნაწილი) ტექსტები ათინურ და

ვიწურ-არქაბულ ტექსტებს ორი მიზნით: შეგვემოწმებინა გ. კლიმოვის დაკვირვებით გამოყოფილი სემანტიკური ველები ზმნისა და სახელისა: შეიცვალა თუ იგივე დარჩა; როგორია ერგატივის გავრცელების სიხშირე კილო-კავური მონაცემების მიხედვით.

პირველი თვალსაზრისით, მასალამ დაადასტურა იგივე ზმნური სემანტიკური ჯგუფები. ასევე -ქ სუფიქსიანი სახელები სულიერის ნიშნით ხასიათდებიან. მოვიყვანთ მაგალითებს:

(1) მა ბძირი შკულე **დამთირექ** დო **ბიჭიქ** ხოლო **იძიცამტეს** ჰეშო (აბაშ. 70, 21);
მა ბძირი შკულე დამთირე-ქ S^{erg} დო ბიჭი-ქ S^{erg} ხოლო ი-ძიცამტ-ეს V^{intran} ჰეშო
„მე რომ ვნახე, სიდედრი („სიდედრმა“) და ბიჭიც („ბიჭმა“) იცინოდნენ იქით“

(2) **ნუსაქ ნოკაჩუ** შქულე... (აბაშ. 78, 6)
ნუსა-ქ S^{erg} ნოკაჩ-უ V^{intran} შქულე
„რძალმა (რომ) ამოიოხრა შემდეგ...

(3) ჟურ **ბიჭიქ** სუმ ნდღა დო სუმ სერის **დისიმადეს** (აბაშ. 91, 14)
ჟურ ბიჭი-ქ S^{erg} სუმ დღა დო სუმ სერის დისიმად-ეს V^{intran}
„ორი ბიჭი („ბიჭმა“) სამი დღე და სამი ღამე ფიქრობდნენ“.

(4) ლომეში **ბიჭიქ გეხთუ** ცხენიშენ (აბაშ. 111, 14)
ლომეში ბიჭი-ქ S^{erg} გეხთ-უ V^{intran} ცხენიშენ
„ლომის ბიჭი („ბიჭმა“) შეჯდა ცხენზე“.

(5) **დივეფექ** ჰეკო წკარ-თის **გელუხენან** დო ვარ მომჩამან-ეა (აბაშ. 112, 9)
დივეფე-ქ S^{erg} ჰეკო წკარ-თის გელუხენ-ან V^{intran} დო ვარ მომჩამა-ან-ეა V^{tran}
„დევები („დევებმა“) წყაროსთავს უსხედან და არ გვაძლევნო“

(6) **მთუთიქ** მციქა **ნისიმინუ** დო... (აბაშ. 129, 17)
მთუთი-ქ S^{erg} მციქა ნისიმინ-უ V^{intran} დო...
„დათვმა ცოტა იფიქრა და... “

(7) **მკეაფუქ** ოხოტკვაცინერი **იდუ**... (აბაშ. 131, 17)
მკეაფუ-ქ S^{erg} ოხოტკვაცინერი ი-დ-უ... V^{intran}

„ტურა („ტურამ“) თოფნაკრავივით წავიდა („აფეთქებული წავიდა“)

(8) ბადი **მთუგიქ იმსიმინუ**... (აბაშ. 26, 28)
ბადი მთუგი-ქ S^{erg} ი-მსიმინ-უ... V^{intran}
„ბებერი თაგვი („თაგვმა“) შეფიქრიანდა“

რაც შეეხება ერგატიული კონსტრუქციის სიხშირეს, აშკარაა, რომ სარფული მეტყველება მაღალი სიხშირით ხასიათდება. მაგალითად, ერთი ზღაპრის მიხედვით [კალანდია 2008, 233-246] ერგატიული გარდაუვალი კონსტრუქციები თითქმის იმდენივე ამოვიწერეთ (10 მაგალითი), რამდენიც იმავე ნ. აბაშიშის 12 იგავიდან (გვ. 70-130). რა თქმა უნდა, ზმნური და სახელური სემანტიკა ამ შემთხვევაშიც ანალოგიურია. მაგალითები:

(9) **ვეზირიქ დიხაზიუ** (კალან. 235, 20)
ვეზირი-ქ S^{erg} დიხაზიუ V^{intran}
„ვეზირი („ვეზირმა“) გაემზადა“.

(10) **ჩობანიქ ქოგეხტუ** ცხენის (კალან. 238, 16)
ჩობანი-ქ S^{erg} ქოგეხტ-უ V^{intran} ცხენის
„მწყემსი („მწყემსმა“) შეაჯდა ცხენს“.

(11) დიდო ვახთის **ოხვეწაპტუ ჩობანიქ** (კალან. 238, 28)
დიდო ვახთის ოხვეწაპტუ V^{intran} ჩობანი-ქ S^{erg}
„დიდხანს ეხვეწა მწყემსი („მწყემსმა“).

(12) **ენთეფექ** ხელებათენ **ნაგეს** ართიმაჟრას (კალან. 239, 6)
ენთეფე-ქ S^{erg} ხელებათენ ნაგ-ეს V^{intran} ართიმაჟრას
„ესენი („ამათმა“) სიხარულით შეხვდნენ ერთმანეთს“.

(13) **კულანიქ მეხთუ** ცხენიშა (კალან. 242, 15)
კულანი-ქ S^{erg} მეხთ-უ V^{intran} ცხენიშა
„გოგო („გოგომ“) მივიდა ცხენთან“.

(14) მსქიბუს დოლოხე არ ჰიტა **მთუგიქ წიაფტუ** (კალან 242, 25)
მსქიბუს დოლოხე არ ჰიტა მთუგი- ქ S^{erg} წიაფტ-უ V^{intran}
„წისქვილში შიგნით ერთი პატარა თაგვი („თაგვმა“) წრიპინებდა“

(15) ედო **მთელიქ** მზოლაშ კონაღიშა იგზალეს (კალან. 244 29)
ედო მთელი-ქ S^{erg} მზოლაშ კონაღიშა იგზალ-ეს V^{intran}.

„ჰოდა, ყველანი („ყველამ“) ზღვის სასახლისკენ გაემგზავრნენ“.

(16) **ოხორჯაქ** ფადიშაიშ წოხლე **ქოდოდგითუ, კულანეფექ** საღი დო სოლიკელე ჰოდუდგითეს (კალან. 245, 15)
ოხორჯა-ქ S^{erg} ფადიშაიშ წოხლე ქოდოდგით-უ V^{intran}, კულანეფე-ქ S^{erg} საღი დო სოლიკელე ჰოდუდგით-ეს V^{intran}
„ცოლი („ცოლმა“) ფადიშაჰის წინ დადგა, ქალიშვილები („ქალიშვილებმა“) კი მარჯვნივ და მარცხნივ დაუდგნენ“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლაზურში ერგატიული კონსტრუქციის გამოყენება გარდაუვალ ზმნებთან ძირითადად მაინც დასტურდება II სერიის ფორმებთან, თუმცა ის ასევე დასტურდება I სერიის ფორმებთანაც. როგორც ჩანს, ამგვარი ვითარება დამახასიათებელია ლაზურის ყველა კილოკავისთვის, ხოლო მაღალი სიხშირე სარფულ მეტყველებაში შეიძლება აიხსნას დასავლურ დიალექტებთან მეზობლობით, სადაც ყველა ტიპის გარდაუვალ ზმნასთან II სერიაში (განურჩევლად სტრუქტურისა და სემანტიკისა) ქვემდებარე ყოველთვის მოთხრობით ბრუნვაში დგას.

ერგატიული კონსტრუქციის განვითარების ტენდენციების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ლაზურში სამი მიმართულებით მიმდინარეობს პროცესი:

ა. ერგატივის მოშლა გარდამავალ ზმნებთან;

ბ. ერგატივის გაჩენა მიცემითი ბრუნვის ნაცვლად ე. წ. ინვერსიულ ზმნებში;

გ. ერგატივის გაჩენა სახელობითი ბრუნვის ნაცვლად გარდაუვალ ზმნებში.

ამათგან ძლიერია მესამე (გ.) ტენდენცია, მით უფრო, მეგრულთან ახლოს მდგომ კილოკავებში. რაც შეეხება პირველ ორ (ა.), (ბ.) ტენდენციას, ძირითადად თავს იჩენს ათინურში, მაგრამ არც სხვა კილო-კავებისთვისაა უცხო. აღსანიშნავია, რომ ერგატივის მოშლის ტენდენცია მიცემითის მოშლის პარალელურად მიმდინარეობს, ანუ ანომალიად სწორედ ეს უკანასკნელი პროცესი შეიძლება შეფასდეს, რაც ლაზურზე თურქული სინტაქსის ზეწო-

ლის შედეგი ჩანს. მეორე მხრივ, ერგატივის განვითარება გარდაუვალ ზმნებში, ლაზურს აახლოებს მეგრულთან, თუმცა სისტემა მათი დრო-კილოს მიხედვით განაწილებისა საკუთრივ ლაზური რჩება.

ზოგადად, მეგრულ-ლაზურში ერგატიული კონსტრუქციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მორფოსინტაქსური მახასიათებლები და მარკირების პრინციპები გაპირობებულია შესიტყვების — ზმნისა და მასთან დაკავშირებული სახელის (სუბიექტის) — სემანტიკით. ისევე, როგორც რიცხვში შეთანხმების ანალიზმა აჩვენა, ერგატიულობის შინაარსიც პიროვნება ~ ნივთის დაპირისპირებაა. როგორც ჩანს, მეგრულ-ლაზურის გრამატიკულ სისტემას, კერძოდ კი აქტანტურ კატეგორიებს განმსჭვალავს ადამიანი ~ არაადამიანი დიქოტომია.

ნაწილი III

პირის კატეგორიის გამოხატვის სისტემა

შესავალი

ზმნაში რიცხვის გამოხატვის სისტემაზე მსჯელობისას ყურადღება გავამახვილეთ პირის კატეგორიაზე იმდენად, რამდენადაც ზმნაში სწორედ პირის სიმრავლე აღინიშნება. პირის კატეგორიის განსაზღვრისას შევჩერდით ე. ბენვენისტის მიდგომაზე: I და II პირი უპირისპირდება III პირს, როგორც დიალოგში მონაწილე პირები — არამონაწილეს, შესაბამისად I, II ~ III დიქოტომია განიხილებოდა, როგორც მარკირებულ ~ არამარკირებულ ფორმათა დაპირისპირება [ბენვენისტი 1974]. ე. ბენვენისტმა ქართულისთვის დამახასიათებელი ფაქტი — III პირის მარკირება — ახსნა, როგორც „სიმეტრიისაკენ მისწრაფება“, თუმცა თ. უთურგაიძის სამართლიანი შენიშვნით, მას არ აუხსნია ამგვარი „მისწრაფების“ საფუძველი. მეცნიერის აზრით, საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ III პირისთვის „ისეთი ფუნქციების მინიჭება, რომელიც აქვთ I და II პირებს, ესენია: ინიციატორობა, პაციენსობა და ადრესატობა, ამათ საფუძველზე მოხდა S_3-ის, O_3^{d}-ისა და O_3^{ind}-ის მარკირება ქართულში, შესაბამისად რიგისა“ [უთურგაიძე 2002, 42].

ცხადია, რომ ქართულ (resp. ქართველურ) ენაში I, II, III პირები, როგორც რომლობის მიხედვით დაპირისპირებული ჰომოგენური ფორმები, ქმნიან ზოგადად პირის კატეგორიას. თ. უთურგაიძის თვალსაზრისით, „ჰომოგენურობის საფუძველს ქმნიან სუბიექტობა, ირიბობიექტობა და პირდაპირობიექტობა: სუბიექტობის სემანტიკა არის ინიციატორობა, პირდაპირობიექტობისა — პაციენსობა, ირიბობიექტობისა — ადრესატობა. ესენი პირმიმართი აქტანტებია — მათ აქვთ საკუთარი სემანტიკა და ფორმალური გამოხატულება“ [უთურგაიძე 2002, 44). შესაბამისად, მეცნიერი სუბიექტს, პირდაპირ ობიექტსა და ირიბ ობიექტს მიიჩ-

ნევს დამოუკიდებელ კატეგორიად.

მთავარი არგუმენტი, რის გამოც S ~ O დაპირისპირება, მკვლევრის აზრით, ვერ განიხილება კატეგორიად, გახლავთ ის ფაქტი, რომ პირდაპირი და ირიბი ობიექტები საერთო ნიშნით გამოიხატება. ეს წესი განზოგადდება სამივე ქართველური ენისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ ფონოტაქტიკის გამო ქრონოლოგიურ დონეზე ენაში ხორციელდება მორფოლოგიური ხასიათის გარდაქმნები, Ø ნულოვანი მარკერი ისეთივე ღირებულებისაა, როგორც ბგერით გამოხატული. მაგალითად, მეგრულში O_3^d და O_3^{ind} — ორივე უნიშნოა, ანუ ნულოვანი მარკერის მქონეა ისევე, როგორც S_2, რომლის ნიშანიც უნდა გამოეყენებინა ენას ჯერ O^d-ის, შემდეგ O^{ind}-ის აღსანიშნავად (ქართულის ანალოგიით). მეორე მხრივ, S_1-ის ვ- პრეფიქსი და O_1-ის მ- პრეფიქსი მორფონოლოგიური გარდაქმნების შედეგად გვაძლევს ერთსა და იმავე ალომორფებს — ბ, ფ, პ მეგრულ-ლაზურში. მაგალითად, **ბ-გორუნქ** ფორმა შეიძლება ნიშნავდეს ბ-გორუნქ მა თის „ვეძებ მე მას“, ბ-გორუნქ სი მა „მეძებ შენ მე“.

როგორც ჩანს, მთავარი საფუძველი, რის გამოც დასაშვებია ერთი და იმავე მარკერით აღინიშნებოდეს S, O^d და O^{ind}, სწორედ ის დასკვნაა, რასაც გვთავაზობს თ. უთურგაიძე: „S, O^d, O^{ind} კატეგორიები ხასიათდებიან საკუთარი სემანტიკითა და ამ სემანტიკის მქონე დაპირისპირებული ელემენტებით, რაც განხორციელებულია პირთა რომელობის ფარგლებში დაპირისპირებით“ [უთურგაიძე 2002, 46]. მაშასადამე, პირი, როგორც აქტანტური კატეგორია, ფორმისა და შინაარსის მთლიანობაა.

ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოდ გვესახება პირის გამოხატვის სისტემა მეგრულ-ლაზურში. მით უმეტეს, რომ „პირთა სახით საქმე გვაქვს ავტონომიურ მორფოლოგიურ სისტემასთან მორფოლოგიურ ცვლილებათა საკუთარი მექანიზმით“ [უთურგაიძე 2002, 73]. მეგრულ ზმნაში ეს მექანიზმი შესწავლილ იქნა და კანონზომიერებაც დადგინდა ტ. გუდავასა და თ. გამყრელიძის მნიშვნელოვანი ნაშრომით „თანხმოვანთკომპლექსები

მეგრულში“. მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი თანხმოვანთკომპლექსების გარდაქმნების კვალდაკვალ გამოწვლილვით გამოვლინდა პირის (S_1, O, O_2) გამომხატველ ალომორფთა სისტემა. შევეცდებით წარმოვაჩინოთ მორფონოლოგიური ცვლილებების მექანიზმი ლაზურშიც და შევქმნათ ერთიანი სურათი პირის აღმნიშვნელ ალომორფთა სისტემისა მეგრულ-ლაზურში.

I თავი

სუბიექტური პირის ნიშნები მეგრულ-ლაზურში

§1. ვ- პირის ნიშანთან დაკავშირებული ერთი საკითხისათვის მეგრულში

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი **ვ-** მეგრულში წარმოდგენილია */ვ-/, /ბ-/, /ფ-/, /პ-/* ალომორფებით თანხმოვნისწინა პოზიციაში ჰომოგენურობის საფუძველზე, თუმცა ამ წესს აბსოლუტური ხასიათი არა აქვს [გუდავა, გამყრელიძე 2000, 167-170; დადიანი 2003, 30]. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ „კბილბაგისმიერი **ვ**-ს პარალელურად და თითქმის ყველა იმ პოზიციაში, რომლებშიც ის გვაქვს, წყვილბაგისმიერი **უ**-ც გამოვლინდება“, განსაკუთრებით სენაკურ-მარტვილურ კილოკავში [ჯანჯღავა 2009, 281]. თუმცა ხმოვნისწინა პოზიციაში, ჩვენი აზრით, ძირითადია **ვ-** მორფემა. კერძოდ, **ვ-** დასტურდება **ა, ე, ო** ხმოვნების წინ, **ი** ხმოვნის წინ მეტათეზისის შედეგად წარმოდგება ზემოთ აღნიშნული ალომორფებით, ხოლო **უ** ხმოვნის წინ იკარგება, ანუ */Ø-/* მარკერი შემოდის S_1-ის ალომორფთა სისტემაში [ყიფშიძე 1994, 108; ჭაჯაია, I, 2001, 51]. უკანასკნელ ხანს ქუთაისის დიალექტოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ **ვ-** პრეფიქსი ზმნაში იკარგება **-ო-**ს წინა პოზიციაშიც [დადიანი, ფუტკარაძე 2004, 35]. ამის საფუძველს მათ აძლევდა საველე პირობებში მოპოვებული მასალა. ჩვენც დავინტერესდით ამ ნიმუშებით, რომლებიც კომპიუტერული ვერსიის სახით მოგვაწოდა ქალბატონმა ეკა დადიანმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ. ესაა ხობური მეტყველების დარგობრივი მასალა. მთქმელი საუბრობს თავის საქმიანობაზე მესაქონლეობასა თუ მეფუტკრეობაში, შესაბამისად, უხვადაა ზმნური ფორმები პირველ პირში. ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ ისინი და ქვემოთ წარმოვადგენთ ჩვენს თვალსაზრისს ამ საკითხთან დაკავშირებით.

როგორც მოსალოდნელი იყო, ხობურ ტექსტებში **ვ-** პირის ნიშანი ყოველთვის დაფიქსირებულია **ო** ზმნური ხმოვანი პრეფიქსის წინ უზმნისწინო ფორმებში: ვ-ორექ „ვარ“, ვ-ორწყექ „ვხედავ“... უფრო საინტერესოა V-ვ-ო მიმდევრობა, როცა პირის ნიშანს წინ უძღვის ზმნისწინის ან ნაწილაკის (მათ შორის დადასტურებითი **ჭო-** და უარყოფითი **ვა-** ნაწილაკების) ხმოვანი ელემენტი. კერძოდ, V-ვ-ო მიმდევრობაში V= ა, ე, ო ხმოვნებს, რომლებიც ასიმილაციის გზით იცვლება ან რედუცირდება. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზმნისწინის ნაწილაკებით გართულების კვალდაკვალ უფრო ძლიერდება რედუქციის ტენდენცია. შესაბამისად, პირის ნიშნის წინ წარმოიქმნება თანხმოვანთმიმდევრობები, რომლის თავკიდურა და ბოლოკიდურა პოზიციაში ხმოვანი (ამ შემთხვევაში ზმნური პრეფიქსი) არ იკარგება [გუდავა, გამყრელიძე 2000, 186-187]. აქვე დავამატებთ, რომ C+ვ კომპლექსი მეგრულ-ლაზურში ბუნებრივ კომპლექსთა წყებას განეკუთვნება და ისტორიულად ამოსავლად Cუ კომპლექსი მიიჩნევა [გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 61].

მაშასადამე, V-ვ-ო მიმდევრობა სამ კომბინაციას გვაძლევს: (1) ა-ვ-ო; (2) ე-ვ-ო; (3) ო-ვ-ო. ჩვენი დაკვირვებით, ხობურ ტექსტებში (1) და (2) შემთხვევებში **ვ-** პრეფიქსი ყოველთვისაა წარმოდგენილი, მაგრამ ყურადღებას იპყრობს (3) კომბინაცია. როგორც წესი, **ო-ვ-ო** მიმდევრობა ზმნურ ფორმებში ჩაწერილია **უო** მიმდევრობით. წარმოვადგენთ მაგალითებს:

ქუწინქ აკა დო **დუოჰარაფუანქ** „ვეტყვი ერთი და დავაწერინებ“; უკულ თი სიროპის **ქინუობუნდ** „მერე იმ სიროპს ჩავასხამდი“; რამკეფს ხო **ქუდუონწკარანთ** არძას „ჩარჩოებს ხომ დავაწყობთ ყველას“; ათი სანთელს უკულ **გეგგნუოფუნუანთ** ჩქი „ამ სანთელს მერე გადავადნობთ ჩვენ“; კასრულს **ქენუორღვანთ**, წყარს **ქედუობუნთ** „ვედროში ჩავყრით, წყალს ჩავასხამთ“; **ქედუორაგვე** ვიშო „დავაგდე იქით“; ჟირ დღას **ქუორდითთ** თექ შეჩერებულ „ორი დღე ვიყავით გაჩერებული“...

უხვად დაიძებნება მსგავსი ფორმები ამ მასალაში, რითაც ის არსებითად განსხვავდება აქამდე გამოცემული მეგრული ტექსტებისგან. ნიმუშისთვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს მ. ხუბუას მარტვილურ-სენაკური ტექსტებიდან: ოჭუმარეს გოთანდუნ, **დუვოჭყი** ართ ცურე ულა (42, 25) „დილა რომ გათენდა, დავიწყე ერთ მხარეს სიარული"; ქიმვოგი დო გალე **ქუვოცოთი** (44, 30) „ვესროლე და გარეთ გადავაგდე"; **გუვოკეთებაფევა** (44, 21) „გავაკეთებინეო"; **გუვოჯინიე** (49, 26) „რომ დავხედე", **ქოვორწყედია** (51, 30) „ვხედავდიო", იქვე **ქუვორწყედითია**...

ზემოთ მოყვანილ ყველა ნიმუშში ამოსავალია ო-ვ-ო მიმდევრობა, რადგანაც ზმნურ ფორმას ერთვის დო-, გეგნო-, გო- ზმნისწინები (ასევე შეიძლება ერთვოდეს მო-, და-, -კო-, -წო-, -თო- ნაწილაკებით გართულებული ზმნისწინები) და ქო- დადასტურებითი ნაწილაკი. სხვაობა ისაა, რომ ხობურ ტექსტებში არსად ჩანს **ვ**- პრეფიქსი და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის „უკვალოდ გამქრალა". ჩვენ ეჭვი არ გვეპარება ამ ნიმუშების ჩამწერის კომპეტენციაში, მაგრამ, ვფიქრობთ, საკითხი მოითხოვს დაზუსტებას.

პარალელურად წარმოვადგენთ ხობურ ტექსტებში მოყვანილ და მათ ამოსავალ ფორმებს:

ამოსავალი ფორმები	**ხობური მასალა**
დო-ვ-ოჭარაფუანქ	დუოჭარაფუანქ „დავაწერინებ"
ქონო-ვ-ობუნდ	ქინუობუნდ „ჩავასხამდი"
ქოდო-ვ-ონწკარანთ	ქუდუონწკარანთ „დავაწყობთ"
გეგონო-ვ-ოფუნუანთ	გეგგნუოფუნუანთ „გადავადნობთ"
ქონო-ვ-ორღვანთ	ქენუორღვანთ „ჩავყრით"
ქო-ვ-ორდით	ქუორდით „ვიყავით"

თუ ამოსავალ ფორმებში ვივარაუდებთ პირის ნიშნის დაკარგვას, მაშინ თავს იყრის -ოო- მიმდევრობა: დო-ვ-ოჭარაფუანქ → დოოჭარაფუანქ. მეგრულისთვის დამახასიათებელი მორფონოლოგიური გარდაქმნების თანახმად [გუდავა, გამყრელიძე 2000, 167], ო+ო → ა, რაც კარგად ჩანს II და III პირის ფორმებში:

სი დო-ოჭარაფუანქ → დაჭარაფუანქ „შენ დააწერინებ"

თინა დო-ოჭარაფუანს → დაჭარაფუანს „ის დააწერინებს“

ასევე გვექნება: **ქინაბუნდ** „ჩაასხამდი“, **ქუდანწკარანთ** „დააწყობთ“, **ქენარღვანთ** „ჩაყრით“, **გეგგნაფუნუანთ** „გადააღნობთ“... რაც შეეხება **ქო-ვ-ორდით** ზმნას, აქ ზმნური ხმოვანი პრეფიქსის დაკარგვა ჩვეულებრივია: **ქო-რდით** „იყავით“, შდრ. **ვორექ** „ვარ“, **რექ** „ხარ“, **რე'ნ** „არის“. ისმის კითხვა, I პირის ფორმაშიც რატომ არ ხდება ო → ა გარდაქმნა? ცნობილი კანონზომიერებაა, რომ I პირის ნიშნის დაკარგვის შემთხვევაში მორფემათა საზღვარზე არ მოქმედებს ფონოლოგიური კანონზომიერება და ამით ხდება I პირის გამიჯვნა II პირის (რომელიც თავისთავად არ აღინიშნება) ფორმისაგან. შედარებისთვის მოვიყვანთ ლაზურის ხოფურ კილოკავს, სადაც V-ვ-V პოზიციაში ბუნებრივია პირის ნიშნის დაკარგვა განურჩევლად იმისა, ხმოვანი მარკირებულია ლაბიალობის ნიშნით, თუ — არა. როგორც წესი, მორფემათა საზღვარზე არ ხდება ასიმილაცია, განსხვავებით II პირის ფორმისაგან: **მო-ვ-ულურ > მოულურ** „მოვდივარ“, მაგრამ **მოულურ > მულურ** „შენ მოდიხარ“; მან **დოკაფ** „მე მოვკალი“, მაგრამ სინ **დოკააფ** „შენ მოკალი“... [ჩიქობავა 1936, 24; ეზუგბაია 2004, 32]. ესაა ზოგადი კანონზომიერება, რომელიც ქართველურ ენათა მთელ სისტემაზე ვრცელდება. ამის დასტურია **მო/მა** მონაცვლეობა სუბიექტური წყობის ზმნებში კახურსა და ფშაურში [უთურგაიძე 1976, 21-22]. მაშასადამე, **დო-ვ-ოჭარაფუანქ** ფორმაში პირის ნიშნის დაკარგვის შემთხვევაში უცვლელად უნდა დარჩენილიყო -ოო- მიმდევრობა. როგორ უნდა მიგვეღო **-უო-** კომპლექსი **დუოჭარაფუანქ** ტიპის ფორმებში? რჩება ერთი გზა: **დო-ვ-ოჭარაფუანქ → დუ-ვ-ოჭარაფუანქ → დუოჭარაფუანქ**, ანუ პირის ნიშნის დაკარგვა ხდება არა ამოსავალ ფორმაში, არამედ მეორე ეტაპზე — ზმნისწინის ხმოვნის ასიმილაციის შემდეგ: დო-ვ > დუ-ვ. თუმცა ეს ნაკლებად სარწმუნოდ გვეჩვენება იმ მასალის გათვალისწინებით, რაც გამოცემული მეგრული ტექსტებიდან მოგვეპოვება — ბუნებრივი და გავრცელებული ფორმაა **დუვოჭარაფუანქ** ტიპისა, რასაც ზეპირი მონაცემებიც ადასტურებს და თუ მაინც

დავუშვებთ **დუოჭარაფუან̂ქ, დუობუნდ, ქენუორღვანთ** და ა. შ. ფორმებს, **უ** შეიძლება განვიხილოთ როგორც **ოვ** ან **ვო** (ვო > უ) სეგმენტის მონაცვლე. ამგვარი გარდაქმნები ცნობილია სახელებში: ქვა > *ქოვა > *ქუა „ქვა“, *ორვო > *როვო > რუო „რვა“. ანალოგიური გარდაქმნები გვაქვს **-ოვ-** სუფიქსიან ზმნებში: *თხოვ-ა-ს >თხუას „სთხოვოს“, *ქშ-ოვ-უ > შუუ „ქსოვა“ [ქარტოზია 2005, 21-30]. მაშინ **უ** ელემენტი შეიძლება შეფასდეს, როგორც **ვ-** პირის ნიშნის ალომორფი.

ჩვენი დაკვირვებით, **ვ-** პრეფიქსის დაკარგვა **ო**-ს წინა პოზიციაში შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ზმნას ერთვის **ვა-** უარყოფითი „არ“ ნაწილაკი. მაგალითად, ერთი მხრივ, გვაქვს ფორმა **ვა-ვ-ორექ** მა იშენ ვავორექია (ხუბ. 43, 36) „მე მაინც არა ვარო“; მეორე მხრივ — ფორმა **ვა-ორექ** დომიშინდუ გურქგ, ვაორექ მეტი (ჩიქვ. 14) „გამისივდა გული, მეტი არა ვარ“. საქმე ისაა, რომ II და III პირის ფორმებში ა + ო → ა გარდაქმნის შედეგად ვღებულობთ **ვარექ** „შენ არ ხარ“ და **ვარე˹ნ˺** „არ არის“ ფორმებს. შესაბამისად, S_1-ის ნიშნის დაკარგვის შემთხვევაში ფორმა მაინც განსხვავებული რჩება. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ, ჩვეულებრივ, **ვ-** პრეფიქსი არ იკარგება ა-ვ-ო მიმდევრობისას, თუ ა ელემენტი ზმნისწინისეულია — ქართულიდან ნასესხებ და-, გა-, ჩა-, წა-, აგრეთვე -ლა-, -შა-, -მა- ნაწილაკებით გართულებულ ზმნისწინებში. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ხდება **ა** ხმოვნის რედუქცია. მაგ., **გილვონწკარანქ** < **გელა-ვ-ონწარანქ** „ვალაგებ, ვაწყობ რაღაცაზე“, **მიშვორღვა** < **მეშა-ვ-ორღვა** „ვყრი შიგნით“... თუმცა დასაშვებია **ა** ხმოვნის შენარჩუნებაც: **მითმავორღვა**< მე-თი+მა-ვ-ორღვა „ვყრი ქვემოდან შიგნით“...

რაც შეეხება **ვა** ნაწილაკს, როგორც ჩანს, მისი ლაბიალური ელემენტი **ვ** ხელსაყრელ პირობას ქმნის S_1-ის **ვ**-ს დაკარგვისათვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამგვარი ტენდენცია ძალიან სუსტია მეგრულში.

ამრიგად, ჩვენ არ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ S_1-ის ნიშანი **ვ-** „უკვალოდ იკარგება“ **ო** ხმოვნის წინ. შეიძლება ითქვას, რომ

პირის ნიშანი თითქმის ყოველთვის იხმარება. რაც შეეხება გამონაკლისს, ო-ვ-ო მიმდევრობისას /ვ-/ ალომორფის გვერდით დასაშვებია /უ-/ ალომორფი, ხოლო ვა- ნაწილაკის დართვისას /ვ-/-ს პარალელურად მოსალოდნელია /Ø-/ ალომორფი.

§2. პირველი სუბიექტური პირის ალომორფები ლაზურში

ლაზურში პირველი სუბიექტური პირის ნიშანი წარმოდგენილია შემდეგი ალომორფებით: **ვ-, ბ-, ფ-, პ-, მ-, Ø-, ფ-**. განვიხილოთ მათი დისტრიბუცია პოზიციების მიხედვით.

ხმოვნისწინა პოზიციაში ლაზურის ყველა კილოკავში ყოველთვის დასტურდება პირის ნიშანი, მიუხედავად ხმოვნის რაგვარობისა, განსხვავებით მეგრულისაგან, სადაც **უ** ხმოვნის წინ არ იხმარება პირის არც ერთი ალომორფი. ამავე დროს ალომორფთა განაწილება ლაზურში კილოკავური შერჩევითობით ხასიათდება. ათინურში ძირითადად **ვ-** პრეფიქსია გაბატონებული: **ვითნათ** (ჩიქ. II, 87,25) „წავიყვანოთ“, **ვოჩილარე** (ჩიქ. II, 97,7) „დავაქორწინებ“, **ვუწოლემთ** (ჩიქ. II, 89,25) „ვეტყვით, ვუწოდებთ“, **ვიგზალი** (ჩიქ. II, 103,23) „ვიმგზავრე“, „წავედი“, **ვოკაბინი** (ჩიქ. II, 108,10) „გავაქციე; გავაგდე“ და სხვა. აღსანიშნავია, რომ არნ. ჩიქობავას ათინურ ტექსტებში არის მუსა გულაბერ-ოღლისაგან ჩაწერილი მასალა, რომელიც გამოირჩევა **ბ-** ალომორფის ხმარებით ყველა პოზიციაში, მათ შორის ხმოვნისწინა პოზიციაშიც: **ბიტურთ** (ჩიქ. II, 109,22) „ვიტყვით“, **ბულურ** (ჩიქ. II, 110,4) „დავდივარ“ (თუმცა იქვე ხმარობს **ვულურ** ფორმასაც), **ბორ** (ჩიქ. II, 109, 5)„ვარ“, **ბიჩილარ** (ჩიქ. II, 111,4) „ცოლს ვირთავ“ და ა. შ.

ბ- ალომორფი მიჩნეულია ვიწურ-არქაბული კილოკავის ძირითად მახასიათებლად. როგორც არნ. ჩიქობავას, ასევე ს. ჟღენტის ვიწურ-არქაბულ ტექსტებში ხმოვნისწინა პოზიციაში მხოლოდ **ბ-** პრეფიქსი დასტურდება: **ბორტი** (ჩიქ. II, 25,8) „ვიყავი“, **ბოწკეტი**

(ჩიქ. II, 25,8) „ვხედავდი“, **ბიდა** (ჩიქ. II, 25,16) „წავიდე“, **ბოლოდი** (ყღ. 19,22) „გავუკეთე“, **ბიქომ** (ყღ. 18,2) „ვიზამ“, **ბოქაჩამ** (ყღ. 15,1) „დავიჭერ ხელში“, „ვქაჩავ“, **ბივატით** (ყღ. 16,32) „ვიყავით“ და სხვ. განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს გ. კარტოზიას ვიწურ-არქაბული მასალა. მართალია, **ბ-** პრეფიქსით გაფორმებული ზმნებიც გვხვდება, მაგრამ ფაქტობრივად ძირითადად **ვ-** ალომორფია წარმოდგენილი ხმოვნისწინა პოზიციაში: **ვოეთ-ქი** (კარტ. 118,25) „რომ ვართ“, **ვოჩქუმე** (კარტ. 121,7) „ვაგზავნი“, **ვუწვი-ქი** (კარტ. 121,25) „რომ ვუთხარი“, **ვულუ** (კარტ. 120,1) „მივდივარ“, **ვოწკეტი** (კარტ. 123,11) „ვხედავდი“, **ვიჩალიშა** (კარტ. 123,15) „ვიჩალიჩო“ (საქმე გავაკეთო), **ვისიმადი** (კარტ. 123,21) „ვისმენდი“ და ა. შ.

ხოფურ კილოკავში პირველი სუბიექტური პირი ხმოვნისწინა პოზიციაში ყოველთვის **ვ-** პრეფიქსით გამოიხატება. ამ თვალსაზრისით ყველა გამოქვეყნებული მასალის ავტორები ერთსულოვანი არიან. მაშასადამე, ხოფურსა და ათინურში ძირითადია **ვ-** ალომორფი, თუმცა უკანასკნელში მოსალოდნელია **ბ-** ალომორფიც. ჯერ კიდევ ნ. მარი აღნიშნავდა, რომ ვიწურ მეტყველებაში **ვ-** პრეფიქსი არ იხმარება და ის **ბ-** ნიშანმა გამოდევნაო [მარი, 1910, 44], ხოლო არნ. ჩიქობავამ ეს მოვლენა განაზოგადა ვიწურ-არქაბულზე [ჩიქობავა, 1938, 88], თუმცა გ. კარტოზიას მასალიდან გამოჩნდა, რომ ხმოვნისწინა პოზიციაში ვიწურ-არქაბულშიც ჩვეულებრივია **ვ-** ალომორფის გამოყენება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლაზურში ხმოვნის წინ პირის ნიშანი არ იკარგება (ერთადერთი მაგალითი შეგვხვდა, სადაც **ვ-** პრეფიქსი ფრჩხილებშია ჩასმული — ფადიშაის-თი მუ-თუ ვა-თი (ვ)უწვა! (ჩიქ. II, 100,29) „ხელმწიფესაც არც არაფერი ვუთხრა!“). თუ პირის ნიშნის წინ აღმოჩნდა ზმნისწინი ან ნაწილაკი, ხოფურში ბუნებრივია ნიშნის დაკარგვა, ანუ ინტერვოკალურ პოზიციაში Ø- ნულოვანი ალომორფია დასაშვები. ეს ფაქტი გაანალიზებულია არნ. ჩიქობავას მიერ: „ვ-ს დაკარგვის შემდეგ დარჩენილი ხმოვნები ასიმილაციას არ განიცდიან, სხვა შემთხვევაში

კი ამგვარ ხმოვანთა ასიმილაცია ნორმალური მოვლენაა ხოფურისათვის; შეიძლება ეს იმიტომ ხდებოდეს, რომ ყველა ზემოხსენებულ კომპლექსში ვ- სუბიექტური პრეფიქსია პირველი პირისა, და თუ ასიმილაცია მოხდებოდა, პირველისა და მეორე პირის ფორმა ერთმანეთს დაემსგავსებოდა; მაგალითად: **მოვულურ** „მოვდივარ“ **> მოულურ**; **მოულურ** „შენ მოდიხარ“ > **მულურ**; თუ პირველი პირის ფორმაში **ვ-ს** დაკარგვის შემდეგ ასიმილაციას ექნებოდა ადგილი, უნდა მიგვეღო **მულურ**, ე. ი. იგივე, რაც გვაქვს მეორე პირში... “ [ჩიქობავა 1936, 24]. ამ შემთხვევაში ზმნისწინს ეკისრება პირთა განმასხვავებლის ფუნქცია, რაც გვხვდება მეგრულშიც და ქართული ენის მთის დიალექტებში [უთურგაიძე 1976, 21-22]. აღსანიშნავია, რომ V—V პოზიციაში ვ- პრეფიქსის დაკარგვა ყოველთვის ხდება განურჩევლად ხმოვანთა რაგვარობისა, განსხვავებით მეგრულისგან, სადაც იგივე მოვლენა V-ვ-უ მიმდევრობისას დასტურდება. წარმოვადგენთ მაგალითებს:

ავუ > აუ: ანთეფე **გოწაული** დო... (კარტ. 43,29) „ესენი წავართვი და... “

ევუ > ეუ: მან თრანგიშა ოხვამუშენი **მეულუდა** (კარტ. 18,8) „მე ღმერთთან სალოცავად მივდივარო“; ამუს არ ხოჯი **მეუშქვა** (კარტ. 20,21) „ამასთან ერთი ხარი მივუშვა“; ჩქინ მენდრა გზაშა **მეულუთ** (კარტ. 127,28) „ჩვენ სხვა გზაზე მივდივართ“;

ოვუ > ოუ: კაია, სქანიშენითი დოპკითხუფდა, **დოუწუშედა** (კარტ. 8,14) „კარგიო, შენთვისაც გამოვკითხავო, ვეტყვიო“; ბაბა-სქანის თოლეფე მან აქ **დოუკარუფდა** (კარტ. 30,13) „მამაშენს თვალებს მე აქ მოვურჩენო“; მანდა ემუსდა **ქოდოუჯოხოფ** (კარტ. 150,23) „მეო იმასო დავუძახებო“;

ავი > აი: ადა კუის დოლოხეტუ დო **ეშაიყონით** (კარტ. 28,32) „ესო ჭაში (ორმოში) იჯდა და ამოვიყვანეთ“; ბეე-სქანითი **ეწაიქაჩადა** (კარტ. 33,8) „შენი შვილიც გამოვწიეო, ავიყვანეო“;

ევი > ეი: მა მუთხანი **შეინახამინონ** (კარტ. 120,21) „მე რაღაცას შევინახავ“;

ევა > ეა: აწი მან მუჭოში პა, ქერვანჯეფე **მეაშქვა** (კარტ. 51,8) „ახლა მე როგორ მოვიქცე, მექარავნეები მივატოვო“;

ევო > ეო: კაი, მა **მეოჭკაიფია** (კარტ. 56,36) „კარგი, მე მოვჭრიო“;

ოვო > ოო: მან **დოოკაიფ**, დოვოსაღეფ (კარტ. 27,16) „მე მოვარჩენ, გამოვაჯანმრთელებ“; მა ცას **გოწოობუდა** (კარტ. 33,29) „მე ცას ვარ ჩამოკიდებულიო“; მა ვიდა კურბეთიშა, ფაა **მოორგა** (კარტ. 50,14) „მე წავიდე საშოვარზე, ფული მოვიგო“.

ხოფურისაგან განსხვავებით, ვიწურ-არქაბულსა და ათინურში ინტერვოკალურ პოზიციაში სუბიექტი პირველი წარმოდგენილი იქნება ვ- და ბ- ალომორფებით იმავე შეფარდებით, როგორც ეს ითქვა ხმოვნისწინა პოზიციის შემთხვევაში: არქაბული — **მობუნჯღონი** (ყღ. 51,37),,მოვუგზავნე“, **მობულუ** (ყღ. 9,27) „მოვდივარ“, **ეშებილათ** (ყღ. 7,16) „ავიდეთ“, **დობონჭარაფი** (ყღ. 29,1) „დავაწერინე“, **ებუჭოფარე** (ყღ. 55,14) „ავუღო“ და სხვა; ათინური — **ჭოგოვობი** (ჩიქ. II, 105,34) „დავასხი“, **ჭოშკოვილამ** (ჩიქ. II, 105,37) „ამოვიტან“, **მენდევიღით** (ჩიქ. II, 106,4) „წავიღეთ“, **ჯევოთასარე** (ჩიქ. II, 106,8) „დავთესო“, **ქევუჭოფათ** (ჩიქ. II, 106,25) „ავუღოთ“ და ა. შ.

ბაგისმიერ თანხმოვანთა წინა პოზიციაში სუბიექტი პირველის გამოხატვა ხდება ნულოვანი Ø- მარკერით ან ბ- ალომორფით. მაგალითად: დობჭუმ დო **ფაღუმ** ე-დო ოხაჩქუ ზამანი აპრილი მოხთა-ის... “ (ჩიქ. II, 25,23) „დავწვავ და გავასუფთავებ და გათოხვნის დრო — აპრილი რომ მოვა... “ — **ფაღუმ** ზმნასთან პირის ნიშანი დაკარგულია, ასევეა **ბერგუმ** (ჩიქ, II, 25,16) „ვთოხნი“ ფორმა არნ. ჩიქობავას ტექსტებში, თუმცა იქვე შენიშნავს მკვლევარი: „შემხვედრია: **დო-ბ-ბერგი-ც**: არ კატი დობბერგი... ჟურ კატი დობბერგი „ერთხელ გავთოხნე, მეორედ გავთოხნე“: აქ დომინანტი **ბ** ნათლად ირჩეოდა“ [ჩიქობავა 1936, 89]. **ბ-** ალო-

მორფს **მ** ლაბიალის წინ ვხვდებით გ. კარტოზიას მასალაში: ოკუ-ლე ჩქვა **გობმკუცხი** (!) დო ჩქვა მუთუ ვა ბძირი (კარტ. 178,17) „მერე გავიღვიძე და სხვა ვერაფერი ვნახე“; ეშებულუტათში, ბაზი Ქერის მა ბიინეთᲥა დო ბიუვაფუთ-მა დო **ბმღორარე** (!) (კარტ. 178,6) „რომ ამოვდიოდეთ, რაღაც ადგილას ვიქნებითო და ვიწვე-ბით-მეთქი, ვიყვირებ“... როგორც ვხედავთ, მკვლევარს ორივეგან ძახილის ნიშანი დაუსვამს — თითქოს არ იყო მოსალოდნელი პი-რის ალომორფი ამ პოზიციაში, მით უფრო, რომ ორივე ფორმაში მორფემათა საზღვარზე წარმოიქმნება ლაზურისთვის არაბუნებრი-ვი თანხმოვანთმიმდევრობა **ბმკ, ბმღ**. საერთოდ, ლაზური ტექსტე-ბი არ იძლევა საკმაო მასალას ბაგისმიერი თანხმოვნით დაწყებუ-ლი ზმნური ფორმების შესამოწმებლად პირველ პირში, რაც და-მატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს საველე პირობებში. თუმცა ზო-გადი ტენდენცია ალბათ **Ø-** ალომორფის მაჩვენებელი იქნება. აღსანიშნავია, რომ ლაზური ამჯერადაც ხასიათდება სხვაობით მე-გრულთან შედარებით. ლაბიალური თანხმოვნების წინ მეგრულში **ვ-** პრეფიქსი იხმარება, თუმცა შეიძლება მეტათეზისიც, რის შე-დეგად სხვა ალომორფები დაჩნდება ფუძის შიგნით. მაგალითად: **ვ-მუშენქ > მუ-ფ-შენქ** „ვმუშაობ“, **ვ-ბარუნქ > ბა-ვ-რუნქ** „ვბა-რავ“, **ვ-პუტუნქ > პუ-პ-ტუნქ** „ვპუტავ“...

მეტათეზისი დამახასიათებელია აგრეთვე **ი-** პრეფიქსიან ზმნურ ფორმათათვის: **ვ-ი-რდუქ > ი-ვ-რდუქ > ი-ბ-რდუქ** „ვიზ-რდები“, **ვ-ი-თოლუნქ > ი-ვ-თოლუნქ > ი-ფ-თოლუნქ** „ვითლი“ და სხვა. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „პირის ნიშნის გადასმის დროს ზმნას ი- პრეფიქსის წინ კვლავ დაერთვის პირველი პირის ფორმანტი და ვიღებთ პირველი პირის ორმაგ ნიშანს: ი-ს წინ ვ-ს და მის მომდევნოდ — ბ-, ფ-, პ-, მ-ს: ვიგუ-რუანქ || იბგურუანქ || ვიბგურუანქ... ოდენ ვ პრეფიქსიანი ვარი-ანტი დამახასიათებელია სენაკური კილოკავისთვის, გადასმული პირის ნიშნები და ორმაგი აფიქსაცია — ზუგდიდურ-სამურზაყა-ნული კილოკავისთვის“ [ჯანჯღავა 2009, 282]. ამ უკანასკნელ მო-საზრებას ვერ გავიზიარებთ, კერძოდ, სამურზაყანულ მეტყველე-

ბაში ორმაგი აფიქსაცია ჩვენ ვერ დავადასტურეთ. როგორც ზემოთ ვნახეთ, ლაზურში პირველი სუბიექტური პირის ნიშნის მეტათეზისი არცერთ პოზიციაში არ ხდება.

როგორც ცნობილია, მეგრულსა და ლაზურში თანხმოვნის წინა პოზიციაში პირველი სუბიექტური პირის **ვ-** პრეფიქსი გადმოიცემა **ბ-, ფ-, პ-** ალომორფებით ჰომოგენურობის პრინციპის შესაბამისად [გუდავა, გამყრელიძე 2000, 167-171]. განვიხილოთ თითოეული მათგანი ლაზური მასალის მიხედვით:

ა) **-C მყღ.:** ამ პოზიციაში ძირითადია **ბ-** ალომორფი მაგ.: **ბძირი** (ყღ. 18,29) „ვნახე“, **ბღუაია** (კარტ. 163, 32) „მოვკვდებიო“, **ბღურუ(რ)** (ყღ. 14,6) „ვკვდები“, **ებზდიმ** (კარტ. 172,17) „ავიღებ (ავზიდავ)“, **ბზოპონ** (ყიფშ. 6,4) „ვლაპარაკობ“, **გოშაბდვია** (კარტ. 167,13) „დავდეო შუაში“, **ქოგჯებდგი** (ჩიქ. II, 105,31) „დავადგი“, **ბგორათ** (ყიფშ. 73,7) „ვეძებოთ“...

ბ- ალომორფი გამოვლინდება ფშვინვიერთა წინაც: **ქომობთი** (ყიფშ. 1. 30) „მოვედი“, **ბხაჩქათენ** (ყღ. 6,22) „გავთოხნოთ“, **ქოშებჩი** (ყღ. 52,2) „მივეცი“, **ქოდობსქიდით** (ყიფშ. 3,2) „დავრჩით“... ასევე მოსალოდნელია მკვეთრების წინაც: **ბჭკომარე** (ყღ. 39, 30) „ვჭამო“, **ებჭოფი** (ყღ. 43, 33) „ავიღე, ვიყიდე“, **ბკითხარე** (კარტ. 48, 30) „ვკითხო“.

ბ) **-C ფშ.:** ამ პოზიციაში დასტურდება **ფ-** ალომორფი. მაგ.: **მეფჩამტი** (კარტ. 170,33) „მივცემდი“, **ფჩვარეძა** (კარტ. 170,11) „შევინახოო“, **ელაფხერთძა** (კარტ. 177, 13) „(გვერდით) ვზივართო“, **ოფშვატი-ა** (ყიფშ. 4,7) „დავლიოთო“, **გამაფჩამ** (კარტ. 89,11) „ვყიდი“, **ფთხორარე** (ჩიქ. II, 103,32) „ვთხარო, ვხნა“, **ოფშკომით** (ჩიქ. II, 104,22) „შევჭამეთ“, **გოფთარე** (კარტ. 91,8) „წავიდე“, **ფცადი** (კარტ. 93,28) „შევხედე“, **ფსქიდუთ** (კარტ. 26,7) „ვცხოვრობთ“, „ვრჩებით“, **ფცხუნუმთ** (კარტ. 25,33) „ვსხლავთ“...

ფ- ალომორფი დაჩნდება მკვეთრებთანაც: **დოფტახათ** „დავტეხოთ“, **ქიეფჭოფი** (ჩიქ. 104,24) „ავიღე, ვიყიდე“...

გ) **-C მკ.:** ამ პოზიციაში, როგორც წესი, **პ-** ალომორფია გამოყენებული. მაგ.: **პკორეცხუმთ** (ჩიქ. II, 101,23)

„ვითვლით“, **დოპკვათი** (ჩიქ. II, 105,26) „დავჭერი“, **დოპკოდი** (კარტ. 24,6) „ავაგე“, **ქეპჰოფი** (ჩიქ. II, 104,6) „ავიღე“, **პჰოფარე** (კარტ. 95,28) „დავიჭირო“, **პჰარუმ** (უღ. 39,1) „ვწერ“, **დოპწოფხი** (ჩიქ. II, 101,24) „ავაშენე“, **პწათენ** (ჩიქ. II, 106,25) „ვკრიფოთ“, **დოპტახი** (ჩიქ. II, 105,8) „დავტეხე“, **პტკობუ** (კარტ. 165,20) „ვიმალები“...

არნ. ჩიქობავას ათინურ ტექსტებში გამოვლინდა **ვ-** ალომორფი თანხმოვნების წინ. მაგ.: **ვლურურთ** (ჩიქ. II, 132,31) „ვკვდებით“, **ქოდოვსქუდოთ** (ჩიქ. II, 133,7) „დავრჩით“, **მენდავთათ** (ჩიქ. II, 133,8) „წავიდეთ“, **ქომეკოვთა** (ჩიქ. II, 133,31) „მივიდე“... ეს უკანასკნელი ზმნური ფუძე **[რ]თ** „სვლა“ ყურადღებას იქცევს იმით, რომ მხოლოდ მასთან დასტურდება **ფ-** ალომორფი, რომელიც **ფ-** ალომორფის მონაცვლეა თურქულის გავლენით: **მოფთი** (ჩიქ. II, 103,19) „მოვედი“, **მეფთარე** (ჩიქ. II, 103,5) „მივიდე“, **მეშკაფთა** (ჩიქ. II, 134,13) „გავიდე, გავერიო“ და ა. შ. ამავე დროს ეს ერთადერთი ფუძეა, რომელთანაც დავადასტურეთ ყველა ალომორფი: **ქომობთი, გოფთარე, მენდავთათ, მოფთი**. ამ თვალსაზრისით საინტერესოა **ჰოფ** და **სქიდ** ფუძეებიც, რომლებთანაც ასევე (ზოგჯერ ერთსა და იმავე სტრიქონში) გვხვდება სხვადასხვა ალომორფი (იხ. ზემოთ).

ამრიგად, თანხმოვნისწინა პოზიციაში **ბ-** ალომორფი შეიძლება განზოგადდეს განურჩევლად თანხმოვნის რაგვარობისა. **ფ-** ალომორფი მოსალოდნელია მკვეთრებთანაც. ფაქტობრივად **ბ-** და **ფ-** ალომორფები მორფემათა ზღვარზე წარმოქმნიან ლაზურისთვის არაკანონიკურად მიჩნეულ ორწევრა და სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებს, თუმცა ეს არ უშლის ხელს ამ ფორმათა არსებობას. მსგავსი ვითარებაა მეგრულშიც, სადაც ყველა პოზიციაში შეიძლება განზოგადდეს **ბ-** და **ვ-** ალომორფი. ეს უკანასკნელი უფრო აქტიურია სენაკურ-მარტვილურ დიალექტში ისევე, როგორც ლაზურის ათინურ კილოკავში.

ლაზურის ერთ თავისებურებაზე ჯერ კიდევ ნ. მარი მიუთითებდა: **ნ** სონორით დაწყებული ფუძეები I პირში **ნ**-ს ჩაანაცვლე-

ბენ **მ** ბაგისმიერით (**ნკალ — გო-მკალუმ** „ვშლი“) [მარი 1910, 45]. არნ. ჩიქობავამ ამ **მ**-ს პირველი სუბიექტური პირის ნიშნის კვალიფიკაცია მისცა: „**გო-მ-წკუმ** „გავხსნი“: **გო-ნ-წკიმუ — ნ** იკარგება, სამაგიეროდ პირის ნიშნად ბაგისმიერი ნაზალი გვრჩება (**მ**)“ (ჩიქობავა, 1936, 88). ჩვენც ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და წარმოვადგენთ მასალას, რომელშიც ზმნური ფორმები მასდარის წარმოებისას **ნ** სონორს დაირთავენ:

ო-ნთხორ-უ: ფიდელუღი **მთხორარე** (ჩიქ. II, 106,8) „სათბური დავხნა“;

ო-ნდღვარ-უ: ხეთე **ქოკომდღვარი** ლეტა (ჩიქ. II, 104,4) „ხელით ავზილე ტალახი“;

ო-ნჭვარ-უ: ფიდელუღი დოჭითე **მჭვარე, მთხორარე** (ჩიქ. II, 106,9) „სათბური... გავწმინდო, დავხნა“;

ო-ნცონ-უ: ოკაჩხე **დომცონი** ლემშითე (ჩიქ. II, 105,9) „მერე დავჩხვლიტე ნემსით“;

ო-ნგარ-უ: მუჯო ვა **ომგაადა** (!) (კარტ. 132,20) „როგორ არ ვიტიროო“;

ო-ნ-თხორ-უ: მა ბოზო-სქანის ხე ვა **მემთხია** (კარტ. 159,10) „მე შენს ქალიშვილს ხელი არ ვახლეო“.

პირველი სუბიექტური პირის **ვ-** პრეფიქსის ალომორფები ლაზურში სქემატურად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

-V	**ვ-, ბ-**
V-V	**ვ-, ბ-, Ø-**
-C მჟღ.	**ბ-**
-Cფშ.	**ფ-, ბ-, ფ-, ვ-**
-C მკ.	**ბ-**
- ბ, ფ, ბ, მ	**Ø-, ბ-**
-ნ	**მ-**

ალომორფთა განაწილება ხმოვნისწინა პოზიციაში დიალექტების მიხედვით ხდება, ხოლო თანხმოვნისწინა პოზიციაში ალო-

მორფები ერთნაირი პრინციპით ნაწილდება ლაზურის ყველა კილოკავში.

§3. S3-ის სუფიქსთა ალომორფები მეგრულ-ლაზურში

ცნობილია, რომ მეგრულში S3-ის ნიშნები მორფოლოგიური პრინციპით ნაწილდება, თუმცა ისინი გვაძლევენ ფონოლოგიურად შეპირობებულ ალომორფებს, რაც კილოკავური განსხვავების მაჩვენებელიცაა [ყიფშიძე 1994]. კერძოდ, ზუგდიდურ-სამურზაყანოულ მეტყველებაში მორფოფონემატური ცვლილებების ტენდენცია უფრო ძლიერია, ვიდრე სენაკურში. ამას ადასტურებს S3-ის ნიშნებზე დაკვირვება როგორც გამოცემული ტექსტების, ასევე ცოცხალი მეტყველების მიხედვით [ეზუგბაია, 2003].

/-ს/ ალომორფი ყოველთვის გვაქვს კავშირებითის ფორმებში, რასაც კავშირებითი კილოს ა-ს მომდევნო პოზიცია განაპირობებს: **დოჭარუნდ-ა-ს** „დაწერდეს“, **ჭარ-ა-ს** „წეროს“, **ტიბუდ-ა-ს** „თბებოდეს“, **გოტიბ-ა-ს** „გათბეს“... /-ს/ ალომორფი დაჩნდება გარდამავალი ზმნის, ასევე სტატიკური ზმნების აწმყო-მყოფადშიც, თუმცა ძირითადად /-ც/ სუფიქსი გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ეს ალომორფები ერთსა და იმავე პოზიციაში იჩენენ თავს.

ა) **ფუძე + -ს ~ -ც** ჯას თოფური **გილგმაწენს** (ქხს, II, 324, 24) „ხიდან თაფლი წვეთავს“; მუ **გააჩერენს** მასუმას (ქხს, II, 328, 24) „რა შეაჩერებს მესამეს“; ჩეთგ **დიცხურცხინუანც** (სამ. 85, 12) „თეთრად მცხუნვარებს“, დუც(უ) თიშენი **გოულუანც** (სამ. 85, 16) „თავს იმიტომ ანაცვალებს“...

ბ) **ფუძე + -ს ~ -ც + უჭ** მავრცობი ირი დღა დო ირი სერი ვა **ლურცუ** (სამ. 11, 5-17) „ყოველი დღე და ყოველი ღამე არ სძინავს“... მუნერო **მეურსი** (ქხს, II, 302, 27) „როგორ მიდის“; გვალო **მიგოდინუანცი** (სამ. 38, 19) „მთლად დაგღუპავს“; **ქგმონწყუნსგ** თე ტყასგ (ყიფ. 26, 1) „მოამტვრევს ამ ტყეს“; წყარც **გეცენცგ** ჩქიმი დარდი (სამ. 28, 19-16) „წყალს აცვივა ჩემი დარდი“...

გ) **ფუძე+ -ს/-ც/ + გ / უ+ნი** კავშირი მით **ვაშრომენსგნ**, იშ ოჭკომალი ვამიღგ (ჭიფ. 316, 1) „ვინც არ შრომობს, იმის საჭმელი არ მაქვს“; მუჭო **მიყვიყვინანცგნი** (სამ. 30, 15) „როგორ გაყუჩებული საცოდავად მიყურებს“; მუმული ართის **ქოცოენსუნი** (ქხს, II, 328, 11) „მამალი ერთს რომ იყივლებს“... ათეშენი რე ბოშკოჩი ჭკუას **გინოსხაპუნცუნი** (სამ. 29, 19-16) „ამიტომაა ჭაბუკი ჭკუიდან რომ გადადის“.

დ) **ფუძე + -ს / ც + ია/ხე** ნაწილაკი სოფელს **ცხოვრენსია** მაკითხე (ქხს, II, 328. 1) „სოფელში ცხოვრობსო მკითხავი“; ირკოს **ლურსია** (ქხს, II, 328, 13) „ყველას სძინავსო“; მუ **ოსქილიდუანცია** ნდემიში მორდილს (ყიფშ. 36, 23) „რა მოარჩენსო დევის გაზრდილს“...

სენაკურში ყველა ზემოთ წარმოდგენილ პოზიციაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გ მავრცობი მოსდევს პირის ნიშანს, დასტურდება მხოლოდ /-ს/ ალომორფი. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ს → ც დამახასიათებელია ზუგდიდურ-სამურზაყანულისთვის სახელებშიც. მიცემითი ბრუნვის ნიშანი წარმოდგენილია /-ს/ და /-ც/ ალომორფებით [ყიფშიძე 1994, 75-76; ჯანჯღავა 1999,]. მეგრულში გარდამავალი ზმნის აწმყო-მყოფადის ფუძეები **-ან, -ენ, -უნ, -გნ** თემატურ ნიშნებს დაირთავს და, შესაბამისად, III პირში ფუძის ბოლოს გვაქვს **ნს** თანხმოვანთმიმდევრობა, რაც ბუნებრივია მეგრულისთვის. აღსანიშნავია, რომ გარდაუვალი ზმნების იმ ფუძეებთან, რომლებიც ბოლოვდება **რ** სონორზე, გვხვდება /-ც/ ალომორფი /-ს/ სუფიქსის პარალელურად. მაგალითად, **ჭიმუურცუ** „მიდის“, **ლურცუ** „სძინავს“, **ვამჯორც** „არ მიწყრება“, **გიცორცგ** „გიყვარს“, **წაურცუნი** „რომ წახდება“... ვფიქრობთ, რომ ნ და რ სონანტთა მომდევნოდ /-ც/ ალომორფის გაჩენა ის ფონოლოგიური პროცესია, რომელიც სუსტადაა გამოხატული ი. ყიფშიძის ტექსტებში, ის უფრო იკვეთება ტ. გუდავას მიერ გამოქვეყნებულ მეგრული პოეზიის ნიმუშებში და აშკარად დომინირებს კ. სამუშიას მიერ ჩაწერილ მასალაში. ბოლო ასწლეულის მანძილზე, როგორც ჩანს, /-ც/ ალომორფის ხმარების სიხ-

შირე იზრდება ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში. საერთოდ, ეს უკანასკნელი გამოირჩევა მორფემათა ზღვარზე მიმდინარე ფონეტიკური პროცესებით, რაც თვალშისაცემია S3-ის /-ც/ სუფიქსის შემთხვევაშიც.

ლაზურშიც -ს სუფიქსი გამოიყენება გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების აწმყოსა და კავშირებითში. მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ კილოკავური სხვაობა აქაც იჩენს თავს. ათინურში ს > ჲ გარდაქმნა ხდება აწმყოს ფორმებში. კერძოდ, თემატური ნიშნის -ამ, -ემ, -უმ, -ომ მომდევნოდ წარმოიქმნება -მს თანხმოვანთმიმდევრობა, რაც არ წარმოადგენს დაბრკოლებას -ს მორფემის ფუნქციონირებისათვის. თუმცა, როგორც ჩანს, ხდება ამ კომპლექსის დაშლა, ანუ იკარგება მ თანხმოვანი ელემენტი და თემატური ნიშნის ხმოვნის გვერდით აღმოჩნდება პირის ნიშანი, რომლის იოტიზაცია ხდება. მაგალითები:

ცხენი **ხარხინამს** || **ხარხინაჲ** „ცხენი ხვიხვინებს“, ფუჯი **მღორაჲ** (|| **მღორამს**) „ფური ბღავის“, შურონი **პეტელაჲ** (|| **პეტელამს**) „თხა პეტელაობს“, ლაჩი **ლალოჲ** (|| **ლალომს**) „ლეკვი ყეფს“, კატუ **კრიაჲ** (|| **კრიამს**) „კატა კივის“ (ჩიქ. II, 114-26-29).

არნ. ჩიქობავას ფრჩხილებში მოუთავსებია პარალელური ფორმები, თუმცა სხვა შემთხვევაში ამგვარ პარალელებს არ იძლევა: ქორმე მაქვალი **დოსქუჲ** (ჩიქ. II, 115-2) კვერცხს დებს“, ჰუჲ მჭიმა **მჭიჲ** (მჭიჲ-თი ითქვენ, მჭიმს-თი ითქვენ) (ჩიქ. II, 115-3-4) „ასე („წვიმა“) წვიმს (მჭიჲ-იც ითქმება და მჭიმს-იც ითქმის)... ჰიმუ დიშქა **კვათუჲ** (ჩიქ. 115, 11) „ის შეშას ჩეხს“, ოხორჯა ბერე **ოწეჲ** (ჩიქ. II, 115-20) „რძალი ბავშვს არწევს“... ჩილი მუში **ობგაჲ** (ჩიქ. II, 116-22) „მისი ცოლი ტირის“...

აღსანიშნავია, რომ -ჲ ალომორფი შეიძლება დაჩნდეს კავშირებითის ფორმებში, სადაც -ს მორფემა ყოველთვის ერთვის მწკრივის ნიშანს — ა ხმოვანს, ხოლო ხმოვნის მომდევნოდ, ანუ აუსლაუტის პოზიციაში ხშირად წარმოიქმნება დიფთონგები. როგორც ნ. ქუთელია შენიშნავს, „აუსლაუტის იოტიზაციის ტენდენცია განსაკუთრებით იჩენს თავს ათინურ კილოკავში და უმეტე-

სად ზმნებში ხორციელდება“ [ქუთელია 2005, 26-27]. კავშირებითის ფორმებია: ჰუჩუმეთიშა **მენდოონაგ**! (ჩიქ. II, 117, 9) „უკუნეთში წაიყვანოს!“ გური ვა **მოგალაგ-ნა**, გვერდი მეგშარე (ჩიქ. 11, 126, 10) „გული რომ არ მოგივიდეს, ნახევარს მოგცემ“... მრავლობითის **-ეს** სუფიქსის ალომორფებზე მსჯელობისას აღვნიშნეთ კიდეც ათინურისა და კახურისათვის საერთო მოვლენა **ს** ბგერის იოტიზაციისა, მათ შორის ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებშიც. საერთოდაც, ათინური კილოს თავისებურებები აღძრავს ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებთან შედარებითი მორფონოლოგიური ანალიზის საკითხებს.

აღმოჩნდა, რომ კავშირებითის ფორმებში */-ს/* და */-გ/* ალომორფების გვერდით */-Ø/* ნულოვანი მარკერიც მოსალოდნელია -შკულე ნაწილაკის დართვისას. მრავლობითის -ეს ნიშნის ანალიზისას არაერთი შემთხვევა დავაფიქსირეთ -ში, -შკულე ნაწილაკების წინ ს ელემენტის დაკარგვისა. ანალოგიური პროცესი ხდება S_3-ის სუფიქსის შემთხვევაში, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყოველთვის იკარგება. მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთ ამონარიდს, სადაც ერთდროულად იხმარება და იკარგება კიდეც S_3- პირის -ს ნიშანი:

ნოკაჩხულე **გეგჩა-შ-კულე** ნოცინცხალე დიბღასენ... მახვა **მესქურას-შ-კულე**, ნოშქერი დივენ. მახვა **დიჭკა-შ-კულე** — ნომჩქა. ნომჩქა **დიბღა-შ-კულე**, ტუტა დივენ (ჩიქ. II, 73, 25-27). „ფიჩხები რომ დაინთოს შემდეგ ნაკვერცხალი გაჩნდეს. ნაკვერცხალი რომ ჩაქრეს, შემდეგ ნახშირად იქცეს. ნამწვი რომ დაიფერფლება — შემდეგ ნაცარი. ნაცარი რომ დაიფშვნას — ნაცარტუტად იქცეს“.

ამდენად, ათინურში S_3-ის ს სუფიქსის ალომორფებია: */-ს/*, */-გ/*, */-Ø/*.

მეგრულში მესამე პირის ფორმებში, ი. ყიფშიძის ტექსტების მიხედვით, */-გ/* ალომორფის ხმარების სიხშირე თითქმის 3-ჯერ აღემატება */-უ/*-ს სიხშირეს. გ. როგავამ აღნიშნა, რომ მეგრულში უ → გ მონაცვლეობა დამახასიათებელია ღია ბოლო მარცვალში

როგორც სახელებში, ასევე ზმნებში: **კგდგ < კიდუ, დოჭარგ < დოჭარუ**... ამასთანავე მიუთითა, რომ ზმნის III სუბიექტური პირის ნიშანი -უ „ე || ე̄ და ი̄ აორისტისეული სუფიქსის მქონე ზმნებთან არ გადადის გ-ში არალაბიალური თანხმოვნების მეზობლადაც, რამდენადაც -უ პირის ნიშანთან შერწყმული ჩანს ზმნური თემატური ნიშანი -ევ. მაგალითად, ოგურ-უ < ო-გურ-უ-უ < ო-გურ-ო-უ < *ო-გურ-ევ-უ“ [როგავა 1962]. ამგვარი შეზღუდვა უ → გ პროცესისა, მართლაც, ბუნებრივი ჩანს იმ ფორმებში, სადაც დასტურდება პოზიციურად გრძელი **უ**. მაგალითად: ათე ამბე ირიფელი **ქუუწუუ** ღორონცგ (ყიფ. 290, 18) „ეს ამბავი ყველაფერი უთხრა ღმერთს“; **თქუუ** მაჟირაქ (ყიფ. 294, 16) „თქვა მეორემ“; **იცუუ** ხარებაქ (ყიფ. 299, 14) „იქნა მხიარულება“; კეტი **ქალეებიჯუუ** (ყიფ. 305, 26) „ჯოხი მოიმარჯვა იღლიაში“; ქოჩორაქ ართი **ქადიისოფუუ** დო ჰყორიცალო შური **გოტუუ** (ყიფ. 306, 32-33) „ქოჩორამ ერთი გაიბრძოლა და მწყერივით სული განუტევა“...

ჩვენი დაკვირვებით, თანამედროვე ეტაპზე ზუგდიდურ-სამურზაყანოულში */-უ/* და */-გ/* ალომორფთა გვერდით რელევანტურია */Ø/* ალომორფიც. ამას მხარს უჭერს ტექსტებიდან მოძიებული მასალაც და ჩვენ მიერ ჩაწერილი სამურზაყანული მეტყველების ნიმუშები. ქვემოთ წარმოვადგენთ უწყვეტელი და წყვეტილი მწკრივის ფორმებით როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი ზმნების მაგალითებს:

უწყვეტელი — მუჰომი უბედურებას **გინმიღანდ** სამარგალო (სამ. 102, 431) „როგორი უბედურება გადაჰქონდა სამეგრელოს“; სქვერეფი დუცუ **ინწყუნდ** (სამ. 116, 9) „შვლები თავს ჰყოფდა [წყალში]“; ღუმანინჯი ზღვას აშარდ გვალო ბრელი ხვამარდეფი! (სამ. 97, 216) „წუხელ ზღვაში იდგა ძალიან ბევრი ხომალდი“; ვადახუნუუ, მითი გერდ (სამ. 99, 292) „არ დასვა, ვინც იდგა“; თურქი აბრაგი მუნოხედ (სამ. 102, 433) „თურქი-ავაზაკი აჯდა თავზე“; გოჭყორდესგნი მიჩქდ... (სამ. 119, 3) „მეგონა გაწყდნენ...“

წყვეტილი — თე დროს ჰიშკარც **ქვმადგრთ** ცხენამ კათაქ გვალო ბრელქ (სამ. 95, 153) „ამ დროს ჰიშკარს მოადგა ძალიან ბევრი ცხენოსანი“; აღმასკომქ თი კრებასგ **გაგგნძორ** საჩიარი (სამ. 90,65-71) „აღმასკომმა იმ კრებაზე დააგრძელა საჩივარი“; უკული **მიპეჯ** ღუდეშა დო... (სამ. 94, 95-96) „მერე მიიწვია სახლში და... “ **კითხ** — სო რე თი კათეფი (სამ. 98, 267) „ჰკითხა — სად არის ის ხალხი“; მარღანიაქ **ქეწაზად** (სამ. 95, 161) „მარღანია მიეგება“; **უღალატ** მერჰულექ (სამ. 94, 113) „უღალატა მერჰულემ“; დიდხანც **ქასქედ** მეხუნდექ (სამ. 95, 160) „დიდხანს შერჩა მეხუნდე“; **ორულ** თე ვეზირქით (ქხს, II, 328, 22) „გაიქცა ეს ვეზირიც“; თაში **დემარცხ** ომარ-ფაშაქ (სამ. 103, 473) „ასე დამარცხდა ომარ-ფაშა“...

შეიძლება ითქვას, რომ /Ø/ ალომორფი დაჩნდება იმ ფორმებთან, სადაც /-უ/-ს თავისუფლად ენაცვლება /-გ/. ასეთი კი არის **ი** სუფიქსიანი წყვეტილი და უწყვეტელი. ცნობილია, რომ მეგრულში S_2-ის ნიშანი /Ø/ ნულოვანი ალომორფითაა წარმოდგენილი, ამიტომ ჩნდება კითხვა, ხომ არ ხდება S_2 და S_3-ის ფორმათა დამთხვევა? ფორმათა გარჩევა შესაძლებელია, რადგანაც II პირში ყოველთვის იქნება მწკრივის ნიშანი **ი/გ**, განსხვავებით III პირისაგან. პარადიგმა ასეთ სახეს მიიღებს:

უწყვეტელი:	ბ-ჭარუნ-დ-ი	„ვწერდი“
	Ø-ჭარუნ-დ-ი	„წერდი“
	ჭარუნ-დ-უ / ჭარუნ-დ-გ / ჭარუნ-დ-Ø	„წერდა“
წყვეტილი:	დო-ბ-ჭარ-ი	„დავწერე“
	დო-Ø-ჭარ-ი	„დაწერა“
	დო-ჭარ-უ / დო-ჭარ-გ / დო-ჭარ-Ø	„დაწერ

ზუგდიდურ-სამურზაყანოულში S_3-ის /უ/ სუფიქსის /გ/-ში გადასვლა, ხოლო შემდეგ დაკარგვა გამოძახილია იმ ტენდენციისა, რაც დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებშიც პირის ნიშანი /ა/ პაუზის წინა პოზიციაში, როგორც წესი, იკარგება: ჰქონდ-ა → ჰქონდ, დაიშალ-ა → დაიშალ... [ჯორბენაძე, 1998, 636].

ლაზურში -უ სუფიქსი ყოველთვის დასტურდება იმავე მწკრივებში, ყველა ტიპის ზმნაში. რამე გამონაკლისი ამ ეტაპზე ვერ გამოვავლინეთ.

მეგრულის ორივე კილოკავის ნორმად იქცა S3-ის /-ნ/ სუფიქსის დაკარგვა. ძირითადად ნულოვანი ალომორფითაა მარკირებული ვნებითი გვარის ზმნები III პირში: **ორე**-Ø „არის“, **ხე**-Ø „ზის“, **ტიბუ**-Ø „თბება“... /-ნ/ ალომორფი თავს იჩენს ინტერვოკალურ პოზიციაში — სხვათა სიტყვის **-ია** ან კითხვითი ნაწილაკის **-ო**-ს დართვისას: **ორე-ნ-ია** „არისო“, **ორე-ნ-ო** „არის?“ **ტიბუ-ნ-ია** „თბებაო“, **ტიბუ-ნ-ო** „თბება?“ შევნიშნავთ, რომ ე. წ. ინვერსიულ ზმნებში /-ნ/ სუფიქსთან ერთად შეიძლება დაიკარგოს ვნებითის -უ მაწარმოებელი. მაგალითად, **ოსაჭირ** (სამ. 99, 317) შდრ.: ოსაჭირ-უ-ნ-ო „სჭირდება“.

ლაზურში, მეგრულისგან განსხვავებით, **-ნ** სუფიქსი ყოველთვის გამოიყენება ვნებითი გვარის, პოტენციალის აწმყოს ფორმებში. არანაირი შეზღუდვა არ შეიმჩნევა. შეიძლება ითქვას, რომ **ნ** სუფიქსი დღემდე სტაბილურია ლაზურში, რასაც ვერ ვიტყვით მეგრულზე.

ამრიგად, მეგრულში, ზუგდიდურ-სამურზაყანულის ვითარების გათვალისწინებით, S3-ის სუფიქსები მორფოფონემატური გარდაქმნების შედეგად წარმოდგენილია შემდეგი ალომორფებით:

{ს} /-ს/, /-ც/

{უ} /-უ/, /-გ/, /-Ø/

{ნ} /-ნ/, /-Ø/

რაც შეეხება ლაზურს, ათინურის მონაცემების გათვალისწინებით ალომორფები ასე განაწილდება:

{ს} /-ს/, /-ე/, /-Ø/, {უ}, {ნ}.

II თავი

ობიექტურ პირთა ნიშნები მეგრულ-ლაზურში

მეგრულ-ლაზურში ობიექტურ პირთა ნიშნები ძირითადად წარმოდგენილია **მ-** და **გ-** პრეფიქსებით I-II პირში, ხოლო III პირი არამარკირებულია. მეგრულში ეს პრეფიქსები მორფონოლოგიური გარდაქმნების შედეგად გვაძლევს ალომორფებს, რომელთა პოზიციური განაწილება გამოწვლილვით არის შესწავლილი სპეციალურ ლიტერატურაში [გუდავა, გამყრელიძე 1981]. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ლაზურზე. მიჩნეულია, რომ ლაზური ძირითადად მისდევს მეგრულს, თუმცა სხვაობა მაინც თვალში საცემია — ობიექტურ პირთა ნიშნები თითქმის „არ ემორჩილება“ მორფონოლოგიურ კანონზომიერებებს.

როგორც მასალიდან ჩანს, ლაზურში **მ-** უცვლელადაა წარმოდგენილი როგორც ხმოვნისწინა, ასევე თანხმოვნისწინა პოზიციაში. მაგალითად:

-V: **მიბალუნან** „გვეყოფა“, **მემოკვათანოე** „მომკვეთონ“, **ქოდომოგურიი** „მასწავლე“.

-$C^{მუ}$: **მჯოხონს** „მეძახის, მქვია“, **დომბახეს** „მცემეს“.

-$C^{ფშ}$: **მომჩით** „მომეცით“, **მჩუმეაა**, „დამიფარეო, დამმალეო“.

-$C^{მკ}$: **ომჭოფეს** „დამიჭირეს, ამიყვანეს“, **მკითხუმ** „მეკითხები“.

მ- პრეფიქსის პოზიციები მყარია და ამ მხრივ ლაზურის კილოკავური მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა.

მეგრულში **მ-** თანხმოვნისწინა პოზიციაში აუცილებლად გვაძლევს ალომორფებს, რომელთა რაგვარობა ფუძისეული თანხმოვნის რაგვარობაზეა დამოკიდებული, შესაბამისად გვაქვს [მ-]: */მ-/*, */ბ-/*, */ფ-/*, */პ-/*.

გ- პრეფიქსიც ძირთადად უცვლელადაა წარმოდგენილი ლაზურის ყველა კილოკავში. ის გვაქვს ხმოვნისწინა, განსაკუთრებით, ინტერვოკალურ პოზიციაში მაშინაც, როცა მეგრულში **V-გ-ი** მიმდევრობისას გ- პრეფიქსი იკარგება: მეგ. **მო-ოღუ** < **მო-გ-ოღუ**

„მოგაქვს“, შდრ. ლაზ. **გოშო-გ-ოღაე** „ამოგიტან“. ამ მოვლენას მეგრულში ასეთი ახსნა აქვს: „V-გ-ი პოზიციაში O_2-ის ნიშნის გ-ს გადასვლა Ø-ში ქმნის ხმოვანთმიმდევრობებს, რომლებიც უნდა გარდაქმნილიყო მეგრულში მოქმედი ხმოვანთკონტრაქციის წესების მიხედვით. ამ შემთხვევაში ამგვარ გარდაქმნებს არა აქვს ადგილი და ხმოვანთმიმდევრობა შენარჩუნებულია პირვანდელი სახით, რამდენადაც ხმოვანთა შორის ასეთ ფორმებში ივარაუდება პირის ნულოვანი ნიშანი, რომლის პარალელურად ყოველთვის დასტურდება იგივე პირის ნიშანი -გ-ს სახით. ამგვარად, არაკონტრაპირებული ხმოვანთმიმდევრობა ამ ფორმებში ერთგვარი სიგნალია ნიშნის ნულოვანი სახით ფუნქციონირებისა: შდრ. ვა-გ-იღუ → ვაიღუ (ე. ი. ვა-Ø-იღუ) „არა აქვს“, მაგრამ ვა იღუ → ვეღუ < ვა-იღუ „არ წაიღო“ [გუდავა, გამყრელიძე 2000, 176].

ლაზურში თანხმოვნისწინა პოზიციაშიც ძირითადი ნიშანია **გ-**, განსხვავებით მეგრულისგან, სადაც **რ** ალომორფი ენაცვლება [გუდავა, გამყრელიძე, 2000]:

-$C^{მე.}$: **გძირათ** „გნახოთ“, **დოგგორა** „მოგიებნო“, **გჯოხონს** „გეძახის, გქვია“.

-$C^{შვ.}$: **მეგჩარე** „მოგცე“, **გცადარე**, „შეგხედო, შეგაფასო“

-$C^{მკ.}$: **გჭკომათ** „შეგჭამოთ“, **ქეგჭოფუ** „დაგიჭირა, აგიყვანა“, **მოგწონანი** „მოგწონთ“.

ამავე დროს შეინიშნება ტენდენცია მორფონოლოგიური გარდაქმნებისა ფშვინვიერ და მკვეთრ თანხმოვანთა წინა პოზიციაში. არნ. ჩიქობავა მიუთითებდა მხოლოდ ერთ ზმნურ ფუძეზე: მე-ჭ-ჩა < მე-გ-ჩა „მოგცე“ [ჩიქობავა 1936, 92]. ამას ყურადღება მიაქცია გ. კარტოზიამ მის მიერ მოპოვებულ მასალაშიც [კარტოზია, 2005, 49-55], თუმცა ს. ჟღენტის არქაბულ ტექსტებშიც თვალშისაცემია მსგავსი მოვლენა.

ჩვენი დაკვირვებით, **გ**-ს ალომორფები ძირითადად თავს იჩენს არქაბულ მეტყველებაში, იშვიათად — ხოფურში, თითქმის არა — ათინურში.

/ჭ-/ ალომორფი, პირველ რიგში, ფშვინვიერ თანხმოვნებთან

დასტურდება. მაგალითად: მა სი **ქომექცადი**: ფორჩა გამაქთერი დოლოგოქუნს (ჟღ. 28, 17) „მე შენ დაგინახე: პერანგი „გამოცვლილი“ გაცვია“; სქანი მოხთიმაფაშა ჩქინ აქ **ქჩუმეთ** (კარტ. 61, 6) „შენს მოსვლამდე ჩვენ აქ დაგეწიეთ („დაგასწარით“); მაქვალი გეგიტაღანაზ-და დო, ხურ'ა დოგიბონა-ში-ა, მაქვალი **ქოქჩაზ-და** (ჟღ. 60, 30) „კვერცხი მოგიტანოსო, ხელი დაგბანოსო და კვერცხი გაჭამოსო“; სი ორდო მოხთი-ნა, სი მჩვი, მა ორდო მოფთი-ნა, მა **ქჩვარე** (ჟღ. 87, 6) „შენ თუ მოხვალ ადრე, მე შემინახე, მე თუ მოვალ ადრე, მე შეგინახავ“; ნანა-სქანიქ გდაი მუ **ქჩაპტუდა**? (კარტ. 58, 31) „დედაშენმა რა საჭმელი გაჭამათო“; მან ხოჟ **გექჩინადვეეტი**, ნეკნა მითის ვა გუნწკამა... ნეკნა მოთ გონწკი? (კარტ. 45, 36) „მე რომ გიბარებდი, კარი არავის გაუღოო, რატომ გააღე?“ **ქშუნსი**, ეჩ წანაშ წოხლე ემრი მეჩი-ქი (კარტ. 49, 28) „გახსოვს, ოცი წლის წინ რომ მიეცი“...

შეგვხვდა ერთი ფორმა, რომელშიც /ქ-/ მეტათეზისის შედეგად არის მიღებული: **კი-ქ-თხათენ** < **გ-კითხათენ** (ჟღ. 39, 1) „გკითხოთ“.

მოულოდნელი იყო /ქ-/ ალომორფის გაჩენა მკვეთრი თანხმოვნის წინ: **მე-ქ-ჭიშასში** (ჟღ. 38, 5) „რომ დაგეწიოს“, **ე-ქ-ჭოფუმს** (ჟღ. 22, 2) „აგიყვანს, დაგიჭერს“.

/კ-/ ალომორფი წარმოდგენილია მკვეთრების წინ: სი კილანენ-და, სი **კწამანენ-და** (კარტ. 99, 16) „შენ მოგკლავენო, შენ გაწამებენო“; სი მითიქ ვა **დეკჭოფუ** (კარტ. 214, 17) „შენ ვერვინ ვერ აგწია, აგიყვანა“; იგზალია, მასუმა მულუნ, **ოკჭკომასენდა** (კარტ. 165, 29) წადიო, თორემ მესამე რომ მოვა, შეგჭამსო“; კუი გინთხორეს ნეკნას თუდელე, **დოლოკტკოჩანოე** დო გოგონდინანოე“ (კარტ. 156, 1) „ორმო გაგითხარეს კარებს ქვეშ, რომ გესროლონ და გაგაქრონ“; მან სი ფადიშაი **დოკწოფხია** (კარტ. 73, 10) „მე შენ ხელმწიფედ გაქციეო „გაგხადე“; სინ მუ გაღოდუ... ხე-კუჩხე ვარ **კწკუფს** (კარტ. 74, 23-24) „შენ რა დაგემართა, ხელ-ფეხს რომ ვერ შლი „ხსნი“...

საინტერესოა, რომ **უ** თანხმოვნის წინა პოზიციაში ხდება არა

მარტო ობიექტის ნიშნის გამქვეთრება, არამედ ყ-ს ასიმილაცია და შემდეგ იდენტური თანხმოვნების შერწყმა:

გ- + ყ > გყ || კყ გყოროფ (ჩიქ. II, 146, 8), კ-ყოოფთ (კარტ. 16, 28) „გყვაროობ(თ)“

გყ > კყ > კკ || კ: კ-კოროომ (კარტ. 259, 24) „გყვაროობ“,
კ-ოროპტი (იქვე) „გყვაროობდი“
დო-კ-კილომთდა (კარტ. 171, 19) „დაგხოცავთო“
კ-ილითდა (ჩიქ. II, 178, 15) „მოგკალითო“

შეიძლება ითქვას, რომ {გ-} მორფემა ლაზურში გვაძლევს /ქ-/ და /კ-/ ალომორფებსაც, რომლებიც მეგრულშიც შეინიშნება, თუმცა სხვაობა მაინც არის: ამ უკანასკნელში -rC მიმდევრობის წინ ხდება ამგვარი გარდაქმნები, მაგ., გ-რთუნს || ქ-რთუნს „გყოფს, გადაგხურავს“, გ-რჭიპუნს || კ-რჭიპუნს „გჭიმავს, გწელავს“.

„როდესაც ზმნის ფუძის თავკიდურ რ-ს მოსდევს თანხმოვანი (ან თანხმოვანთა კომპლექსი), მაშინ გ- მორფემა მჟღერობა-სიყრუე-სიმკვეთრის მხრივ შეიძლება შეეგუოს ფუძისეული თავკიდურა რ-ს მომდევნო თანხმოვანს (ასიმილაციის გზით), ე. ი. გ-ს ნაცვლად ჰომოგენურობის პრინციპის დაცვით შეიძლება გვქონდეს ქ და კ“ [გუდავა გამყრელიძე 2000, 175 [1981]].

ამრიგად, მორფემათა ზღვარზე განხორციელებული ცვლილებების მიხედვით არსებითი სხვაობა მეგრულსა და ლაზურს შორის rC თანხმოვანთმიმდევრობაა, რაც ტ. გუდავას აზრით, მეგრული ინოვაციაა, ხოლო ლაზურში ამოსავალი ვითარება დაცულია. თავისთავად, ეს ინოვაცია აიხსნება არაკანონიკური კომპლექსის კანონიკური კომპლექსით შეცვლით [იქვე 2000, 176 [1981]].

სქემატურად ობიექტური პირის ნიშნები და მათი ალომორფები შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

O_1-ის ალომორფთა ტაბულა:

პოზიცია / პრეფიქსი	-V	V-V	-C^{ძგღ}	-C^{შშჰ}	-C^{ძკჯ}	-C^{ხაარ}
მეგრული	მ-	მ-	მ-	ბ-	ფ-	პ-	მ-
ლაზური	მ-	მ-	მ-	მ-	მ-	მ-	მ-

O_2-ის ალომორფთა ტაბულა:

პოზიცია / პრეფიქსი	-V	V-V	-C^{ჰღ}	-C^{ფშ}	-C^{ქფ}	-უ
მეგრ.	გ-	გ-	გ-||-Ø-	რ(გ-||-Ø-)	რ-(ჭ-)	რ-(კ-)	რ-
ლაზ.	გ-	გ-	გ-	გ-	გ-||-ჭ-	გ-||კ-||ქ-	კ-

სუბიექტური პირის ნიშნისგან განსხვავებით, ობიექტური პირის ნიშნები ლაზურში უფრო მდგრადია და ნაკლებად ექვემდებარება მორფემათა ზღარზე მოსალოდნელ ფონეტიკურ გარდაქმნებს. თუმცა ცვლილებათა ტენდენცია ორივეგან შეპირობებულია მეგრულ-ლაზურის ფონოტაქტიკის წესებით, რომლებიც ზანურის წიაღშია წარმოქმნილი. ამ ცვლილებათა შედეგი უმეტესწილად ფონოლოგიზებულია [ქუთელია 2005, 332], რაც გვაძლევს საფუძველს ვისაუბროთ პირის მორფემათა ალომორფებზე.

რაც შეეხება O_3 პირის მარკერებს, სინქრონიულ დონეზე ის Ø ნულოვანი ნიშნითაა წარმოდგენილი. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, მეგრულ-ლაზურშიც მოსალოდნელი იყო იმავე ტიპის პრეფიქსაცია, როგორც ქართულშია (განსაკუთრებით ძველ ქართულსა და დიალექტებში [ჩიქობავა 1936, 92-93]. თუმცა აქაც თავს იჩენს ლოგიკური დიქოტომია: O_1 O_2 ~ O_3.

ისევე როგორც O-ის რიცხვის გამოხატვისას, ამ შემთხვევაშიც, უნიშნობით უპირისპირდება O_3 დანარჩენ პირებს. ამგვარი თანმიმდევრულობა საინტერესო სურათს იძლევა პირთა კომბინაციებში, რომლებშიც აისახება მარკერები, როგორც ფუნქციური ელემენტები.

III თავი

სუბიექტთა და ობიექტთა კომბინაციები მეგრულ-ლაზურში

ქართულის მსგავსად, სუბიექტთა და ობიექტთა კომბინაციები მეგრულ-ლაზურშიც განიხილება რელატიური ზმნების მიხედვით. სწორედ კომბინაციათა სიმრავლე განსაზღვრავს მწკრივის კატეგორიას. ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, ქართული ენის რელატიური ზმნის უღლების პარადიგმაში ერთი მწკრივის შიგნით დასაშვებია 28 ფორმა, ანუ სუბიექტისა და ობიექტის 28 კომბინაცია. თუმცა რეალურად საუბარია 18 გრამატიკულ ფორმაზე მწკრივის ფარგლებში [შანიძე 1980, 227-231; ჩიქობავა 1950].

თ. უთურგაიძის ფუნდამენტური ნაშრომის — „გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში“ — [2002] მიხედვით ცხადია, რომ 28-ვე ფორმას აქვს დამოუკიდებელ ერთეულად არსებობის უფლება, რადგან ფუნქციურად არცერთი მათგანი არ იმეორებს მეორეს. ეს ნათელი ხდება მაშინვე, როგორც კი თითოეული ფორმის ჩაწერისათვის დაშვებული იქნება პირისა და რიცხვის ნიშანთა ნულოვანი ალომორფი. მაგალითად, **გაქებთ** ფორმა, რომელიც ოთხ კომბინაციაში მეორდება, ოთხსავე შემთხვევაში განსხვავებულად ჩაიწერება:

$S_1O_2^P$ გაქებთ: Ø-გ-აქებ-თ0^P

$S_3O_2^P$ გაქებთ: გ-აქებ-Ø-თ0^P

$S_1^PO_2$ გაქებთ: Ø-გ-აქებ-თS^P

$S_1^PO_2^P$ გაქებთ: Ø-გ-აქებ-თS^P-Ø0^P

აქედან გამომდინარე, თ. უთურგაიძე პრინციპულად გამორიცხავს გრამატიკულ ფორმათა დამთხვევას, რადგან „ესა თუ ის გრამატიკული ფორმა თავის სტატუსს კონკრეტული პარადიგმის ფარგლებში იღებს და გადამწყვეტი არ არის მისი გამოხატულე-

ბის პლანი. პარადიგმას შეუძლია მარკერის გაუქმებაც, მისთვის ფუნქციის შეცვლაც (სხვა პარადიგმასთან მიმართებით) და ბოლოს სპეციფიკური ფორმების შექმნა, სადაც კატეგორიალურ მარკერთა როლში, ენობრივ ელემენტთა თავისებური დისტრიბუცია გვევლინება...“ [უთურგაიძე 2002, 84-89].

სუბიექტთა და ობიექტთა შესაძლო კომბინაცია და მწკრივში ფორმათა რაოდენობა წარმოაჩენს მეგრულ-ლაზური ზმნის თავისებურებას: მორფემათა ზღვარზე მორფონოლოგიური გარდაქმნების შედეგად ჩნდება ე. წ. „დამთხვეული“ ფორმები. გრამატიკულ ომონიმიას ხელს უწყობს რიცხვის გამოხატვის ის სისტემა, რაც მეგრულ-ლაზურისთვისაა დამახასიათებელი. შესაბამისად, სანამ მიმოვიხილავთ სუბიექტთა და ობიექტთა კომბინაციებს, წარმოვადგენთ პირის და რიცხვის მორფემათა განაწილების ტაბულებს ტ. გუდავასა და თ. გამყრელიძის მიერ დადგენილი წესებისა და ჩვენ მიერ გაანალიზებული პირისა და რიცხვის ალომორფთა მიხედვით.

ტაბულა 1

S_1 მორფემის პოზიციური განაწილება

ზანური	პოზიცია / პრეფიქსი	-V	V-V	-C[ჲღ]	-C[ფშ]	-C[ჰჯ]	-[ბ ფ ს ვ]	-[ბ ფ ს ვ]C
მეგრ.	{ვ-}	ვ-	ვ-‖უ- Ø-	ბ-‖ვ-	ფ-‖ვ- ბ-	პ-‖ვ- ბ-	ვ-	ვ-‖ბ-/ ფ-/პ*-
ლაზ.	{ვ-}	ვ- ‖ბ-	ვ-‖ბ- Ø-	ბ-	ფ-‖ბ- Ø-‖ვ-	პ-	Ø- ‖ბ-	მ**-‖ვ-

*C-ს რაგვარობის მიხედვით

**ნC მიმდევრობასთან მ- ალომორფი ჩნდება.

ტაბულა 2

S_3 მორფემის პოზიციური განაწილება

ბანტურ	პოზიცია / სუფიქსი	[Vნ Vმ]–	[Vნ Vმ]+ნაწილაკი–	აუსლაუტი	აუსლაუტი V-V*
მეგრ.	{-ს}	-ს‖-ც	-ს‖-ც	—	—
	{-უ}	—	—	-უ‖-გ-‖Ø	—
	{-ნ}	—	—	-Ø	-ნ
ლაზ.	{-ს}	-ს‖-ჲ	-ს‖-Ø	—	—
	{-უ}	—	—	-უ	—
	{-ნ}	—	—	-ნ	-ნ

* -ია და -ო ნაწილაკების დართვისას

ტაბულა 3

O_1-ის მორფემის პოზიციური განაწილება

ბან.	პოზიცია / პრეფიქსი	-V	V-V	-C$^{მეღ.}$	-C$^{ფშვ.}$	-C$^{მკვ.}$	-C$^{ნაპრ.}$
მეგრ.	{მ-}	მ-	მ-	ბ-	ფ-	პ-	მ-
ლაზ.	{მ-}	მ-	მ-	მ-	მ-	მ-	მ-

ტაბულა 4

O_3-ის მორფემის პოზიციური განაწილება

ბან.	პოზიცია / პრეფიქსი	-V	V-V	-C$^{მეღ.}$	-C$^{ფშვ.}$	-C$^{მკვ.}$	-ყ
მეგრ.	{გ-}	გ-	გ- ‖Ø-	რ-(გ-‖Ø)	რ-(ქ-)	რ-(კ-)	რ-
ლაზ.	{გ-}	გ-	გ-	გ-	გ-‖ქ-	გ-‖კ-(ქ-)	კ-

ტაბულა 5
რიცხვის ალომორფთა განაწილება

ზანური	კატეგ. / პირი	სუბიექტი	პირდ. ობიექტი	ირიბი ობიექტი
მეგრ.	1	{-თ}	{-თ}; /-ა/–/-ან/; /-ეს/–/-ის/ {-ნ}; Ø	{-თ}; /-ა/–/-ან/; /-ეს/–/-ის/ {-ნ}; Ø
	2	{-თ}	{-თ}; /-ა/–/-ან/; /-ეს/–/-ის/ {-ნ}; Ø	{-თ}; /-ა/–/-ან/; /-ეს/–/-ის/ {-ნ}; Ø
	3	/-ა/–/-ან/ /-ეს/–/-ის/;{-ნ}	Ø	{-თ}; /-ა/–/-ან/; /-ეს/–/-ის/ {-ნ}; Ø
ლაზ.	1	/-თ/–/-დ/	/-თ/–/-დ/; /ან/–/ნან/;{ნ-} /-ეს/–/-ეზ/–/ეთ/–/ეშ/–/ე/;Ø	/-თ/–/-დ/; /ან/–/ნან/;{ნ-} /-ეს/–/-ეზ/–/ეთ/–/ეშ/–/ე/,Ø
	2	/-თ/–/-დ/	/-თ/–/-დ/; /ან/–/ნან/;{ნ-} /-ეს/–/-ეზ/–/ეთ/–/ეშ/–/ე/;Ø	/-თ/–/-დ/; /ან/–/ნან/;{ნ-} /-ეს/–/-ეზ/–/ეთ/–/ეშ/–/ე/,Ø
	3	/-ან/–/-ნან/ /-ეს/–/-ეზ/–/ეთ/ –/ეშ/–/ე/;{-ნ}	Ø	/-თ/–/-დ/; /ან/–/ნან/;{ნ-} /-ეს/–/-ეზ/–/ეთ/–/ეშ/–/ე/;Ø

ცნობილია, რომ მეგრულ-ლაზურშიც გარდამავალი ზმნა ორპირიანია ან სამპირიანი, ხოლო „სამპირიან ზმნაში პირუცვლელი ობიექტი (პირდაპირი ან ირიბი) ყოველთვის ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი. პირუცვლელი ობიექტი ყოველთვის მესამე პირია, მისი ადგილი არის პირცვალებადი ობიექტის ნიშნის მომდევნოდ“ (უთურგაიძე 2002, 54). მაშასადამე, პირთა კომბინაციათა რაოდენობის თვალსაზრისით, პირუცვლელი ობიექტი არაფერს არ ცვლის. გარდა იმისა, რომ სამპირიანი ზმნური ფორმის ჩაწერისას ჩნდება Ø ნულოვანი მარკერი მესამე პირუცვლელი ობიექტისა.

არსებითად შემოვიფარგლებით ორპირიანი ფორმების ანალიზით განურჩევლად გარდამავლობისა, რადგან პირის ნიშანთა განაწილება დამოკიდებულია ფონოლოგიურ შეპირობებულობაზე. პირველ რიგში, განვიხილავთ თანხმოვნით დაწყებული ზმნური

ფუძეებისა და პირის და რიცხვის ნიშანთა კომბინაციებს. შევნიშნავთ, რომ ფუძისეული თანხმოვნის რაგვარობა ამჯერად არაარსებითია, რადგან კომბინაციებში გამეორდება ერთი კონკრეტული ალომორფი: ვ- /ბ- / ფ- / პ-. იგივე ითქმის სხვა პირის მორფემებზეც. უღლების ცხრილებში ცალ-ცალკე წარმოვადგენთ მეგრულისა და ლაზურის ფორმებს. საანალიზოდ ავიღებთ წყვეტილის მწკრივს, რადგან იგი შესაპირისპირებლად უფრო მეტყველია, ვიდრე აწმყო, სადაც თემატური ნიშნებით განსხვავდებიან მეგრული და ლაზური, ასევე თვალში საცემია -ქ დაბოლოება მეგრულის I და II პირის ფორმებში. თუმცა ჩამოთვლილი არც ერთი ფაქტორი არ განსაზღვრავს კომბინაციათა და დამთხვეულ ან განსხვავებულ ფორმათა რაოდენობას მწკრივის შიგნით.

მეგრული: **ბ-გორი** „(მო)-ვ-ძებნე“

O / S	1	2	3	1ᵖ	2ᵖ	3ᵖ
1		რ-გორი „მოგძებნე“	ბ-გორი „მოვძებნე“		რ-გორი-თ „მოგძებნეთ“	ბ-გორი „მოვძებნე“
2	ბ-გორი „მომძებნე“		გორი „მოძებნე“	ბ-გორი-თ „მოგვძებნე“		გორი „მოძებნე“
3	ბ-გორ-უ „მომძებნა“	რ-გორ-უ „მოგძებნა“	გორ-უ „მოძებნა“	ბ-გორ-ეს „მოგვძებნა“	რ-გორ-ეს „მოგძებნეს“	გორ-უ „მოძებნა“
1ᵖ		რ-გორი-თ „მოგძებნეთ	ბ-გორი-თ „მოვძებნეთ“		რ-გორი-თ „მოგძებნეთ“	ბ-გორი-თ „მოვძებნეთ“
2ᵖ	ბ-გორი-თ „მომძებნეთ“		გორი-თ „მოძებნეთ“	ბ-გორი-თ „მოგვძებნეთ“		გორი-თ „მოძებნეთ“
3ᵖ	ბ-გორ-ეს „მომძებნეს“	რ-გორ-ეს „მოგძებნეს“	გორ-ეს „მოძებნეს“	ბ-გორ-ეს „მოგვძებნეს“	რ-გორ-ეს „მოგძებნეს“	გორ-ეს „მოძებნეს“

ცხრილი 1

ლაზური: **ბ-ძირი** „ვნახე“

O / S	1	2	3	1ᵖ	2ᵖ	3ᵖ
1		გ-ძირი „გნახე	ბ-ძირი „ვნახე“		გ-ძირი-თ „გნახეთ“	ბ-ძირი „ვნახე“
2	მ-ძირი „მნახე“		ძირი „ნახე“	მ-ძირი-თ „გვნახე“		ძირი „ნახე“
3	მ-ძირ-უ „მნახა“	გ-ძირ-უ „გნახა“	ძირ-უ „ნახა“	მ-ძირ-ეს „გვნახა“	გ-ძირ-ეს „გნახათ“	ძირ-უ „ნახა“
1ᵖ		გ-ძირი-თ „გნახეთ“	ბ-ძირი-თ „ვნახეთ“		გ-ძირი-თ „გნახეთ“	ბ-ძირი-თ „ვნახეთ“
2ᵖ	მ-ძირი-თ „მნახეთ“		ძირი-თ „ნახეთ“	მ-ძირი-თ „გვნახეთ“		ძირი-თ „ნახეთ“
3ᵖ	მ-ძირ-ეს „მნახეს“	გ-ძირ-ეს „გნახეს“	ძირ-ეს „ნახეს“	მ-ძირ-ეს „გვნახეს“	გ-ძირ-ეს „გნახეს“	ძირ-ეს „ნახეს“

ცხრილი 2

ორივე ცხრილში წარმოდგენილია გარდამავალი ორპირიანი ზმნის 28 ფორმა, რომლებიც განსხვავებულ კომბინაციას გვაძლევს. ამ 28 ფორმიდან რამდენიმე მეორდება სხვადასხვა კომბინაციაში, ხოლო რამდენიმე თითო კომბინაციაშია წარმოდგენილი. კომბინაციების მიხედვით თუ შევაპირისპირებთ ფორმებს, ასეთ სურათს მივიღებთ:

	კომბინაცია	**მეგრული**	**ლაზური**
(1)	S_1O_3 $S_1O_3{}^p$	ბ-გორი	ბ-ძირი
(2)	S_2O_1	ბ-გორი	მ-ძირი
(3)	S_1O_2	რ-გორი	გ-ძირი
(4)	S_2O_3 $S_2O_3{}^p$	გორი	ძირი
(5)	S_3O_1	ბ-გორ-უ	მ-ძირ-უ
(6)	S_3O_2	რ-გორ-უ	გ-ძირ-უ
(7)	S_3O_3 $S_3O_3{}^p$	გორ-უ	ძირ-უ
(8)	$S_2O_1{}^p$ $S_2{}^pO_1$ $S_2{}^pO_1{}^p$	ბ-გორ-ი-თ	მ-ძირ-ი-თ
(9)	$S_1{}^pO_3$ $S_1{}^pO_3{}^p$	ბ-გორ-ი-თ	ბ-ძირ-ი-თ
(10)	$S_1O_2{}^p$ $S_1{}^pO_2$ $S_1{}^pO_2{}^p$	რ-გორ-ი-თ	გ-ძირ-ი-თ

(11)	$S_2{}^pO_3$ $S_2{}^pO_3{}^p$	გორ-ი-თ	ძირ-ი-თ
(12)	$S_3O_1{}^p$ $S_3{}^pO_1$ $S_3{}^pO_1{}^p$	ბ-გორ-ეს	მ-ძირ-ეს
(13)	$S_3O_2{}^p$ $S_3{}^pO_2$ $S_3{}^pO_2{}^p$	რ-გორ-ეს	გ-ძირ-ეს
(14)	$S_3{}^pO_3$ $S_3{}^pO_3{}^p$	გორ-ეს	ძირ-ეს

ამ 14 ფორმიდან მეგრულში (2) იმეორებს (1)-ს, ხოლო (9) იმეორებს (8)-ს. შესაბამისად, მეგრულში მწკრივის მიხედვით გვაქვს 12 განსხვავებული ფორმა, ხოლო ლაზურში — 14 განსხვავებული ფორმა. სხვაობის მიზეზია ობიექტური პირის ნიშანი: როგორც **ცხრილი 3** გვიჩვენებს, ლაზურში O_1-ის მორფემა „არ ემორჩილება" ჰომოგენურობის პრინციპს განსხვავებით მეგრულისგან, სადაც მ- პრეფიქსი ბ- ალომორფს გვაძლევს მჟღერი თანხმოვნის წინ, რითაც ის ემთხვევა S_1-ის ალომორფს (იხ. ცხრ. 1). მაშასადამე, ბ-გორი (1) და (2) კომბინაციებში ფუნქციურად განსხვავებულია:

ბ-გორი მა თინა „ვ-ძებნე მე ის"
ბ-გორი-Ø მა თინეფი „ვ-ძებნე-Ø მე ისინი"
Ø-ბ-გორი სი მა „Ø-მ-ძებნე შენ მე"

როგორც კი ნულოვანი ალომორფებით აღინიშნა სუბიექტისა და ობიექტის პირისა და რიცხვის ნიშნები, მაშინვე ცხადი გახდა სხვაობა, ერთი მხრივ, ბ-გორი ~ ბ-გორი-Ø ფორმებს შორის, მეორე მხრივ, ბ-გორი ~ Ø-ბ-გორი ფორმებს შორის, მესამე მხრივ, ბ-გორი-Ø ~ Ø-ბ-გორი ფორმებს შორის. ესაა დაპირისპირება ობიექტის რიცხვის (ა), პირების (ბ), რიცხვისა და პირის (გ) მიხედვით.

იგივე ვითარებაა (8) და (9) კომბინაციების შემთხვევაშიც:

Ø-ბ-გორი-თO^p სი ჩქი „Ø-გვ-ძებნე შენ ჩვენ"
Ø-ბ-გორი-თS^p თქვა მა „Ø-მ-ძებნე-თ თქვენ მე"
Ø-ბ-გორი-თS^p-ØO^p თქვა ჩქი „Ø-გვ-ძებნე-თ-Ø თქვენ ჩვენ"
ბ-Ø-გორი-თ ჩქი ფინა „ვ-Ø-ძებნე-თ ჩვენ ის"
ბ-Ø-გორი-თS^p-ØO^p ჩქი თინეფი „ვ-Ø-ძებნე-თ-Ø ჩვენ ისინი"

აღსანიშნავია, რომ ამ კომბინაციების შესატყვის ქართულ ფორმებში მხოლოდ ერთი ფორმა მეორდება ორ კომბინაციაში: **ვძებნეთ ჩვენ ის** და **ვძებნეთ ჩვენ ისინი**. სხვა კომბინაციებში განსხვავებული ფორმები გვაქვს, რაც გვიჩვენებს მეგრულ-ლაზურში პირისა და რიცხვის გამოხატვის განსხვავებულ სისტემას.

მეგრულში განსხვავებული ფორმა თითო-თითო კომბინაციით წარმოდგენილია 3 შემთხვევაში: ესენია: S_1O_2 — რ-გორი, S_3O_1 — ბ-გორ-უ, S_3O_2 — რ-გორ-უ, ხოლო ლაზურში — 4 შემთხვევაში: S_2O_1 — მ-ძირი, S_1O_2 — გ-ძირი, S_3O_1 — მ-ძირ-უ, S_3O_2 — გ-ძირ-უ. დანარჩენ კომბინაციებში ერთნაირად მეორდება ფორმები მეგრულსა და ლაზურში გარდა (8) და (9) შემთხვევებისა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მეგრულსა და ლაზურში მწკრივის ფარგლებში გვაქვს შესაბამისად 12 და 14 განსხვავებული ფორმა. რაოდენობრივი სხვაობა არის შედეგი O_1-ის მორფემის განსხვავებული მორფონოლოგიური ქცევისა მეგრულსა და ლაზურში.

როგორც ტაბულებიდან ჩანს, ხმოვნისწინა პოზიციაში S-სა და O-ს ნიშნები წარმოდგენილია ძირითადი მორფემით (იხ. ტაბ. 1, 3, 4). გამონაკლისია ლაზური, სადაც S_1-ის */ვ-/* და */ბ-/* ალომორფები დიალექტების მიხედვით ნაწილდება (იხ. გვ. 132). საინტერესოა, ასეთ შემთხვევაში იცვლება თუ იგივე რჩება განსხვავებულ ფორმათა რაოდენობა მწკრივის მიხედვით. მაგალითისთვის ვაუღლებთ მეგრულ **ვ-ო-რძ-ი** „ვანთე“ და ლაზურ **ვ-ო-ღოდ-ი** „ვაკეთე“ ზმნებს.

მეგრული: **გ-ო-რძ-ი** „ვანთე“

O S	1	2	3	1ᵖ	2ᵖ	3ᵖ
1		(დგ)-*გ-ო-რძ-ი „დაგანთე“	(დგ)-ვ-ო-რძ-ი „დავანთე“		(დგ)-გ-ო-რძ-ი-თ „დაგანთეთ“	(დგ)-ვ-ო-რძ-ი დავანთე“
2	(დგ)-მ-ო-რძ-ი „დამანთე“		დარძი (<დო-ო-რძ-ი) ო-რძ-ი „დაანთე“	(დგ)-მ-ო-რძ-ი-თ „დაგვანთე“		დარძი (<დო-ო-რძ-ი) ო-რძ-ი „დაანთე“
3	(დგ)-მ-ო-რძ-უ „დამანთო“	(დგ)-გ-ო-რძ-უ „დაგანთო“	დარძუ (<დო-ორძ-უ) ო-რძ-უ „დაანთო“	(დგ)-მ-ო-რძ-ეს „დაგვანთო“	(დგ)-გ-ო-რძ-ეს „დაგანთოთ“	დარძუ (<დო-ორძ-უ) ო-რძ-უ „დაანთო“
1ᵖ		(დგ)-გ-ო-რძ-ი-თ „დაგანთეთ“	(დგ)-ვ-ო-რძ-ი-თ „დავანთეთ“		(დგ)-გ-ორძ-ი-თ „დაგანთეთ“	(დგ)-ვ-ო-რძ-ი-თ „დავანთეთ“
2ᵖ	(დგ)-მ-ო-რძ-ი-თ „დამანთეთ“		დარძით (< დო-ო-რძ-ით) ო-რძ-ი-თ „დაანთეთ“	(დგ)-მ-ო-რძ-ით „დაგვანთეთ“		დარძით (<დო-ო-რძ-ით) ო-რძ-ი-თ „დაანთეთ“
3ᵖ	(დგ)-მ-ო-რძ-ეს „დამანთეს“	(დგ)-გ-ო-რძ-ეს „დაგანთეს“	დარძეს (< დო-ო-რძ-ეს) ო-რძ-ეს „დაანთეს“	(დგ)-მ-ო-რძ-ეს „დაგვანთეს“	(დგ)-გ-ორძ-ეს „დაგანთეს“	დარძეს (< დო-ო-რძ-ეს) ო-რძ-ეს „დაანთეს“

ცხრილი 3

* ამოსაყალი ზმნისწინია **დო-**, რომელიც **-ო-** მაქცევარი ხმოვნის გაყლენით იცვლება: *დო-გ-ო-რძ-ი > დუ-გ-ო-რძ-ი > დგ-გ-ო-რძ-ი — დისიმილაციის პროცესი ორსაფეხურიანია: დო > დუ > დგ.

მორფემათა ზღვარზე პირის ნიშანი თუ არაა წარმოდგენილი, მეგრული ფონოტაქტიკის თანახმად, **ოო** მიმდევრობა მოგუცემს **ა**-ს: დო-ო-რძ-ი > დარძ-ი, რაც ართულებს ფორმის სეგმენტაციას.

ლაზური: **ვჩ-ოლოდი** „ვაკეთე“

S \ O	1	2	3	1p	2p	3p
1		გ-ო-ღოდ-ი „გაკეთე“	ბ/ვ-ოღოდ-ი „ვაკეთე“		გ-ო-ღოდ-ი-თ „გაკეთეთ“	ვ/ბ-ო-ღოდ-ი
2	მ-ო-ღოდ-ი „მაკეთე“		(დო)-ო-ღოდ-ი > დოღოდი „გააკეთე“	მ-ო-ღოდ-ი-თ „გაკეთეთ“		(დო)-ო-ღოდ-ი „გააკეთე“
3	მ-ო-ღოდ-უ „მაკეთა“	გ-ო-ღოდ-უ „გაკეთა“	(დო)-ო-ღოდ-უ > დოღოდუ „გააკეთა“	მ-ო-ღოდ-ეს „გვაკეთა“	გ-ო-ღოდ-ეს „გაკეთათ“	(დო)-ო-ღოდ-უ „აკეთა“
1p		გ-ო-ღოდ-ი-თ „გაკეთეთ“	ვ/ბ-ო-ღოდ-ი-თ „ვაკეთეთ“		გ-ო-ღოდ-ი-თ „გაკეთეთ“	ვ/ბ-ო-ღოდ-ი-თ „ვაკეთეთ“
2p	მ-ო-ღოდ-ი-თ „მაკეთეთ“		(დო)-ო-ღოდ-ი-თ > დოღოდით „გააკეთეთ“	მ-ო-ღოდ-ი-თ „გვაკეთეთ“		(დო)-ო-ღოდ-ი-თ > დოღოდით „გვაკეთეთ“
3p	მ-ო-ღოდ-ეს „გამაკეთეს“	გ-ო-ღოდ-ეს „გაგაკეთეს“	(დო)-ო-ღოდ-ეს > დოღოდეს „გააკეთეს“	მ-ო-ღოდ-ეს „გაგვაკეთეს“	გ-ო-ღოდ-ეს „გაგაკეთეს“	(დო)-ო-ღოდ-ეს „გააკეთეს“

ცხრილი 4

* **დო** ზმნისწინის დართვისას თავს იყრის ორი **ო** და ხდება მათი შერწყმა: **ოო > ო**, მეგრულისაგან განსხვავებით.

შევნიშნავთ, რომ ჩვენ შეგნებულად გვერდს ვუვლით ზმნისწინიან ფორმებს, რადგან ეს სისტემურ ანალიზს მოითხოვს, რაც სცილდება ამ თავში განსახილველ პრობლემატიკას. ზმნისწინის სისტემის სირთულე და მრავალფეროვნება ზანურში, განსაკუთრებით მეგრულში, საგანგებო კვლევის საგანია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზანურში ზმნისწინი არაა რომელიმე კატეგორიის / კატეგორიების აღმნიშვნელი მორფემა. ზმნისწინი უფრო ზეკატეგორიაა, ერთგვარი ტრანსლატიკი, რომელიც ზმნის მთელ სისტემას ფარავს (ეზუგბაია 2009).

მე-3 და მე-4 ცხრილებში წარმოდგენილი 28 საუღლებელი ერთეული კომბინაციებში გვაძლევს განსხვავებულ და დამთხვეულ ფორმებს. ისინი ასე გადანაწილდებიან:

	კომბინაცია	მეგრული	ლაზური
(1)	S_1O_2	გ-ო-რძ-ი	გ-ო-ოდ-ი
(2)	$S_2O_2^P$ $S_1^PO_2$ $S_1^PO_2^P$	გ-ო-რძ-ი-თ	გ-ო-ღოდ-ი-თ
(3)	S_1O_3 $S_1O_3^P$	ვ-ო-რძ-ი	ვ/ბ-ო-ღოდ-ი
(4)	$S_1^PO_3$ $S_1^PO_3^P$	ვ-ო-რძ-ი-თ	ვ/ბ-ო-ღოდ-ი-თ
(5)	S_2O_1	მ-ო-რძ-ი	მ-ო-ღოდ-ი
(6)	$S_2O_1^P$ $S_2^PO_1$ $S_2^PO_1^P$	მ-ო-რძ-ი-თ	მ-ო-ღოდ-ი-თ
(7)	S_2O_3 $S_2O_3^P$	ო-რძ-ი	ო-ღოდ-ი
(8)	$S_2^PO_3$ $S_2^PO_3^P$	ო-რძ-ი-თ	ო-ღოდ-ი-თ
(9)	S_3O_1	მ-ო-რძ-უ	მ-ო-ღოდ-უ
(10)	S_3O_2	გ-ო-რძ-უ	გ-ო-ღოდ-უ
(11)	S_3O_3 $S_3O_3^P$	ო-რძ-უ	ო-ღოდ-უ
(12)	$S_3O_1^P$ $S_3^PO_1$ $S_3^PO_1^P$	მ-ო-რძ-ეს	მ-ო-ღოდ-ეს
(13)	$S_3O_2^P$ $S_3^PO_2$ $S_3^PO_2^P$	გ-ო-რძ-ეს	გ-ო-ღოდ-ეს
(14)	$S_3^PO_3$ $S_3^PO_3^P$	ო-რძ-ეს	ო-ღოდ-ეს

როგორც ვხედავთ, ამჯერადაც მწკრივის შიგნით გამოიყოფა 14 განსხვავებული ფორმა არა მხოლოდ ლაზურში, არამედ მეგრულშიც. ფონოლოგიური გარდაქმნების შეზღუდვამ მოხსნა S_1-ისა და O_1-ის ალომორფთა დამთხვევა. შესაბამისად 14-ივე ფორმა იმავე კომბინაციებშია წარმოდგენილი, როგორც 1-სა და მე-2 ცხრილში. მაგალითად, თითო კომბინაციაში წარმოდგენილი ფორმებია:

S_1O_2 — გ-ო-რძ-ი, გ-ო-ღოდ-ი
S_2O_1 — მ-ო-რძ-ი, მ-ო-ღოდ-ი
S_3O_1 — მ-ო-რძ-უ, მ-ო-ღოდ-უ
S_3O_2 — გ-ო-რძ-უ, გ-ო-ღოდ-უ

(შედარებისთვის იხ. გვ. 161)

რეალურად იკვეთება საერთო სურათი სუბიექტთა და ობიექტთა კომბინაციებთან დაკავშირებით მეგრულ-ლაზურში. ხმოვნისწინა პოზიციაში პირის ნიშანთა განაწილების თვალსაზრისით არაფერი იცვლება მიუხედავად იმისა, ხმოვანი ელემენტი ქცევის ნიშანია, კაუზატივისა თუ გვარისა. თუმცა კომბინაციებში ცვლილება მოსალოდნელია რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით ვნებითი გვარის ორპირიან ფორმებში, სადაც III ირიბი ობიექტური პირის სიმრავლე აღინიშნება S_3-ის რიცხვის ნიშნებით, როცა ის დაწყვილებულია მხოლობითში დასმულ S_3 სუბიექტურ პირთან (იხ. ტაბულა 5).

მაგალითისათვის, ავიღებთ მეგრ. **დგ-ჲ-აჭვ-უ** ლაზ. **დო-ჲ-აჭკ-უ** „დამეწვა“ ზმნებს:

S \ ○	1	2	3	1P	2P	3P
1		(დჷ)-ჩ-ა-ჭი (დო)-ჩ-ა-ჭი „დაგეწვი“	(დჷ)-ჳ-ა-ჭი (დო)-ბ/ჳ-ა-ჭი „დავეწვი“		(დჷ)-ჩ-ა-ჭი-თ (დო)-ჩ-ა-ჭი-თ „დაგეწვით“	(დჷ)-ჳ-ა-ჭი (დო)-ჳ/ბ-ა-ჭი-ი „დავეწვი“
2	(დჷ)-მ-ა-ჭი-ი (დო)-მ-ა-ჭი-ი „დამეწვი“		(დჷ)-ა-ჭი-ი (დჷ)-ა-ჭი-ი* „დაეწვი“	(დჷ)-მ-ა-ჭი-თ (დო)-მ-ა-ჭი-თ „დაგეწვი“		(დჷ)-ა-ჭი-ი (დო)-ა-ჭი-ი „დაეწვი“
3	(დჷ)-მ-ა-ჭი-ო** (დო)-მ-ა-ჭი-ო „დამეწვა“	(დჷ)-ჩ-ა-ჭი-ო (დო)-ჩ-ა-ჭი-ო „დაგეწვა“	(დჷ)-ა-ჭი-ო (დო)- ა-ჭი-ო „დაეწვა“	(დჷ)-მ-ა-ჭი-ეს (დო)-მ-ა-ჭი-ეს*** „დაგეწვა“	(დჷ)-ჩ-ა-ჭი-ეს (დო)-ჩ-ა-ჭი-ეს „დაგეწვეთ“	(დჷ)-ა-ჭი-ეს (დო)-ა-ჭი-ეს „დაეწვათ“
1P		(დჷ)-ჩ-ა-ჭი-ი-თ (დო)-ჩ-ა-ჭი-ი-თ „დაგეწვით“	(დჷ)-ჳ-ა-ჭი-ი-თ (დო)-ჳ/ბ-ა-ჭი-ი-თ „დავეწვით“		(დჷ)-ჩ-ა-ჭი-ი-თ (დო)-ჩ-ა-ჭი-ი-თ „დაგეწვით“	(დჷ)-ჳ-ა-ჭი-ი-თ (დო)-ჳ-ა-ჭი-ი-თ „დაგეწვით“
2P	(დჷ)-მ-ა-ჭი-ი-თ (დო)-მ-ა-ჭი-ი-თ „დამეწვით“		(დჷ)-ა-ჭი-ი-თ (დჷ)-ა-ჭი-ი-თ „დაეწვით“	(დჷ)-მ-ა-ჭი-ი-თ (დო)-მ-ა-ჭი-ი-თ „დაგეწვით“		(დჷ)-ა-ჭი-ი-თ (დჷ)-ა-ჭი-ი-თ „დაეწვით“
3P	(დჷ)-მ-ა-ჭი-ეს (დო)-მ-ა-ჭი-ეს „დაგეწვნენ“	(დჷ)-ჩ-ა-ჭი-ეს (დო)-ჩ-ა-ჭი-ეს „დაგეწვნენ“	(დჷ)-ა-ჭი-ეს (დო)-ა-ჭი-ეს „დაეწვნენ“	(დჷ)-მ-ა-ჭი-ეს (დო)-მ-ა-ჭი-ეს „დაგეწვნენ“	(დჷ)-ჩ-ა-ჭი-ეს (დო)-ჩ-ა-ჭი-ეს „დაგეწვნენ“	(დჷ)-ა-ჭი-ეს (დო)-ა-ჭი-ეს „დაეწვნენ“

ცხრილი 5

* **დო-** ზმნისწინის გარდაქმნას -ჰვ- ფუძისეული ლაბიალი იწვევს: *დო-ა-ჰვ-ი > დვ-ა-ჰვ-ი.

** მეგრულში S3-ის ნიშნად უ-ს პარალელურად შეიძლება იყოს გ ან Ø ნულოვანი ალომორფი, იხ. ტაბ. 2.

*** ლაზურში -ეს მორფემა შეიძლება იყოს წარმოდგენილი ალომორფებით: ეი, ეზ, ე (იხ. ტაბ. 5).

მე-5 ცხრილში მოცემული ფორმები კომბინაციების მიხედვით ასე გადანაწილდება:

	კომბინაცია	მეგრული	ლაზური
(1)	S_1O_2	გ-ა-ჳვ-ი	გ-ა-ჳვ-ი
(2)	$S_1O_2^P$ $S_1{}^PO_2$ $S_1{}^PO_2{}^P$	გ-ა-ჳვ-ი-თ	გ-ა-ჳვ-ი-თ
(3)	S_1O_3 $S_1O_3{}^P$	ვ-ა-ჳვ-ი	ვ/ბ-ა-ჳვ-ი
(4)	$S_1{}^PO_3$ $S_1{}^PO_3{}^P$	ვ-ა-ჳვ-ი-თ	ვ/ბ-ა-ჳვ-ი-თ
(5)	S_2O_1	მ-ა-ჳვ-ი	მ-ა-ჳვ-ი
(6)	$S_2O_1{}^P$ $S_2{}^PO_1$ $S_2{}^PO_1{}^P$	მ-ა-ჳვ-ი-თ	მ-ა-ჳვ-ი-თ
(7)	S_2O_3 $S_2O_3{}^P$	ა-ჳვ-ი	ა-ჳვ-ი
(8)	$S_2{}^PO_3$ $S_2{}^PO_3{}^P$	ა-ჳვ-ი-თ	ა-ჳვ-ი-თ
(9)	S_3O_1	მ-ა-ჳვ-უ/გ/Ø	მ-ა-ჳვ-უ
(10)	S_3O_2	ა-ჳვ-უ/გ/Ø	ა-ჳვ-უ
(11)	S_3O_3	ა-ჳვ-უ/გ/Ø	ა-ჳვ-უ
(12)	$S_3O_1{}^P$ $S_3{}^PO_1$ $S_3{}^PO_1{}^P$	მ-ა-ჳვ-ეს	მ-ა-ჳვ-ეს/ეჲ/ეზ/ე
(13)	$S_3O_2{}^P$ $S_3{}^PO_2$ $S_3{}^PO_2{}^P$	გ-ა-ჳვ-ეს	გ-ა-ჳვ-ეს/ეჲ/ეზ/ე
(14)	$S_3O_3{}^P$ $S_3{}^PO_3$ $S_3{}^PO_3{}^P$	ა-ჳვ-ეს	ა-ჳვ-ეს/ეჲ/ეზ/ე

როგორც ჩანს, განსხვავებულ ფორმათა რაოდენობა იგივე დარჩა ლაზურსა და მეგრულში — 14 საუღლებელი ერთეული, მაგრამ მათი კომბინაციებში გადანაწილებისას ცვლილება შევიდა (11) და (14) კომბინაციებში. (11)-ში მოსალოდნელი ორი კომბინაციიდან S_3O_3, $S_3O_3{}^P$ ერთ-ერთი ($S_3O_3{}^P$) გადავიდა (14)-ში სწორედ $O_3{}^P$-ის რიცხვის გამოხატვის წესის გამო: კერძოდ, **ა-ჳვ-ეს** ფორმა ასე შეიძლება ჩაიწეროს:

$S_3O_3{}^P$ ა-ჳვ-ეს: Ø-ა-ჳვ-ØS^P-ეს0^P თიქ თინეფს „და-ეწვა(თ) ის მათ“
$S_3{}^PO_3$ ა-ჳვ-ეს: Ø-ა-ჳვ-ესS^P თინეფქ თის „დაეწვნენ ისინი მას“
$S_3{}^PO_3{}^P$ ა-ჳვ-ეს: Ø-ა-ჳვ-ესS^P-Ø0^P თინეფქ თინეფს „დაეწვნენ ისინი მათ“

ამ ცვლილების კვალდაკვალ თითო კომბინაციაში წარმოდგენილია არა 4, არამედ 5 ფორმა. ესენია:

S_1O_2 — გ-ა-ჳვ-ი
S_2O_1 — მ-ა-ჳვ-ი
S_3O_1 — მ-ა-ჳვ-უ (მეგრულში მოსალოდნელია მაჭუ)
S_3O_2 — გ-ა-ჳვ-უ (მეგრულში: გაჭუ)
S_3O_3 — ა-ჳვ-უ (მეგრულში: აჭუ)

შეიძლება ითქვას, რომ ხმოვნისწინა პოზიციის მიხედვით პირის ნიშანთა განაწილება ორპირიან გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში ერთნაირად ხდება. სხვაობას იწვევს ობიექტის რიცხვის გამოხატვის მოდელი: გარდამავალ ზმნებში III ობიექტურ პირს სიმრავლე არ აღენიშნება (არც ირიბისა და არც პირდაპირისა), ხოლო გარდაუვალ ზმნებში ირიბი ობიექტის რიცხვი S_3O_3 კომბინაციაში აღინიშნება. მიუხედავად ასეთი თვისებრივი ცვლილებისა, მთლიანობაში მწკრივის მიხედვით განსხვავებულ ფორმათა რაოდენობა (14 ერთეული) იგივე რჩება.

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ სუბიექტ-ობიექტთა კომბინაციაზე, როცა S_1 და O_1, O_2 ნიშნები მოექცევა ინტერვოკალურ პოზიციაში. როგორც წესი, ეს ხდება: ა) ზმნისწინების დართვისას, ბ) **ქო** დადასტურებითი ნაწილაკის დართვისას და გ) **ვა** უარყოფითი ნაწილაკის დართვისას. როგორც ვიცით, ინტერვოკალურ პოზიციაში მეგრულ-ლაზურში ყოველთვის წარმოდგენილია O_1-ის **ჲ**- მორფემა. ლაზურში ასევე ყოველთვის დასტურდება O_2-ის **გ**- მორფემა, ხოლო მეგრულში **გ**- იკარგება **-ი** ხმოვნის წინ: V-გ-ი მიმდევრობისას, დანარჩენ შემთხვევებში **გ**- მორფემა იხმარება (იხ. გვ. 145). რაც შეეხება S_1-ის ალომორფებს, ინტერვოკალურ პოზიციაში მეგრულში ძირითადად გვაქვს **ვ**- მორფემა. V-ვ-უ მიმდევრობისას, როგორც წესი, Ø ნულოვანი ალომორფი გვაქვს. ასევე V-ვ-ო მიმდევრობისას, თუ V წარმოადგენს ნაწილაკის ა ხმოვანს, პირის ნიშანი იკარგება, ხოლო ო-ვ-ო მიმდევრობისას დაჩნდება უ ალომორფი (იხ. გვ. 130-131). ლაზურში კი დიალექტური სხვაობა აღინიშნება იმითაც, რომ ხოფურ კილოკავში ინტერვოკალურ პოზიციაში S_1-ის ნიშანი იკარგება.

როგორც ვხედავთ, ინტერვოკალურ პოზიციაში პირის პრეფიქსები ფონოლოგიურადაა შეპირობებული, რაც აისახება საუღლებელ ერთეულებშიც. ჯერ გავაანალიზოთ მეგრულის სასხვისო ქცევის ფორმები. როგორც წესი, ზმნისწინის დართვისას წარმოიქმნება V-ვ-უ და V-გ-ი მიმდევრობები, სადაც უ, ი სასხვისო ქცევის ნიშნებია, ხოლო V შეიძლება იყოს ნებისმიერი ხმოვანი ზმნისწინის შემადგენლობაში. წარმოვადგენთ უღლების ნიმუშებს. ამჯერად Ø ნულოვან მარკერს ჩავსვამთ S_1, S_2 და O_2 ნიშანთა ადგილას. ბუნებრივია ცხრილში წარმოვადგენთ სამპირიანი ზმნის უღლებას. როგორც წესი, ცხრილის შიგნით მოქცეულია პირცვალებადი ირიბი ობიექტი, ხოლო ცხრილის გარეთ დგას პირუცვლელი პირ. ობიექტი. მაგალითისათვის ავიღებთ შემდეგ ზმნას: *მო-გ-ი-ღ-ი > მო-იღი „მოგიტანე“, *მო-ვ-უ-ღ-ი > მო-უ-ღი „მოვუტანე“.

O/S	1	2	3	1p	2p	3p
1		მი-ბ-ო-ლი „მოგიტანე“	მი-ბ-თ-ლი „მოვიტანე“		მი-ბ-ო-თ „მოგიტანეთ“	მი-ბ-თ-ლი „მოვიტანე“
2	მი-ბ-ო-ლი „მოგიტანე“		მი-ბ-თ-ლი „მოვიტანე“	მი-ბ-ო-თ „მოგიტანე“		მი-ბ-თ-ლი „მოვიტანე“
3	მი-ბ-ო-ს „მოგიტანა“	მი-ბ-ო-ს „მოგიტანა“	მი-ბ-თ-ს „მოვიტანა“	მი-ბ-ო-ს „მოგიტანა“	მი-ბ-ო-ნ „მოგიტანან“	მი-ბ-თ-ს „მოვიტანა“
1p		მი-ბ-ო-თ „მოგიტანეთ“	მი-ბ-თ-თ „მოვიტანეთ“		მი-ბ-ო-თ „მოგიტანეთ“	მი-ბ-თ-თ „მოვიტანეთ“
2p	მი-ბ-ო-თ „მოგიტანეთ“		მი-ბ-თ-თ „მოვიტანეთ“	მი-ბ-ო-თ „მოგიტანეთ“		მი-ბ-თ-თ „მოვიტანეთ“
3p	მი-ბ-ო-ს „მოგიტანეს“	მი-ბ-ო-ს „მოგიტანეს“	მი-ბ-თ-ს „მოვიტანეს“	მი-ბ-ო-ს „მოგიტანეს“	მი-ბ-ო-ს „მოგიტანეს“	მი-ბ-თ-ს „მოვიტანეს“

ცხრილი 6

ცხრილში წარმოდგენილი 28 ფორმა კომბინაციების მიხედვით ასე შეიძლებს გადავანაწილოთ:

	კომბინაცია	მეგრ.
(1)	$S_1O_2^{ind}O_3^{d}$	მო-Ø-ი-ღ-ი < *მო-გ-ი-ღ-ი
(2)	$S_1O_3^{ind}O_3^{d}$ $S_1O_3^{indp}O_3^{d}$ $S_2O_3^{ind}O_3$ $S_2O_3^{indp}O_3$	მო-Ø-უ-ღ-ი ← *მო-ვ-უ-ღ-ი მო-Ø-უ-ღ-ი
(3)	$S_1O_2^{indp}O_3^{d}$ $S_1^{p}O_2^{ind}O_3^{d}$	მო-Ø-ი-ღ-ი-თ < *მო-გ-ი-ღ-ი-თ
(4)	$S_1^{p}O_3^{ind}O_3^{d}$ $S_1^{p}O_3^{indp}O_3^{d}$ $S_2^{p}O_3^{ind}O_3^{d}$ $S_2^{p}O_3^{indp}O_3^{d}$	მო-Ø-უ-ღ-ი-თ ← *მო-ვ-უ-ღ-ი-თ მო-Ø-უ-ღ-ი-თ
(5)	$S_2O_1^{ind}O_3^{d}$	მო-მ-ი-ღ-ი
(6)	$S_2O_1^{indp}O_3^{d}$ $S_2^{p}O_1^{ind}O_3^{d}$ $S_2^{p}O_1^{indp}O_3$	მო-მ-ი-ღ-ი-თ
(7)	$S_3O_1^{ind}O_3$	მო-მ-ი-ღ-უ/ვ/Ø
(8)	$S_3O_2^{ind}O_3^{d}$	მო-Ø-ი-ღ-უ/ვ/Ø < *მო-გ-ი-ღ-უ
(9)	$S_3O_3^{ind}O_3^{d}$ $S_3O_3^{indp}O_3^{d}$	მო-უ-ღ-უ/ვ/Ø
(10)	$S_3O_1^{ind}O_3^{d}$ $S_3^{p}O_1^{ind}O_3^{d}$ $S_3^{p}O_1^{indp}O_3^{d}$	მო-მ-ი-ღ-ეს
(11)	$S_3O_2^{indp}O_3^{d}$ $S_3^{p}O_2^{ind}O_3^{d}$ $S_3^{p}O_2^{indp}O_3^{d}$	მო-Ø-ი-ღ-ეს < *მო-გ-ი-ღ-ეს
(12)	$S_3^{p}O_3^{ind}O_3^{d}$ $S_3^{p}O_3^{indp}O_3^{d}$	მო-უ-ღ-ეს

განსხვავებულ ფორმათა რაოდენობა შეიცვალა: 12 ფორმა მეორდება სხვადასხვა კომბინაციაში. მათ შორის თითო კომბინაციით წარმოდგენილი ფორმებია:

$S_1O_2^{ind}O_3^{d}$	მო-Ø-ი-ღ-ი მა სი თინა „მოგიტანე მე შენ ის“
$S_2O_1^{ind}O_3^{d}$	მო-მ-ი-ღ-ი სი მა თინა „მომიტანე შენ მე ის“

$S_3O_1^{ind}O_3^d$ მო-მ-ი-ღ-უ თიქ მა თინა
„მომიტანა მან მე ის“
$S_3O_2^{ind}O_3^d$ მო-Ø-ი-ღ-უ თიქ სი თინა
„მოგიტანა მან შენ ის“

ცხადია, {გ} მორფემის მონაცვლე Ø ნულოვანი მარკერი ფორმათგანმასხვავებელი ფუნქციის მქონეა ოპოზიციაში: მო-მ-ი-ღ-ი – მო-Ø-ი-ღ-ი; მო-მ-ი-ღ-უ – მო-Ø-ი-ღ-უ. შესაბამისად, O_2-ის Ø ნულოვანი ალომორფით გამოხატვა მწკრივის შიგნით განსხვავებულ ფორმათა რაოდენობას ვერ ცვლის. მაგრამ სულ სხვა ვითარება იქმნება S_1-ის Ø ნულოვანი მარკერით გამოხატვისას.

მო-უ-ღ-ი ფორმა სამპირიანია. თუ ნულოვანი ნიშნით ჩავწერთ სამივე აქტანტის მორფემას, მივიღებთ ასეთ ჩანაწერს:

$S_1O_3^{ind}O_3^d$ მო-Ø-Ø-Ø-უ-ღ-ი მა თის თინა
„მოვუტანე მე მას ის“
$S_1O_3^{indp}O_3^d$ მო-Ø-Ø-Ø-უ-ღ-ი-Ø მა თინეფს თინა
„მოვუტანე მე მათ ის“
$S_2O_3^{ind}O_3^d$ მო-Ø-Ø-Ø-უ-ღ-ი სი თის თინა
„მოუტანე შენ მას ის“
$S_2O_3^{indp}O_3^d$ მო-Ø-Ø-Ø-უ-ღ-ი სი თინეფს თინა
„მოუტანე შენ მათ ის“

მოულით ფორმა კომბინაციების მიხედვით ასე ჩაიწერება:

$S_1^pO_3^{ind}O_3^d$ მო-Ø-Ø-Ø-უ-ღ-ი-თ ჩქი თის თინა
„მოვუტანეთ ჩვენ მას ის“
$S_1^pO_3^{indp}O_3^d$ მო-Ø-Ø-Ø-უ-ღ-ი-თ-Ø ჩქი თინეფს თინა
„მოვუტანეთ ჩვენ მათ ის“
$S_2^pO_3^{ind}O_3^d$ მო-Ø-Ø-Ø-უ-ღ-ი-თ თქვა თის თინა
„მოუტანეთ თქვენ მას ის“
$S_2^pO_3^{indp}O_3^d$ მო-Ø-Ø-Ø-უ-ღ-ი-თ-Ø თქვა თინეფს თინა
„მოუტანეთ თქვენ მათ ის“

ისმის კითხვა: აქვს თუ არა Ø ნულოვან მარკერებს განმასხვავებელი ფუნქცია (ღირებულება) ოპოზიციაში:

$S_1 0_3^{ind} 0_3^{d}$ ~$S_2 0_3^{ind} 0_3^{d}$ მო-Ø-Ø-Ø-უ-ღ-ი ~ მო-Ø-Ø-Ø-უ-ღ-ი

$S_1{}^{p} 0_3^{ind} 0_3^{d}$ ~ $S_2{}^{p} 0_3^{ind} 0_3^{d}$: მო-Ø-Ø-Ø-უ-ღ-ი-თ ~ მო-Ø-Ø-Ø-უ-ღ-ი-თ

ეს ის შემთხვევაა, როცა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აქტანტთა რანგებს ზმნის სტრუქტურაში:

„პირთა რანგები ქცევის (ან კაუზაციის) უჯრის წინ განლაგდებიან რიცხვითი ინდექსების მიხედვით — მარცხნივ ყოველთვის შედარებით დაბალი ინდექსის („უმცროსი") მქონე პირი იქნება (1-2-3-, ე. ი. მე-შენ-ის).

თუ სამივე პირმიმართი აქტანტის ინდექსი 3 (სამი) იქნება, დაგვჭირდება მხოლოდ ობიექტურ პირთა რანგების განსაზღვრა, რადგან S_3-ის ნიშანი სუფიქსია. ორი 0_3-იდან წინ (მარცხნივ) მოექცევა პირცვალებადი ობიექტის რანგი, რადგან I და II პირებში წინ უძღვის მეორე ობიექტს, რომელიც მუდამ III პირშია, მაშასადამე, რანგთა განსაზღვრა ამ შემთხვევაში ხდება უღლების რეალური პარადიგმიდან ამოსვლით" [უთურგაიძე 2002, 56]. აქედან გამომდინარე, მო-უ-ღ-ი ფორმაში მასთან შეწყობილი აქტანტების მიხედვით შეიძლება Ø ალომორფთა კვალიფიკაცია:

$S_1 0_3^{ind} 0_3^{d}$ მო-ØS_1-Ø0_3^{ind}-Ø0_3^{d}-უ-ღ-ი

$S_2 0_3^{ind} 0_3^{d}$ მო-ØS_2-Ø0_3^{ind}-Ø 0_3^{d}-უ-ღ-ი

$S_1 0_3^{indp} 0_3^{d}$ მო-ØS_1-Ø0_3^{indp}-Ø 0_3^{d}-უ-ღ-ი-Ø0^{indp} და ა. შ.

